

570 / 3  
1956 / IX



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ვახუშტის სახელობის  
გეოგრაფიის ინსტიტუტის  
შ რ ო მ ე ბ ი

ტ. IX

ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია  
ქვემო ქართლი

Т Р У Д Ы  
ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ ИМ. ВАХУШТИ

Т. IX

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ  
НИЖНИЙ КАРТЛИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა  
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1956 — ТБИЛИСИ



ვახუშტის სახელობის  
გეოგრაფიის ინსტიტუტის  
შ რ ო მ ე ბ ი

ტ. IX

ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია  
ქვემო ქართლი

Т Р У Д Ы

ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ ИМ. ВАХУШТИ

Т. IX

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ  
НИЖНИЙ КАРТЛИ

5614





### 3. ზველსინანი

## ქვემო ქართლის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება

### შესავალი

ქვემო ქართლი საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მხარეთაგანია. იგი როგორც ბუნებრივი პირობებით, ისე მეურნეობრივი მაჩვენებლებით გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რაც განასხვავებს მას რესპუბლიკის დანარჩენი ნაწილებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ქვემო ქართლის ყოველმხრივ შესწავლისათვის 1954 წელს მივლინებულ იქნა მის რაიონებში კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის ერთი ჯგუფი ეკონომისტ-გეოგრაფებისაგან შედგებოდა.

აღნიშნული ექსპედიციის მუშაობის შედეგად დაგროვილ იქნა საკმაოდ მდიდარი ფაქტიური მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა ქვემო ქართლი დავახასიათოთ გეოგრაფიული და ეკონომიური თვალსაზრისით.

ქვემო ქართლის ეკონომიურ-გეოგრაფიული შესწავლა წარმოადგენს ერთ-ერთ რგოლს იმ გეგმაზომიერად წარმოებული მუშაობისა, რომელსაც გეოგრაფიის ინსტიტუტი წლების განმავლობაში ატარებს საქართველოს სხვადასხვა რაიონთა კომპლექსური შესწავლისათვის.

ქვემო ქართლის შესწავლის ცალკე ობიექტად გამოყოფა გაპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქვემო ქართლი თანახმად გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მიღებული დარაიონებისა, წარმოადგენს ცენტრალური (თბილისის) ეკონომიურ-გეოგრაფიული კომპლექსის შემადგენელ ქვერაიონს, რომელიც სპეციფიკური ბუნებრივი და საწარმოო ნიშნებით ხასიათდება.

ქვემო ქართლის ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონი მოიცავს ტერიტორიას, რომელიც აერთიანებს გარდაბნის, მარჩენულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დმანისისა და წალკის ადმინისტრაციულ რაიონებს.

ქვემო ქართლს შეიძლება მივაკუთვნოთ თვით ქ. თბილისი საგარეუბნო რაიონით, მაგრამ ვინაიდან თბილისი მთელი რესპუბლიკის უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრია, რომლის განვითარება და მნიშვნელობა სცილდება ქვემო ქართლის ქვერაიონს, გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ის შესწავლის ცალკე ობიექტად არის გამოყოფილ და მას მომავალში სპეციალური მონოგრაფია მიეძღვნება.

ქვემო ქართლის რაიონების შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა, რომელიც ეხება ამ მხარის ისტორიულ წარსულს, ეთნოგრაფიას, მოსახლეობას და იქ შექმნილი სამეურნეო დარგების ცალკეულ საკითხებს. მაგრამ

ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ისეთი მონოგრაფია, სადაც ქვემო ქართლი დახასიათებული იყოს, როგორც მთლიანი საწარმოო-ტერიტორიული ერთეული მისი ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის, მეურნეობის სტრუქტურისა და სხვა საჭირო საკითხთა ყოველმხრივი გაშუქებით. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომების IX ტომის გამოქვეყნების მიზანი სწორედ იმით განისაზღვრება, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, მოცემულ იქნეს ქვემო ქართლის სრული კომპლექსური დახასიათება.

წინამდებარე ტომის პირველი წერილი წარმოადგენს ქვემო ქართლისადმი მიძღვნილ ეკონომიურ-გეოგრაფიულ გამოკვლევათა გამაერთიანებელ, შემაჯამებელ თავს, რომელსაც მოჰყვება სპეციალური ნაწილები, ცალკეულ საკითხთა უფრო დეტალური განხილვით.

წერილში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდს. განხილულია ის დიდი პროგრესული ცვლილებები, რომლებიც განიცადა ქვემო ქართლმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ; ზოგადად დახასიათებულია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ძირითადი დარგები, ის თავისებურებანი, რომლებიც გამოჰყოფენ რაიონის შიგნით ცალკეულ ნაწილებს.

ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებს, სოციალისტური წარმოების განლაგების პრობლემას.

წერილში შეძლებისდაგვარად განხილულია ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერებისა და შემოსავლიანობის საკითხი, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგთა ტერიტორიული განლაგება.

ქვემო ქართლს, როგორც ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონს, გარკვეული საწარმოო სპეციალიზაცია ახასიათებს, ის მონაწილეობს რესპუბლიკის შრომის ტერიტორიულ განაწილებაში და თავისი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციით ამარაგებს რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებს. ამ ნიადაგზე ქვემო ქართლს შეექმნა საკმაოდ ფართო რაიონთაშორისო საწარმოო-ეკონომიური კავშირი, რომელიც ნათლად გამოხატავს მის ეკონომიურ მნიშვნელობას და იმ როლს, რომელსაც ის თამაშობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. ამ საკითხთა შესაფერისი გაშუქება წერილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

თუმცა შრომა მთლიანად ქვემო ქართლის ეკონომიურ-გეოგრაფიულ დახასიათებას წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ ვეცადეთ მას არ ჰქონოდა მხოლოდ აღწერილობითი ხასიათი და შეძლებისდაგვარად გავვემახვილებინა ყურადღება მეურნეობის ცალკეულ დარგთა მდგომარეობის უარყოფით მხარეებზე და სკკპ XX ყრილობის დირექტივების საფუძველზე მათი შემდგომი განვითარების საკითხებზე.

შრომის საფუძველს, როგორც ზემოთ იქნა მოხსენებული, წარმოადგენს ქვემო ქართლის ექსპედიციის მუშაობის დროს დაგროვილი მასალები, პირადი ჩანაწერები და შთაბეჭდილებები; ამასთანავე გამოყენებულია ის ლიტერატურული წყაროები, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ გასაშუქებელ საკითხებთან.

აღსანიშნავია, რომ შრომის პირველ განაკვეთში, რამდენადაც ის წარმოადგენს შეჯამებულ ნარკვევს, ნაწილობრივ გამოყენებულია ციფრობრივი განგარიშებანი და სხვა ხასიათის ფაქტიური მასალები, რომლებიც დამუშავებულ იქნა ამავე ტომში მოთავსებული დანარჩენი წერილების ავტორების მიერ.

ექსპედიციის მუშაობის დროს მოპოვებულ საანგარიშო მასალათა ანალიტური დამუშავება ჩაატარა გეოგრაფიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომელმა მ. შარაშიძემ. კარტოგრაფიული სამუშაოები შესრულებულია ზ. ბონდირევას მიერ.

ქვემო ქართლის შესახებ დაწერილ შრომათა სერიის საერთო რედაქცია ეკუთვნის საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ა. ჯავახიშვილს<sup>1</sup>.

## 1. ბუნებრივი პირობები და მათი საფარგლო მნიშვნელობა

### 1. ტერიტორია და ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობა

ჩვენ მიერ ქვემო ქართლად წოდებული ტერიტორია მოიცავს ექვს ადმინისტრაციულ რაიონს, სახელდობრ: გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დმანისისა და წალკის რაიონებს.

როგორც ზემოთ იქნა მოხსენებული, ქვემო ქართლი წარმოადგენს ქვერაიონს ცენტრალური (თბილისის) ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონისა და მას გარკვეული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიური ნიშნები ახასიათებს.

ქვემო ქართლი მდებარეობს საქართველოს სსრ სამხრეთ ნაწილში, მას უმთავრესად ქვემო ქართლის ბარი და ჯავახეთის ზეგნის აღმოსავლეთი ნაწილი უკავია: საკვლევი რაიონის უკიდურესი წერტილები იმყოფება აღმოსავლეთ გრძედის 43° 40' და 45° 16' შორის და ჩრდილო განედის 41° 10' და 41° 47' შორის.

ქვემო ქართლს ჩრდილოეთიდან საზღვრავს თბილისის გარეუბნის, მცხეთის, კასპისა და გორის რაიონები, აღმოსავლეთიდან საგარეჯოს რაიონი, სამხრეთით მისი საზღვარი რესპუბლიკურ საზღვარს ემთხვევა და ის აზერბაიჯანსა და სომხეთს ეკვრის.

ქვემო ქართლის საერთო ფართობი 5684,3 კმ<sup>2</sup> უდრის (1924 წ. 1 ნოემბრისათვის), რაც რესპუბლიკის საერთო ტერიტორიის 7,8%-ს შეადგენს, აქედან გარდაბნის რაიონი უდრის 545,8 კმ<sup>2</sup>, მარნეულის—979,5 კმ<sup>2</sup>, ბოლნისის—739,7 კმ<sup>2</sup>, თეთრი წყაროს—1162 კმ<sup>2</sup>, დმანისის—1223,1 კმ<sup>2</sup> და წალკის—1033,9 კმ<sup>2</sup>.

ბუნებრივი საზღვრების მიხედვით ქვემო ქართლი ჩრდილოეთით ეზღინება თრიალეთის მერიდიონალურ ქედს, აღმოსავლეთით მას გარე კახეთის ზეგნის დასავლეთი ფერდობები და აზერბაიჯანის მშრალი სტეპები ესაზღვრება, სამხრეთით—სომხეთის ქედი, ხოლო დასავლეთით ჯავახეთისა და სამსარის ქედს ეკვრის. ამგვარად, ქვემო ქართლის ტერიტორია მდებარეობს შიდა ქართლს, გარე კახეთს, ჯავახეთსა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის.

ქვემო ქართლის ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობა, გარდა იმისა, რომ განსაზღვრავს მის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მახეწებულებს, რომლებიც დიდი სხვადასხვაობით ხასიათდება, გარკვეულ როლს თამაშობს ამ მხარის ეკონომიური განვითარების საქმეში.

ქვემო ქართლი შევეციძლია წარმოვიდგინოთ როგორც გარდამავალი საფეხური, მოქცეული აღმოსავლეთის მშრალ ველებსა და ჯავახეთის ვულკანურ მთიანეთს შორის. მართლაც ქვემო ქართლის აღმოსავლეთსა და დასავლეთ ნაწილებს შორის რამდენიმე ჰიფსომეტრული ზონა არის მოქცეული, რომელთა

<sup>1</sup> ამ ტომში მოთავსებული წიროლები წარმოადგენს შემოკლებულ გადმოცემას იმ შრომებისა, რომელთა სრული ოცნება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდებში.

უმდაბლეს და უმაღლეს წერტილთა შორის განსხვავება 3000 მეტრს აღწევს. ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდია ქვემო ქართლში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გავრცელების და საერთოდ სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარების ტერიტორიული სხვაობანი

წარსულში ქვემო ქართლის გეოგრაფიული მდებარეობა მისი მძიმე ისტორიული ბედის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო; წარმოადგენდა რა საქართველოს სამხრეთ განაპირა პროვინციას, მას მუდმივ უზღებოდა სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომავალ დამპყრობელ ველურ ურდოთა პირველი დარტყმების მიღება. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია ქვემო ქართლის მოსახლეობის შემადგენლობასა და მეურნეობის მდგომარეობაზე.

ქვემო ქართლის განაპირა მდებარეობამ თვით XIX საუკუნეშიაც კი განსაზღვრული როლი ითამაშა, განსაკუთრებით ამ მხარის ეროვნული შემადგენლობის ჩამოყალიბების საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის პირობებში, ქვემო ქართლის მდებარეობა, რასაკვირველია, სულ სხვა მნიშვნელობის მქონეა; ახლა უკვე მხედველობაში მისაღებია ამ მხარის სატრანსპორტო კავშირები, მისდამი მიმდებარე რაიონთა ეკონომიური განვითარების დონე და მიმართულება, მსხვილი სამრეწველო ცენტრებისაგან დამოკიდებულება და ეკონომიური და გეოგრაფიული მნიშვნელობის სხვა ფაქტორები; მისი განაპირა მდებარეობა ამჟამად უკვე არავითარ უარყოფით როლს არ თამაშობს.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის ბუნებრივი საზღვრები ერთგვარად ზღუდავს მის სატრანსპორტო-ეკონომიურ კავშირს. ქვერაიონი ჩრდილოეთით შემოფარგლულია თრიალეთის ქედით, ხოლო დასავლეთით—ჭავჭავთისა და სამსარის ქედებით, რაც არ აძლევს მას საშუალებას ამ მიმართულებით განავითაროს მომიჯნავე რაიონებთან ინტენსიური სატრანსპორტო და ეკონომიური კავშირი.

ქვემო ქართლს კვეთს რამდენიმე მაგისტრალური შარავზა და რკინიგზის შტო. ამ მხრივ ის საკმაოდ კარგად არის დაკავშირებული რესპუბლიკის ცენტრალურ რაიონებთან და მეზობელი რესპუბლიკების—სომხეთისა და აზერბაიჯანის რაიონებთან.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქვემო ქართლის გეოგრაფიული მდებარეობის შედეგად მის ტერიტორიაზე გამავალ რკინიგზას და შარავზებს სატრანსპორტო მნიშვნელობა აქვთ და ისინი რესპუბლიკათაშორის საწარმოო ეკონომიურ კავშირსაც ემსახურებიან.

ქალაქ თბილისის სიახლოვე ქვემო ქართლის ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობის გადამწყვეტი ფაქტორია. თბილისი მძლავრი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი, მრავალათასიანი მოსახლეობით, დიდ გავლენას ახდენს ქვემო ქართლის რაიონების განვითარებაზე; ამ რაიონების მეურნეობას ის უქვემდებარებს თავის მოთხოვნილებებს და, ამდენად, ქვემო ქართლს თავის საგარეუბნო ზონად აქცევს. მართლაც, ქვემო ქართლის რაიონები ქალაქ თბილისის მალფუჭადი პროდუქტებით მომარაგების ძირითად ბაზას წარმოადგენს; ისინი აწვდიან ქალაქის მოსახლეობას ხორცს, რძის პროდუქტებს, ბოსტნეულ-ბაღჩეულს, ხილს და სხვ.

თბილისის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ორიენტაცია მოქმედობს ქვემო ქართლის რაიონთა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურაზე და

ცალკეულ დარგთა ზრდა-განვითარების ტემპებზე. თბილისის ბაზრის სიახლოვე, დიდ უპირატესობას უქმნის ქვემო ქართლის რაიონების კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის საქმეში.

ქვემო ქართლის, უმთავრესად გარდაბნის რაიონის, სოფლის მეურნეობის განვითარების ასეთივე მძლავრ სტიმულიატორს ქალაქი რუსთავი წარმოადგენს.

რუსთავი ამჟამად უკვე საკმაოდ დიდ მოთხოვნილებას უყენებს საგარეუბნო მეურნეობას და მისი მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება გარდაბნის რაიონის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამგვარად, ქვემო ქართლის რაიონთა ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს აღნიშნულ რაიონთა მეურნეობრივ და კულტურულ განვითარებას და ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვა რაიონებთან მჭიდრო საწარმო-ეკონომიური კავშირის დასამყარებლად.

## 2: ბუნებრივი პირობები და რესურსები

ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც უმთავრესად ამ მხარის მკვეთრ ვერტიკალურ ზონალობასთან არის დაკავშირებული. აქ ვხვდებით მრავალგვარი სახეობის კლიმატს, დაწყებული სტეპების მშრალი და ცხელი კლიმატით და გათავებული ალპური ზონის კლიმატით. მაშინ როდესაც მარნეულის დაბლობ ზონაში კარგად ხარობს ისეთი მოყვარული კულტურები, როგორცაა თამბაქო და ბამბა. წალკის რაიონში სიბოს ნაკლებობის გამო, ხშირად საგაზაფხულო ხორბალი და ქერიც კი ვერ ასწრებს მომწიფებას.

თუ ქვემო ქართლის ცალკე ნაწილთა ოროგრაფიულ სხვაობას არ მივაქცევთ ყურადღებას, ზოგადად ის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც საფეხურიანი კიბე, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მალღდება და ქვემო ქართლის ვაკიდან ჯავახეთის ზეგანზე აგვიყვანს. მართლაც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე თანდათანობით ამალღებული პიქსომეტრიული ზონა.

სიმაღლე ზღვის დონიდან	ტერიტორია კმ <sup>2</sup>	ხვედრითი წონა პროცენტობით საერთო ტერიტორიაში
500 მეტრამდე	1075, 0	18, 9
500 — 1000 „	1368, 1	24, 1
1000 — 2000 „	2623, 0	46, 2
2000 მეტრზე მეტი	618, 2	10, 8
	5684, 3	100, 0

აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქვემო ქართლის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი (57%) მდებარეობს მაღალ ზონებში, რომელთა სიმაღლე აღემატება 1000 მეტრს. ამასთანავე რაიონის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი (43%) მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საყვარელი ხელსაყრელ სიმაღლეებზე, ესე იგი 1000 მეტრამდე.

ეს მდგომარეობა აპირობებს ქვემო ქართლში მიწათმოქმედების განვითარების მაღალ დონეს, უმთავრესად, მის აღმოსავლეთ ნაწილში (გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის და ნაწილობრივ თეთრი წყაროს რაიონებში).

საერთოდ ქვემო ქართლის რელიეფს დიდი სირთულე ახასიათებს; მის ფარგლებში მთავსებულია რიგი მაღალი ქედები; ამასთანავე აქ საკმაოდ არის წარმოდგენილი ვაკეები და მთის ვაკეები, პლატოები და ქვაბულები.

რელიეფის აღნიშნული ფორმები ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვალსაზრისით, ვინაიდან ისინი აღიღებენ დასამუშავებლად გამოსადეგი მიწის ფართობს, მაგრამ იმავე დროს მათ სრული ეფექტურობით გამოყენებას ხელს უშლის სხვა ბუნებრივი ფაქტორები, უმთავრესად, არახელსაყრელი კლიმატური პირობების სახით.

კლიმატი ქვემო ქართლის ცალკეული რაიონების მიხედვით დიდი სხვადასხვაობით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია მათი გეოგრაფიული მდებარეობის, რელიეფისა და საერთო ცირკულიაციური პროცესების პირობებთან. მზის რადიაციისა და სითბოს საერთო ჯამის მიხედვით ქვემო ქართლის უდიდესი ნაწილის კლიმატი ხელსაყრელია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა აღმოცენებისათვის.

აქ შეიძლება გამოვეყთ რამდენიმე თერმიული ზონა, დაწყებული სუბტროპიკულ მშრალი ზონიდან, აღმოსავლეთ ნაწილში, და გათავებული ცივი და ძალიან ცივი ზონით, დასავლეთ ნაწილში.

ქვემო ქართლის კლიმატური პირობების განხილვისას, უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობაზე უარყოფითად მოქმედი ორი ძირითადი ფაქტორი; აღმოსავლეთ ნაწილში (განსაკუთრებით გარდაბნისა და მარნეულის რაიონები) ნალექების არასაკმარისი რაოდენობა და დასავლეთ ნაწილში — დაბალი თერმიული რეჟიმი, განსაკუთრებით ნადრევი ყინვები.

ქვემო ქართლის რაიონებში კლიმატის გადაწყვეტი ელემენტების განხილვა (ტემპერატურა და ნალექების რაოდენობა) აშკარავენს ორი სახის გარკვეულ კანონზომიერებას, სახელდობრ: 1) თერმიული რეჟიმის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შემცირებასა და 2) ნალექების რაოდენობის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადიდებას.

თერმიული რეჟიმის ცვალებადობა აღმოსავლეთი რაიონებიდან დასავლეთ რაიონებისაკენ ნათლად გამოიხატება ქვემოთ მოყვანილი მონაცემებიდან;

საშუალო ტემპერატურა გრადუსებში

	იანვრის	ივლისის	საშუალო წლიური
გარდაბანი	0, 0	25, 2	12, 9
კუმისი	- 0, 3	24, 2	12, 2
ბოლნისი	- 0, 2	22, 9	11, 7
თეთრი წყარო	- 1, 9	19, 2	8, 6
ღმანისი	- 2, 5	18, 8	8, 1
წალკა	- 5, 3	15, 8	5, 8

ნალექების მხრივ შებრუნებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რაც შემდეგი მონაცემებიდან ჩანს:



ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მმ).

გარდაბანი	383	
სანდარა (მარნეულის რაიონი)	490	+
ბოლნისი	493	+
თეთრი წყარო	583	
წალკა	638	+
დმანისი	657	-

წალკისა და დმანისის რაიონებში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 62—70%-ით მეტია, ვიდრე გარდაბნის რაიონში.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის აღმოსავლეთ რაიონებში (გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის) ნალექების წლიური ჯამის აბსოლუტური სიმცირე, არსებული თერმული რეჟიმის პირობებში, ქმნის სინესტის მძაფრ დეფიციტს.

სინესტის ბალანსის წლიური დეფიციტი გარდაბნის რაიონში 345 მმ უდრის, მარნეულის რაიონში (სანდარა) 180 მმ, ბოლნისის რაიონში 195 მმ, აქედან უდიდესი ნაწილი ზაფხულის თვეებზე მოდის. დასავლეთისაკენ, სიმაღლის ზრდასთან თანაშეფარდებით, აორთქლებლობა და ნალექების შეფარდება უფრო ხელსაყრელი ხდება და 800 მ უფრო მაღალ ადგილებში სინესტის წლიური ბალანსი დადებითი ხდება. წალკისა და დმანისის რაიონებში, თუმცა, აორთქლებლობისა და ნალექების წლიური ბალანსი დადებითია, მაგრამ გაზაფხულის და ზაფხულის ცალკეულ თვეებში სინესტის დეფიციტს მაინც აქვს ადგილი.

კლიმატის აღნიშნული ძირითადი ფაქტორები დიდ გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობის დარგების განლაგებაზე ქვემო ქართლის ცალკეულ რაიონებში. ქვემო ქართლის აღმოსავლეთ რაიონებში არსებული ტემპერატურული რეჟიმი საშუალებას იძლევა სოფლის მეურნეობის მრავალგვაროვან კულტურათა განვითარებისათვის, მათ შორის მრავალწლიანი და სითბომოყვარული მცენარეებისაც, როგორც არის, მაგალითად: თამბაქო, ბამბა, ვაზი, ხილის კულტურები და სხვა. ამავე დროს ამ ზონაში კლიმატის სიმშრალე, გამოწვეული ნალექების სიმცირით უარყოფითად მოქმედებს ყველა კულტურაზე და ხელოვნური მორწყვა სოფლის მეურნეობის არსებობის აუცილებელი პირობაა. გარდაბნის რაიონში მორწყვის გარეშე მოსავალს არ იძლევა არცერთი კულტურა, თითქმის ასეთივე მდგომარეობაა მარნეულის რაიონში; ფართობთა მორწყვა აუცილებელია ბოლნისის რაიონის უდიდეს ნაწილშიც.

დასავლეთის მაღალ ზონაში ნალექების საკითხი ისე მტკივნეულად არ დგას და აქ სოფლის მეურნეობის კულტურათა განვითარებისა და განლაგების შესაძლებლობას ძირითადად ტემპერატურული რეჟიმი წყვეტს. სითბოს ნაკლებობის გამო, ქვემო ქართლის ამ ზონაში არ ხარობს ვაზი, ხილი და სხვა მრავალწლიანი კულტურები; ტერიტორიის უმეტეს ნაწილში შემოდგომის ხორბალა არ იძლევა კარგ მოსავალს, ვინაიდან ან ვერ ასწრებს ამოსვლას, ან მას ნაადრევად ყინვები აზიანებენ.

ქვემო ქართლის ბუნებრივ პირობათა კომპლექსში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის მდიდარ ნიადაგებს. ქვემო ქართლის ნიადაგთა მრავალფეროვანება განისაზღვრება გეოლოგიურ, კლიმატურ, ჰიდროლოგიურ და სხვა ფაქტორთა ზემოქმედებით, მაგრამ აქაც გარკვეული კანონზომიერება მოქმედ-

დებს, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული ტერიტორიის გეომორფოლოგიურ და კლიმატურ ზონებად დაყოფასთან<sup>1</sup>.

საერთოდ ქვემო ქართლის ნიადაგების ძირითადი სახეობანი მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება დამორწყვის პირობებში კულტურათა მაღალმოსავლიანობის შესაძლებლობას იძლევა.

ქვემო ქართლი მდიდარია მცენარეულობით. დამახასიათებელია, რომ არსებული ბუნებრივი ზონების მიხედვით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მცენარეულობის ხასიათი იცვლება, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ნაწილში, ქვემო ქართლის ვაკეზე, კლიმატურ პირობებთან შეფარდებით, მშრალი სტეპების ბალახეულია გავრცელებული (უროიანი და აბზინდიან-უროიანი), რაც ქმნის საზამთრო საძოვრების საკმაო ფონდს, დასავლეთ ნაწილში, ჯავახეთისა და სამსარის მთების ფერდობებზე, სუბალპური მდელოების ბალახეულია გავრცელებული. სუბალპების გავრცელების ზოლი მერყეობს საშუალოდ 1800-2400 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან. ამაზე უფრო მაღლა (ჯავახეთის, სამსარისა და თრიალეთის ქედები) მცირე რაოდენობით ალპურ მცენარეულობასაც ვხვდებით. მთის ალპური და განსაკუთრებით სუბალპური მდელოები, გარდა იმისა, რომ იჭირფას საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენს, დიდი რაოდენობით თივის დამზადების საშუალებასაც იძლევა.

ტყეებს, ქვემო ქართლის მცენარეულ საფარში, საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. ტყეები გავრცელებულია უმთავრესად სომხეთისა და თრიალეთის ქედების ფერდობებზე და, ნაწილობრივ, წალკისა და დმანისის მთის ვაკეების აღმოსავლეთ ფერდობებზე.

ტყით დაფარული საერთო ფართობი 112,7 ათ. ჰექტარს სჭარბობს, რაც ქვემო ქართლის ტერიტორიის ერთ მეხუთედს უდრის. ტყე ქვემო ქართლში ნიადაგდაცვით და წყალშენახვით ფუნქციებს ასრულებს და მისი საწარმოო მნიშვნელობა შეზღუდულია.

ქვემო ქართლის რაიონებში (განსაკუთრებით გარდაბან-მარნეულის და წალკა-დმანისის) ფართოდ უნდა გაიშალოს ტყის აღდგენა-გამწეებითი სამუშაოები, რაც ამ მხრივ ბუნებრივ პირობათა გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებათაგანია.

საქართველოს აღმოსავლეთ რაიონთა შორის ქვემო ქართლი წყლის რესურსებით საკმაოდ მდიდარი რაიონია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მხარის მეურნეობისათვის. მის აღმოსავლეთ ნაწილს ჰკვეთს ისეთი წყალუხვი მდინარე, როგორიცაა მტკვარი, ხოლო შუა ნაწილს ორი უმთავრესი მდინარე ალგეთი და ხრამი, რომლებიც დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიედინებიან.

მდინარე ხრამს, ზემო წელში, ქციას ემახიან და მას თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე 2422 მ სიმაღლეზე (ზ. დ.) აქვს სათავე. ქვემო ქართლის ფერდობებში მისი სიგრძე დაახლოებით 200 კმ უდრის, მთლიანად აუზი კი 4342 კმ<sup>2</sup> შეადგენს. ხრამის საშუალო წლიური წყლის ჩამონადენი დაახლოებით 1,5 მლკუბურ მეტრს უდრის, რაც მდინარის დიდი ვარდნის პირობებში ქმნის პოტენციურ ჰიდრავლიურ სიმძლავრეს 279 ათას კილოვატის რაოდენობით.

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებით იხილე დ. უკლებას შრომა, ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობები და რესურსები, ამავე ტომში.

მდინარე ხრამის ხეობა განსაკუთრებული თავისებურებითა და სილამაზით ხასიათდება. წალკის წყალსაცავის შემდეგ მდ. ხრამი ღრმად იჭრება ლავურ საფარში და ვიწრო, ციცაბოკალთებიან ხეობას ქმნის. ზოგ ადგილას ხეობის სიღრმე 400-500 მეტრს უღრის (მაგ. მდ. ყარაბულახის შესართავთან). ხეობის ზემოდან გადმომყურე ადამიანს თვალწინ დაუვიწყარი სურათი გადაეშლება: წინ ვიწრო უღრმესი ხეობა, რომლის ძირში, თეთრ ვერცხლისებურ ზოლად მდინარე ხრამი მიიკლავნება. ალბათ ამით უნდა ავსხნათ თვით მდინარის სახელწოდებაც. სოფ. არუხლოს შემდეგ ხრამი ქვემო ქართლის ვაკეზე გამოდის. მდინარე ხრამს მრავალი შენაკადი აქვს, ამათგან მთავარია მარჯვენა შენაკადები: მაშვერა, რომლის სათავე ჯავახეთის ქედზეა, შულავერის წყალი, რომელიც ლოქის მთიდან იწყება და ყველაზე დიდი შენაკადი—დებედა.

მდინარე ხრამს ენერგეტიკული თვალსაზრისით საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვს, ხოლო ირიგაციული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ქვემო ქართლისათვის. ხრამის ჩამონადენის დიდი ვარდნა (დაახლოებით 1500 მ) და ხელოვნური წყალსაცავის შექმნის ხელსაყრელი პირობები უზრუნველყოფს მასზე მძლავრ მარეგულირებელ სადგურთა კასკადის შექმნას.

მეორე მნიშვნელოვანი მდინარე—ალგეთი თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე იწყება (კლდეკართან 1900 მ სიმაღლეზე) და სამხრეთ-აქმისვლელი საკენ მიედინება. მისი საერთო სიგრძე—128 კმ, აუზის ფართობი—736 კმ<sup>2</sup>. მდ. ალგეთის პოტენციური ჰიდრავლიური სიმძლავრე—153 ათ. კვტ უღრის, მას აგრეთვე ირიგაციული მნიშვნელობა აქვს, რწყავს მარნეულის ვაკის ნაწილს.

ქვემო ქართლი მადნეული და არამადნეული მინერალური წიაღისეულით მდიდარი რაიონია. ეს მხარე ძველთაგან ცნობილი იყო, როგორც საქართველოს მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ჩათახის რკინის საბადო, რომელიც ბოლნისიდან 13—15 კმ მანძილზე მდებარეობს. ამ ადგილებში, უძველესი დროიდან, რკინის წარმოებას მოწმობს აქ ნაპოვნი პრიმიტიული ქურბები და თვით აქაურ ადგილებში შემორჩენილი სახელწოდებანი—„სარკინეთი“, „ფოლადაური“ და სხვ. ჩათახის საბადოს სამრეწველო მნიშვნელობის საბოლოო შეფასება დღესაც არა გვაქვს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩათახის საბადოზე წარმოებს გეოლოგიურ-საძიებელი სამუშაოები მისი სამრეწველო ღირებულების დადგენის მიზნით.

დიდი მნიშვნელობის მქონეა ბოლნისის რაიონში არსებული პოლიმეტალური საბადოები და ბარიტის საბადო.

ბარიტის საბადო უკვე ექსპლოატაციაში იმყოფება და მოპოვებული ბარიტი (ღია კარიერებში) ავტოტრანსპორტით იზიდება რკინიგზამდე (სად. სანდარი).

ალგეთის ხეობაში ცნობილია დიდი მარაგის მქონე ლითოგრაფიული ქვის საბადო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ექსპლოატაციაში იმყოფებოდა.

განსაკუთრებით მდიდარია ქვემო ქართლის რაიონები სხვადასხვა სახის საამშენებლო მასალებით. სადახლოს მიდამოებში ცნობილია საუკეთესო ხარისხის კირქვის მძლავრი საბადო; ის დამუშავებაში იმყოფება და აწვდის საფლიუსს მასალას ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას.

აქვე ცნობილია სადახლოს ნაცრისფერი მარმარილოს დიდი საბადო, ისიც ექსპლოატაციაში იმყოფება. მარნეულის რაიონშივე არსებობს ბაზალტის კარიერები, რომლებიც ამარაგებენ ქვეით ქ. თბილისის მშენებლობებს.

დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს ბოლნისის რაიონში ცნობილი ყვითელი ტუფის საბადო. ბოლნისის ტუფის მარაგი აურაცხელია; იგი წარმოადგენს შენობათა მოსაპირკეთებელ ერთ-ერთ უღამაზეს ქვას. ცნობილია ტუფის რამდენიმე სახეობა, მაგრამ ამჟამად ექსპლოატაციაში იმყოფება ყვითელი ტუფის საბადო.

მნიშვნელოვან საამშენებლო მასალას წარმოადგენს თეთრი წყაროს, ბოლნისის, დმანისის და სხვა რაიონებში გავრცელებული ქვიშარები, ბაზალტები, დიაბაზები, ვარდისფერი გრანიტები, თეთრი და მორაქო ფერის კვარციტები და სხვა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის რაიონებში საამშენებლო ქვების სიმდიდრის მკაფიო დამადასტურებელია ის მრავალი სხვადასხვანაირი ქვისაგან ნაშენები ისტორიული ძეგლი, რომლებითაც მოფენილია მთელი ეს მხარე.

ქვემო ქართლის, ლამაზი ტონისა და მოხაზულობის მქონე საამშენებლო ქვები, მათი მოპოვების მექანიზაციის პირობებში, შეიძლება გასაღებულ იქნეს არა მხოლოდ რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ქვემო ქართლი ბუნებრივი პირობებით ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო რაიონია.

მის მაგალითზე ნათლად მოსჩანს თუ როგორ იცვლება ზონების მიხედვით ბუნებრივი პირობები და რა გავლენას ახდენენ ისინი მეურნეობის განლაგებაზე.

ქვემო ქართლის გეოგრაფიული არე, ცალკე ნაწილების მიხედვით არსებული ბუნებრივი თავისებურებანი, სოციალურ-ეკონომიურ პირობათა გადამწყვეტ როლის საფუძველზე გარკვეულ გავლენას ახდენს რაიონის მეურნეობრივ კომპლექსისა და შიდარაიონულ საწარმოო სხვაობათა ჩამოყალიბებაზე.

## II. ზოგად ცნობა ისტორიულ-ეკონომიური განვითარების შესახებ

ქვემო ქართლის ისტორია განუყოფელია მთელი საქართველოს ისტორიისაგან. აქ, უძველეს დროიდან, ჩაისახა და განვითარდა ქართველი ხალხის მეურნეობრივი თაოსნობა და მაღალი კულტურა.

ქვემო ქართლის თავზე, ისე როგორც საქართველოს უმეტეს ნაწილზე, განმანდგურებელი სიძლიერის მრავალმა ისტორიულმა ქარიშხალმა გადაიარა, რომელთა შედეგად ეს ოდესღაც აყვავებული მხარე საუკუნეების მანძილზე განადგურდა და გადაგვარდა. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქვემო ქართლი მუდამ წარმოადგენდა ხალხთა შეხლა-შემოხლის ასპარეზს, მის ტერიტორიაზე გადიოდა საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე სტრატეგიული თავდაცვითი ხაზი, სადაც წარმოებდა სასტიკი ბრძოლები სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მომავალ ველურ ურდოთა მოსაგერიებლად.

საკმარისია დასახელებულ იქნეს ქვემო ქართლის ისეთი ძლიერი ციხეები, როგორიც იყო ღორი, დმანისი, სამშვილდე, რომლებიც საქართველოს შუაგულისაკენ მიმავალ გზებს უკეტავდნენ მტერს.

წალკა-თრიალეთ-ალგეთის რაიონებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყვეს, იქ მოპოვებული მატერიალური ძეგლების საფუძველზე, რომ ქვემო ქართლის ეს რაიონები უხსოვარი დროიდან დასახლებული ყოფი-

ლა და რომ აქ, ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე II ათასეულის შუა საუკუნეებში განვითარდა თავისებური, ძლიერი კულტურული კერა [35, გვ. 124].

უძველესი ადამიანის მიერ ქვემო ქართლის ტერიტორიის ათვისების უტყუარი საბუთია აგრეთვე წალისა და ოეთრი წყაროს რაიონებში ჩვენ დრომდე შენარჩუნებული ციკლოპიური ნაგებობები, აშენებული უკიროდ, უზარმაზარი ქვებისაგან, რომელთაც ჩვენი ხალხი გმირთ-ნაკვეთებს ან დევთ-ნასახლარებს უწოდებს.

შესაძლოა ამით აიხსნებოდეს, რომ ხალხის ებოსში ამირანის გმირულ საქციელთა ლოკალიზაცია სწორედ ალგეთის ხეობასთან არის დაკავშირებული, რაზედაც მიუთითებს თვით ამირანზე თქმულება. [17, გვ. 79].

საქართველოს არც ერთ მხარეში არ არის დაცული ისეთი რაოდენობით ისტორიული ძეგლები: ეკლესიები, ციხეები, სასახლეები, ნაქალაქრები, ნასოფლარები (განსაკუთრებით V—VI საუკუნეების), როგორც ქვემო ქართლის რაიონებში, რაც მოწმობს წარსულში მის მჭიდრო დასახლებას და სამეურნეო-კულტურული ცხოვრების განვითარებას. საემარისა დაეასახელოთ ქართული არქიტექტურის ისეთი შედეგები, როგორცაა ბოლნისის სიონი (უძველესი დათარიღებული ქართული წარწერით V საუკ.), წულრულამების, ფიტარეთისა და მანგლისის ეკლესიები, ციხე-ქალაქები: სამშვილდე, დმანისი, რუსთავი და მრავალი სხვა, რომ დავრწმუნდეთ იმაში, თუ რა დიდი კულტურული მემკვიდრეობის მქონე მხარეა ქვემო ქართლი.

ქვემო ქართლის რაიონებზე (ეგრძოდ მანგლისის რაიონზე) ვაღიოდა ის მოკლე გზა, რომელიც აკავშირებდა საქართველოს დედაქალაქს მცხეთას და შემდეგ ტფილისს კავადოკიასთან, საიდანაც ვრცელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში დასავლური, ე. ი. ბერძნულ-ბიზანტიური კულტურა [17, გვ. 73].

ქვემო ქართლზე მიმავალი გზებით ხორციელდებოდა არა მხოლოდ კულტურული, არამედ სავაჭრო ურთიერთობაც საქარაველოდან სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებთან.

ქვემო ქართლი, სახელდობრ ეხლანდელი ბოლნისის რაიონი, წარმოადგენდა საქართველოს აღმოსავლეთ მეთაღრგის განვითარებულ კერას. ჩათახის რკინის საბადოს აზლო-მასლო და მადნეულთან ნაპონია მრავალი უძველესი სამთო გამონამუშევარი, მადანსადნობი ღუმელების ნარჩენები და წიღის გროვები, რაც ადასტურებს ძველად აქ რკინის დამუშავების ფართო განვითარებას.

არსებული ცნობების თანახმად, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, ქართლი განვითარებული მიწათმოქმედების ქვეყანა ყოფილა, მარცვლელი მეურნეობის გარდა ეწეოდნენ მევენახეობასა და მეცხოველეობას. ქვემო ქართლის უწყლო ადგილებზე მოსავლის მისაღებად აშენებდნენ სარწყავ არხებს.

ქალაქებში, მათ შორის ბოლნისში, მანგლისსა და რუსთავში, განვითარებული იყო ხელოსნობა, წარმოებდა ვაჭრობა შორეულ ქვეყნებთან (სომხეთთან, სპარსეთთან, სირიასთან, დასავლეთის ქვეყნებთან და სხვა).

ქვემო ქართლის ისტორიის და სამეურნეო განვითარების ძირითადი ეტაპები უშუალოდ ემთხვევა ქართლის სამეფოს ისტორიას, რომლის შემადგენლობაშიც ის შედიოდა.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის ცნობით ქართლის იმ ნაწილს, რომელიც თბილისის სამხრეთით მდებარეობდა „გარდბანი“ ეწოდებოდა. „გარდბანის ანუ ხუნანის საერისთავო ჩრდილოეთით ისაზღვრებოდა მტკვრითა და ტფილისით,

„სამხრეთით სომხითის მთებით, აღმოსავლეთით მტკვრითა და ბერდუჯით, ხოლო დასავლეთით ქალაქ გაჩიანით“ [23, გვ. 27].

გარდაბნის ქვეყანას ეკუთვნოდა სამშვილდეს საერისთავო და როგორც ჩანს ძველი ქართულა და სომხური მწერლობიდან, „თრიალეთი“, „მანგლისის ხევი“, „ქციის ხევი“, „ზორაკერტის ხევი“, „ბოლნისის ხევი“ და თანამედროვე ქვემო ქართლის სხვა ნაწილები.

ბევრად უფრო გვიანდელი ცნობებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლში შედიოდა შემდეგი მხარეები: ალგეთი, ბამბაკი, ბერდუჯი, დბანისის ხეობა, თრიალეთი, მტკვრის გაღმა მხარე (მისი ჩრდილო ნაწილით ყარაიით), სკვირეთი, სომხითი, ტაშირი (ლორის რაიონით), ქციის ხეობა, ყაიყული, ყარაბულაღი [16, გვ. 237].

ამგვარად, ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორია ბევრად უფრო ვრცელი იყო, ვიდრე თანამედროვე ქვემო ქართლის ტერიტორია [16, გვ. 250]. რადროიდან წარმოიშვა სახელწოდება „ქვემო ქართლი“ ძნელი დასადგენია, გარკვევით ამ მხარის ასეთი სახელწოდება ცნობილია 1770 წლის საქართველოს მოკლე აღწერიდან, რომელიც მეფე ერეკლე II გაუგზავნა რუსეთის მთავრობას, „სადაც ნათქვამია „ეს სომხითი და საბარათიანო არის ქვემო ქართლი“-ო [13 გვ. 237].

ქვემო ქართლს, ისე როგორც საქართველოს დანარჩენ მხარეებსაც, მუდამ უხლებოდა უძლიერეს მტერთა შემოსევების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ხშირად საქართველოს თავდაცვისათვის წარმოებული გამირული ბრძოლა, ძალთა უთანასწორობის შედეგად, თავდებოდა ქვეყნის აოხრებით, ხალხის ამოყლევით, საუკუნეების მანძილზე მშრომელთა ხელით შექმნილი მეურნეობის დაქცევით.

ხალხი თავგანწირვით ებრძოდა მრავალი ეროვნების შემოსეულ მრისხანე მტერს, იცავდა თავის კერასა და კულტურას და სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა<sup>1</sup>.

უდიდეს ზიანს აყენებდა ქვემო ქართლს მსხვილ ფეოდალთა მუხანათური პოლიტიკა. მიმართული სეპარატული ზრახვების განხორციელებისაკენ და მათი ურთიერთშორის მუდმივი ქიშპი და ბრძოლა.

ისტორიიდან საკმაოდ ცნობილია ის წინააღმდეგობა, რომელსაც უწევდა საქართველოს მეფეებს ორბელიანთა გვარი, კერძოდ ერისთავი ლიპარიტი, რომელმაც, როგორც მოგვითხრობს მემატიანე, შეიპყრა „ქვეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართაო“. მართლაც, კლდეკარის ციხე აგებული არჩევანის ქედის ერთ-ერთ მაღალ წვერზე (იქ, სადაც ბუნებრივად კლდეში თითქოს კარი იყოს გამოჭრილი), თავისი სტრატეგიული მდგომარეობის გამო, ორბელიანთ გვარს საშუალებას აძლევდა ხანგრძლივი ბრძოლა ეწარმოებინათ ქართველ მეფეთა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისაკენ მიმართულ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

ძნელი ჩამოსათვლელია ქართლის და მათ შორის ქვემო ქართლის სასტიკი ისტორიული ბედის ყველა მოვლენა და ეპიზოდი, გავიხსენოთ მათგან მხოლოდ მთავარნი.

<sup>1</sup> ქვემო ქართლის ადგილებთანაა დაკავშირებული ქართველი ხალხის პატრიოტული გრძნობების გამომხატველი შესანიშნავი ხალხური ლექსი: „კიდევაც დაიხრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი შესჭამონ მტრისანი“-ო.

IV საუკუნის ბოლოდან ქართლი სპარსელების თარეშისა და ძალადობის ასპარეზად ხდება. ხალხი გვირუკად ებრძვის სპარსთა ბატონობას და VI საუკუნის მიწურულში სავსებით თავისუფლდება მათი უღლისაგან.

VII საუკუნის შუა წლებიდან, უმთავრესად კი VIII საუკუნის დასაწყისიდან, იწყება ქართლის არაბთა მიერ პერიოდული დალაშქვრა და აოხრება. განსაკუთრებით მძიმე უბედურება დაატყდა მას 736—38 წ. არაბთა სარდლის მურვან ყრუს შემოსევის დროს, რომელმაც ააოხრა ქვეყანა, დაანგრია ციხე-ქალაქები და მძიმე ხარკი დაადო ხალხს.

XI საუკუნეში, ეგრეთ წოდებულ „დიდი თურქობის“ დროს, რომელიც 1080 წელს დაიწყო, ქართლი ისევ დარბეული და აოხრებულ იქნა თურქ სელჯუკიანების მიერ. ამ ბრძოლებში დიდძალი ხალხი დაიხოცა, განადგურდა ქალაქები და სოფლები.



სურ. 1. ქვეშის ციხე შორიდან (ბოლნისის რაიონი)

XI—XII საუკუნეებში—საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის პერიოდში—ქართლი აღორძინების გზას დაადგა. განვითარდა სოფლის მეურნეობა, რომელიც ქვემო ქართლის ვაკეზე და მთის წინებზე მემინდვრობასთან ერთად, წარმოდგენილი იყო მებოსტნეობით, მებაღეობა-მევენახეობით და მაღალ ზონებში მეცხოველეობით; გაფართოვდა ვაჭრობა; გაიშალა ინტენსიური აღმშენებლობა. სწორედ ამ ხანას ეკუთვნის აქ შემონახული რიგი მონუმენტური მხატვრული ძეგლები.

1225 წელს ჯალალედინის მეთაურობით საქართველოს ხვარაზმელები შემოესივნენ, 1226 წელს აიღეს თბილისი და საშინლად ააწიოკეს. 1227 წელს ჯალალედინი კვლავ შემოესია ქართლს, ბოლნისთან მომხდარ ბრძოლაში მან გაიმარჯვა. ქართველმა მეციხოვნე ჯარმა თბილისი დასცალა და ცეცხლს მისცა, რომ იგი მტრის ჯარს არ დარჩენოდა.

მაგრამ, ისტორიის მთელ მანძილზე, არც ერთ მტერს არ მიუყენებია საქართველოსათვის, განსაკუთრებით კი ქართლ-კახეთისათვის, ისეთი ზიანი, როგორც მონღოლებმა მიაყენეს. ჯერ—„ოქროს ურდოს“ და ილხანების ბატონობამ, ხოლო მცირე შესვენების შემდეგ თემურლენგის მრავალგზის სისხლისმღვრელმა შემოსევებმა ქვეყანა განადგურა და ნანგრევებად აქცია.

თემურლენგის შემოსევათა შედეგად ქართლი დაქვეითდა მეურნეობრივად და კულტურულად, ხალხი გაიცილტა და მრავალი მკიდროდ დასახლებული ადგილი გაუქცატიელდა.

ქვემო ქართლში საუკუნეების მანძილზე მოსახლეობის შეთხელების დამადასტურებლად საკმარისია აღენიშნოთ, რომ მხოლოდ თეთრი წყაროს რაიონში 1940-50 წწ. აღმოჩენილ იქნა 200-მდე ნასოფლარი, რაც მტერთა შემოსევების შედეგად ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის გადაშენების პროცესის უტყუარი მაჩვენებელია.

მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლ-კახეთს ისევ საშინელი უბედურება დაატყდა თავს. ეხლა უკვე ყიზილბაშები შემოესივნენ საქართველოს. 1616 წელს შაჰ-აბასი კახეთს მოვიდა, არნახული სისასტიკით ააოხრა იგი და შემდეგ ქართლიც დაარბია.

ქართველობის ამოგდების მიზნით შაჰ-აბასმა საქართველოში თურქმან-ყიზილბაშ მომთაბარეთა ტომების ჩამოსახლებას მიჰყო ხელი. ამ პერიოდს ეკუთვნის ქვემო ქართლის რაიონებში მომთაბარე ტომთა ჩასახლება.

სახელოვანი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი, იძლევა რა ქვემო ქართლის რაიონების აღწერას, ამბობს, რომ შაჰ-აბასმა „მოიყვანა ელნი ბორჩალო და დახსა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალო“ [14, გვ. 34]. მართლაც, ცნობილია, რომ იმ ადგილებს, სადაც ეხლა მარნეულის რაიონია, უწინ ბორჩალო ერქვა და მისი სახელი მეფის რუსეთის პირობებში დაარქვეს ქვემო ქართლს, რომელიც ბორჩალოს მაზრაში შედიოდა.

შემდგომი თითქმის ერთსაუკუნოვანი პერიოდი (1632—1722 წწ.) ქართლისათვის მშვიდობიანობის პერიოდი. მას მოჰყვა ქვეყნის სამეურნეო-კულტურული ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება. ხალხი გულმოდგინედ შეუდგა აღდგენით სამუშაოებს. აღდგენილ იქნა დანგრეული ძეგლები; განაახლეს მოშლილ-დანგრეული არხები; გაუმჯობესდა გზებისა და ხიდების მდგომარეობა; გაიშალა მეურნეობრივი საქმიანობა; გავრცანებული ადგილები ნელ-ნელა ისევ დასახლებულ იქნა; გაცხოველდა ვაჭრობა და ხელოსნობა.

რას წარმოადგენდა მაშინდელი ქვემო ქართლი ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის იგივე ვახუშტი. აგვიწერს-რა მდინარე ბერდუჯს (ამჟამად დებედას), რომელიც ეხლანდელ მარნეულის რაიონს ჰკვეთს და მდ. ხრამს უერთდება, იგი წერს „კელად აღმოიღებენ რუთა და ირწყვიან ამიერ და იმიერ ელნი, სადაცა ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კანაფი უმეშაყოთ, ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა. ხოლო მტილოვანი ყოველნი და წალკოტთა ხეთანი [14, გვ. 34].

თითქმის ასეთივე დახასიათებას აძლევს იმ ადგილებს, რომელიც ალგეთის შესართავის ჩრდილოეთით, იაღლუჯამდე, მტკვრის პირას იმყოფება. ამგვარად, ეხლანდელი მარნეულის რაიონში ინტენსიური სარწყვივი მეურნეობა იყო განვითარებული და აქ შრომატევადი კულტურები-ბრინჯი, ბამბა, თამბაქო და ბოსტნეულ-ბაჩჩეული მოჰყავდათ.

აგვიწერს რა ქცია-ხრამის ხეობას და ხრამისადმი მიმდებარე ტერიტორიებს (ეხლა ბოლნისის რაიონი), ვახუშტი ახასიათებს მათ, როგორც ფრიად ნოყიერ ადგილებს ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვლითა; „სადაც ნაყოფიერებს სხვა ადგილთაგან მეტად ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვანი ხილი“ და „არს



ქციასა შინა თევზთა სიმრავლე ფრიად და გემოიანი, პირუტყვი უამრავნი“ [14, გვ. 45].

როდესაც ახასიათებს ქვემო ქართლის უფრო მაღალ ზონებს, მაგალითად, თრიალეთის ადგილებს, ის ამბობს: „თვინიერ აქლემისა, პირუტყვი მრავალნი. ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი არს აქა“ [14, გვ. 42].

ვახუშტი ძალიან კარგად ასურათებს ქვემო ქართლის ზონალობასთან დაკავშირებულ გეობოტანიკურ სხვადასხვაობას.

დმანისის ტერიტორიაზე წერს, რომ ის არის უვენახო, უხილო, ხოლო ჯავახეთის მთებზე უტყეო და ბალახოვანი; ასევე ახასიათებს იგი სამსარის ქედის რაიონებს.

ვახუშტი დაწვრილებით აგვიწერს ამ ადგილთა ჰავას, ფლორასა და ფაუნას, წყლებსა და ტბებს, გულმოდგინედ აღნიშნავს არსებულ ციხე-სიმაგრეებს, ეკლესიებსა და დასახლებულ ადგილებს.

იმდროინდელ ქვემო ქართლში, როგორც ჩანს, სამთამადნო საქმიანობაც წარმოებდა, რის შესახებაც მას მოყავს რიგი ცნობები.

XVIII საუკუნის ქვემო ქართლის სოფლების, მოსახლეობისა და მისი სოციალური სტრუქტურის შესახებ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები მოიპოვება, ვინაიდან XVIII ს. პირველ მეოთხედში მეფის დავალებით ვახუშტი ბატონი-შვილს, მდივანი გივი თუმანიშვილის მონაწილეობით, აუწერია ე. წ. „მეწინავე სადროშოს“ რაიონი, ანუ ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თანახმად არსებული ცნობებისა [16] იმდროინდელი ქვემო ქართლის სოფელთა საერთო რაოდენობა (აყრილ სოფელთა და ნასოფლართა ჩათვლით) 911 უდრიდა, მათში ცხოვრობდა სულ 13269 კომლი, აქედან ყმები 12618 კომლს შეადგენდა. ქვემო ქართლის მოსახლეობის ასეთი სიმცირე XVIII საუკუნის დამლევის მისი ისტორიის უკულმართი ბედის შედეგია. დამახასიათებელია, რომ მაშინდელი სოფლები მოსახლეობის რაოდენობით ძალიან პატარა იყო, საშუალოდ თითო სოფელზე მცხოვრებთა 11 კომლი მოდიოდა. სოფელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა 1-2 კომლი, ან 3-5 კომლისაგან შედგებოდა.

XVIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან დაწყებული ქართლ-კახეთი ისევ მტერთა თარეშისა და დარბევის ასპარეზად ხდება. ჯერ ოსმალთა მძიმე უღელმთა (1723—1735 წწ.) შემდეგ ყიზილბაშთა ბატონობამ და, რაც მთავარია, ლეკთა დაუსრულებელმა თარეშმა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს უდიდესი ზიანი მიაყენა.

მტრებზე არანაკლებ ზიანს მშრომელ გლეხკაცობას საკუთარ ფეოდალთა თევგასულობა, ურთიერთბრძოლა და მძიმე ბატონყმური გადასახადები და ბეგარა აყენებდა. ყოველივე ამის შედეგად XVIII საუკუნის მანძილზე ქართლ-კახეთში მეურნეობა დაეცა, საშინლად შემცირდა მოსახლეობა; ზოგიერთი მხარე, მათ შორის ქვემო ქართლიც, მთლად დაიცალა მკვიდრ მცხოვრებთაგან.

მეფე ერეკლე II, რომ როგორმე შეეცნო მოსახლეობით პატარა, ნაოხარი ადგილები, იძულებული იყო მოეწვია მეზობელი ერების წარმომადგენლები, მაგალითად მის მიერ ბოლნისის რაიონში ჩასახლებულ იქნა ყარაბაღიდან წამოსული სომხები.

რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) საქართველოს ისტორიის ახალი ეტაპი იწყება. ცნობილია ის დიდი პროგრესული როლი, რომელიც ითამაშა ამ შეერთებამ ქართველი ხალხის ცხოვრებაში.



საუკუნეების განმავლობაში უღმობელ აგრესიულ ძალთა მიერ გაპარტახებული, დაცარიელებული, ქვემო ქართლის ფეხზე წამოდგომის უპირველეს ამოცანას, იქ მოსახლეობის აღდგენის საკითხი წარმოადგენდა.

რუსეთის მეფის მთავრობა, რომელიც არ იყო დიანტერესებული კომპაქტური ეროვნული მოსახლეობის შექმნით და ამიერკავკასიის კოლონიზაციის პოლიტიკას აწარმოებდა, ფართოდ გამოიყენა ქვემო ქართლის ტერიტორია სხვადასხვა ეროვნებათა ჩასახლებლად.

მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე აქ რიგრიგობით ჩასახლებულ იქნენ ბერძნები, სომხები, რუსები (დუხობორები, მოლოკანები) და გერმანელები.

ქვემო ქართლში, აღნიშნულ ახლად ჩასახლებულ ეროვნებათა გარდა, ცხოვრობდა უფრო ადრე დამკვიდრებული აზერბაიჯანელი მოსახლეობა და აქა-იქ ვადარჩენილი ქართველობა; ყველა ამის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არც ერთ სხვა რაიონში არა გვაქვს ეთნიური შემადგენლობის ისეთი მრავალფეროვნება, როგორც ქვემო ქართლში.

XIX საუკუნის განმავლობაში ქვემო ქართლში, ისე როგორც მთელ საქართველოში, მიმდინარეობდა ფეოდალურ საწარმოო ურთიერთობათა შეცვლა, კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობით და მისთვის დამახასიათებელი სასაქონლო მეურნეობის განვითარებით. გასული საუკუნის 50-იან წლებში, აქ ჩნდება მრავალი კერძო-კაპიტალისტური ხასიათის სამრეწველო საწარმო. სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით, ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, იქმნება საკმაოდ მნიშვნელოვანი სასაქონლო დარგები, რომელთა მეშვეობით ქვემო ქართლი ებმება რაიონთაშორისო სავაჭრო და ფულად ურთიერთობაში.

კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიასა და საქართველოში სობს მის ცალკეულ ნაწილთა ფეოდალურ კარჩაკეტილობას, ქმნის ეკონომიური ცხოვრების შემდგომი განვითარების პირობებს; ამასთან მეფის მთავრობა, კოლონიალური პოლიტიკის გატარებით, ცდილობს განაპირა მხარეების ეკონომიკა შეუგუოს მეტროპოლიის ინტერესებს.

„ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს—ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს,—ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“ [1, გვ. 705].

კაპიტალიზმის დამკვიდრებას ქვემო ქართლში თან სდევდა ქართველ თავად-მემამულეთა სრული ამოვარდნა ამ რაიონებიდან. დიდგვაროვანი ფეოდალები—ორბელიანები, ბარათაშვილები და სხვები, რომელთა საკუთრებაშიაც იმყოფებოდა ქვემო ქართლის რაიონების მიწები, ფუფუნებისადმი მისწრაფებით გატაცებულნი, ნელ-ნელა ჰყიდდნენ თავის მამაპაპულ მამულებს ვაჭრებზე და ჩამოსულ კოლონისტებზე.

მნიშვნელოვანი ნაწილი ქვემო ქართლის მიწებისა ხაზინამ დაისაკუთრა.

მფლობელობის მხრივ მაშინდელი ქვემო ქართლის მიწის ფონდი (ბორჩალოს მაზრა) შემდგენიარად იყო განაწილებული: 564,5 ათ. დესტინიდან 230,9 ათ. დეს. ხაზინას ეკუთვნოდა, დანარჩენი 333,6 ათ. დეს.—თავადებს, ეკლესიასა და დანარჩენ კერძო მფლობელებს, მათ შორის მცირე ნაწილი გლეხობასაც ეკუთვნოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მეფის რუსეთის დროინდელი ქვემო ქართლის ტერიტორია არ უდრის საესეებით დღევანდელი გავებით აღებულ ტერიტორიას. მისი ძირითადი ნაწილი შედიოდა ბორჩალოს მაზრაში, რომელიც 1880 წ. გა-

მოყვო თბილისის მხარას ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად. ბორჩალოს მაზრაში მაშინ შედიოდა ლორის ვაკე ალავერდით და ვორონცოვკით (რომელნიც ამჟამად სომხეთში იმყოფება). სამაგიეროდ ბორჩალოს მაზრაში არ შედიოდა ეხლანდელი გარდაბნის რაიონი და თეთრი წყაროს რაიონის უმეტესი ნაწილი.

მაზრაში ითვლებოდა სულ 256 სოფელი, აქედან 98 სოფელი სახაზინო იყო; ქალაქი მას სრულიად არ ჰქონდა და ადმინისტრატიულ ცენტრად ითვლებოდა სოფ. დ. შულავერი.

სახაზინო სოფლებში მიწები სათემო კუთვნილებაში იმყოფებოდა; მათი განაწილება ხდებოდა ეგრეთწოდებულ „ამფა-ჩარქის“ სისტემით.

გლეხკაცობის უმეტესობა სარგებლობდა მემამულეთაგან იჯარით აღებული მიწებით—სახნავ-და სათიბ-საძოვრებით. მოიჯარადრე გლეხები ორმაგ ექსპლოატაციას განიცდიდნენ, ვინაიდან თავადები და მემამულეები მოიჯარადრეებს მიწებს უშუალოდ კი არ აძლევდნენ, არამედ შუამავლების საშუალებით. ეს შუამავლები კისრულობდნენ—რა საიჯარო თანხის დროულად გადახდას თავის მხრივ ბევრადნენ გლეხებს.

„კულაკობა მათ შორის ძალიან არის განვითარებული და იშვიათად თუ რომელიმე თათარს არ აქვს ვალი, რომელზედაც უნდა იხადოს ფულით ძლიერ მალალი პროცენტები, პირგასამტებლო, ჯარიმები და სხვა, ან კიდევ ნატურით ვასცეს თავის პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი“ [25].

ქართველი გლეხკაცობა წარმოდგენილი იყო უმთავრესად დროებით-ვალდებული გლეხებით, რომელნიც უმიწობის გამო ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

„ქართველები თითქმის მთლიანად მიწის მუშებია, რომელნიც საარსებო საშუალებას პოულობენ მძიმე, დაულალავი შრომით. არავითარი დამატებითი შემოსავალი მათ არა აქვთ. ქართველები შრომისმოყვარე არიან, მაგრამ ძლიერ ღარიბნი“ [25].

ასეთი იყო ქვემო ქართლის მშრომელი გლეხობის სავალალო მდგომარეობა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, მაშინდელ ობიექტურ მკვლევართა დახასიათების თანახმად.

მიწის სიმცირე, სახაზინო მიწების არათანაბარი განაწილება ცალკე სასოფლო თემებს შორის და საერთოდ ფეოდალურ-მამულური ექსპლოატაცია მშრომელთა წინააღმდეგობასა და აღშფოთებას იწვევდა, რაც ხშირად მძაფრ ფორმებს იღებდა.

სოფლის მეურნეობა, ამ მხარეში საკმაოდ განვითარებული დარგი იყო, დაბალი ზონები, განსაკუთრებით, მარცვლეული მეურნეობით გამოიყოფოდა, მალალი ზონები—მეცხოველეობით.

ხორბლის თესვა განვითარებული იყო, უმთავრესად, ქვემო ქართლის ვაკეზე (ბორჩალოს დაბლობი) და მთის წინებზე, აგრეთვე ნაწილობრივ პლატოებზე. ბორჩალოს პური, რომელიც მაშინ ცნობილი იყო „თარაქიამის“ სახელწოდებით, თბილისის ბაზარზე ბევრად უფრო ადრე შემოდისოდა, ვიდრე სხვა რაიონების პური და მალალი ხარისხის გამო უფრო მეტად ფასობდა.

მალლობ ადგილებზე თესავდნენ უმთავრესად გავაფხულის პურს, ჭვავსა და ქერს; თესავდნენ აგრეთვე, შვრიას, ასლს, ფეტვსა და უგრეხელს. ბორჩალოს დაბლობზე მოჰყავდათ ბრინჯი; სიმინდი ნაკლებად იყო გავრცელებული, მას იყენებდნენ ფრინველის გამოსაკვებად.

ტექნიკურ კულტურათა შორის მნიშვნელოვან კულტურას თამბაქო წარმოადგენდა, რომელიც ბორჩალოს მაზრის დაბლობ ზონაში იყო გავრცელებული. მეთამბაქოეთა ამ რაიონში ძველ დროთაგან ყოფილა განვითარებული.

1886 წ. თბილისის გუბერნიაში არსებული 651 დესეტინა თამბაქოს ფართობიდან 50 დესეტინამდე ბორჩალოს მაზრაზე მოდიოდა; აღებულ იქნა 1229 ფუთი თამბაქო, ძირითადად „სამსუნი“ და „მადაკი“. აღსანიშნავია, რომ ბორჩალოს თამბაქო ხარისხით ბევრად ჩამოუვარდებოდა სიღნაღის თამბაქოს და 2-3 ჯერ უფრო ნაკლები ფასი ჰქონდა (3—4 მან. ფუთი, სიღნაღისა კი 6—12 მან. ფუთი).

ამ პერიოდში ცნობილია ყარაიას ველზე და შემდეგ კი ბორჩალოს მაზრაშიაც ბამბის კულტურის დანერგვის ცდები. ნიკოლსკის მანუფაქტურის მიერ 1888 წ. ყარაიაში დათესილ იქნა 50 დეს. ბამბა. შემდეგ ამ კულტურამ ნელ-ნელა მოკიდა ფეხი და საკმაოდ დიდი ფართობები დაიკავა. 1910 წ. ბორჩალოს მაზრაში ვინმე არამიანცის მამულში უკვე 1000 დეს. ბამბა ეთესა. ბამბის ნათესების საერთო ფართობი ქვემო ქართლში ყარაიას ჩათვლით XX საუკუნის დამდეგს რამდენიმე ათას ჰექტარს აღწევდა.

ბორჩალოს მაზრაში მისდევდნენ მებოსტნეობასაც, მაგრამ ეს დარგი საკმაოდ არ იყო განვითარებული. რაც შეეხება კარტოფილს, ის XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ახლად დანერგილ კულტურას წარმოადგენდა; მისი ამ მხარეში გავრცელება დაიწყო რუსული მოსახლეობის გაჩენის შემდეგ. კარტოფილის მეურნეობა სასაქონლო დარგს წარმოადგენდა და მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხების ფულადი შემოსავლისათვის. თესავდნენ უმთავრესად კარტოფილის 3 ჯიშს—მანგლისის, გერგერისა და ინგლისურ ლურჯს. საშუალო მოსავალი ერთ დესეტინაზე მერყეობდა 650—1050 ფუთამდე. კარტოფილი იყიდებოდა უმთავრესად თბილისში.

ბორჩალოს მაზრისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობას, რომელიც განვითარებული იყო ძირითადად ეხლანდელ მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში. ვენახის გავრცელების მთავარ ადგილებს წარმოადგენდა სოფლები შულავერი (მაღმიანი) ხაჩინი და ეკატერინენფელდი (ბოლნისი). 1897 წ. ვენახის საერთო ფართობი ბორჩალოს მაზრაში დაახლოებით 2000 დესეტინამდე აღწევდა.

მევენახეობა-მეღვინეობა ძალიან მომგებიანი საქმე იყო. საშუალოდ ერთი დესეტინიდან 400-500 ვედრო ღვინოს იღებდნენ.

ქვემო ქართლის დაბლობ ზონაში, ისე როგორც ამჟამად, სოფლის მეურნეობის წინაშე მწყვედდ იდგა მორწყვის საკითხი. ყარაიას ველის მოსარწყავად 1867 წ. დამთავრდა საირიგაციო-საინჟინრო სისტემის მშენებლობა (რომელსაც მარისის სისტემა უწოდეს); ეს სარწყავი სისტემა მტკვრის წყალს აწვდიდა თითქმის 16 ათას დესეტინას, რამაც გამოაცოცხლა სიცხით გადარუჯული ყარაიას ველები.

ბორჩალოს დაბლობის მორწყვისათვის გამოყენებული იყო ხრამისა და ალგეთის წყალი; რწყვა წარმოებდა პრიმიტიული სარწყავი არხებით.

ბორჩალოს მაზრის სოფლის მეურნეობის დარგთა შორის წამყვანი როლი მეცხოველეობას ეკუთვნოდა. მეცხოველეობის განვითარებას ხელს უწყობდა როგორც ბუნებრივი პირობები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ჩვევები. ამ მხარის ტერიტორიაზე მოთავსებული იყო საქართველოს საზაფხულო საოთბ-საძოვრების საუკეთესო ფონდი—მაღალმთიან ზონებში (ვაკეებზე და მთის

ფერდობებზე) და, ნაწილობრივ, საზამთრო საძოვრებისაც—დაბლობ ადგილებში.

ბორჩალოს მაზრის საძოვრებით სარგებლობდა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ თბილისის, სიღნაღისა და სხვა მაზრების მესაქონლეები. ზაფხულობით აქ 1—1,5 მილ. ცხვარი გროვდებოდა.

თანახმად სტატისტიკური მონაცემებისა 1885 წ. ბორჩალოს მაზრაში ირიცხებოდა: მსხვილი რქიანი პირუტყვი 134 ათ., წვრილფეხა პირუტყვი—413,5 ათ., ცხენი—12,7 ათ., ღორი—14,5 ათ., ვირი და ჯირი—2,9 ათ.

ბორჩალოს ადგილობრივ მოსახლეობაში მეცხოველეობა ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა. აზერბაიჯანელი მოსახლეობა ბავშვობიდან ეჩვეოდა მომთაბარე ცხოვრებას, პირუტყვის გადარეკვა-გადმორეკვის პირობებში. დაბლობ ზონაში მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში ბუნებრივ საძოვრებზე იმყოფებოდა, ზამთრობით—„ყიშლალებში“ (საზამთრო საძოვრები) და ზაფხულობით კი მთებში,— „ეილალებში“ (საზაფხულო საძოვრები). მაღალ ზონებში პირუტყვი ზაფხულობით საზაფხულო საძოვრებზე იმყოფებოდა, ზამთრობით კი ბავაზე და ადგილობრივ თივითა და სხვა უხეში საკვებით იკვებებოდა.

დადგებოდა თუ არა გაზაფხული, დაახლოებით აპრილის ბოლო რიცხვებში იწყებოდა პირუტყვის გადარეკვა საზაფხულო საძოვრებზე. საქონლის გადარეკვა წარმოებდა დაწესებული ტრასით და გადარეკვის ეტაპები გარკვეულ წესს ექვემდებარებოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მეცხვარეთა შორის გამოიმუშავებულ იქნა წესები ბუნებრივი საკვები ფონდის გამოყენებისა, რომელიც უზრუნველყოფდა მისი პროდუქტიულობის შენარჩუნებას. მაგალითად, ცნობილია, რომ კახეთში მეცხვარეთა შორის არსებული წესის თანახმად 1 ოქტომბრამდე არც ერთ მეცხვარეს არ ჰქონდა უფლება შეეყვანა შირაქში თავისი პირუტყვი.

ცხვრის წველის პერიოდში ყარაიას ზამთრის საძოვრებზე თბილისიდან ჩამოდდიოდნენ წვრილი ჩარჩ-ვაჭრების ჯგუფები, რომელნიც ყიდულობდნენ რძეს და აქვე ამზადებდნენ ყველს თბილისში გასაზიდად.

საერთოდ ბორჩალოს მაზრაში ცხვრის ყველი დიდი რაოდენობით მზადდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ მის საკმაო ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობა მოიხმარდა, მაინც XIX ს. ბოლო წლებში ყოველწლიურად თბილისში გაჰქონდათ 10 ათას ფუთამდე.

დიდი რაოდენობით მზადდებოდა ცხვრის მატყლიც. ნახევრად თეთრი „დონმა“ და „ბორჩალური“. ნაწილი დამზადებული მატყლისა ადგილობრივ მოიხმარებოდა: ხალიჩების, ნოხებისა და ტლანქი შალის ქსოვილების დასამზადებლად; დაახლოებით 90 ათ. ფუთამდე კი თბილისის ბაზარზე გაჰქონდათ [26]. ამ მატყლს შეისყიდოდნენ თბილისის ვაჭრები და გაჰქონდათ იგი საზღვარგარეთ. ბორჩალოს მაზრა ამარაგებდა თბილისის აგრეთვე ხორცით, აქედან თბილისის ბაზარზე ყოველწლიურად დაახლოებით 15 ათ. თავი მსხვილფეხა საქონელი და 15 ათ. თავი ღორი გაჰქონდათ.

გავრცელებული იყო ძირითადად ადგილობრივი ჯიშის ძროხა, რომელსაც ძალიან მცირე პროდუქტიულობა ჰქონდა, სამაგიეროდ მას გამძლეობა და საკმლისადმი ნაკლები მოთხოვნილება ახასიათებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ბორჩალოს მაზრაში მსხვილი რქიანი პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესება, ადგილობრივი ჯიშის შვიცის ჯიშთან შეჯარების საშუალებით. ამ საქმეში ერთგვარი როლი ითამაშა ვინმე ფონ-კუჩენბახმა; მან მთავრობის დახმარებით სოფ. მამუთლოში (დმანისის რ-ნი) მოაწყო ძროხების ფერმა, რომლისთვისაც გამოიწერა შვეიცარიიდან შვიცის ჯიშის ძროხები. სარძეო მესაქონლეობის განვითარებამ და სუბალპური საძოვრების პირობებში მიღებული რძის სპეციფიურმა თვისებებმა გააპირობეს ბორჩალოს მაზრაში ახალი მნიშვნელოვანი დარგის შექმნა—შვეიცარული ყველის წარმოების სახით.

პირველი საწარმო, შვეიცარული წესით ყველის დასამზადებლად, დაარსებულ იქნა 1862 წ.—კოლონია ალექსანდერსპილფსში (ეხლანდელი მოლოტოვო).

1863 წ. სოფ. მამუთლოსთან ბარონ ფონ-კუჩენბახმა დააარსა შვეიცარული ყველის სახარში მეორე ქარხანა. საშუალოდ წლიურად კუჩენბახის ქარხანა უშვებდა 1000 ფუთ ყველს, ძირითადად შვეიცარულ და მცირე რაოდენობით—პოლანდიურსა და ლიმბურგულს. ამის შემდეგ ორგანიზებულ იქნა შვეიცარული ყველის კიდევ რიგი საწარმო: ფ. ამეტერის—სოფ. ყარაბულახთან, ქ. ნიდევერის—სოფ. გაღმა საქარისთან, კეზელის სოფ. ბუსუკალასთან, დასიევის სოფ. ვორონცოვკასთან (ამჟამად კალინინო).

ყველა აღნიშნული ქარხნის წლიური მწარმოებლურობა უდრიდა 6200 ფუთ შვეიცარულ ყველსა და 635 ფუთ კარაქს.

ყველის ქარხნის გარდა კუჩენბახმა თავის მამულში სოფ. საფარლოსთან მოაწყო შუშის ქარხანა და სახერხი ქარხანა, რომელნიც აგრეთვე კარგ შემოსავალს აძლევდნენ.

ქვემო ქართლის სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვან დარგს სამთომოპოვებითი და მეტალურგიული დარგი წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ 1736 წელს მეფე ერეკლე II-მ გიუმშიზანიდან 2000<sup>4</sup> ბერძენი ჩაასახლა ქვემო ქართლში სამთამადნო საქმის განსავითარებლად.

არსებული ცნობებით ახტალისა და დამბლუთის მადანსადნობი წარმოებები ექსპლოატაციის პირველ წლებში იძლეოდნენ 40-80 ფუთ ვერცხლს და 5-15 ათას ფუთ სპილენძს [31, გვ. 171]; ახტალაში აღნობდნენ აგრეთვე 200 ფუთ ტყვიას ყოველთვიურად [31, გვ. 174].

ომარ-ხანის (1785 წ.) და ალა-მაჰმად-ხანის (1795 წ.) შემოსევების შემდეგ ასეთი სიძნელით შექმნილი საწარმოები, დანგრეულ-გაოხრებულ იქნა, ხოლო ბერძენი მოსახლეობა ამოწყვეტილი და ნაწილობრივ ტყვედ წაყვანილი.

ერეკლეს შვილმა გიორგი XIII-მ ველარ შესძლო ბერძენ მალაროელ-მეტალურგთა შეკრება, მუშაობის აღდგენა და ნახსენები საწარმოები გადასცა ივართი (12 ათ. მან. ყოველწლიურად) ბექტაბეგოვსა და ქართველიშვილს, რომელთა ხელშიც ეს საქმე 1803 წლამდე იმყოფებოდა.

XIX საუკუნეში ვერცხლისა და ოქროს მოპოვება შეწყდა, ხოლო სპილენძის მოპოვება და დნობა საკმაოდ გაფართოვდა და მხოლოდ 1872—1886 წწ. განმავლობაში ალავერდის ქარხანაში გამოდნობილ იქნა 45,2 ათ. ფუთი სპილენძი.

მეორე სამთო-მეტალურგიული წარმოება ბოლნისის ახლო მდებარე ჩათახის რკინის საბადოს გამოყენების საფუძველზე შეიქმნა.

ამ საბადოს ექსპლოატაცია უძველესი დროიდან წარმოებდა. 1866 წ. ერნესტ ლიბმა განაახლა რკინის მადნის მოპოვება და სოფ. ჩათახთან დააარსა

თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა. ეს საწარმო მისი სიკვდილის შემდეგ გადაეცა ბერნულის და ვიტეს. ქარხანაში მოწყობილი იყო ორი მცირე წარმადობის ბრძმელი, რომელიც დღე-ღამეში 400 ფუთამდე თუჯს იძლეოდა. თუჯიდან აწარმოებდნენ სხვადასხვა ნაკეთობათა ჩამოსხმას. 1869 წ. ჩამოსხმულ იქნა 21 ათ. ფუთი ნაკეთობა, შემდეგ წლებში წარმოების მოცულობა კლებულობს. 1875 წ. ჩათახის ქარხანამ საესებით შეწყვიტა მუშაობა მისი არარენტაბელობის გამო.

ბორჩალოს მაზრაში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის აღნიშნული დარგების გარდა განვითარებული იყო ზოგიერთი სახის კუსტარული წარმოება. ადგილობრივი მოსახლეობა ამზადებდა ტყავის სარცხილავებს, შალეულის ქსოვილებს, ფარდაგებსა და სხვა ნაკეთობებს.

მევენახეობის რაიონებში ხდიდნენ არაყს. მაგალითად 1884 წ. მევენახეთა კუთვნილებაში ირიცხებოდა 16 ყურძნის არაყის სახდელი წარმოება, აქედან 8 სამრეწველო ხასიათისა იყო.

სოფლებში პრიმიტიულ ქურბებში წვავდნენ საკუთარი მოთხოვნილებისათვის აგურსა და კრამიტს.

მაზრაში მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოქმედებდა 308 წისქვილი.

მენშევიკების ბატონობის დროს ქვემო ქართლი მეურნეობრივად დეგრადაციის გზას დაადგა. მენშევიკური მთავრობის ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგად ეს მხარე ხალხთა შეტაკებისა და სისხლის ღვრის კერად გადაიქცა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვემო ქართლის განვითარების ახალი ისტორიული ხანა დგება.

ისე როგორც მთელ საბჭოთა საქართველოში, ქვემო ქართლშიც სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა პირობები ქვეყნის საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდა-განვითარებისათვის, მოსახლეობის კულტურული და მატერიალური დონის მუდმივი ზრდისათვის.

კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის გატარებამ უზრუნველყო ყველა ეროვნებისათვის თანასწორუფლებიანობა, მშობლიურ ენაზე სწავლის მიღება, საკუთარი კულტურის განვითარება.

უდიდესი ცვლილებები მოხდა ქვემო ქართლის მეურნეობის ყველა დარგში.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად, რაც გატარებულ იქნა საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე, ბევრად გაიზარდა ამ მხარეში კულტურათა ფართობები, მოსავლიანობა და როგორც საერთო, ისე სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია.

ქვემო ქართლის რაიონებს, სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად, შეექმნათ შესაძლებლობა რიგი სასურსათო საქონლითა და პროდუქტებით საკმაო რაოდენობით მოამარაგონ ჩვენი სამრეწველო ცენტრები, ძირითადად, ქ. თბილისი და რუსთავი.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქვემო ქართლში შეიქმნა მძლავრი მრეწველობა. აშენდა ხრამის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც აწვდის ელექტროენერგიას საქართველოს ენერგოსისტემას. აქ აშენდა და ამუშავდა ჩვენი რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის უდიდესი ობიექტი—სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა (რუსთავში).

ქვემო ქართლის რაიონები დაისერა ჰუდრონირებული და გაუმჯობესებული გზების ქსელით.

უდიდესი ძვრები მოხდა მოსახლეობის კულტურულ დონეზე. ლიკვიდირებული წერა-კითხვის უცოდინარობა, შექმნილია ასობით პირველდაწყებითი და საშუალო სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები და კულტურის სახლები.

საბჭოთა ხელისუფლებამ, სოციალისტურმა წყობილებამ უზრუნველყო ქვემო ქართლის რაიონების განუხრელი მეურნეობრივი და კულტურული აღმავლობა.

### III. მოსახლეობა

ქვემო ქართლის მოსახლეობის დამახასიათებელი ნიშანია, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული, მისი მრავალერაიანობა, რაც ამ მხარის ისტორიული განვითარებით არის გაპირობებული.

აქ წარსულ საუკუნეთა მანძილზე მკვიდრი მოსახლეობის ამოვარდნა-გაჩანაგების პროცესს თან სდევდა ახალ-ახალი ეროვნულ ფენათა გაჩენა-დამკვიდრება.

ქართველი აბორიგენული მოსახლეობა ქვემო ქართლში ძალიან მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. მოსახლეობის სტრუქტურად ახალ ფენას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის მცირემიწიან ადგილებიდან აქ დასახლებული სოფლები მარნეულში, ზოლნისში, ასურეთში, რატევანში, თამარისში, გამარჯვებაში და სხვ.

რაოდენობის მხრივ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს აზერბაიჯანელები შეადგენენ, შემდეგ სომხები, ბერძნები, ქართველები, რუსები.

მიუხედავად ქვემო ქართლის ეროვნული შემადგენლობის ასეთი მრავალფეროვნებისა მისი მოსახლეობა, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობა, მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის გრძნობით არის გამსჭვალული. კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ქვემო ქართლში შეიქმნა მყარი პირობები სხვადასხვა ეროვნებათა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის. ეხლა აქ მცხოვრები ქართველი, რუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი თუ ბერძენი ერთიან მჭურს ოჯახში გაერთიანებული ხელიხელჩაკიდებულნი შრომობენ თავისი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ყოველ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციას მოსახლეობის მოძრაობის თავისებური კანონზომიერებანი ახასიათებს.

ქვემო ქართლის მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბევრად უფრო ნელი ტემპით იზრდებოდა და მისი კულტურული და მატერიალური მდგომარეობა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

რიგი წლების მანძილზე ქვემო ქართლის მოსახლეობის დინამიკა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება (1939 წ. შესადარისი ტერიტორიის მიხედვით):

მცხოვრებთა რიცხვი ათას სულობით.


	1886 წ.	1917 წ.	1926 წ.	1939 წ.
ქვემო ქართლი	95, 5	152, 5	169, 5	219, 5

თუ 1886 წლიდან 1917 წლამდე ქვემო ქართლის მოსახლეობის ზრდის საშუალო-წლიური ტემპი 1,91%-ს უდრიდა, 1926—1939 წლების განმავლობაში ის 2,27%-ს შეადგენდა.

რევოლუციამდელ ქვემო ქართლს არც ერთი ქალაქი ან ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი არა ჰქონდა. 1939 წელს ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტების მოსახლეობა საერთო მოსახლეობის უკვე 8%-ს შეადგენდა; ქ. რუს-



ქვემო ქართლის მოსახლეობის სიმჭიდროვე რაიონების მიხედვით  
( 1939 წელი )



თავის გაჩენამ ქალაქის მოსახლეობის ზვედრითი წონა 24%-მდე ასწია; მიუხედავად ამისა ქალაქის მოსახლეობის მხრივ ქვემო ქართლი ჩამორჩება რესპუბლიკურ საშუალო მაჩვენებლებს (30, 1%, 1939 წ.).

ქვემო ქართლი ჩამორჩება საქართველოს მთლიან მაჩვენებლებს აგრეთვე მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მხრივაც. 1939 წ. საშუალოდ 1 კმ<sup>2</sup> ტერიტორიაზე მოდიოდა 38,5 მცხოვრები, ნაცვლად 51 მცხოვრებისა საშუალოდ რესპუბლიკაში.

ქვემო ქართლის რაიონში მოსახლეობის სიმჭიდროვე მოცემულია კარტოგრაფიაში № 1.

უკანასკნელ წლებში მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით ბევრად გაიზარდა დასახლებულ რაიონთა საშუალო სიმჭიდროვე, განსაკუთრებით გარდაბანისა და მარნეულის რაიონებში.

საერთოდ ქ. რუსთავის ჩათვლით გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებზე მოდის ამჟამად ქვემო ქართლის მოსახლეობის თითქმის 60%, მაშინ როდესაც ტერიტორიის მხრივ მათ უკავიათ მხოლოდ 40%. ესე იგი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მოთავსებულია დაბლობ ზონებში.

ქვემო ქართლში სულ 346 დასახლებული პუნქტია, აქედან 1 ქალაქი (რუსთავი) და 5 ქალაქის ტიპის დაბა (შაუმიანი, ბოლნისი, თეთრი წყარო, მანგლისი, მოლოტოვო). რაიონების მიხედვით ყველაზე მეტი დასახლებული პუნქტი თეთრი წყაროს რაიონშია, სადაც 100 სოფელზე მეტია, შემდეგ მოდის მარნეულის, დმანისის ბოლნისის, წალკისა და გარდაბნის რაიონი.

ქვემო ქართლში თავისებურია მოსახლეობის განლაგება ჰიფსომეტრიული ზონების მიხედვით, რასაც შემდეგი მონაცემები გვიჩვენებს:

სიმაღლე ზღვის დონიდან მეტრებით	საერთო მოსახლეობის რაოდენობა მოდის ზონაზე პროცენტობით
200—600	49,5
600—1000	13,5
1000—1400	16,5
1400—ზე მეტი	20,5

ამრიგად, მოსახლეობის ტერიტორიის სიმაღლესთან შეფარდებით კლებადობა, რაც დამახასიათებელია საერთოდ საქართველოში მცხოვრებთა განლაგებისათვის, ამ შემთხვევაში ერთგვარად დარღვეულია. თუ რესპუბლიკაში საშუალოდ იმ ზონებში, რომელნიც 1000 მ სიმაღლეს აღწევს, მოთავსებულია მოსახლეობის დაახლოებით 85%, ხოლო 1000 მეტრზე უფრო მაღლა მხოლოდ 15% ქვემო ქართლში 1000 მეტრამდე ცხოვრობს მოსახლეობის—63%, ხოლო უფრო მაღლა 37%; ამასთან აღსანიშნავია, რომ 20,5% მოსახლეობისა—1400 მეტრზე უფრო მაღლა ცხოვრობს.


მოსახლეობის განლაგების ეს თავისებურება ძირითადად უნდა ავხსნათ იმ გარემოებით, რომ დმანისისა და წალკის რაიონები, რომელნიც ჭავჭავთის ზეგანის აღმოსავლეთ განაპირა პერიფერიას წარმოადგენს, მოთავსებულია 1200—1500 მეტრზე და უფრო მაღლა, ამასთან აქ მოსახლეობის განლაგებას ხელს უწყობს ამ რაიონების რიგი ბუნებრივი პირობები.

აღნიშნულ რაიონებში არსებული პლატოები და მაღალმთიანი ვაკეები ხელსაყრელ ნიადაგობრივ პირობებთან ერთად იძლევა საშუალებას მოსახლეობის მეურნეობრივი საქმიანობის გაშლისათვის. ასეთივე მნიშვნელობა აქვს აქაურ საძოვარ-საბალახოებს, რაც მეცხოველეობის განვითარებას უწყობს ხელს. ამ-

რიგად, ქვემო ქართლში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი განლაგებულია ორ-მოპირდაპირე ჰიფსომეტრიულ ზონაში—600 მეტრამდე და 1400 მეტრს მალლა.

ქვემო ქართლში გვხვდება როგორც დიდი, ისე პატარა სოფლები. დასახლებული პუნქტების საშუალო სიდიდით გამოიყოფა გარდაბნისა და წალკის რაიონები. ყველაზე მცირე დასახლებული პუნქტები თეთრი წყაროს რაიონზე მოდის.

ქვემო ქართლში გავრცელებულია სახლების რამდენიმე ტიპი, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიური ჯგუფების ტრადიციებთან. სახლის პირველი ტიპი. ეს არის ძველი ქართველი გლეხის სახლი, ჩვეულებრივად ქვით ნაშენი, კრამიტით დახურული, ერთსართულიანი, იშვიათად ორსართულიანი. ასეთი სახლები გავრცელებულია ქართულ სოფლებში (თეთრი წყაროს, დმანისისა და ნაწილობრივ ბოლნისის რ-ში) და აგრეთვე უფრო ადრე დასახლებულ სომხურ სოფლებშიაც.



სურ. 2. ახლად ჩასახლებულ კოლმეურნეთა სტანდარტული ტიპის საცხოვრებელი სახლი გარდაბანში

სახლების მეორე ტიპი წარმოადგენს აღმოსავლურ, ირანულ-თურქულ წარმოშობის შენობას. სახლი აგებულია ძირითადად ალიზისაგან. სახლს აქვს თიხისავე ბრტყელბანიანი სახურავი. ასეთი სახლები გავრცელებულია გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში. დაახლოებით ასეთივე ტიპის სახლები არის წალკისა და დმანისის რაიონში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სახლები რიყის ქვისაგან არის ნაშენები, ხშირად ნახევრად მიწაში ჩადგმული. ამ ხასიათის შენობები თურქეთიდან ჩამოსახლებულმა ბერძენმა მოსახლეობამ შემოიტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგი წლების განმავლობაში ქვემო ქართლის სოფლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მოსახლეობის, როგორც აქ იტყვიან, „მიწიდან ამოსაყვანად“. გაშლილია აგურისა და ქვის ახალი სახლები.

მშენებლობა, რის შედეგადაც მიწური სახლები ნელ-ნელა ლიკვიდირებული იქნება.

სახლების მეოთხე ტიპი გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლებასთან არის დაკავშირებული. ამ სახლებისათვის დამახასიათებელია კრამიტის მაღალი სახურავი, დიდი დახრილობის მქონე ორი გვერდისაგან შემდგარი (გოთური სტილის ელემენტი).

არის აგრეთვე რუსულ-უკრაინული ტიპის სახლები, გარედან შეთეთრებული, დამახასიათებელი თავისებური ფანჯრებით. ასეთი სახლები რუსი მოსახლეობის მქონე სოფლებშია.

დაბოლოს, ახლად დასახლებულ სოფლებში გაშენებულია სტანდარტული, ერთსართულიანი სახლები, ორი ოთახით, აივნით და სათავსოებით, ჩვეულებრივ შიფერით ან კრამიტით დახურული.

როგორც მთელი საქართველოს მოსახლეობა, ქვემო ქართლის მოსახლეობაც ჩაბმულია სასარგებლო შრომაში სოციალისტური წარმოებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო ჯამიდან 84% ჩაბმულია მატერიალური წარმოების სფეროებში, აქედან 13% მრეწველობაში და 71% საკოლმეურნეო წარმოებაში. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების მუშაობაში იღებს მონაწილეობას.

სოფლის მოსახლეობის შრომისუნარიანთა უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 85% ჩაბმულია საკოლმეურნეო წარმოებაში, ნაწილიც წარმოება-დაწესებულებებში მუშაობს, თუმცა არის, ძალიან მცირე კონტინგენტი მოსახლეობისა, რომელიც საზოგადოებრივ შრომაში არ იღებს მონაწილეობას (ძირითადად ქალები). აღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, უარყოფით გავლენას ახდენს შრომითი რესურსების გამოყენებაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვემო ქართლის მოსახლეობის კულტურული და მატერიალური დონე მკვეთრად გაიზარდა. მეფისა და მენშევიკური მთავრობების პირობებში გლეხობის უმეტესობა სასტიკი სიღატაკის განიცდიდა. მემამულურ-ფეოდალურ ჩაგვრას თან ემატებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციის თავგასულობა და პოლიციური რეჟიმი.

სავსებით პრიმიტიული სამიწათმოქმედო იარაღები და სატრანსპორტო საშუალებათა სიმცირე გლეხობას მიწის კარგად დამუშავებისა და მაღალი მოსავლის მიღების საშუალებას არ აძლევდა.

საკმაოდ დიდი ნაწილი გლეხობისა სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა, მაგრამ არც მათ ჰქონდათ უკეთესი ხვედრი. ადგილობრივი ადმინისტრაცია მრავალ ზეგარას და მოვალეობას აკისრებდა მათ, რაც მძიმე ტვირთად აწვა გლეხკაცობას.

მამინდელ სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისათვის დამახასიათებელ სურათს იძლევა ბორჩალოს მაზრის სახაზინო გლეხობიდან 1884 წელს საზოგადოებრივი დაბეგვრით მიღებული თანხების განაწილება [33, გვ. 493]:


საერთო ჯამი ფულადი დაბეგვრის	—	62598 მან.
აქედან სკოლების შენახვაზე	—	3909 „
ჩამოსული ჩინოვნიკების მიღებაზე	—	2270 „
მღვდლებსა და მოღვებს	—	5717 „

ეჩმიადინის მონასტრის შენახვაზე	—	966 მან.
საზაფხულო რაზმის შენახვაზე		
ყაჩაღებთან საბრძოლველად	—	3941 „

ამრიგად, დაბეგვრით აღებული თანხების დიდი წილი იხარჯებოდა საზოგადოებრივად სრულიად უნაყოფო მიმართულებით. თუ ერთ კომლზე 1884 წ. სკოლების შენახვაზე მოდიოდა—73 კაბ., ჩინოვნიკების გამასპინძლებაზე და სამღვდელოებაზე—1 მან. 68 კაბ. შემოთმოყვანილ ხარჯთაღრიცხვაში საინტერესოა აგრეთვე მუხლი ყაჩაღებთან საბრძოლველად საზაფხულო რაზმის შენახვის შესახებ. როგორც ჩანს, ყაჩაღობა ისე გავრცელებული იყო და მაშინდელი მთავრობა იმდენად უნიათო, რომ მოსახლეობას თვითონ უხდებოდა ზომების მიღება ყაჩაღებისაგან თავის დასაცავად.

კულტურულად ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი მხარე იყო. წერა-კითხვის მცოდნე რევოლუციამდელ ქვემო ქართლში თითქმის არ იყო. არსებული სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ბორჩალოს მაზრის მთელი სოფლის მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი—1,6 უდრიდა, მაშინ როდესაც მთლიანად საქართველოში ეს პროცენტი 22,7%-ს აღწევდა.

საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ ძირფესვიანად შესცვალა მოსახლეობის მატერიალური პირობები და კულტურა.



სურ. 3. ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის შენობა

საკოლმეურნეო წარმოება დამყარებული მძლავრ მექანიზებულ ბაზაზე უზრუნველყოფს მშრომელი გლეხობის მატერიალური პირობების სისტემატურად გაუმჯობესებას. სულ უფრო მეტ პროდუქტებსა და ფულად ანაზღაურებას ღებულობენ საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილე კოლმეურნეები. ფართოდ არის გავლილი სოფლებში ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც სახეს უცვლის მათ. მრავალი დასახლებული პუნქტი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით და რადიოფიციერებულია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლების საქმეს. 1954 წ. ქვემო ქართლში მხოლოდ განათლების სამინისტროს ხაზით მოქმედებდა — 351 სკოლა, აქედან სრული საშუალო სკოლა 46; მოსწავლეთა რიცხვი თითქმის 50 ათასს აღწევდა, ხოლო მასწავლებელთა 3,5 ათ. 1953 წ. განათლების საქმეზე დაიხარჯა ბიუჯეტიდან 47,3 მლნ. მანეთი. ეს ციფრები დამაჯერებლად გვიდასტურებენ იმ დიდ ძვრებს, რომელიც მოხდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოსახლეობის განათლების საქმეში.

კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის შესაბამისად ქვემო ქართლში დასახლებულ ეროვნებებს საშუალება ეძლევათ განათლება მიიღონ მშობლიურ ენაზე. ამ მოქმედებს ქართული სკოლა—95, რუსული—73, სომხური—32, აზერბაიჯანული—145, შერეული—6.

ადგილობრივი მოსახლეობიდან ბევრი ახალგაზრდა სწავლობს საქართველოსა და სხვა რესპუბლიკათა უმაღლეს სასწავლებლებში.

მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას ხელს უწყობს მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. 1954 წელს ამ მოქმედებდა 73 ბიბლიოთეკა, 4 კულტურის სახლი, 82 კლუბი, 2 მუზეუმი, 34 კინოდანადგარი; რაიონებში გამოდიოდა 8 პერიოდული გაზეთი.

საბჭოთა პერიოდში დიდი ღონისძიებები ჩატარდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად. 1954 წელს ქვემო ქართლში მოქმედებდა 20 საავადმყოფო 588 საწოლით, 63 საფერწლო პუნქტი, 6 სამშობიარო სახლი, 7 დედათა და ბავშვთა კონსულტაცია, 10 საავადმყოფო-ამბულატორია, 17 საბავშვო ბაგა, 20 აფთიაქი და სხვა. 1953 წ. ჯანმრთელობის დაცვაზე დაიხარჯა ბიუჯეტიდან თითქმის 20 მილიონი მანეთი.

ქვემო ქართლის, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა რაიონის მოსახლეობის, მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ზრდაში ნათელ გამოხატულებას პოულობს სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობანი.

#### IV. მუშავეობის განვითარება-განლაგების ზოგადი დახასიათება

##### 1. მეურნეობის სტრუქტურა და სპეციალიზაცია

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობას მრავალდარგობრიობა ახასიათებს. ამ ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგი, აგრეთვე საკმაოდ განვითარებული მეცხოველეობაც, რაც ზრდის ამ მხარის სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას.

უკანასკნელ წლებში ქვემო ქართლში მძაფრად განვითარდა მრეწველობაც, უმთავრესად—ელექტროენერგეტიკა, შავი მეტალურგია, სამთო და კვების მრეწველობა. მრეწველობის გაფართოებამ ქვემო ქართლის ეკონომიური განვითარების ახალი სტიმულები შექმნა; მას თან სდევს საგარეუბნო სოფლის მეურნეობის დარგების ზრდა, გზათა მშენებლობა, ახლად დასახლებული პუნქტების შექმნა, საქონელთბრუნვის გაფართოება, საწარმოო-ეკონომიური რაიონთაშორისო კავშირების გაფართოება და სხვ. ამ მხრივ მრეწველობის როლი, როგორც სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგისა, ქვემო ქართლის მაგალითზედაც ნათლად ჩანს. მრეწველობის განვითარება ქვემო ქართლში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საერთო პროცესს გამოხატავს და მისგან განუყოფელია. მართლაც, ქვემო ქართლის ძირითადი ინდუსტრიული ობიექტების მნიშვნელობა

სცილდება საკვლევ ტერიტორიას და ისინი საერთო-რესპუბლიკურ, თუ საკავ-შირო ფუნქციებს ასრულებენ.

როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარება-განლაგება გაპირობებულია სსრკ-ში მოქმედი სოციალიზმის ობიექტური კანონებით, კერძოდ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონით, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი.

ამასთანავე სოფლის მეურნეობის განლაგებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ქვემო ქართლის სხვადასხვა ზონებში არსებული ბუნებრივი პირობები, რომელნიც, როგორც იქნა აღნიშნული, დიდ ცვალებადობას განიცდიან.

კლიმატური პირობების სხვაობა ნებას გვაძლევს განვავითაროთ როგორც მაღალი, აგრეთვე შედარებით დაბალი თერმიული რეჟიმის ამტანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომელთა გავრცელების არეალი დაკავშირებულია ქვემო ქართლის ამა თუ იმ ზონასთან.

ამით უნდა ავსხნათ ნაწილობრივ კულტურათა ასორტიმენტის სხვაობანი ცალკე რაიონებს შორის. მაგალითად, თუ გარდაბნის და მარნეულის რაიონებში მარცვლეულის ნათეს ფართობში შემოდგომის ხორბალს—81,5% უკავია, წალკის რაიონში მას მხოლოდ 12,1% უკავია, ხოლო 82% გაზაფხულის ხორბალზე და ქერზე მოდის. აგრეთვე დიდი განსხვავება არის მრავალწლიანი ნარგავების, სიმინდის, ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულისა და კარტოფილის ტერიტორიულ გავრცელებაში.

იმის დასახასიათებლად, თუ რა ძვრები მოხდა ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის განვითარებაში სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, ქვემოთ მოგვყავს სოფლის მეურნეობის ზოგიერთი მაჩვენებელი 1923, 1940 და 1954 წლებისათვის:

	1923 წ.	1940 წ.	1954 წ.	1954 წ. რამდენჯერ მეტია 1923 წ. შედარებით
მარცვლეულის ნათესი ფართობი ჰექტ. . . . .	38210	77426	94358	2,5
ბოსტნეულ-ბაღიეულის ფართობი ჰექტ. . . . .	289	2910	2979	10,3
კარტოფილი ჰექტ. . . . .	838	6910	10491	12,5

აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა აგრეთვე ცხვრის სულადობა 1,83-ჯერ, ღორის სულადობა—4,6-ჯერ, გაფართოვდა ვენახების ნარგავები და ტექნიკურ კულტურათა ნათესები (თამბაქო, მზესუმზირა).

ნათეს ფართობთა ზრდასთან ერთდროულად, საბჭოთა მოწინავე აგროტექნიკის დანერგვის შედეგად, გადიდა კულტურათა მოსავლიანობა, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის.

სოფლის მეურნეობის გადამწყვეტ ძალას წარმოადგენს 163 გამსხვილებული კოლმეურნეობა და 6 საბჭოთა მეურნეობა, რომელნიც იძლევიან სსსოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად ნაწილს.

საკოლმეურნეო წარმოებიდან განსაკუთრებით გამოიყოფა მემარცვლეობა (თავთაყიანი კულტურები), მეცხოველეობა, მებოსტნეობა-მეკარტოფილეობა, აგრეთვე მევენახეობა. ეს დარგები, რასაკვირველია, ერთნაირად არ არის განვითარებული ქვემო ქართლის ყველა რაიონში და მათი მნიშვნელობაც რაიონთა შიგნით დიდად მერყეობს.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყლის მეურნეობას, განსაკუთრებით ქვემო ქართლის დაბლობ ზონაში. აქ ნალექთა სიმცირე და ტემპერატურული რეჟიმი აუცილებელს ხდის კულტურათა მორწყვას, ამის გარეშე არამცაუ კარგი, არამედ ხშირად საშუალო მოსავლის მიღებაც შეუძლებელია.

სარწყავი მიწათმოქმედება, ეს ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი პირობა, იწვევს მდინარეთა რესურსების საირიგაციოდ ფართოდ გამოყენების აუცილებლობას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა ქვემო ქართლის მეურნეობის სტრუქტურა, სახელობრ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შეფარდება. თუ წარსულში ქვემო ქართლი წარმოადგენდა სავსებით სასოფლო-სამეურნეო რაიონს, რომელიც აწარმოებდა თითქმის მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, დიდი მასშტაბით წარმოებულმა სამრეწველო მშენებლობამ, უმთავრესად ხრამის ჰიდროელექტროსადგურისა და ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობამ, შეცვალა რაიონის სამეურნეო სახე.

ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, სათანადო მონაცემების უქონლობის გამო, გავიანგარიშოთ ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა, მაგრამ თუ ავიღებთ მის ძირითად ნაწილს, კოლმეურნეობათა წარმოების სახით, ესეც, საკმაოდ გვიჩვენებს, რომ სამრეწველო პროდუქცია სჭარბობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

მაშინ როდესაც ქვემო ქართლის რაიონთა საკოლმეურნეო წარმოების მთლიანი პროდუქციის ღირებულება შესასყიდ ფასებში 1953 წ.—290 მლ. მანეთს უდრიდა<sup>1</sup>, ამავე რაიონთა მრეწველური წარმოების მთლიანი პროდუქცია—623 მლნ. მანეთს აღწევდა, ანუ ორჯერ მეტი იყო. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, საქართველოს მძიმე მრეწველობის ყველაზე დიდი ობიექტის, ქვემო ქართლის ერთ-ერთ რაიონში მოთავსებამ (გარდაბნის რ-ნი) მას ინდუსტრიული სახე მისცა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რუსთავის მრეწველური კვანძის გარეშე მრეწველობა ქვემო ქართლში შედარებით სუსტად არის განვითარებული და ბევრად ჩამორჩება, მაგალითად, შიდა ქართლის მრეწველობას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხრივ ყველაზე ძლიერია მარნეულის რაიონი, ის დანარჩენ რაიონებს ორჯერ და მეტად სჭარბობს გამომუშავებულ პროდუქციის მოცულობით.

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობას, რომელიც საკმაოდ დიდ როლს თამაშობს რესპუბლიკის ეკონომიკაში, გარკვეული თავისებურება ახასიათებს.

პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობის სწორად განლაგების პრობლემას, ცალკეულ მხარეთა და რაიონთა სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციას.

ხუთწლიელების მანძილზე ქვემო ქართლში, ისევე როგორც საქართველოს და საბჭოთა კავშირის დანარჩენ ეკონომიურ რაიონებში, მეურნეობის განვითარება მიმდინარეობდა მისი სპეციალიზაციის მიმართულებით, რაც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების ობიექტური კანონის მოქმედებასთან.

<sup>1</sup> აქაც, ისე როგორც შემდგომი კოლმეურნეობათა მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის ციფრები მოცემულია თანხმად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობ. სამინისტროს გაანგარიშების (სოფ. მეურნ. სპეციალიზაციისა და კულტურათა გაადგილების კომისია):



ამჟამად, სოფლის მეურნეობის შინაგან დარგობრივ სტრუქტურაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მარცვლეულ მეურნეობასა და მეცხოველეობას მიეკუთვნება, მაგრამ რესპუბლიკის ფარგლებში ის უდიდეს როლს თამაშობს აგრეთვე მებოსტნეობით და მეკარტოფილეობით. ქვემო ქართლის საკომლემენტარო წარმოების მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა რესპუბლიკის მაჩვენებლებთან დაპირისპირებით შემდეგ სურათს იძლევა (1953 წ.):



დარგის ხედრითი წონა პროცენტობით საკომლემენტარო პროდუქციაში

	მთლიან პროდუქციაში		სასაქონლო პროდუქციაში	
	რესპუბლ. მთლიან.	ქვემო ქართლი	რესპუბლ. მთლიანად	ქვემო ქართლი
საკომლემენტარო წარმოება მთლიანად . . . . .	100,0	100,0	100,0	101,0
მ. შ. მარცვლეული კულტურები . . . . .	26,7	46,8	8,7	29,4
" ტექნიკური კულტურები . . . . .	7,1	3,5	10,2	7,8
" კარტოფილი . . . . .	1,2	4,1	0,3	1,7
" ბოსტნეულ-ბალჩეული . . . . .	1,1	2,5	1,3	4,0
" თივა და სხვა საკვები კულტურები . . . . .	8,9	14,7	0,3	1,4
" მრავალწლიანი კულტურები . . . . .	38,3	6,5	57,2	11,8
" მეცხოველეობა . . . . .	16,7	21,9	22,0	43,9








ქვემო ქართლის, როგორც მთლიან პროდუქციაში, ისე სასაქონლო პროდუქციაში მნიშვნელოვნად სჭარბობს პროდუქცია მემარცვლეობის, მეცხოველეობის, მებოსტნეობა-მეკარტოფილეობისა და ბევრად ნაკლებია მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურების მონაწილეობა.

სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა 1953 წ. (% - ით)

მთლიანი პროდუქციის სტრუქტურა 1953 წ. (% - ით)



პირობითი ნიშნები:

-  მეცხოველეობა
-  მარცვლეული კულტურები
-  მრავალწლიანი ნარგავები
-  კარტოფილი
-  ბოსტნეულ-ბალჩეული
-  ტექნიკური კულტურები
-  თივა და სხვა საკვები კულტურები

დიაგრამა 2

თუ რესპუბლიკის კომლემენტარობათა სასაქონლო პროდუქციის 57,2%-ს მრავალწლიანი კულტურები იძლევა (სუბტროპიკული, მევენახეობა-მებაღეობა), 3. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. IX

ქვემო ქართლში ამ პროდუქციის ხვედრითი წონა მხოლოდ 11,8%-ს უდრის; კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბალჩეულის ხვედრითი წონა შესაბამისად რესპუბლიკაში—1,6%-ს, ხოლო ქვემო ქართლში 5,7%-ს შეადგენს.

სავსებით დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა საერთო პროდუქციაში დიდი ხვედრითი წონა თივისა და სხვა საკვებ კულტურათა დამზადებას უკავია.

ეს ციფრები ნათელყოფს ქვემო ქართლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურის თავისებურებას და შესწავლილი რაიონისათვის თითოეული დარგის ეკონომიურ მნიშვნელობას.

ქვემო ქართლის როლს და იმ ფუნქციებს, რომელსაც იგი ასრულებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ერთგვარად ახასიათებს აგრეთვე ქვემოთ მოტანილი მაჩვენებლები (1953 წ.):

ქვემო ქართლის ხვედრითი წონა რესპუბლიკაში პროცენტობით

საერთო ტერიტორიით	7,8
სახნავი ფართობით	13,3
საძოვრებითა და სათიბებით	13,5
მარცვლეულის ნათესი ფართობით	13,1
ბოსტნეულ-ბალჩეულის	15,8
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობით	7,8
წვრილფეხა	14,4

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ტერიტორიით ქვემო ქართლს საქართველოს მხოლოდ 7,8 უკავია (1953 წ.), დამუშავებული ფართობით და მეურნეობის დანარჩენი მაჩვენებლებით, მისი ხვედრითი წონა ბევრად მეტია. ეს ნაწილობრივ ქვემო ქართლის რელიეფით და ბუნებრივი სავარგულების სტრუქტურით უნდა ავსნათ. ვრცელი ვაკე ადგილები (ქვემო ქართლის ვაკე, ქვაბულები, პლატოები, მაღალმთიანი ვაკეები) და საძოვართა დიდი ფართობი მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაშლის ფართო შესაძლებლობას უქმნის. ამის გამო ქვემო ქართლი გამოირჩევა ხორბლის, ბოსტნეულისა და კარტოფილის საკმაოდ დიდი ნათესებით და აგრეთვე პირუტყვის დიდი სულადობით.

თუ სხვადასხვა პროდუქტთა გამოუმუშავებას ერთ შრომისუნარიან კოლწევრზე, საშუალოდ რესპუბლიკაში, შევუდარებთ ქვემო ქართლს, ჩვენთვის ნათელი გახდება უკანასკნელის უპირატესობა რივ დარგებში; მართლაც, ქვემო ქართლში ერთ შრომისუნარიან კოლწევრზე 1953 წ. მიდიოდა მარცვლეულის პროდუქცია 70%-ით მეტი, ვიდრე რესპუბლიკაში საშუალოდ (ღირებულებით გამოხატულებაში), ბოსტნეულ-ბალჩეულის პროდუქცია 2-ჯერ მეტი, კარტოფილი 3-ჯერ მეტი და მეცხოველეობის პროდუქტები 27%-ჯერ მეტი; სამაგიეროდ მევენახეობა-მებაღეობის პროდუქცია შრომისუნარიან კოლწევრზე 36%-ით ნაკლები იქნა მიღებული ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში.


ზემოაღნიშნულის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, მაღალი ღირებულების მქონე მრავალწლიანი კულტურების პროდუქცია მცირედ არის წარმოდგენილი, მაინც, ის რესპუბლიკის საკოლმეურნეო პროდუქციის 11%-ს იძლევა.

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციამ შექმნა საფუძველი მისი ფართო მონაწილეობისათვის რესპუბლიკის რიგი პროდუქტებით მომარაგების საქმეში.

ამჟამად ქვემო ქართლის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო პროდუქციას აწვდიან მსხვილი სამრეწველო ცენტრების მოსახლეობას მოხმარების საგანთა სახით და ნაწილობრივ—მრეწველობას ნედლეულის სახით.

1953 წელს ქვემო ქართლი იძლეოდა კოლმეურნეობათა სასაქონლო მარცვლეული პროდუქციის 25%,-ს ბოსტნეულ-ბალჩეული პროდუქციის 23,6%,-ს, კარტოფილის 46,2%,-ს მეცხოველეობის პროდუქციის—14,6% და მევენახეობის—9,4%,-ს.

ქვემო ქართლიდან გაიზიდება უმთავრესად ქ. თბილისში, ქ. რუსთავეში, აგრეთვე ზოგ სხვა ქალაქსა და რაიონში: ხორბალი, ხორცი, მოუხდელი რძე, კარაქი, ყველი (შვეიცარული და თუშური), ყოველგვარი ბოსტნეული, კარტოფილი, კვერცხი და ფრინველი, სუფრის ყურძენი, თევზი (ხრამისა) და სხვა; მრეწველობისათვის აქ საკმაო რაოდენობით მზადდება ტყავეული, თამბაქო, მზესუმზირა, დიდი რაოდენობით მზადდება თივა.



დიაგრამა 3

ზემოთ მოყვანილი მონაცემები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტრუქტურაზე და სასაქონლო პროდუქციაზე საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ქვემო ქართლის სამეურნეო სპეციალიზაცია და ის ფუნქციები, რომელსაც ის ასრულებს როგორც ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონი.

მრეწველობის მხრივ იგი გამოიყოფა, მსხვილი მეტალურგიული წარმოებით, ელექტროენერგეტიკული მეურნეობით, სამთო მინერალური ნედლეულის მოპოვებით და ნაწილობრივ კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგით (მეღვინეობა, ყველ-კარაქის წარმოება). სოფლის მეურნეობის მხრივ ქვემო ქართლი წარმოადგენს მემარცვლეობის, მეცხოველეობის და მებოსტნეობა-მეკარტოფილეობის რაიონს.

ასეთია ქვემო ქართლის საწარმოო სახე, რომელიც ჩამოყალიბდა ამ მხარის ბუნებრივი და ეკონომიური წინამძღვრების პირობებში, სოციალისტურ წყობილებაში მოქმედ, ობიექტურ კანონზომიერებათა შედეგად.

დიდი ამოცანები ისახება ქვემო ქართლის მეურნეობის წინაშე შეექმნე ხუთწლეულში, საკავშირო კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა.

გადაწყვეტილებებმა მკვიდრი საფუძველი შექმნა საბჭოთა კავშირის ყველა რაიონის სამეურნეო-კულტურული განვითარებისათვის. ყრილობის მიერ დასახულ დონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს ქვემო ქართლის სოციალისტური მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, მისი მნიშვნელობის ზრდას საქართველოს ეკონომიკაში.

## 2. მრეწველობა

ქვემო ქართლში მრეწველობა ძირითადად საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. მრეწველობის უმთავრეს დარგებს, აქ, არა აქვთ ადგილობრივი, ლოკალური მნიშვნელობა. მათი წარმოშობა-განვითარება დაკავშირებულია საქართველოს და, ნაწილობრივ, ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან. ამასთანავე ამ საწარმოებს დიდი გარდამქმნელი მნიშვნელობა აქვთ თვით ქვერეგიონის ეკონომიკისათვის.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობამ შექმნა გარდაბნის გადარუჯულ უკაცრიელ ველებზე ახალი მსხვილი დასახლებული პუნქტი—ქ. რუსთავე. ამასთან დაკავშირებით რაიონში გაყვანილია ახალი გზები, წყალსადენი; მნიშვნელოვნად რეკონსტრუირებულ იქნა რკინიგზის ტრანსპორტი. მეტალურგიული ქარხნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მარნეულის რაიონში შეიქმნა კირქვის კარიერები და საფქვავე ქარხანა, მშენებლობის უზრუნველსაყოფად—საშენ მასალათა საწარმოები. მრეწველობაში და ქალაქის მომსახურეობით დარგებში ჩაება ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილიც. ქალაქის გაჩენა, სამომხმარებლო პროდუქტებზე მსხვილი კონცენტრირებული მოთხოვნილებით, აპრობებს საგარეუბნო მეურნეობის შექმნა-განვითარებას; ყველა ამ მომენტს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვემო ქართლის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის.

ქვემო ქართლის მრეწველობის წამყვანი დარგი მეტალურგიაა. ის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 77,9%-ს იძლევა და ძირითად საშუალებათა დირებულებაში 98,5% უკავია. მეორე ადგილი პროდუქციის მოცულობით და საწარმოო პერსონალის რიცხვით კვების მრეწველობას ეკუთვნის (მთლიანი პროდუქციის 12,9%). მათ შემდეგ მოდის ელექტროენერგეტიკული მრეწველობა (7,3%), დანარჩენ დარგებს-კი სრულიად უმნიშვნელო ადგილი უკავია.

ამგვარად, ქვემო ქართლში უპირატესად მძიმე მრეწველობა არის განვითარებული, ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ახლო მომავალში ეს დარგი კიდევ უფრო გაიზრდება.

მრეწველობა ქვემო ქართლში ტერიტორიულად არ არის თანაბრად განაწილებული და ის უმთავრესად კონცენტრირებულია ქ. რუსთავეში.

ქვემო ქართლის ელექტროენერგეტიკული მეურნეობა რაიონის ჰიდრორესურსებს ემყარება. აქ აგებული ჰიდროელექტროსადგური ხრამპესი ერთ-ერთი ყველაზე მაღალწნევიანი ჰიდროსადგურია საბჭოთა კავშირში. იგი წარმოადგენს მარეგულირებელ სადგურს, რომლის დანიშნულებაა შეავსოს საქართველოს ელექტროსადგურთა ჭავის გამომუშავება შემოდგომა-ზამთრის წყლის ნაკლებობის პერიოდში.

ხრამპესი შეერთებულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზით საქართველოს ენერგოსისტემასთან; მისი მართვა ავტომატიზებულია.

ქვემო ქართლის ენერგეტიკული მეურნეობის მეორე მძლავრ ობიექტს რუსთავეის თბოელექტროცენტრალი წარმოადგენს.

გარდა ამ ობიექტებისა, რაიონებში აშენებულია 8 სოფლის ელექტროსადგური, 4,9 ათას კვტ., საერთო სიმძლავრით, ამთავან აღსანიშნავია—ტაშაშპესი, ზოლნისპესი, დმანისპესი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქვემო ქართლი უძველესი დროიდან საქართველოს მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი მთავარი კერა იყო. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოში მეტალურგიული წარმოების აღდგენა მოხდა, მაგრამ უკვე სრულიად ახალ, თანამედროვე ტექნიკურ ბაზაზე. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა—აშენებული ძველ, ისტორიულ ქალაქ რუსთავის ნანგრევებზე—წარმოადგენს საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკის მატერიალურ გამოხატულებას.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დანიშნულებაა მოამარაგოს საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობა შავი ლითონით, სახელობრ, ფოლადის უნაკერო მილებით, წვრილსართავანი ნაგლინით (კვადრატული, მრგვალი, კუთხოვანი და ზოლოვანი რკინა, მოთუთიებული მავთული, ფერცლოვანი რკინა და სხვა).

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა წარმოადგენს ცალკე საწარმოთა რთულ კომპლექსს.

მეტალურგიული ქარხნის გვერდით, მისი ნარჩენების (წიდას) გამოყენების ბაზაზე, აგებულია ამიერკავკასიაში ყველაზე მძლავრი ცემენტის ქარხანა, რომელიც უშვებს შლაკო-ცემენტს დიდი რაოდენობით.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ამიერკავკასიაში წარმოების საშუალებათა დამამზადებელ დარგთა განვითარებისათვის, რაც სახალხო მეურნეობის ზრდისა და აყვავების საწინდარია.

მძიმე ინდუსტრიის უდიდესი მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობისათვის, რასაც ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის შრომებში ლენინი, გარკვევით იქნა აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ.

„კომუნისტურ პარტიას,—ნათქვამია მის რეზოლიუციაში, — უთუოდ საქიროდ მიაჩნია კვლავაც უზრუნველყოს მძიმე მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური პროდუქტებისა და საშენი მასალების წარმოების უფრო სწრაფი ზრდა“ [9].

რუსთავის სამრეწველო კვანძში, გარდა მეტალურგიული ქარხნისა, შედის მძიმე ინდუსტრიის მეორე მნიშვნელოვანი საწარმო—აზოტოვანი სასუქების ქარხანა. აღნიშნული საწარმო თავის მუშაობაში კოოპერირებულია მეტალურგიულ ქარხანასთან და მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება ზოგიერთი სახის მინერალური სასუქით.

მეტალურგიული ქარხნის გვერდით აგებულია კეთილმოწყობილი სოციალისტური ქალაქი—რუსთავი.

ქვემო ქართლში განვითარებულია საშენ მასალათა, უმთავრესად, სხვადასხვა ბუნებრივი ქვების დამამზადებელი მრეწველობა. მარნეულის რაიონში არსებობს საშენი ქვის კარიერები, რომელთა პროდუქცია იგზავნება თბილისის მშენებლობებზე. აღსანიშნავია, აგრეთვე სადახლოს ნაცრისფერი მარმარილოს წარმოება, მის პროდუქციას რესპუბლიკის ფარგლების გარეთაც აქვს მოხმარება. სადახლოს ახლოს არის აგრეთვე მოწყობილი კირქვების მძლავრი კარიერები

და საფქვავე ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მდნობით (ფლუსი) მომარაგებისათვის; ბოლნისის რაიონში ორგანიზებულია ძვირფასი სამშენებლო ქვის—ყვითელი ზოლოვანი ტუფის მოპოვება. ბოლნისის ტუფი თავისი სილამაზით სხვა ანალოგიური ქვებიდან მკვეთრად გამოირჩევა და ის ფართოდ არის გამოყენებული ფუნდამენტურ შენობათა მოსაპირკეთებლად, თბილისსა და სხვა ქალაქებში.

გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში არსებობს გაჯის, აგურისა და კრამიტის რამდენიმე წვრილი წარმოებაც.

კვების მრეწველობა, ძირითადად, ქვემო ქართლის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზაზეა შექმნილი, ის თავისი შემადგენლობით ამ მხარის სპეციფიურ დარგს წარმოადგენს.

კვების მრეწველობის ძირითადი დარგი მეღვინეობაა.

ბოლნისში ორგანიზებულია საკმაოდ მძლავრი და კარგად მოწყობილი ღვინის ქარხანა, რომელიც უშვებს სუფრის ღვინოს, პორტვინის, ყურძნის წვეს და საკონიაკე სპირტს. ღვინის ქარხნები მოწყობილია აგრეთვე მარნეულის რაიონში, ყულარის საბჭოთა მეურნეობაში და თეთრი წყაროს რაიონში—ასურეთის კოლმეურნეობაში.

ყველ-კარაქის ქარხნული წარმოება ემყარება ადგილობრივ პროდუქტიულ მეცხოველეობას, განსაკუთრებით წალკისა და დმანისის რაიონებში ალპურ მეურნეობას.



სურ. 4. სადახლოს მარმარილოსა და კირქვის კარიერების მუშათა ახალი სახლები

ყველ-კარაქის მრეწველობის ძირითად პროდუქციას წარმოადგენს შვეიცარული ყველი, რომლითაც ეს რაიონი გამოირჩევა მთელ საბჭოთა კავშირში. საკმე იმაშია, რომ ხარისხიანი შვეიცარული ყველის მიღება შეიძლება მხოლოდ მაღალმთიან საძოვრებზე გამოკვებილი პირუტყვის რძისაგან. შვეიცარული ყველის წარმოება ქვემო ქართლის სპეციალიზებული დარგია. საბჭოთა პერიოდში ყველ-კარაქის წარმოება ძალიან განვითარდა. 1953 წ. აქ ითვლებოდა

45 ყველ-კარაქის ქარხანა, აქედან 11 ქარხანა მექანიზებული, 25 ნახევრად მექანიზებული და 9 მოძრავი იყო. ყველ-კარაქის მთავარი ქარხნები განლაგებულია დმანისის და წალკის რაიონებში.

სუსტად არის განვითარებული ქვემო ქართლის რაიონებში სარეწაო კოლპერატული მრეწველობა. რიგ რაიონებში სარეწაო კოლპერატულის არცერთი საწარმო არ არის.

წვრილი მრეწველობა წარმოდგენილია აგრეთვე კოლმეურნობათა დამხმარე საწარმოებით (წისქვილები, სადურგლოები, ურმების სახელოსნოები, საშენ მასალათა საწარმოები და სხვ.), მათ 1953 წ. გამოიქმნა 3,8 მლნ. მან. პროდუქცია.

სკკპ XX ყრილობის მიერ მრეწველობის განვითარების დარგში მოცემული დირექტივების შესაბამისად ქვემო ქართლის რაიონების წინაშე უახლოეს პერსპექტიულ პერიოდში რიგი მნიშვნელოვანი ამოცანა დგას:

1. უბრევლეს მათგანს, ელექტროენერგეტიკული შესწავლის გაშლა წარმოადგენს. ქვემო ქართლში მდინარე ხრამს გამოყენების საფუძველზე უნდა შეიქმნას ჰიდროელექტროსადგურთა მძლავრი კასკადი, რომელიც მარგული-რეხელს იქნება საქართველოს მთელი ენერგოსისტემისათვის. ეს ამოცანა რამდენიმე ეტაპის მანძილზე უნდა იქნეს გადაწყვეტილი. პირველი უახლოესი ეტაპია—ხრამჰესის II მშენებლობის გაშლა და დროულად დამთავრება, რაც სკკპ XX პარტიკონგრესის დირექტივებით მეექვსე ხუთწლეულშიათვის განთავალისწინებული.

ქვემო ქართლის რაიონებში, განსაკუთრებით დაშორებულ მთიან სოფლებში, ფართოდ უნდა გაიშალოს წვრილი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაც, სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და საკოლმეურნეო წარმოების ელექტროფიკაციის მიზნით.

2. მნიშვნელოვანი პერსპექტივები ისახება მრეწველობის წამყვანი დარგის შავი მეტალურგიის განვითარების მხრივ. 1956-60 წწ. განმავლობაში თუჯის გამოდნობა უნდა გაიზარდოს 1,6-ჯერ, ნაგლისა—1,5-ჯერ.

მეტალურგიული ქარხნის ნარჩენების ბაზაზე უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო წვრილი ინვენტარის წარმოება, რაც დიდ სამსახურს გაუწევს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას. უფრო შორეულ პერსპექტივაში უნდა აშენდეს ელექტროფოლადის სამქრო, ხარისხობრივი ლითონის დასამზადებლად. აქ მომავალში კიდევ მრავალი სხვა ახალი საწარმო გაჩნდება.

რუსთაველა არსებული აზოტოვანი სასუქების ქარხანამ მეექვსე ხუთწლეულის განმავლობაში 8-ჯერ უნდა გაიზარდოს თავისი პროდუქციის მოცულობა.

ქალთა შრომის რესურსების გამოყენებისათვის მიზანშეწონილი იქნება მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი საწარმოების შექმნაც (საფეიქრო, სამკერვალო და სატრიკოტაჟო).

3. ფართოდ უნდა გაიშალოს კირქვების, ბაზალტების, მარმარილოსა და ფერადი ტუფების მოპოვება, კითხისის და სხვა ცენტრების საშენი ქვებით უზრუნველყოფის მიზნით.

უნდა ჩატარდეს ქვის კარიერების მექანიზაცია, პირველ რიგში, მარმარილოს და ბოლნისის ტუფის საწარმოებში, ამასთან საჭიროა, რომ ტუფის მოსაპირკეთებელ ქვებამ და მოშეგება ორგანიზებულ იქნეს თვით კარიერებთან. სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს ბოლნისის ტუფის თვითღირებულების შემცირება, რაც აუცილებელი პირობაა მისი მშენებლობაში გამოყენების გაფართოებისათვის.

რაინების ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის კოლმე-ურწნობებში უნდა განვითარდეს აგურისა და კრამიტის წარმოება.

4. მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებით და მისი პროდუქტი-ულობის ზრდის შესაბამისად აუცილებელი იქნება რძის გადასამუშავებელი სა-წარმოო ბაზის გაფართოება.

ქალაქებში და დაბებში უნდა გაფართოვდეს და კეთილმოწყობილ იქნეს: პურის ცხობის, საკონდიტრო, ლიმონათის და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არსებული სხვა სახის საწარმოები.

5. მოსახლეობისათვის მოხმარების საგანთა გამოშვების მიზნით ქვემო ქართლის რაიონებში აუცილებელია ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის განვითარება. მათი სახით უნდა ორგანიზებულ იქნეს პირველ რიგში ავეჯის წარმოება, ადგილობრივი საშენ მასალათა წარმოება და საყოფა-ცხოვრებო მომსახურების სახელოსნოთა ქსელი.

### ჰ. სოფლის მეურნეობა

#### ა. მიწის ფონდები

ქვემო ქართლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხრივ საქართველოს ერთ-ერთი თავისებური რაიონთაგანია. ის ხასიათდება სოფლის მეურნეობის დარგთა მრავალფეროვნებით და ზოგიერთი მათგანის განვითარების მაღალი დონით. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ დარგებს, როგორც არის მარცვლეულის მე-ურნეობა, მებოსტნეობა-მეკარტოფილეობა და მეცხოველეობა. ამ დარგების როგორც მთლიანი, ისე სასაქონლო პროდუქციით ქვემო ქართლს რესპუბლიკა-ში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა უკავია.

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეურნეობრივად გამოსადეგი მიწის რესურსებს, მიწის სავარ-გულების სტრუქტურას.

ქვემო ქართლი თავისი რელიეფით უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობი-სათვის გამოსადეგი მიწების საკმაოდ დიდ ფართობს, განსაკუთრებით, დაბლობ ზონაში (ქვემო ქართლის ვაკე). შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფის დონით ის ბევრად უსწრებს საქართველოს რიგ რაი-ონებს. სახნავი მიწებისა და საძოვრების ხვედრითი წონით ნაერთო ტერიტორი-აში ის თითქმის უახლოვდება გარე კახეთს, რომელსაც ამ მხრივ საქართველოში პირველი ადგილი უჭირავს.


ქვემო ქართლის მიწის ფონდის სტრუქტურა კახეთის რაიონებთან და რეს-პუბლიკის მთლიან მაჩვენებლებთან დაპირისპირებით შემდეგ სურათს იძლევა (1953 წ.):

მიწის სავარგულები პროცენტობით მთელი ტერიტორიის მიმართ

	სახნავი	სათიბ-საძოვ-რები	მრავალწლი-ნი ნარგავები	ტყე-ბუჩქნა-რი	დანარჩენი
საქართველო მთლიანად	16,3	21,7	3,4	36,4	22,2
ქვემო ქართლი . . . .	27,9	37,5	0,9	23,7	10,0
შიგნი კახეთი . . . . .	16,6	14,4	2,3	41,5	25,2
გარე კახეთი . . . . .	31,0	32,5	1,3	17,0	18,2



როგორც ვხედავთ, სახნავი მიწის ხედრითი წონა საერთო ტერიტორიაში ქვემო ქართლში ბევრად მეტია ვიდრე საშუალოდ საქართველოში და შიგნი კახეთში. სათიბ-საძოვრების უზრუნველყოფით კი ის ყველაზე წინ არის (მთელი ტერიტორიის—37,5%).



დიაგრამა 4

თუ ავიღებთ სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის მთელ ფაქტობს, რესპუბლიკაში მას საერთო ტერიტორიის 41,6% უკავია, ხოლო ქვემო ქართლში—66,3%.

ქვემო ქართლის მიწის სავარგულების სტრუქტურა ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ მას მიწათმოქმედების და მეცხოველეობის განვითარების ფართო ბუნებრივი შესაძლებლობანი აქვს.

დიდი ვაკე ადგილები, ნოყიერი ნიადაგებით, სახნავად გამოსადეგი მიწების ფონდს შეადგენს, რაც მთლიანად ქვემო ქართლში 158,7 ათ. ჰექტარს უდრის.

სახნავით ყველაზე უზრუნველყოფილია მარნეულის რაიონი, (სახნავს აქ საერთო ტერიტორიის 41,5% უკავია), ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი—ღმანისის რაიონია (16,3%).

ქვემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს კოლმეურნეობათა მფლობელობაში მყოფი მიწების რა რაოდენობა მოდის ერთ შრომისუნარიან კოლწევრზე ქვემო ქართლში და საქართველოში მთლიანად.

საშუალოდ მოდის ერთ შრომისუნარიან კოლწევრზე ჰექტარებში (1953 წ.)

	ქვემო ქართლში	საქართველოს სსრ
სახნავი მიწები	2,16	1,75
მრავალწლიანი ნარგავები	0,05	0,25
სათიბი და საძოვრები	3,00	3,07

აღნიშნული მონაცემები გვიდასტურებს იმ დებულებას, რომ ქვემო ქართლს როგორც აბსოლუტურად, აგრეთვე მოსახლეობასთან შეფარდებით სასოფლო-სამეურნეო მიწის უზრუნველყოფის საკმაოდ მაღალი დონე ახასიათებს.

ამასთანავე ყურადღებას იქცევს მრავალწლიანი ნარგავების მხრივ ქვემო ქართლის დიდი ჩამორჩენილობა.

ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონებში მიწის სულადობრივი ნორმები საკმაოდ მერყეობს, მაგრამ სულადობრივი ნორმების სხვაობანი კიდევ არ არის საკმაო საფუძველი იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ ამა თუ იმ რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების დონეზე.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია დაკავშირებულია არა მხოლოდ სასარგებლო მიწის რაოდენობასთან, არამედ ნიადაგობრივ პირობებთან, კლიმატურ პირობებთან, რელიეფთან და სხვა, რომლებიც ძირითადი კულტურებისათვის, ქვემო ქართლის დასავლეთ ნაწილში (მაღალ ზონებში) ნაკლებად ხელსაყრელი არიან.

გადამწყვეტი მნიშვნელობა, სოფლის მეურნეობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, აქვს სოციალ-ეკონომიურ პირობებს, შრომის ორგანიზაციის ფორმებს, ტექნიკურ შეიარაღებას, აგროტექნიკის დონეს და სხვა.

### ბ. ძირითად დარგთა დახასიათება

ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული, რომ ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანია. მისი ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებში დარგთა შეთანაწყობა იცვლება და მემცენარეობის თუ მეცხოველეობის ამა თუ იმ დარგის მნიშვნელობაც სხვადასხვა არის.

საერთოდ კი სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებს, რაც ქვემო ქართლს გარკვეულ სპეციალიზირებულ სახეს აძლევს, მარცვლეული მეურნეობა და მეცხოველეობა წარმოადგენს, რომელთაც ამა თუ იმ პროპორციით შეეთანაწყობა, უმთავრესად, მებოსტნეობა-მებაღეობა, მევენახეობა და მეკარტოფილეობა.

სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს ნათეს ფართობთა მნიშვნელოვანი მატება, რასაც შემდეგი მონაცემები გვიდასტურებს.

ნათესი ფართობი ათას ჰექტარობით

	სულ	მათ შორის კოლმეურნეობები
1940 წ.	100,3	92,7
1950 წ.	108,6	98,8
1953 წ.	138,7	127,9

ნათესი ფართობის ძირითადი ნაწილი დაკავებულია მარცვლეული კულტურებით, რომელთა ხვედრითი წონა 71,4%-დან (დმანისის რაიონი) მერყეობს 86%-მდე (ბოლნისის რაიონი).

მარცვლეული მეურნეობა ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია.

საქართველოს მარცვლეული კულტურების საერთო ფართობში ქვემო ქართლს 13,1% უკავია, ხოლო შემოდგომის ხორბლის ნათესებში თითქმის—18%; ეს რაიონი იძლევა საქართველოს სასაქონლო მარცვლეული პროდუქციის 25 პროცენტს.

საბჭოთა მთავრობის გეგმაზომიერ ღონისძიებათა გატარების შედეგად მარცვლეული კულტურების როგორც ფართობი, ისე მოსავლიანობა ქვემო ქართლში მკვეთრად გაიზარდა. თუ 1929 წ. მარცვლეულ კულტურებს 38,2 ათ. ჰექტარი ეკავა, ხოლო 1940 წ.—77,4 ათ. ჰექტარი, 1953 წ. მათი ფართობი 114,7 ათ. ჰექტარამდე გაიზარდა.


თავთავიან მარცვლეულ კულტურათა შორის ძირითადი შემოდგომის ხორბალია, რომლის ნათესებს 1952 წ. მარცვლეულთა საერთო ფართობის 66,7% ეკავა.

შემოდგომის ხორბალი გავრცელებულია ყველა რაიონში, გარდა წალკის რაიონისა, სადაც კლიმატური პირობები არ უწყობს ხელს მის აღმოცენებას.

გაზაფხულის თავთავიანი კულტურები, რომელნიც თავისი თვისებებით ეგუებიან მაღალმთიან უფრო მკაცრ კლიმატურ პირობებს, განვითარებულია უმთავრესად წალკისა და დმანისის რაიონებში; ასე, მაგალითად, გაზაფხულის ხორბალი და ქერი წალკის რაიონში მარცვლეული ნათესების—82%-ს შეადგენდა (1953 წ.).

ქვემო ქართლის მარცვლეულ მეურნეობაში ცალკეულ რაიონთა ხვედრითი წონა მარცვლეულის საერთო პროდუქციაში ნაჩვენებია დიაგრამაზე (1953 წ.).

მარცვლეული კულტურების განლაგების ანალიზი ნათელყოფს მათი გავრცელების ზონალობას ქვემო ქართლში. დაბალი ზონები იძლევა სამშემოდგომო ხორბლისა და სიმინდის ძირითად ნაწილს, ხოლო მაღალი ზონები გაზაფხულის ხორბლისა და ქერის მთელ რაოდენობას.



დიაგრამა 5

მნიშვნელოვან მარცვლეულ კულტურას ქვემო ქართლში წარმოადგენს სიმინდი, თუმცა ამ კულტურას ბოლო დრომდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წ. იანვრის პლენუმმა და სკკპ XX ყრილობამ საეკონომიკური სამართლიანად გამაზავილა ყურადღება სიმინდის მნიშვნელობაზე და მისი მძაფრი განვითარების აუცილებლობაზე.

ქვემო ქართლის დაბლობ ზონაში მორწყვისა და სათანადო მოვლის პირობებში შესაძლებელია დაბაზებული (რძისებურ-ცვლისებრი სიმინდის) სიმინდის ორი მოსავლის მიღება, ან ნაწვერაზე სიმინდის თესვით სასილოსე მასის მიღება, რაც მნიშვნელოვნად გააძვირებს პირუტყვის საკვების რესურსებს.

ქვემო ქართლის პირობებში, მარცვლეულის მეურნეობის გაფართოება უმთავრესად მოსავლიანობის ზრდის ანგარიშზეა შესაძლებელი, ეს კი მოითხოვს უპირველეს ყოვლისა მორწყვის საკითხის გადაჭრას და აგროტექნიკის გაუმჯობესებას.

საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, კოლმეურნეობებში დამთავრდეს დაწყებული მუშაობა ნათეს ბალახიან თესლბრუნვათა შემოსაღებად; ფართოდ დაინერგოს თესვის მოწინავე მეთოდები; ამოღდეს მექანიზაციის დონე, განსაკუთრებით, მთის წინებისა და მთაგორიანი რელიეფის ზონებში.

ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უნდა ჩატარდეს დაწყებული აგროტექნიკურ ვადებში, რომელნიც ქვემო ქართლის რაიონთა განსხვავებულ ბუნებრივ პირობებთან შეფარდებით მკვეთრად დიფერენცირებულ უნდა იქნენ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მეთესლეობის საქმეს, უფრო მაღალ-მოსავლიანი ხორბლის ჯიშების დანერგვა-გავრცელებას და სიმინდის ჰიბრიდული თესლით თესვას.

საჭირო იქნება აგრეთვე უფრო დიდი დოზებით მინერალური სასუქების გამოყენება. ყველა ამ ღონისძიებათა გეგმაზომიერი გატარება უზრუნველყოფს ქვემო ქართლში ხორბლის, სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურების საერთო მოსავლის მკვეთრ ზრდას.

**ტექნიკური კულტურები** — ქვემო ქართლში წარმოდგენილია თამბაქოს, მზესუმზირას და ეთერზეთოვანი კულტურების ნათესებით.

საქართველოში მარცვლეულ კულტურათა ფართობების გადამეტებით გაზრდის არასწორი პრაქტიკის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა 1950 — 53 წწ. ქვემო ქართლში, ისე როგორც სხვა რაიონებში ტექნიკურ კულტურათა ფართობი მკვეთრად შემცირდა ომამდელ დონესთან შედარებით; 1953 წ. მათი ნათესები 2065 ჰექტარს შეადგენდა, ნაცვლად 4873 ჰექტარისა 1940 წელს.

ტექნიკურ კულტურათა ფართობების (უმთავრესად თამბაქო და ეთერზეთოვანები) გადიდება და მოსავლიანობის ზრდა ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

**კარტოფილის მეურნეობა და მებოსტნეობა** — მებოსტნეობა ქვემო ქართლის განვითარებული სასოფლო-სამეურნეო დარგებია; სამრეწველო ცენტრების (თბილისი, რუსთავი) საგარეუბნო ხასიათის სურსათით მომარაგების საქმეში ეს დარგები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ამ დარგების განვითარება გამოხატავს მსხვილი ქალაქების გარშემო საგარეუბნო მეურნეობის ზონათა შექმნის აუცილებლობას და ამის გამო თბილისის გარშემო მოთავსებულ რაიონთა ამ მიმართულებით სპეციალიზაციას.

კარტოფილის და ბოსტნეულ-ბალჩიულ კულტურათა ფართობების დინამიკა შემდეგი მონაცემებიდან ჩანს:

	კარტოფილი ჰექტ.	ბოსტნეული და ბალჩიული ჰექტ.
1923 წ.	838	289
1940 წ.	6910	2910
1950 წ.	9064	2974
1954 წ.	10491	3074

ტექნიკური კულტურებისაგან განსხვავებით, ამ დარგებში კოლმეურნეობათა ხვედრითი წილი ნაკლებია და როგორც კარტოფილის, ისე ბოსტნეულ-ბალჩიულის ნათესებში 75-80%-ს უდრის.

რესპუბლიკის ბოსტნეულ-ბალჩიულის ნათესებში ქვემო ქართლის ფართობს 15%-ზე მეტი უკავია, ხოლო კარტოფილის ნათესებში—40 პროცენტამდე; აქედან გასაგები ხდება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვემო ქართლის დასახელებულ დარგებს საერთო რესპუბლიკურ წარმოებაში.

კარტოფილის მოსავლიანობა წალკა—დმანისი—თეთრი წყაროს რაიონებში არ არის მყარი, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ნათესების უდიდესი რაოდენობა ურწყავ ფართობებზეა მოთავსებული და ნაკლებნალექიან წლებში ისინი კარგ მოსავალს არ იძლევიან.

ბოსტნეულის ძირითადი მწარმოებელი—დაბლობი რაიონებია. ბოსტნეული ნათესების 64% და ბალჩიულის—65% გარდაბნისა და მარნეულის რაიონებზე მოდის.

ბოსტნეულ-ბალჩეულის ნათესები განლაგებულია სარწყავ მიწებზე, ვინაიდან სისტემატური რწყვის გარეშე ამ რაიონებში მოსავლის მიღება შეუძლებელია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის რიგ დადგენილებებში, XX პარტყრილობის დირექტივებში აღინიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მოსახლეობის მომარაგებისათვის კარტოფილსა და ბოსტნეულს და დასახულ იქნა ღონისძიებანი ამ დარგების აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ამ დადგენილებათა შესაბამისად ქვემო ქართლში უნდა განხორციელდეს შემდეგი:

1. წალკის რაიონში საეცებით შესაძლებელია კარტოფილის ნათესების გაორკეცება და მარცვლეული კულტურების ერთგვარი შეზღუდვის ანგაროშზე მისი ფართობის 7-8 ათას ჰექტარამდე აყვანა. კარტოფილის ნათესთა ერთგვარი გაფართოება შესაძლოა დმანისის და თეთრი წყაროს რაიონებშიც.

2. კარტოფილი შრომატევადი კულტურაა (1 ჰექტარზე იხარჯება 150—200 შრ/დღე), ამიტომ ფართობთა გადიდებას თან უნდა სდევდეს სამუშაოთა მექანიზაცია, სადაც რელიეფის პირობები ამის საშუალებას იძლევა.

3. უნდა გაფართოვდეს ბოსტნეულის ნათესები, განსაკუთრებით მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში, და მექანიზაციის საკითხებთან ერთად უმთავრესი ყურადღება კულტურათა მოსავლიანობის ზრდას მიექცეს (ჩითილის გამოყვანა ნემომპალა ქოთნებში, სასუქების გამოყენება, მორწყვის საკითხი და სხვ.).

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარების პერსპექტიული დაგეგმვა უნდა მიიმართოს იქითკენ, რომ მისი რაიონები გახდნენ ქ. თბილისისა და რუსთავის მზარდი მოსახლეობისათვის საგარეუბნო პროდუქტების (ბოსტნეულ-ბალჩეული, კარტოფილი, რძის პროდუქტები და სხვა) ძირითადი მიმწოდებელი. ეს ქვემო ქართლის რაიონების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამეურნეო ამოცანა არის.

მ რ ა ვ ა ლ წ ლ ი ა ნ კ უ ლ ტ უ რ ე ბ ს ქვემო ქართლში თუმცა ისეთი დიდი ადგილი არ უკავიათ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, როგორც საქართველოს დანარჩენ რაიონებში, მაგრამ ისინი მაინც ზოგიერთ რაიონში საკმაო როლს თამაშობენ.

ვენახებისა და ხეხილის ბაღების ფართობთა დინამიკა ხუთწლოდების მანძილზე შემდეგ სურათს იძლევა:

	ვენახი ჰექტ.	ბაღები ჰექტ.
1937 წ.	2352,6	1294
1940 წ.	2989,6	2590
1947 წ.	2273,7	3024
1953 წ.	3592,0	4538

ბაღების ფართობები ბევრად უფრო ინტენსიურად იზრდება, ვიდრე ვენახების; უკანასკნელზე უარყოფითი გავლენა იქონია სამამულო ომის პირობებმა.

ვენახების გავრცელების ძირითადი ზონაა ბოლნისისა და მარნეულის რაიონები, რომელზედაც მოდის საერთო ფართობის 80%-მდე; მხოლოდ ბოლნისის რაიონზე მოდის 1439,3 ჰექტ. ვენახი, ანუ საერთო ფართობის 55,5%.



წალკის რაიონში კლიმატური პირობების გამო ვენახი სრულიად არ არის. ვენახების საერთო ფართობში სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა— 76,5%-ს აღწევს.

მეხილეობაში ფართობების სიდიდით გამოიყოფა თეთრი წყაროს რაიონი (1435 ჰექტ.), შემდეგ მარნეულ-გარდაბნის რაიონები (1537 ჰექტ.) და ბოლნისის რაიონი (766.7 ჰექტ.); ბაღები საკმაოდ გავრცელებულია დმანისის რაიონშიც (617 5 ჰექტ.) და მცირე რაოდენობით წალკის რაიონში (181,5 ჰექტ.).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ბაღების არასაკმაო მოვლის შედეგად მათი მოსავლიანობა კოლმეურნეობებში დაბალია; განხილული დარგების ეკონომიურ მნიშვნელობას ცალკეული რაიონების მიხედვით გვისურათებს მათი ხვედრითი წონა საკოლმეურნეო წარმოების სასაქონლო პროდუქციაში, რაც 1953 წ. გარდაბან-მარნეულის რაიონებში—6%-ს უდრიდა, თეთრი წყაროს რაიონში—8,4%-ს, დმანისის და წალკის რაიონებში—0,3—0,4%-ს და ბოლნისის რაიონში—41,%-ს.

შემდეგ წლებში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ვენახებისა და ბაღების ვაფართობებს, ახალ ათვისებულ სარწყავ ფართობებზე. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის კოლმეურნეობათა შემოსავლიანობას. თავისი კლიმატური და ნიადაგობრივი მახვენებლებით ქვემო ქართლის დიდი ნაწილი შეიძლება გახდეს მევენახეობა-მეხილეობის განვითარებულ ზონად.

მ ე ც ხ ვ ე ლ ე ო ბ ა ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელსაც აქ დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

მეცხოველეობის განვითარებას ქვემო ქართლის რაიონებში ხელს უწყობს ბუნებრივი საკვები რესურსების ფონდი, წარმოდგენილი როგორც საზამთრო საძოვრებით გარდაბან-მარნეულის რაიონებში, ისე საზაფხულო სუბალპური ტიპის საძოვრებით და სათიბებით დმანის-წალკის რაიონებში.

საძოვარ-სათიბების საერთო ფონდი 213 ათას ჰექტარს უდრის, აქედან საზამთრო საძოვრები მხოლოდ 48,8 ათას ჰექტარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ საძოვრების უმეტესი ნაწილი პირუტყვით გადატვირთვისა და მათი მოვლა-გაუმჯობესების ღონისძიებათა გაუტარებლობის გამო, მცირე პროდუქტიული არიან, განსაკუთრებით ეს ეხება საზამთრო და სოფლისპირა საძოვრებს.


მეცხოველეობა ქვემო ქართლში წარმოდგენილია ყველა სახის პირუტყვით, მაგრამ უმთავრესად განვითარებულია მსხვილფეხა რქიანი მესაქონლეობა და მეცხვარეობა. ქვემოთ მოყვანილია მონაცემები პირუტყვის სულადობის დინამიკის შესახებ ქვემო ქართლში:

	პირუტყვის სულადობა ათას სულობით (ყველა კატეგორია)			1953 წ. პროცენტობით
	1940 წ.	1950 წ.	1953 წ.	1940 წ. მიმართ
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი . . . . .	139,1	127,0	114,7	82,5
მ. შ. მროზა . . . . .	49,1	34,0	32,2	65,6
ცხვარი და თხა . . . . .	273,1	350,4	403,1	147,6
ლორი . . . . .	27,0	25,5	26,7	135,9
ცხენი . . . . .	20,8	13,1	15,6	75,0

როგორც ხედავთ, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის და ცხენის სულადობა 1950—1953 წწ. ომამდელ ღონესთან შედარებით შემცირდა, რაც გამოწვეული

ქვემო ქართლის რაიონებში მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობის  
გავრცელების ინტენსივობა







(1953 წ.)



კარტოგრაფია № 6

პირობითი ნიშნები:

ზონის ხედრითი წონა პირუცყვის საერთო  
სულადობაში

მსხვილფეხა	წვრილფეხა
 29,0 %	 25,7 %
 30,2 "	 29,7 "
 40,8 "	 44,6 "

იყო იმ მიზეზებით, რომლებიც აღნიშნულიქნა ცენტრალური კომიტეტის 1953 წ. სექტემბრის პლენუმის მიერ; ეს მდგომარეობა აიხსნება პირველ რიგში, საკვები ბაზისადმი უყურადღებობით, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა არასაკმაო მატერიალური დაინტერესებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაუარესდა რქიანი პირუტყვის ჯოგის სტრუქტურა, მისი პროდუქტიული ნაწილის შემცირების გამო. 1953 წ. ძროხათა ხვედრითი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგში 28%-ს შეადგენდა ნაცვლად 35%-ისა 1940 წ.

წვრილფეხა რქიანი საქონლის და ღორის სულადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც 1950 წ., ისე ომამდელი დონის მიმართ. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობა, პირუტყვის ყველა სახეობათა მიხედვით, მკვეთრად გაიზარდა.

პირუტყვის სულადობის რაიონთა შორის განაწილებაში ორი ტენდენცია შეიძლება აღვნიშნოთ: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ქვემო ქართლის ვაკიდან ზეგნისაკენ იზრდება, ხოლო წვრილფეხა პირუტყვი ამავე მიმართულებით პირიქით მცირდება (კარტლიაგრამა ნ), რაც უმთავრესად დაკავშირებულია საზამთრო და საზაფხულო საძოვართა განლაგებასთან.

მეცხოველეობის განვითარების დონის დასახასიათებლად პირუტყვის მხოლოდ აბსოლუტური სულადობა საკმარისი მაჩვენებელი არ არის.

მეცხოველეობის განვითარების ინტენსივობის მკაფიო გამომხატველია პირუტყვის რაოდენობა სახნავ და სათიბ-საძოვარი ფონდების მიმართ, ანუ მეცხოველეობის სიმჭიდროვე. ამ მხრივ ქვემო ქართლის რაიონები ჩამორჩება რესპუბლიკას, მთლიანად და მით უფრო მის დასავლეთ ნაწილს.

1953 წ. მსხვილფეხა პირუტყვი საშუალოდ 100 ჰექტ. სახნავ-საძოვრებზე რესპუბლიკაში 42 თავს შეადგენდა, მათ შორის ძროხა 13 თავს, ქვემო ქართლში კი შესაბამისად 30 თავი მსხვილფეხა და 9 თავი ძროხა.

მსხვილფეხა პირუტყვის განვითარების ნაკლები ინტენსივობა ნაწილობრივ კომპენსირებულია მეცხვარეობის უფრო დიდი სიმჭიდროვით, მაგრამ მაინც მთელი პირუტყვის სულადობა რომ გადავიყვანოთ პირობით მსხვილფეხა საქონელზე ქვემო ქართლში 100 ჰექტარ სახნავსა და სათიბ-საძოვრებზე მოდის — 46 თავი, საქართველოში კი საშუალოდ — 50,7 თავი.

მეორე გარემოება, რომელიც იქცევის ყურადღებას, ის არის, რომ ქვემო ქართლის ვაკიდან წალკა-დმანისის ზეგნისაკენ პირუტყვის ყველა სახის სიმჭიდროვე მცირდება და მეცხოველეობით უფრო მეტად დატვირთული რაიონებია — ბოლნისის, მარნეულის და გარდაბნის რაიონები.

ეს უმთავრესად აიხსნება დაბლობ რაიონებში მეცხვარეობის უფრო ინტენსიური განვითარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის რაიონებში ძროხების წველადობა ბევრად სჭარბობს რესპუბლიკაში არსებულ საშუალო წველადობას (მთლიანად — 77%-ით), მაინც ის ჯერ კიდევ საკმაოდ დაშორებულია იმ ნორმებისაგან, რომელიც ახასიათებს რაციონალურად ორგანიზებულ პროდუქტიულ მეცხოველეობას.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარება ქვემო ქართლში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, უნდა წარმოებდეს სკკპ XX ყრბობის მიერ დასახულ დონისძიებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარების საფუძველზე.



ქვემო ქართლის მეცხოველეობა უნდა გადაყვანილ იქნეს განვითარების ინტენსიურ ფორმებზე, დაინერგოს სარძეო-სახორცე და ქალაქებთან უფრო ახლო რაიონებში სარძეო მიმართულების ინტენსიური დარგები.

ცხვრის სულადობა, რომლითაც ამჟამად აღნიშნული რაიონი ზედმეტად გადატვირთულია, უნდა შემცირდეს და დაყვანილ იქნეს საკვები ბაზის (საზამთრო საძოვრები) შესაძლებლობათა ფარგლებამდე.

ძროხათა საშუალო-წლიური წველადობა უნდა აყვანილ იქნეს: მარნეულ-გარდაბნის რაიონებში 1200—1300 ლიტრამდე, ბოლნისის და თეთრი წყარო-წალკის რ-ში 1500 ლიტრამდე, დმანისის რაიონში 1800—2000 ლიტრამდე. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდა უნდა წარმოებდეს შემდეგი ღონისძიებათა გატარების შედეგად:

1. გაუმჯობესდეს ჯოგის ჯიშანობა მეტიზაციის გატარებით, მაღლობ ზონებში უმთავრესად შვიცის ჯიშის და სიმენტალის, ხოლო დაბლობ ზონებში — ველის წითელი ჯიშის ფართო დანერგვით.

2. რეკონსტრუირებულ იქნეს პირუტყვის შენახვის სისტემა. მარნეულ-გარდაბნის და ნაწილობრივ თეთრიწყარო-ბოლნისის რაიონებში პირუტყვი უნდა გადაყვანილ იქნეს ბაგურ-ბანაკური შენახვის სისტემაზე.

წალკა-დმანისის რაიონები და თეთრი წყარო-ბოლნისის შემადლებულ ზონებში საჭიროა დატოვებულ იქნეს ბაგურ-საძოვრული შენახვის სისტემა, მხოლოდ რასაკვირველია მის კულტურულ ფორმებში.

3. გაფართოვდეს საკვები ბაზა-მემინდვრობაში თესლბრუნვათა შემოღებით, სარწყავ ადგილებში ნაწვერალ კულტურათა ფართოდ დანერგვით: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდს, რომლის ორი მოსავლის აღება შეიძლება ვაკე ადგილებში.

4. პირუტყვის მოვლის გაუმჯობესების მიზნით მისი პროდუქტიული ნაწილი სავსებით გადაყვანილ იქნეს კულტურულად მოწყობილ სადგომებში, საკმლის დამზადების, მოვლისა და რძის წველის პროცესების მაქსიმალური მექანიზაციით.

მეცხვარეობაში შენახვის ფორმა უნდა დარჩეს მომთაბარე, მხოლოდ კულტურული საძოვრული სისტემის დანერგვით; მეცხვარეობის განვითარების ძირითადი მიმართულება—ნახევრად ნაზმატყლიანი, სახორცე-სამატყლე უნდა იქნეს.

მკვეთრად უნდა განვითარდეს სტაციონალური ტიპის, სახორცე მიმართულების მედორეობა, უმთავრესად დაბლობ ზონაში (მსხვილი თეთრი ჯიშის); საკვებად გამოყენებულ იქნეს ფერმისპირა ნათესები, ძირნაყოფები, სილოსი და სხვა.

მეფრინველეობა უნდა განვითარდეს ძირითადად მექათმეობის საერთო გამორგების ჯიშების გავრცელების ანგარიშზე (ავსტრალიორპი, ნუქემპირის ჯიშები); ქალაქებთან უფრო ახლო—განვითარდეს კვერცხმდებელი ჯიშები (ლეგჰორნი, თეთრი რუსული ჯიშები).

### გ. მექანიზაცია და წყალთა მეურნეობა

მექანიზაცია ქვემო ქართლის სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.


ქვემო ქართლის ზოგ რაიონში რელიეფის პირობები არ იძლევა საშუალებას რათა სრული დატვირთვით იქნეს გამოყენებული მექანიზმები. მთაგორიან და მთიან რაიონებში მექანიზაციის შესაძლებლობანი უფრო შეზღუდულია, ვიდრე ვაკე ადგილებიან რაიონებში.

მექანიზაციის დონის სხვაობანი სამუშაოთა სახეობის და რაიონთა მიხედვით მკაფიოდ მოჩანს მოყვანილი მონაცემებიდან (1953 წ.).

მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოთა ხედრითი წონა სამუშაოთა საერთო მოცულობაში (პროცენტობით)

	ხენა	თესვა	თავთავიან კულტურათა მოსავლის აღება
გარდაბან-მარნეულის რაიონი . . . . .	97,7	89,5	95,9
ბოლნის-თეთრი წყაროს რაიონი . . . . .	87,2	59,1	61,1
წალკა-დმანისის რაიონი . . . . .	80,0	39,1	46,0
საშუალოდ . . . . .	88,0	60,2	65,5

აქედან ნათელი ხდება, რომ მექანიზაციის დონე მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვემო ქართლში არსებული ჰიდრომეტრიული ზონების სხვაობასთან; მექანიზაცია უფრო ფართოდ არის გამოყენებული გარდაბან-მარნეულის ვაკის ზონაში და ზეგანისაკენ მისი დონე კლებულობს (დიაგრამა 7).



დიაგრამა 7

ასეთივე სურათი გვაქვს მანქანათა დატვირთვისა და სამუშაოთა თვითღირებულების მხრივ, დაბლობიდან ზეგანისაკენ თვითღირებულება მატულობს და მანქანათა დატვირთვა კლებულობს.

ქვემო ქართლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობა იქითკენ უნდა იქნეს წარმართული, რომ უფრო სრულად, უფრო კომპლექსურად იქნეს ჩატარებული ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია.

კლიმატური პირობები, სახელდობრ, ნალექთა მცირე რაოდენობა და მაღალი თერმული რეჟიმი, რასაც ადგილი აქვს ქვემო ქართლის უმთავრესად დაბლობ ზონაში, აუცილებელს ხდის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მორწყვას.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა სარწყავი სისტემების გაფართოება-გაუმჯობესებას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აშენდა სამგორის მძლავრი ირიგაციული სისტემა, რომელიც ნაწილობრივ ქვემო ქართლის მიწებსაც რწყავს (გარდაბნის რაიონში), რეკონსტრუირებულ იქნა გარდაბნის (ყოფილი მარიის) სარწყავი სისტემა, გაყვანილ იქნა რიგი არხები მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში. 1953 წ. ქვემო ქართლის რაიონებს ემსახურებოდა ორი საინჟინრო სარწყავი სისტემა (საძვორის და გარდაბნის), ორი ნახევრად საინჟინრო სისტემა (ზრამის—ძარნეულის და ბოლნისის რ-ში) და დიდი რაოდენობის პრიმიტიული სარწყავი არხები; არხების საერთო სიგრძე—614,5 კმ უდრიდა, ხოლო მორწყული მიწების ფართობი—53,5 ჰექტარს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლში წყალთა მეურნეობა საკმაოდ განვითარებულია, ის მაინც არ აკმაყოფილებს მისი რაიონების მძაფრ მოთხოვნილებას წყალზე და მრავალი ნოყიერ-ნიადაგიანი ფართობი მოურწყველობის გამო ან მცირე მოსავალს იძლევა, ან სავსებით გამოუყენებელი რჩება.

მორწყვის უფრო სრული გამოყენება მნიშვნელოვნად აამაღლებს ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის დონეს.

თანახმად არსებული პერსპექტიული მონაცემებისა უახლოეს წლებში ამ მიმართულებით გატარებული იქნება რიგი ღონისძიება.

### დ. შრომის ნაყოფიერების საკითხი

საკლამეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა სამეურნეო წარმატებისა და კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა შრომის ნაყოფიერების საკითხს. „შრომის ნაყოფიერების გადიდება, — წერდა ლენინი—, შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რადგან უამისოდ კომუნისმზე საბოლოოდ გადასვლა შეუძლებელია“ [3, გვ. 119].

სკკპ XX ყრილობის მიერ შრომის ნაყოფიერების სწრაფი გადიდება მიჩნეულია წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გადამწყვეტ პირობად. ყრილობამ მეექვსე ხუთწლეულისათვის დასვა ამოცანა:

„..... მიღწეულ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომისა და მატერიალური სახსრების ხარჯვის მკვეთრი შემცირება...“ [9].

სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ძირითადი ფაქტორია: სამუშაოთა მექანიზაციის დონე, კულტურათა მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.



საკვლევ ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერეიონში ჩვენ გვინტერესებს შრომის ნაყოფიერების შიდა-რაიონულ სხვაობათა გამოვლინება და შეძლებისდაგვარად ამ სხვაობათა გამომწვევი მიზეზების დადგენა.

განვიხილოთ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი დარგების მიხედვით.

შრომის ნაყოფიერება მემცენარეობაში განისაზღვრება შრომის დანახარჯებით ერთ ჰექტარ სხვადასხვა კულტურათა ნათესებზე და მიღებული მოსავლით იმავე ფართობზე. შრომის ფაქტიური დანახარჯები ნათესის ერთ ჰექტარზე<sup>1</sup> სხვადასხვა რაიონში მრავალი ფაქტორებით განისაზღვრება, ამათგან მთავარია მექანიზაციის დონე და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სხვაობანი. მოსავლიანობაც თავის მხრივ გაპირობებულია რიგი წინამძღვრებით, რომელთა შორის ბუნებრივ ფაქტორებს გარკვეული ადგილი უკავიათ (კლიმატი და ნიადაგები).

ყველა ამ ფაქტორთა მოქმედების შედეგად ქვემო ქართლის რაიონებში მემცენარეობის ცალკეულ დარგებში შრომის ნაყოფიერების შემდეგი სურათი გვექონდა (1953 წ.):

	მემარცვლეობა		მებოსტნეობა მებაღეობა		მებაღეობა-მევენახეობა		მეკარტოფილეობა	
	დაბარჯულია შრომა დღე 1 ჰექტარზე	მიღებულია მოლიანი პროდუქცია 1 შრ. დღეზე მანეთებში	დაბარჯულია შრომა დღე 1 ჰექტარზე	მიღებულია მოლიანი პროდუქცია 1 შრ. დღეზე მანეთებში	დაბარჯულია შრომა დღე 1 ჰექტარზე	მიღებულია მოლიანი პროდუქცია 1 შრ. დღეზე მანეთებში	დაბარჯულია შრომა დღე 1 ჰექტარზე	მიღებულია მოლიანი პროდუქცია 1 შრ. დღეზე მანეთებში
გარდაბნის . . . . .	38,3	38—36	230,6	8—38	140,0	24—49	158,0	10—84
მარნეულის . . . . .	29,4	60—20	242,5	17—37	208,0	37—79	152,7	13—10
ბოლნისის . . . . .	40,4	32—19	262,6	8—22	243,0	36—69	120,6	8—89
თეთრი წყაროს . . . . .	35,6	26—19	427,1	6—79	271,0	10—00	125,3	7—84
დმანისის . . . . .	36,0	29—77	294,5	9—48	119,0	1—84	109,4	17—44
წალკის . . . . .	35,1	25—66	186,5	14—93	109,0	7—50	187,7	13—57

აღნიშნული მონაცემები გვიდასტურებენ მემცენარეობის ძირითად დარგებში რაიონთა შორის შრომის ნაყოფიერების დიდ სხვაობას. მარნეულის რაიონს უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება ახასიათებს. ყველა ნაჩვენებ დარგში, გარდა მეკარტოფილეობისა, მარნეულის რაიონში ერთ დახარჯულ შრომადღეზე მიღებულია უფრო მეტი ღირებულების პროდუქცია, რაც დაკავშირებულია მექანიზაციის უფრო მაღალ დონესთან და, რაც მთავარია, კულტურათა უფრო დიდ მოსავლიანობასთან.

ამ მხრივ, ქვემო ქართლის რაიონებში ცალკეულ კულტურათა მიხედვით საკმაო განსხვავებები არსებობს, რაც 1953 წ. მონაცემებიდან ჩანს (უმალღესი მოსავლიანობა 1 ჰექტარზე მიღებულია 100%, დანარჩენი მასთან შეფარდებით):

<sup>1</sup> შრომის დანახარჯთა აღრიცხვის სახომად კაცდღე უნდა იქნეს მიჩნეული, მაგრამ ჩვენ ასეთ ერთფულად იძულებული ვართ მივიღოთ შრომადღე, ვინაიდან საკოლმეურნეო ანგარიშები მთლიანად მას ემყარება და კაცდღეების აღრიცხვა კოლმეურნეობებში არ წარმოებს.

ქვემო ქართლის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება

მოსავლიანობა პროცენტობით უმაღლესი მაჩვენებლის მქონე რაიონის მიმართ

	მარცვლეული კულტურები	ბოსტნეულ- ბალახეული	ვენახი	კარტოფილი
მარნეულის რ-ნი . . . . .	100,0	86,4	100,0	78,5
გარდაბნის რ-ნი . . . . .	80,9	42,9	34,9	67,4
ბოლნისის რ-ნი . . . . .	74,3	48,1	73,0	49,4
თეთრი წყაროს რ-ნი . . . . .	52,0	10,6	28,6	38,6
დმანისის რ-ნი . . . . .	66,9	64,9	17,5	74,9
წალკის რ-ნი . . . . .	54,1	100,0	—	100,0

მოსავლიანობას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერებისათვის. იქ სადაც მოსავლიანობა უფრო მაღალია ცხადია შრომის დანახარჯის ერთეულზე მეტ პროდუქტს ვიღებთ, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალია.

შრომის ნაყოფიერებაზე მოსავლიანობასთან ერთად, როგორც იყო მითითებული, მოქმედებს შრომის დანახარჯთა საერთო ჯამი ერთ ჰექტარ ნათესზე, ეს მომენტი ზოგჯერ არღვევს იმ ძირითად დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს მოსავლიანობისა და შრომის ნაყოფიერების დონეთა შორის.

მეცხოველეობაში შრომის ნაყოფიერების სხვაობანი ქვემო ქართლის რაიონებში შემდეგ სურათს იძლევა:

მიღებულია კოლმეურნეობებში მთლიანი პროდუქცია ერთ შრომადღეზე, მანეთებში

	მსხვილფეხა რქიანი მესა- კონლეობი- საგან	მეცხვარეობი-	მეღორეობი-	მეფრინველე-	სულ მეცხო- ველეობისაგან
		საგან	საგან	ობისაგან	
გარდაბნის . . . . .	19—15	19—81	59—80	9—66	19—22
მარნეულის . . . . .	19—65	22—00	44—08	6—21	20—11
ბოლნისის . . . . .	18—49	15—78	60—61	8—08	17—61
თეთრი წყაროს . . . . .	19—02	14—03	45—19	11—40	18—22
დმანისის . . . . .	25—53	18—10	32—76	5—79	22—72
წალკის . . . . .	21—72	18—49	29—27	6—43	20—35
საშუალოდ . . . . .	21—04	18—27	43—37	7—89	19—76

მიუხედავად ცალკეულ დარგებში არსებული გადახრებისა, მეცხოველეობაში პირველი ადგილი შრომის საშუალო ნაყოფიერების მხრივ დმანისის რაიონს უკავია, უკანასკნელი ბოლნისის რაიონს, რომელიც მკვეთრად ჩამორჩება მსხვილფეხა რქიან მესაქონლეობაში და მეცხვარეობაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეცხოველეობის სხვადასხვა დარგებს შრომის ნაყოფიერების მკვეთრი სხვაობანი ახასიათებს.

ისე როგორც მემცენარეობაში შრომის ნაყოფიერების დონეს ძირითადად მოსავლიანობა განსაზღვრავს, მეცხოველეობაში გადამწყვეტია პირუტყვის პროდუქტიულობა—ძროხათა წველადობა, მატყლის გამოსავალი, კვერცხმდებლობა და ხორცის გამოსავალი.


თუ შევაჯამებთ მემცენარეობისა და მეცხოველეობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებლებს მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში საშუალოდ ერთ შრომადღეზე გამომუშავებულ პროდუქციას. მაგრამ, შრომის ერთეულზე (შრომადღეზე) გამომუშავებული პროდუქცია არ არის ერთად-ერთი

განმსაზღვრელი საბოლოო შედეგისა, ანუ ერთ კოლმეურნის შრომის ნაყოფიერების დონისა სამეურნეო წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში გავლენას ახდენს კოლწევრთა მიერ წლის განმავლობაში დახარჯული შრომის საერთო ჯამი, რაც გამოიხატება წლის განმავლობაში გამოიმუშავებულ შრომადღეთა რაოდენობით.

ქვემო ქართლის რაიონებში წლის განმავლობაში შრომადღეების გამოიმუშავების მხრივ საკმაო რყევადობასთან გვაქვს საქმე; ეს მნიშვნელოვნად ცვლის შრომის ნაყოფიერების საბოლოო სურათს, რაც შემდეგი მონაცემებიდან ჩანს (1953 წ.):

	მიღებულია კოლმეურნეობებში ერთ შრომადღეზე მთლიანი პროდუქცია (მან. კაპ.)	გამომუშავებულია შრომადღე საშუალოდ წლის განმავლობაში 1 შრომისუნარიან კოლმეურნეზე	1 შრომისუნარიან კოლმეურნეზე წლის განმავლობაში გამოიმუშავებული მთლიანი პროდუქცია პროცენტობით (მარნეულის რაიონი = 100 %)
მარნეულის . . . . .	31—40	220	100,0
გარდაბნის . . . . .	24—34	239	82,3
თეთრი წყაროს . . . . .	21—56	220	67,6
ბოლნისის . . . . .	26—21	196	65,2
წალკის . . . . .	19—71	224	62,1
დმანისის . . . . .	25—09	196	57,6

ქვემო ქართლის რაიონებში 1952 წ. ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე მთლიანი პროდუქციის გამოიმუშავების თანაშეფარდება პროცენტობით (დმანისის რაიონი 100%)



დიაგრამა 8

ამგვარად, შრომის ნაყოფიერების ყველაზე მაღალი დონე მარნეულის რაიონს ეკუთვნის. დანარჩენ რაიონებში წლის განმავლობაში გამოიმუშავებულ შრომადღეთა სხვადასხვა რაოდენობა აპირობებს ერთ შრომადღეზე არსებულ შრომის ნაყოფიერების თანამიმდევრობის გადანაცვლებას. ბოლნისის რაიონს

რომელსაც 1 შრომადღეზე მიღებული პროდუქციის მიხედვით მეორე ადგილი უკავია, კოლმეურნეზე საშუალოდ მიღებული წლიური პროდუქციის მოცულობით მეოთხე ადგილზე მოხვდა; დმანისის რაიონი რომელსაც მესამე ადგილი უკავია, უკანასკნელ ადგილზე გადავიდა; გარდაბნის რაიონი პირიქით მეოთხე ადგილიდან მეორეზე წამოიწია და ასე სხვა.

მასასადამე საბოლოო ჯამში შრომის ნაყოფიერების საკითხს წყვეტს არა მხოლოდ შრომის დანახარჯის ერთეულზე მიღებული შედეგი, არამედ წლის განმავლობაში კოლმეურნეთა შრომის რესურსების საერთო გამოყენების ორგანიზაცია, ანუ შრომის რა რაოდენობას ხარჯავს თითოეული კოლმეურნე საზოგადოებრივ მეურნეობაში.

კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში 1 კოლმეურნეზე წლის განმავლობაში გამოიმუშავებული პროდუქცია ქვემო ქართლში რომ შევადაროთ საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს, ეს უკანასკნელი თითქმის 5% სჭარბობს ქვემო ქართლს, რაც სავსებით დაკავშირებულია მრავალწლიანი კულტურების უფრო დიდ ხვედრით წონასთან რესპუბლიკაში.

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, რაც საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობის საწინდარია, საჭიროა გეგმაზომიერ ღონისძიებათა გატარება სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გაძლიერების, კულტურათა მოსავლიანობის და პირუტყვის პროდუქტიულობის გაძლიერებისა და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების გზით.

### ე. კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა

ფულად შემოსავალს კოლმეურნეობებში მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, უპირველეს ყოვლისა მთლიანი პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც სასაქონლო ფორმას იღებს. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს ერთნაირი საქონლიანობა არ ახასიათებს. მაგალითად მემარცვლეობის პროდუქციის ძირითადი ნაწილი კოლმეურნეობათა პირადი მოხმარების ფონდად იქცევა (ექლევა შრომადღეების გამოიმუშავებაზე). ფულად შემოსავალზე გარკვეულ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დაწესებული მასტიმულირებელი ფასების შესაბამისად არის უფრო მომგებიანი დარგები და ამიტომ დარგების შეთანაწყობაც მოქმედებს ფულადი შემოსავლის საერთო ჯამზე.

საქონლიანობის უფრო მაღალი დონე ახასიათებს გარდაბან-მარნეულის და ბოლნისის რაიონებს. აქ სასაქონლო პროდუქცია სასოფლო-სამეურნეო მთლიანი პროდუქციის 48—49% შეადგენს, დანარჩენ რაიონებში-კი 30—35%.

აბსოლუტურად ყველაზე დიდი ფულადი შემოსავალი მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებს აქვთ, შემდეგ ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონებს. ამ სამა რაიონმა 1953 წ. ფულადი შემოსავლის 71% მიიღო და დანარჩენმა რაიონებმა—29%. ამ სამი რაიონის დიდი ხვედრითი წონა ფულად შემოსავალში გამოწვეულია იმით, რომ მთლიანი პროდუქციის უმეტეს ნაწილს იგივე სამი რაიონი იძლევა, მაგრამ აღნიშნული ორი მაჩვენებელი უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს სავსებით არ შეესაბამება, რაც შემდეგიდან ჩანს:

	გარდაბნის რ-ნი	მარნეუ- ლის რ-ნი	ბოლნისის რ-ნი	თეთრი წყაროს რ-ნი	ღმანისის რ-ნი	წალკის რ-ნი
რაიონის ხვედრითი წონა, პროცენტობით ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა მთლიან პროდუქციაში	8,3	31,0	14,9	17,3	13,5	15,0
რაიონის ხვედრითი წონა პროცენტობით ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალში	9,6	39,5	17,4	14,0	10,2	9,3

ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ რიგი რაიონებისა, რომელთაც მთლიან პროდუქციაში უფრო დაბალი ხვედრითი წონა აქვთ, მეტი ადგილი უკავიათ ფულად შემოსავალში (გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის) და პირიქით. ეს საესებოთ იმ მიზეზით აიხსნება რომელზედაც ზემოთ იქნა მითითებული, ესე იგი საქონლიანობის სხვადასხვა დონით, შემოსავლიან დარგთა მეტი ხვედრითი წონით და სხვა.

ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავლიდან 1953 წ. 26,5% მიღებულ იქნა მემინდვრობიდან, 9,2% მებოსტნეობიდან, 17,1% მებაღეობა-მევენახეობიდან, 37,5% მეცხოველეობიდან და 9,7% დანარჩენი შემოსავლებიდან.

ცალკეულ რაიონებში ფულადი შემოსავლის სტრუქტურა მნიშვნელოვნად დაცლებულია ამ საშუალო მაჩვენებლებს, რაც თითოეული რაიონის მეურნეობრივ თავისებურებას ამჟღავნებს.

აღსანიშნავია, რომ მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის რაიონებში საკოლმეურნეო წარმოება უფრო მეტად რენტაბელურია ვიდრე თეთრი წყაროს, ღმანისისა და წალკის რაიონებში, ისინი მეტ შემოსავალს იღებენ როგორც მიწის ფართობის ერთეულზე, ისე ერთ შრომისუნარიან კოლწევრზედაც (კარტოგრამა 9).

თეთრი წყაროს, ღმანისისა და წალკის რაიონებში საკოლმეურნეო წარმოების უფრო დაბალი შემოსავლიანობა აიხსნება ამ რაიონებში ინტენსიური დარგების (როგორც არის მეთამბაქოეობა, მებოსტნეობა და მებაღე-მევენახეობა) განუვითარებლობით, აგრეთვე ნაწილობრივ მეცხოველეობის უფრო მცირე რენტაბელობით. საქმე იმაშია, რომ იმ რაიონებში, სადაც სჭარბობს მეცხვარეობა მეცხოველეობიდან შემოსავლიანობაც მეტია. როგორც მეცხოველეობის დარგთა შორის გაანგარიშებანი გვიჩვენებს დღევანდელ პროდუქტიულობის პირობებში, მეცხვარეობა ყველაზე რენტაბელური დარგია.


თუ მსხვილფეხა რქიან მესაქონლეობაში ერთ დახარჯულ შრომადღეზე ქვემო ქართლის რაიონებში მიღებულია 1953 წ. საშუალოდ 10-13 მანეთი შემოსავალი, მელორეობაში 5—13 მან., მეფრინველეობაში 6—11 მან., მეცხვარეობა 12—21 მანეთს იძლეოდა, ანუ ჩამოთვლილ დარგებზე ბევრად უფრო მეტს.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მემინდვრობისა და მებოსტნეობა-მევენახეობის შემოსავლიანობის მხრივ. თუ მემინდვრობაში დახარჯულ 1 შრომადღეზე 1953 წ. მიღებულია ფულადი შემოსავალი ცალკეულ რაიონების მიხედ-



ვით, 1—3 მანეთი<sup>1</sup>, იმავე დროს მებოსტნეობაში მიღებულია 4—29 მანეთამდე და მებაღეობა-მევენახეობაში 6—35 მანეთამდე.

ფულად. შენიშავალი მანეთებში 100 ბუკეტან  
სასაფლაო საბურუნუ უარიაობზე. (1953 წ.)




კარტოგრაფია 9

<sup>1</sup> მარნეულის რაიონის გამოკლებით სადაც მეთამბაქოების განვითარების შედეგად 1 შრ. დღეზე შემინდერეობაში მიღებულია თითქმის—9 მან.

	მთლიანი ფულადი შემოსავალი ერთ შრომისუნარიან კოლმეურზე პროცენტობით (მარნეულის რაიონი 100 = 100%)	ერთი შრომადლის საერთო ანაზღაურება ფულზე გადაყვანით პროცენტობით (მარნეულის რ-ნი = 100%)
მარნეულის რაიონი . . . . .	100,0	100,0
გარდაბნის " . . . . .	79,9	88,4
ბოლნისის " . . . . .	59,9	80,0
თეთრი წყაროს რაიონი . . . . .	49,1	76,9
ღმანისის რაიონი . . . . .	34,0	58,2
წალკის " . . . . .	30,2	65,2

აღნიშნული მონაცემები და დიაგრამა 10 გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმ გაგვენისა რომელსაც ახდენს შრომადლების ნატურით ანაზღაურების სხვადასხვაობა, გადამწყვეტი ფაქტორი შრომადლის საერთო ანაზღაურებისა მაინც მთლიანი ფულადი შემოსავლის მოცულობაა.



დიაგრამა 10

აქედან ცხადი ხდება, რომ შემოსავლიანობის რაიონული სხვაობანი მჭიდროდ არიან დაკავშირებული მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასთან, ინტენსიურ, უფრო საქონლურ და მაღალმომგებიან დარგთა მოცულობასთან, მათ ხვედრით წონასთან მეურნეობაში.

რასაკვირველია ფულადი შემოსავალი არ არის საკოლმეურნეო წარმოების ეფექტურობის ერთადერთი მაჩვენებელი. ფულად შემოსავალთან ერთად კოლმეურნეობები იღებენ დიდი რაოდენობით ნატურალურ პროდუქციას, რომელიც ურიგდება კოლმეურებს შრომადლების გამომუშავების შესაბამისად.

შრომადლებზე გაცემული ნატურალური პროდუქციის რაოდენობა ადიდებს ან ამცირებს საკოლმეურნეო წარმოებაში დახარჯული შრომადლების

ქვ. 59

საერთო ანაზღაურებას, მაგრამ ამ საქმეში კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი მაინც დიდ როლს თამაშობს, შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ გადამწყვეტსაც.

ქვემო ქართლის რაიონებში ფულადი შემოსავლის სხვადასხვა დონისა და შრომადლის საერთო ანაზღაურებას (ფული და ნატურალური გაცემები ფულზე გადაყვანით) შორის შემდეგი შეფარდება არსებობს **№ 1953 წ. (ივ. გვ. 58 ცხრილ. და 1953)**

აქედან გასაგები ხდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიან ფულად შემოსავალს არა მხოლოდ კოლმეურნეობათა საქმიანობისათვის, არამედ შრომადლის ანაზღაურების განსაზღვრისათვისაც.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის რაიონთა შორის შრომადლის ანაზღაურების განსხვავება, როგორც (ნატურალურ ისე ფულად ფორმაში), უნდა ვიფიქროთ ნაწილობრივ დაკავშირებულია დიფერენციალური რენტის არსებობასთან, რაიონებს შორის მიწის ნაყოფიერების სხვადასხვაობასთან და მათი გასაღების პუნქტებისაგან მეტ-ნაკლები სიახლოვეთ განლაგებასთან. როგორც მიწის ნაყოფიერებით, ისე სატრანსპორტო ხარჯების მოცულობით უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფება გარდაბნისა და მარნეულის რაიონები და ნაწილობრივ, ბოლნის-თეთრი წყაროს რაიონები, რაც რასაკვირველია მოქმედებს მათი შემოსავლიანობის დონეზე.

შრომადლის ანაზღაურების ზრდა ქვემო ქართლის რაიონებში უნდა მიღწეულ იქნეს ღონისძიებათა მთელი კომპლექსის სისტემატური გატარებით. ეს არის კულტურათა ფართობებისა და მოსავლიანობის გადიდება; საკოლმეურნეო შრომის ნაყოფიერების გაზრდა, რენტაბელური დარგების განვითარება, შემოსავალთა ყაირათიანი ხარჯვა და მრავალი სხვა.

#### 4. შიდარაიონული მეურნეობრივი სხვაობანი

ქვემო ქართლის მეურნეობის ზოგად დახასიათებაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირითად დარგთა განვითარების ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრულ იქნა მისი მეურნეობრივი სპეციალიზაცია და ის ფუნქციები, რომელსაც ის ასრულებს რესპუბლიკაში, შრომის ტერიტორიალური განაწილების შედეგად.

დადგენილ იქნა, რომ ქვემო ქართლის მეურნეობრივი სპეციალიზაციის გარკვეული სპეციფიური ნიშნები აქვს, რაც საფუძველს იძლევა გამოვყოთ იგი, როგორც ცენტრალური ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონის (თბილისის) ქვერაიონი.

მაგრამ, თუ მოვიხილოთ ქვემო ქართლის ზოგად დახასიათებაში მოცემულ საწარმოო ნიშნების ტერიტორიულ გაადგილებას, მოგვიხდება მისი კიდევ უფრო მკირე ერთეულებად დაყოფა. ასეთი შიდარაიონული მეურნეობრივი სხვაობანი გამოწვეულია იმით, რომ ქვემო ქართლის ტერიტორია ეკონომიური და ბუნებრივი პირობების მიხედვით არაერთგვაროვანია, შინაგანად დიფერენცირებულია, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ეს რაიონი გარკვეულ ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსს წარმოადგენს.

წინა თავებში მოთავსებული მასალებიდან გამოირკვა ის თავისებურებანი, რომელნიც ახასიათებს ქვემო ქართლის დაბლობ ნაწილს (ქვემო ქართლის ვაკეს), მისდამი მიმდებარე მთაგორიან ტერიტორიას და უფრო მაღალ ნაწილს — მოქცეულს ჯავახეთის ზეგანზე.

ბუნებრივი და ეკონომიური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე ქვემო ქართლის ტერიტორია შეგვიძლია სამ ზონად დავყოთ. პირველი ზონა შეიცავს მარნეულის და გარდაბნის ადმინისტრაციულ რაიონებს, მეორე—ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონებს და მესამე წალკა-დმანისის რაიონებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი დაყოფა, დამყარებული ადმინისტრაციული რაიონების საზღვრებზე ერთგვარ პირობითობასთან არის დაკავშირებული.

ბოლნის-თეთრი წყაროს ადმინისტრატიული რაიონები თავის დაბლობ ნაწილში გარდაბან-მარნეულის ზონის ნიშნებს ატარებს, ხოლო მაღალ ზონაში ნაწილობრივ წალკა-დმანისის ნიშნებს; ეს რაიონები თითქმის გარდაშვალ საფუძვლურ წარმოადგენს ქვემო ქართლის ვაკისაგან ჯავახეთის ზეგანისაკენ.

გარდა ამისა თითოეულ რაიონში არის კოლმეურნეობები, რომელნიც მეურნეობრივი მაჩვენებლებით დამახასიათებელია სწორედ ამ ზონისათვის, მაგრამ იმავე დროს არსებობს კოლმეურნეობები, რომლების საწარმოო ტიპი შერეულია.

ამის გამო ქვემო ქართლის უფრო წვრილ ეკონომიურ-გეოგრაფიულ ერთეულებად დანაწევრება ემყარება, რასაკვირველია, ძირითადი გაბატონებული ნიშნების თავმოყრას და მხოლოდ მათი საშუალებით არის შესაძლებელი გამოვეყოთ ქვემო ქართლის ტერიტორიის დასახელებული ნაწილები.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განხილვისას დახასიათებულ იქნა ამ დარგების ტერიტორიული განლაგება და ცალკე რაიონთა ეკონომიკის თავისებური ნიშნები, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თითოეული ზონის ადგილი ქვემო ქართლის საწარმოო კომპლექსში.

გ ა რ და ბ ა ნ - მ ა რ ნ ე უ ლ ი ს ზ ო ნ ა ს ახსიათებს: შავი მეტალურგიის, მარცვლეული მეურნეობის, მომთაბარე მეცხოველეობისა (სახორცე-სამატყლე მიმართულების) და მებოსტნეობა-მებაღეობის განვითარება.

ბ ო ლ ნ ი ს - თ ე თ რ ი წ ყ ა რ ო ს ზ ო ნ ა ს ახსიათებს: სამთო ნედლეული-სა (ბარიტი) და საშენ მასალათა მოპოვებით, მეღვინეობით, მარცვლეული მეურნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის და მეცხოველეობის განვითარებით.

წ ა ლ კ ა - დ მ ა ნ ი ს ი ს ზ ო ნ ა ს ახსიათებს: ყველ-კარაქის წარმოება, სახორცე-სარძეო მეცხოველეობის, მარცვლეული მეურნეობისა და მეკარტოფილეობის განვითარება.

ასეთია სქემატურად ქვემო ქართლის ცალკე ნაწილების საწარმოო სპეციალიზაციის ძირითადი ნიშნები.<sup>1</sup>


დასახელებული ზონების მეურნეობის სპეციალიზაციის საერთო ფონზე შეგვიძლია გამოვეყოთ კიდევ უფრო წვრილი ტერიტორიალური ერთეულები, რაც წარმოდგენილია ცალკე კოლმეურნეობათა მიწათმფლობელობით, და მოვახდინოთ მათი საწარმოო დიფერენციაცია.

ამ შემთხვევაშიც თითოეული კოლმეურნეობის მიმართ უნდა გამოვანახოთ ძირითად დარგთა პროპორციები, მათი შეთანაწყობის თავისებურებანი და ამის შედეგად დავადგინოთ კოლმეურნეობათა საწარმოო ტიპები.

ამგვარი მუშაობის ჩატარების შედეგად თითოეული კოლმეურნეობის მაჩვენებელთა ანალიზის საფუძველზე ქვემო ქართლის რაიონებში შეგვიძლია გამოვეყოთ კოლმეურნეობათა შემდეგი 5 საწარმოო ტიპი:

<sup>1</sup> ზონების უფრო დაწვრილებით დახასიათება იხილეთ ამავე ტომში მოთავსებულ გ. ჯათიშვილის სტატიაში—სოფლის-მეურნეობის განვითარება და განლაგება.

ქვემო ქართლის შიდარათობული საწარმოთ სხვაობანი 11



პირობითი ნიშნები  
ზონები:

1. შავი მუცხლურგის, მარცვლეული მეურნეობის, მიმო-  
ბარე მუცხოველეობის, (სახორცე-სამაგლე მიმართულების),  
და მუხოსტეობა-მუხაღმუთის განვითარებით.
2. საბოლოო შიშველებით მრეწველობის და მუღენეობის,  
მარცვლეული მეურნეობის, მუღენახეობა-მუხაღმუთის  
და მუხოსტეობის განვითარებით
3. მუცხოველეობის (სახორცე-სარძეო მიმართულების),  
მარცვლეული მეურნეობის და მუღარგოთეობის,  
ყველა-ქარაქის წარმოების განვითარებით

### 1. მეცხოველეობის, მარცვლეული მეურნეობისა და მებოსტნეობა-მებაღეობის.

კოლმეურნეობათა ამ ტიპს ეკუთვნის გარდაბნის რაიონში 8 კოლმეურნეობა, თეთრი წყაროს რაიონში 8 კოლმეურნეობა, მარნეულის რაიონში 4 კოლმეურნეობა და ბოლნისის რაიონში 3 კოლმეურნეობა.

### 2. მარცვლეული მეურნეობის, მეცხოველეობისა და მებოსტნეობა-მებაღეობის.

კოლმეურნეობათა ამ ტიპს ეკუთვნის: თეთრი წყაროს რაიონში 24 კოლმეურნეობა, მარნეულის რაიონში 21 კოლმეურნეობა, გარდაბნის რაიონში 4 კოლმეურნეობა და ბოლნისის რაიონში 3 კოლმეურნეობა.

### 3. მარცვლეული მეურნეობის, მეცხოველეობისა და მევენახეობა-მებაღეობის.

კოლმეურნეობათა ამ ტიპს ეკუთვნის ბოლნისის რაიონში 13 კოლმეურნეობა, თეთრი წყაროს რაიონში 8 კოლმეურნეობა და მარნეულის რაიონში 3 კოლმეურნეობა.

### 4. მეცხოველეობის, მარცვლეული მეურნეობისა და მეკარტოფილეობის.

კოლმეურნეობათა ამ ტიპს ეკუთვნის: დმანისის რაიონში 9 კოლმეურნეობა, წალკის რაიონში 9 კოლმეურნეობა, თეთრი წყაროს რაიონში 9 კოლმეურნეობა, მარნეულის რაიონში 2 კოლმეურნეობა.

### 5. მეცხოველეობის, მეკარტოფილეობის და მარცვლეული მეურნეობის.

კოლმეურნეობათა ამ ტიპს ეკუთვნის: წალკის რაიონში 15 კოლმეურნეობა, დმანისის რაიონში 18 კოლმეურნეობა და თეთრი წყაროს რაიონში 2 კოლმეურნეობა.

რიგ შემთხვევაში კოლმეურნეობების საწარმოო სპეციალიზაცია არ არის მკვეთრად გამოსახული და ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც ერთ, ისე მეორე ტიპის ჯგუფს.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე დიდი ყურადღება მიექცა მეურნეობის განლაგებისა და რაიონთა საწარმოო სპეციალიზაციის საკითხებს.

„უზრუნველყოფილ იქნას,—ნათქვამია ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ,—სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილი განლაგება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სპეციალიზაცია ქვეყნის რაიონებში თვითეული რაიონის, ხოლო რაიონში—თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბუნების და ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით“ [10]. აღნიშნული მითითება საფუძვლად უნდა დაედოს ქვემო ქართლის რაიონებში მეურნეობის დარგთა განლაგებისა და კოლმეურნეობათა საწარმოო სპეციალიზაციის საკითხთა შემდგომ დამუშავებას.

## V. ტრანსპორტი და რაიონთაშორისო საწარმოო-ეკონომიკური კავშირი

ქვემო ქართლის რაიონებში ტრანსპორტი წარმოდგენილია როგორც რკინიგზით, ისე შარავნებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლზე გადის ორი რკინიგზის მაგისტრალი, მისი მოქმედების სფერო შეზღუდულია, ვინაიდან ეს მაგისტრალები კვეთენ მხოლოდ გარდაბან-მარნეულის რაიონებს და ამგვარად შეუძლიათ უშუალოდ მოემსახურონ ქვემო ქართლის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილს.

ურელსო ტრანსპორტი ბევრად უფრო განვითარებულია; მაგისტრალური შარავნები კვეთენ ქვემო ქართლის ყველა რაიონს, აერთიანებენ მათ ერთმანეთთან და რესპუბლიკის სხვა რაიონებთან და ცენტრებთან.

ბოლნის-თეთრი წყაროს და წალკა-დმანისის რაიონების ტვირთბრუნვა სავსებით ემყარება შარავნებს, რომლის საშუალებითაც წარმოებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გაზიდვა-შემოზიდვა. ქვემო ქართლის სატრანსპორტო ქსელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მაგისტრალური გზა, როგორც რუსიანი, ისე ურელსო, მიმართულია ცენტრალური რაიონისაკენ, თბილისისაკენ; აქ იყრიან ისინი თავს და ეს არის მათი გამოსავალი წერტილი.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ქვემო ქართლის ჩრდილოეთით აღმართულია თრიალეთის ქედი, ხოლო დასავლეთით ჯავახეთისა და სამსარის ქედები, რომელნიც ზღუდავენ ამ მიმართულებებით მის სატრანსპორტო კავშირს.

ქვემო ქართლის სატრანსპორტო გზების ამგვარი ორიენტაცია აპირობებს ტვირთბრუნვის მიმართულებას და სხვა რაიონებთან ეკონომიური კავშირის ხასიათს; უპირველეს ყოვლისა განამტკიცებს ქვემო ქართლის კავშირს „ცენტრალურ“ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონთან, რომლის შემადგენლობაშიც ის იმყოფება.

ქვემო ქართლის სატრანსპორტო ქსელის უდიდესი ნაწილის დანიშნულება სწორედ იმით განისაზღვრება, რომ მოემსახუროს პერიფერიიდან ცენტრისაკენ და აგრეთვე შებრუნებით ცენტრიდან პერიფერიისაკენ მიმართულ კავშირს, უფრო სრულად მოემსახუროს ამ კავშირის განმტკიცებას და გაძლიერებას.

სატრანსპორტო და ეკონომიური კავშირის სხვა ტიპი შეიქმნა გარდაბნის რაიონში, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აშენებასთან დაკავშირებით.

როგორც აღვნიშნეთ, ქვემო ქართლს კვეთს ორი რკინიგზის მაგისტრალი. პირველი მათგანი არის ამიერკავკასიის მთავარი, ბაქო-ბათუმის მაგისტრალი, რომელიც თბილისზე გავლით მიემართება გარდაბნის რაიონის გასწვრივ აზერბაიჯანის საზღვრამდე (სულ 31 კმ). მეორე რკინიგზის ხაზი, წარმოადგენს თბილის-ერევნის მაგისტრალს, ის გადის მარნეულის რაიონის დასავლეთ ნაწილში სომხეთის საზღვრამდე (სულ 46 კმ).

გარდაბნის რაიონს ემსახურება 5 რკინიგზის სადგური: ველი, გაჩიანი, გარდაბანი, რუსთავი და მთავარი არხი.

რუსთავის სატრანსპორტო კვანძს, რომელიც წარმოდგენილია სადგური რუსთავით და მთავარი-არხით, ინდუსტრიული ხასიათის დიდი ტვირთბრუნვა ახასიათებს. აქ მილიონი ტონობით შემოიზიდება — ქვანახშირი, რკინის მადანი, ქართი, მდნობი (კირქვა), ცეცხლამძლე მასალები, კვარცის სილა და სხვა, და გაიზიდება — მიწები, ნაგლინი და სხვა. რუსთავის სატრანსპორტო კვანძის ტვირთბრუნვა, მეტალურგიული ქარხნის განვითარებასთან და რუსთავში ახალ საწარმოთა შექმნასთან დაკავშირებით, მომავალში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მარნეულის რაიონს 3 სადგური ემსახურება—მარნეული, შულავერი და ხადახლო. ამ სადგურების ტვირთბრუნვაში შედის, როგორც მარნეულის რაიონის ტვირთი, ისე, ნაწილობრივ, ქვემო ქართლის დანარჩენი და დასავლეთი რაიონების სატრანსპორტო ტვირთიც, ამ სადგურებით შემოიზიდება—ქვანახშირი, წავთის პროდუქტები, რკინეულობა, ხე-ტყე, ცემენტი, მინერალური სასუქები,

მანქანა-მოწყობილობა და ინვენტარი; გაიზიდება—ხორბალი, კარტოფილი, ბოს-ტნეული, თივა, ბარიტი, კირქვა, საშენი ქვა და სხვა სახის პროდუქცია.

ქვემო ქართლის ეკონომიური განვითარების საქმეში უდიდეს როლს შარაგზები თამაშობს. ყველა სახის ურელსო გზების სიგრძე ქვემო ქართლში—1040 კმ აღწევს, აქედან მარნეულის რაიონზე 279 კმ მოდის, თეთრი წყაროს—211,6 კმ, წალკის—182,1 კმ, ბოლნისის—142,8 კმ, დმანისის—122,8 კმ და გარდაბანის 101,7 კმ.

ქვემო ქართლის რაიონებზე გადის როგორც საკავშირო მნიშვნელობის შარაგზები, ისე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების გზები. ეს გზები აერთიანებს ქვემო ქართლის რაიონებს თბილისთან და მოსაზღვრე რაიონებთან, მათ შორის აზერბაიჯანის და სომხეთის რაიონებთან.

მასიური ტვირთბრუნვისათვის და აგრეთვე მოსახლეობის მოძრაობისათვის ძირითადი მაგისტრალური გზები არის: ყაზახის გუბრონირებული შარაგზა, რომელიც იწყება თბილისში, კვეთს მარნეულის რაიონს და აზერბაიჯანისაკენ მიემართება; ლენინაკანის გუბრონირებული შარაგზა, რომელიც იწყება თბილისში კვეთს მარნეულის რაიონს, შემდეგ ბოლნისის რაიონს და გადადის სომხეთში, მისი განშტოებით მიმავალი დმანისისაკენ; გუბრონირებული შარაგზა მარნეული-წალკა, რომელიც კვეთს თეთრი წყაროს და წალკის რაიონს და გადადის ბოგდანოვკაში; შარაგზა თბილისი-მანგლისი-წალკა, რომელიც გადის თეთრი წყაროს რაიონზე და შემდეგ წალკის რაიონზე.

ამ მთავარი გზებიდან, რასაც ქვემო ქართლისათვის სასიცოცხლო არტერიების მნიშვნელობა აქვს, თითოეულ რაიონში სხვადასხვა მხარისაკენ მიემართება ადგილობრივი მნიშვნელობის სოფლის გზები, უმეტეს შემთხვევაში ბუნებრივი, ან ცოტა გაუმჯობესებული საფარით. ადგილობრივი გზები ძირითად მაგისტრალებს უკავშირებენ რაიონების შიგნით მდებარე პუნქტებს და წარმოადგენენ კოლმეურნეობათა ნათესებზე, მეცხოველეობის ფერმებზე და სათიბ-საძოვრებზე მიმავალ გზებს.

ზემოთ აღნიშნული გარემოებანი აპირობებენ ქვემო ქართლის საგზაო ქსელის დიდ დატვირთვას, როგორც რაიონებში შემოზიდულ და გაზიდულ, ისე სატრანზიტო ტვირთის ანგარიშზე.

ურელსო გზების საერთო ტვირთბრუნვის დაახლოებით 56% სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოდის; ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი საშენი მასალების, ხე-ტყის მინერალური სასუქების და ნავთის პროდუქტების გადაზიდვას უკავია.

ტვირთბრუნვის სტრუქტურა პროდუქტთა ცალკეული სახეობის მიხედვით გამოხატავს ქვემო ქართლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებას.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის საგზაო მეურნეობა არ იმყოფება ტექნიკურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. არა მხოლოდ ადგილობრივი გზები, არამედ რესპუბლიკურიც რიგ უბნებზე საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ადგილობრივი გზები, რაც საავტომობილო ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში ძალიან უარყოფითად მოქმედობს ავტობარკის ტექნიკურ მდგომარეობაზე და აუარესებს მის საექსპლოატაციო მაჩვენებლებს.



ქვემო ქართლი წარმოადგენს რა საქართველოს განუყოფელ ნაწილს მკიდრო საწარმო-ეკონომიურ კავშირში იმყოფება რესპუბლიკის სხვა რაიონებთან, უმთავრესად კი, როგორც აღვნიშნეთ, ქ. თბილისთან და რუსთავთან.

ამ კავშირის ხასიათი და ცალკე მხარეები გამომდინარეობს იმ ფუნქციებისაგან, რომელსაც ქვემო ქართლი ასრულებს, როგორც საქართველოს ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონი.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება ქ. რუსთავი, რომლის ფარგლებში მოთავსებული ინდუსტრიული ობიექტების საწარმო-ეკონომიური კავშირი ბევრად უფრო ფართო ხასიათს ატარებს. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ავტოგვანი ასაუქების ქარხნის და სხვა სამრეწველო ობიექტების მოქმედების სფერო არის ამიერკავკასია და საბჭოთა კავშირის ზოგი სხვა რაიონიც; აქედან ცხადია, რომ მათი საწარმო-ეკონომიური კავშირი თავის მასშტაბით და მნიშვნელობით სცილდება ქვემო ქართლს. და ამიტომ აქ მათ განხილვას არ ვაწარმოებთ.

ზემოთ დახასიათებულ იქნა ქვემო ქართლის მეურნეობა და მისი სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაცია. სათანადო ციფრობრივი მასალების საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ ის მარცვლეული მეურნეობის, მეცხოველეობისა და მებოსტნეობა-მეკარტოფილეობის რაიონს წარმოადგენს. აღნიშნულ იქნა აგრეთვე, რომ რიგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სფეროში ქვემო ქართლის რაიონები საგარეუბნო მეურნეობის ზონის ფუნქციებს ასრულებენ და ქ. თბილისის და რუსთავის მალფუჰადი პროდუქციით მომარაგების ძირითად ბაზას წარმოადგენენ.

ქვემო ქართლის რაიონებიდან თბილისში და რუსთავში გააქვთ შემდეგი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: მარცვლეული, ბოსტნეულ-ბალჩეული, ხილი, კარტოფილი, ხორცი, მოუხდელი რძე, კარაქი და ყველი (მათ შორის დიდი რაოდენობით შვეიცარული ყველი), თამბაქო, მწესუმშირა, კვერცხი, ტყავეული, მატყლი, ღვინო, თივა და სხვ.

დასახელებული პროდუქტებიდან ნაწილი ქალაქ თბილისს და რუსთავს სცილდება და ჩვენი ქვეყნის საერთო საქონელბრუნვაში იღებს მონაწილეობას. მეორე, ძირითადი ნაწილი კი, ქალაქის მოსახლეობის მოხმარებას ემსახურება და ნაწილობრივ მრეწველობაში გამოიყენება.

არსებული გაანგარიშებით<sup>1</sup> ქვემო ქართლის რაიონებიდან ქ. თბილისში და რუსთავში 1953 წ. გაზიდულ იქნა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტა 92 ათას ტონაზე მეტი რაოდენობით, აქედან 14 ათ. ტონა ბოსტნეულ-ბალჩეული, 13 ათ. ტონა კარტოფილი, 16 ათ. ტონა თივა და ნაძვა, 5 ათ. ტონა ხილი და ყურძენი, 6 ათ. ტონა ხორცი, 1,7 ათ. ტონა თამბაქო და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გარდა ქვემო ქართლის რაიონებიდან გაზიდულ იქნა ბარიტი, საშენი ქვა, ბოლნისის ტუფი, მდნობი (ფლიუსი), შეშა, შავი ლითონის ჯართი და სხვა დაახლოებით—145 ათ. ტონის რაოდენობით.

ამ ურთიერთ კავშირში, რომელიც დამყარებულია ქვემო ქართლისა და თბილის-რუსთავს შორის, განსაკუთრებით დიდ როლს მარნეულის რაიონი თამაშობს, მასზე მოდის ტვირთბრუნვის დაახლოებით 50 პროცენტამდე, მას ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონები მოსდევს.

<sup>1</sup> ა. გველესიანი, ქვემო ქართლის ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საქონელბრუნვა და რაიონთაშორისა ეკონომიური კავშირი, 1954, გეოგრაფ. ინსტიტუტის ფონდები.

ქვემო ქართლის რაიონებიდან პროდუქტების გაზიდვა სეზონურ ხასიათს ატარებს ის, ძირითადად, დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლის აღების პერიოდებთან; განსაკუთრებით დაძაბული პერიოდია ზაფხულ-შემოდგომის სეზონი, როდესაც იწყება ქვემო ქართლიდან ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის, ყურძნის, რძის პროდუქტებისა და სხვათა მასიური გატანა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი თვით კოლმეურნეობებს და კოლფეერებს გააქვთ სარეალიზაციით: თბილისის და რუსთავის საკოლმეურნეო ბაზრებზე.

ქვემო ქართლიდან თბილის-რუსთავისაკენ მიმავალ სასოფლო-სამეურნეო ხასიათის პროდუქტთა ნაკადს უპირისპირდება მასში შემოზიდული სამრეწველო პროდუქციის მძლავრი ნაკადი. პროდუქციის ამ ურთიერთ გაცვლაში და აქედან გამომდინარე ეკონომიურ კავშირში ნათლად გამოჰყვივის სოციალისტურ ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობა, დამყარებული არა ანტაგონიზმისა და ექსპლოატაციის, არამედ თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების საფუძველზე.

თბილისიდან და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან ქვემო ქართლში შემოიზიდება სამრეწველო საქონელი, სამომხმარებლო ხასიათის და საწარმოო დანიშნულების მქონე.

საწარმოო დანიშნულების საქონლიდან აღსანიშნავია: ქვანახშირი, ნავთის პროდუქტები (ბენზინი, მაზუთი, ზეთები და სხვა), შავი ლითონის მიღები და ნაგლინი, ხე-ტყის მასალა, ცემენტი, შიფერი, მინერალური სასუქები, მანქანამოწყობილობა და უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და ინვენტარი.

შემოზიდულ სამრეწველო საქონლის დიდ ნაწილს წარმოადგენს ზოგი სასურსათო პროდუქტები და ფართო მოხმარების ნაწარმი, მათგან მთავარია: შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, ღვინო, არაყი და ლუდი, მარილი, აბრეშუმის, შალის და ბამბის ქსოვილები, ფეხსაცმელი, შეკერილი ტანსაცმელი, ტრიკოტაჟი, პაპიროსი, ფაიფური-ფაიანსი, გალანტერეა, კულტსაქონელი, ავეჯი, ლითონის ჭურჭელი, საბონი, წიგნები და მრავალი სხვა.

სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის ქსელის საქონელბრუნვის საერთო ჯამი 1953 წ.—178 მლნ. მანეთს აღწევდა.


აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სამრეწველო საქონლის საკმაო დიდი რაოდენობით შემოზიდვისა, სავაჭრო ქსელი სრულად ვერ აკმაყოფილებდა ქვემო ქართლის მოსახლეობის მოთხოვნილებას და ფართო მოხმარების საგანთა შესყიდვას (უმთავრესად მაღალხარისხოვანი ასორტიმენტის) ის ნაწილობრივ ქ. თბილისში და რუსთავში აწარმოებს.

ეკონომიური კავშირები დამყარებულია არა მხოლოდ ქვემო ქართლის ფარგლების გარეთ მყოფ სამრეწველო ცენტრებთან და რაიონებთან, არამედ მის საკუთარ რაიონებს შორის. საკოლმეურნეო წარმოების საქონლური ნაწილის და კოლმეურნეთა საკარმიდამო მეურნეობის პროდუქციის ურთიერთ გაცვლას რაიონებს შორის სისტემატური ხასიათი აქვს.

რაც უფრო იზრდება ქვემო ქართლის მეურნეობა, რაც უფრო მტკიცდება მოსახლეობის კეთილდღეობა, მით უფრო დიდი მოცულობის და ასორტიმენტის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის მიმოქცევა წარმოებს,

შით უფრო ფართოდება და მრავალმხრივ ხასიათს იღებს მისი რაიონთაშორისო ეკონომიური კავშირი.

ქვემო ქართლის ეკონომიური რაიონთაშორისო კავშირის განმტკიცებისა და გაფართოების პროცესი გამოხატავს მის საწარმო ძალთა ზრდა-განვითარებას, მისი მეურნეობის საწარმოს სპეციალიზაციის გაღრმავებას.



ქვემო ქართლის ზოგადი რუკა

Г. Г. Гвелесиани

## ОБЩАЯ ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА НИЖНЕГО КАРТЛИ

### Резюме

Нижний Картли (Квемо Картли) по своим природным и хозяйственным чертам одна из своеобразных частей Грузинской ССР; она рассматривается как подрайон Центрального (Тбилисского) экономико-географического района.

Изучение Нижнего Картли было проведено летом 1954 года экспедицией института географии им. Вахушти АН Грузинской ССР, собравшей достаточно обширный фактический материал по данному краю.

Нижний Картли расположен к югу и юго-западу от г. Тбилиси и включает Гардабанский, Марнеульский, Болнисский, Тетри-цкаройский, Дманисский и Цалкский административные районы—занимающие площадь в 5684 км<sup>2</sup>.

Природные условия Нижнего Картли чрезвычайно разнообразны, и имеют характер резко выраженной вертикальной зональности. Самая нижняя зона представлена нижнекартлийской равниной (абс. высота 270—500 м над у. м.), занимающей восточную часть исследуемого подрайона, за ней в западном направлении можно выделить еще четыре повышающиеся зоны, которые завершаются гребнями Джавახетского (Мокрые горы) и Самсарского хребтов с вершинами высотой в 3000 м и более.

Рельеф Нижнего Картли с наличием обширных равнин, многих котловин и плато, в целом благоприятствует развитию земледелия.

Климатические условия исследуемого подрайона резко меняются с востока на запад; восточные районы отличаются более высоким термическим режимом и меньшим количеством осадков (ср. годов. темпер. 11,7°—12,9°, осадки 380—500 мм); в западных районах температура ниже, но зато осадки более значительны (темпер. 5,8°—8,6°, осадки 630—657 мм); восточные районы характеризуются значительным дефицитом годового баланса влаги, что вызывает необходимость широкого применения в земледелии орошения.

Почвы Нижнего Картли в целом благоприятны для земледелия; основные разновидности распространенные с востока на запад: каштановые, лесостепные, горно-лесные, черноземные и горнолуговые почвы.

Подрайон богат растительностью, особенно большое производственное значение имеют значительные площади субальпийской и частично альпийской растительности, расположенные в зоне Джаважетского, Самсарского и Триалетского хребтов—используемые в качестве летних пастбищ.

Протекающие в нижнем Картли реки (Кура, Алгети, Храми, Дебда, Машавера и др.) дают возможность орошения полей и использования их стока для получения гидроэнергии.

Минеральные богатства Нижнего Картли представлены месторождениями полиметаллов, барита, железной руды (Чатахское м-ние), мраморов, известняков и строительных камней—туфов, базальтов и др.

В работе приводятся этапы исторического развития Нижнего Картли, данные о постепенной деградации этого, некогда цветущего края, вызванной постоянными нашествиями на Грузию сильнейших врагов. Многочисленные остатки материальной культуры сохранившиеся и поныне свидетельствуют об интенсивной хозяйственной и культурной жизни проживающего здесь грузинского населения.

Вследствие тяжелой исторической судьбы, к началу XIX века Нижний Картли представлял собой разоренный, в значительной своей части, обезлюдевший край.

Еще в начале XVII века персидский шах Аббас, один из жесточайших врагов Грузии—насилыно заселил восточную часть Нижнего Картли туркменским племенем—Борчалу. Заселение Нижнего Картли различными народностями (греками, армянами, немцами и др.) продолжалось и в последующие столетия.

В работе приведены прогрессивные сдвиги происшедшие в исследуемом подрайоне после присоединения Грузии к России; приводятся данные о состоянии отдельных отраслей хозяйства, в особенности, начиная со второй половины XIX века, после развития капитализма вплоть до установления Советской власти в Грузии.

Социалистический период развития Нижнего Картли отмечен быстрым темпом роста населения. Если с 1886 г. по 1917 г. среднегодовой прирост населения составлял 1,91%, то с 1926 по 1939 гг. он равен—2,27%. По национальному составу исследуемый подрайон, благодаря отмеченным историческим условиям, чрезвычайно разнообразен.

Около 50% населения проживает в зоне от 200—600 метров над у. м., 30% в зоне от 600 до 1400 метров и 20% выше 1400 метров.

Характерно, что в течение как в среднем по республике выше 1000 метров проживает только 15% населения, в Нижнем Картли в этой зоне проживает 37% жителей, при том более 20% проживает выше 1400 м.

Средняя плотность населения 38,5 чел. на км<sup>2</sup>.

В селах Нижнего Картли распространено несколько типов домов — грузинский крестьянский из кирпича, либо камня, мусульманский из сырца, либо камня с плоскими крышами (типа землянок), немецкий тип с высокими сильно покатыми крышами, русско-украинский и стандартные дома новых поселений.

84% трудоспособного населения занято в сферах материального производства (в т. ч. 71% в колхозном производстве), остальное в организациях просвещения, здравоохранения, торговли, культуры и др.

За годы пятилеток в Нижнем Картли создано развитое многоотраслевое хозяйство; организован крупный промышленный узел общесоюзного значения (Руставский), который своим развитием оказывает определенное влияние на экономику окружающих его сельских районов.

На основе колхозного производства сильно выросли все отрасли сельского хозяйства; под него подведена мощная техническая база, в виде широкой сети МТС.

Создание промышленности обусловило изменение структуры хозяйства, в совокупной продукции которого промышленность сейчас занимает основную долю.

Нижний Картли в промышленном отношении выделяется как район крупного металлургического производства (Рустави), электроэнергетического хозяйства, добычи горно-минерального сырья, виноделия и масло-сыроваренной промышленности. В области сельского хозяйства он является районом зернового хозяйства, животноводства, овоще-бахчеводства и картофеляводства.

Районы Нижнего Картли, примыкая к крупным промышленным центрам республики—гг. Тбилиси и Рустави, играют важную роль в качестве их пригородной зоны, снабжая городское население скоропортящимися молочными продуктами, а также овощами и картофелем.

В составе валовой продукции промышленности 78% приходится на долю черной металлургии, (1954 г.) предоставленной Закавказским ме-

таллургическим заводом в Рустави. Построенный в послевоенные годы Руставский металлургический завод—крупнейшее предприятие тяжелой промышленности Грузинской ССР; вокруг него организуется ряд кооперированных с ним промпредприятий (азотно-туковый завод, шлакоцементный завод, подсобные предприятия); он же обусловил создание нового города социалистического типа — Рустави.

На реке Храми построена крупнейшая в Грузии гидроэлектростанция (ХрамГЭС), имеющая регулирующее значение.

Сильно развита промышленность по добыче строительных камней (Садахлинский мрамор, Марнеульский базальт, Болнисский туф и т. д.).

Имеется ряд винодельческих предприятий базирующихся на виноградных насаждениях Болнисского и Марнеульского районов.

Наличие высокогорных пастбищ с развитием молочного животноводства обусловило создание 45 механизированных и полумеханизированных масло-сыродельных заводов, вырабатывающих швейцарский и местные сыры, а также масло. Сыроварение одна из специализированных отраслей хозяйства исследуемого подрайона.

По уровню сельскохозяйственного развития Нижний Картли один из выделяющихся районов Грузинской ССР.

Структура земельных угодий, в которых пашня занимает до 28% всей территории и пастбища—сенокосы до 38%, способствуют развитию земледелия, а также животноводства. Нижний Картли сравнительно хорошо обеспечен сельскохозяйственными землями, они занимают в общем балансе территории 66%, в то время как в целом по республике—41%.

Основная отрасль сельского хозяйства—зерновые культуры, дающие в колхозном производстве до 47% общей валовой продукции.

В низменной зоне распространена в основном озимая пшеница и кукуруза, в более повышенной зоне—яровая пшеница и ячмень. В общих посевах озимой пшеницы по республике Нижний Картли занимает 13,1%.

Из технических культивируются табак (до 1 тыс. га), подсолнечник (свыше тысячи га) и в небольших размерах эфиромасличные культуры (казанлыкская роза).

Одной из важнейших отраслей сельского хозяйства Нижнего Картли является овощеводство и картофелеводство. В 1954 году площадь под картофелем достигла 10,5 т. гект. и под овощами почти 3 т. гект. Основными производителями овощей являются низменные районы—Марнеульский, Гардабанский (64% всего пр-ва); основную часть картофеля, наоборот, дают высокогорные районы—Дманисский и Цалкинский.

Многолетние культуры представлены виноградом и плодовыми культурами (в 1953 г. виноградники—2,6 т. гект. плодовые — 4,5 т. гект.); 55,3% виноградных насаждений приходится на Болнисский район и 21,5%—Марнеульский.

Животноводство—традиционная отрасль сельского хозяйства Нижнего Картли, базируется оно в основном на естественных кормовых ресурсах.

Как и в других районах Грузинской ССР в развитии животноводства за послевоенные годы имелось некоторое отставание. Очень низок удельный вес коров в стаде крупного рогатого скота.

В нижней зоне (Гардабанский-Марнеульский районы) преобладает овцеводство, развитие которого базируется на наличных зимних пастбищах, в верхней зоне—крупно-рогатое скотоводство, мясо-молочного направления.

Плотность животноводства в Нижнего Картли высокая; на 100 гект. пашни, сенокосов и пастбищ, в переводе на условн. крупный рогатый

скот, приходится 46,4 гол. (1953 г.) при средней норме по республике — 50,7 голов.

Форма содержания скота в низменной зоне — перегонная, в верхней зоне — стойлово-пастбищная. Продуктивность, за исключением Дманисского района — низкая.

В соответствии с решениями XX съезда Коммунистической партии Советского Союза проводятся мероприятия, по подъему животноводства в Нижнем Картли, в частности направленные на изменение структуры животноводства в сторону усиления молочно-мясного и молочного направления.

Особенно большое значение для сельского хозяйства в климатических условиях Нижнего Картли имеет урегулирование вопроса об орошении.

Важнейшим условием успешности колхозного производства является высокий уровень производительности труда. Дается оценка отдельных факторов определяющих производительность труда колхозников по отдельным отраслям производства Нижнего Картли и анализируются районные различия в уровне производительности труда.

Наиболее высокий уровень производительности труда имеют районы низменной зоны, затем районы средне-горной зоны и наиболее низкий уровень — высокогорная зона.

Несмотря на то, что почти по всем отраслям колхозного производства Нижний Картли имеет более высокую производительность, труда, чем в среднем по республике все же в целом она ниже на 4,3%, что вызвано меньшим развитием здесь высокоценных многолетних культур.

Денежные доходы на 100 гект., с. х. угодий и на одного трудоспособного колхозника в Нижнем Картли постепенно снижается с востока на запад и в Марнеульско-Гардабанском районах в 3 раза превышает уровень Цалкинского района.

Анализируются причины данного положения, рассматривается зависимость денежных доходов с оплатой трудодней колхозников.

На основе анализа структуры хозяйства и направления производственной специализации устанавливаются внутрирайонные различия, в результате чего в Нижнем Картли выделяются три хозяйственные зоны:

Гардабани-Марнеульская зона — с развитием черной металлургии, зернового хозяйства, перегонного животноводства (мясошерстного направления) и овоще-бахчеводства.

Болнис-Тетрицкарыйская зона — с развитием добычи горно-минерального сырья, стройматериалов, виноделия, а в сельском хозяйстве — зернового хозяйства, виноградарства, плодоводства и животноводства.

Цалка-Дманисская зона с развитием мясо-молочного животноводства, зернового хозяйства, картофелеводства и сыромяслодельного производства (швейцарское сыроварение).

Внутри каждой зоны выделяются колхозы по производственным типам. Всего в Нижнем Картли выделены 5 основных производственных типов колхозов, представляющих различное сочетание развитых здесь основных отраслей сельского хозяйства.

Представляя собой специализированную в хозяйственном отношении часть Грузинской ССР, Нижний Картли связан густыми производственно-экономическими связями с другими районами республики и, в основном, с г. г. Тбилиси и Рустави.

Особое место в системе хозяйства Нижнего Картли занимает Руставский промышленный узел, производственные связи которого гораздо более обширны и переступают границы республики и Закавказья.

Выполняя функции пригородной зоны, Нижний Картли завозит в Тбилиси и Рустави зерно, овощи и бахчи, картофель, фрукты и виноград, табак, подсолнечник, сено, шерсть, мясо, кожу и др.

Кроме продуктов сельского хозяйства из районов Нижнего Картли вывозятся в Тбилиси и другие города — барит, строительный базальт, Болнисский туф, мрамор, известняки (флюсы для Руставского завода), металлом, дрова и т. д.

Вывозу сельскохозяйственных продуктов и производственного сырья из районов Нижнего Картли противостоит обратный поток фабрично-заводских товаров продовольственного и производственного назначения (сахар, ткани, обувь, трикотаж, культтовары, уголь, нефтепродукты, прокат металлов, машины, оборудование и др.).

Межрайонные экономические связи в своем объеме с каждым годом растут, становятся все шире, что выражает процесс развития производительных сил Нижнего Картли и усиление ее производственной специализации.

### ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ლენინი ვ., კაბიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3.
2. ლენინი ვ., აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიულეთის აზნანავ კომუნისტებს, თხზ., ტ. 32.
3. ლენინი ვ., პროლეტარიატის ძირითადი ამოცანები რუსეთში, თხზ., ტ. 29.
4. სტალინი ი., სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, სახელგამო, 1952.
5. სტალინი ი., ც. კ.-ის პოლიტიკური ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე, თხზ., ტ. 12.
6. ხრუშჩოვი ნ. ს., მეცხოველეობის პრობლემების წარმოების გადიდების შესახებ, მოხსენება საბჭოთა, კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ. პლენუმზე 1955 წ. 25 იანვარს, გაზ. „კომუნისტი“, 1955, 5 თებერვალი.
7. ხრუშჩოვი ნ. ს., საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას, გაზეთი „კომუნისტი“ 1956, № 40.
8. ბუღაჩანი ნ. ა., საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების შედეგზე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, გაზეთი „კომუნისტი“, 1956 № 44.
9. რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ. საანგარიშო მოხსენების გამო, გაზ. „კომუნისტი“, 1956, № 47.
10. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 1956, № 48, 49.
11. მუჯანაძე ვ. პ., საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება 1956 წ. 18 იანვარს საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე, გაზეთი „კომუნისტი“, 1956, № 17.
12. გომელაური ნ. გ. შვი ლითონის მეტალურგია საქართველოში, 1953.
13. გრძელიშვილი ი. თეთრი წყაროს ნასოფლარები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, 1954, № 5.
14. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941.
15. კაკაბაძე ს., ბარათანთ გაყრის წიგნი 1536 წლისა, საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1924.
16. ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1 და 11, თბილისი, 1935.
17. მელიქსეთ-ბეგი ლ., მანგლისის რაიონი ისტორიული-არქეოლოგიური თვალსაზრისით, ყურ. „ახალ სკოლისკენ“, ტფილისი, 1924, № 2—3.



18. მუხხელიშვილი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941.
19. ყაუხჩიშვილი ს., ბერძენების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის ა. წუ-  
ლუკიძის სახელობის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942.
20. ჩიტიია გ., ეთნოგრაფიულ მოგზაურობიდან აღმულაღის რაიონში, ტფილისი, 1928.
21. ჩოლოყაშვილი კ., რუსთავის წარსულიდან, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1953,  
№2.
22. ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, 1930.
23. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, წიგნი II უნივერ. გამომცემლობა, თბი-  
ლისი, 1948.
24. ქვემოქართლის ექსპედიციის მიერ დაგროვებული სტატისტიკური მასალები და დ.  
უკლებას, ვ. ჯაოშვილის, ვ. ვაკაბაძის, გ. გურგენიძის, ა. გველესიანის შრომები, —  
ინახება საქ. მეცნ. აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში.
25. Аргутинский А. М., Колонисты и туземцы Борчалинского уезда, «Новое  
Обозрение», 1894, № 3720—3722.
26. Аргутинский А. М., Скотоводство в Борчалинском уезде Тифлисской губер-  
нии, «Кавказское сельское хозяйство», 1895, № 95.
27. Бунятов С., Картофель в хозяйстве Борчалинского уезда, «Кавказское сельское  
хозяйство», 1897, № 191.
28. Вермишев Х. А., Верхне-Караязские казенные зимние пастбища Тифлиского  
уезда, Тифлисской губернии; Материалы для устройства казенных летних и зим-  
них пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе, Тифлис, 1895.
29. Вермишев Х. А., О скотоводстве на Кавказе в связи с пастбищным вопросом:  
Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищ и для изучения  
скотоводства на Кавказе, т. I, Тифлис, 1886.
30. Возианов П., Сбыт шерсти и кожи в Борчалинском уезде, «Кавказское сель-  
ское хозяйство», 1895, № 85.
31. Гулишамбаров С. И., Обзор фабрик и заводов в Тифлисской губернии, За-  
писки Кавказ. отделения импер. русского технич. общества, 1888, № 17.
32. Джавахишвили А. Н., Геоморфологические районы Грузинской ССР, М.—  
—Л., 1947.
33. Ерицов А. Д., Экономический быт государственных крестьян Борчалинского  
уезда, Тифлисской губернии, Матер. для изучения эконом. быта государ. крестьян  
Закавказск. края, т. VII, Тифлис, 1887.
34. Зактрегер Л., Оросительные работы в Караязском казенном имении, «Кавказ-  
ское сельское хозяйство», 1895, № 59.
35. Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.
36. «Кавказ» 1875, Табаководство в Тифлисской губернии, № 116.
37. «Кавказ» 1881, Цалкское дело, № 211.
38. «Кавказское сельское хозяйство», 1897, Виноградарство в Борчалинском уезде,  
№ 194.
39. «Кавказское сельское хозяйство», 1897, Из Шулавер. № 194.
40. «Кавказское сельское хозяйство», 1897, Молочное хозяйство Борчалинского уезда,  
№ 183.
41. «Кавказское хозяйство», 1910, Хлопок и шафран в Борчалинском уезде, № 22.
42. Мелик-Саркисян С., Коневодство в Борчалинском уезде—«Кавказское сель-  
ское хозяйство», 1894, № 21.
43. Мелик-Саркисян С., Из Шулавер (местное виноградарство), «Кавказское  
сельское хозяйство», 1897, № 175.
44. Мачабели С. В., Экономический быт государственных крестьян Тифлиского  
уезда, МИЭБГКЗК, т. V, Тифлис, 1887.
45. Натроев А., О крупном рогатом скоте в Тифлисской губернии, труды Кав-  
казс. об-ва сельск. хоз-ва, 1891, № 7—8.
46. Натроев А., Количество скота и пастбищные места Тифлисской губернии. Труды  
Кавказс. об-ва сельского хозяйства, 1888, № 7—8.
47. Рчеулишвили М. Д., К истории овцеводства Грузии, Госиздат, Тбилиси, 1953.
48. Слезкин П. Р., Караязская хлопковая плантация, Труды Кавказского об-ва  
сельского хозяйства, 1888, № 7—8.



დ. შალვა

ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობები და რესურსები

1. მდებარეობა და საზღვრები

ქვემო ქართლი აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და ოთხ მსხვილ ლანდშაფტურ ოლქს შორისაა მოქცეული; აღმოსავლეთიდან მას ეკვრის გარე კახეთის ზეგანი, ჩრდილოეთით—თრიალეთის ქედი, დასავლეთით — ჯავახეთის ვულკანური მთიანეთი, რომლის ნაწილიც ქვემო ქართლს ეკუთვნის, სამხრეთით—სომხეთის მთიანი მხარე და აზერბაიჯანის მშრალი ველები. ასეთმა გარდამავალმა, სამიჯნო ადგილმდებარეობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება. ქვემო ქართლის საზღვრებია: ჩრდილოეთით — თრიალეთის ქედის თხემი, მთ. საცხენელამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვარი არაა ბუნებრივი და თბილისის გარეუბნის ადმინისტრაციულ რაიონთან გაივლის. დასავლეთი საზღვარი მდ. რეხას სათავედან იწყება, გადაჰყვებს მდ. ქციას და სამსარის ქედს გასდევს, მწვერვალ თავკვეთილიდან მწ. სამსარამდე; მერე უხვევს რა აღმოსავლეთისაკენ, მთ. დალი-დაღამდე მიუყვება იმ სერს, რომელიც ტბა ფარავანის აუზს მდ. მდ. ზევილი-წყალისა და ნარდევანის აუზებისაგან გამოყოფს; შემდეგ მდ. მდ. ხრამისა და ახალქალაქის წყლის აუზების წყალგამყოფს — მერიდიანული მიმართულების ჯავახეთის (ვეჩუთის) ქედს ემთხვევა, აქ საზღვარი მთა ლეილის (სომხეთის სსრ-ის ფარგლებშია) ჩრდილო ფერდობამდე ვრცელდება. ქვემო ქართლის სამხრეთი საზღვარი საქართველოს რესპუბლიკურ საზღვარს ემთხვევა (სომხეთთან და აზერბაიჯანთან). აქაც დიდ მანძილზე იგი ბუნებრივია — სომხეთის ქედს გასდევს. საკვლავ ტერიტორიას აღმოსავლეთით გარე კახეთის ზეგნის დასავლეთი ფერდობები ესაზღვრება.

განხილულ საზღვრებში ქვემო ქართლის ტერიტორია 5684,3 კმ<sup>2</sup> უდრის<sup>1</sup>, რაც საქართველოს სსრ-ის მთელი ტერიტორიის 7,8%-ს შეადგენს. ქვემო ქართლის შემადგენლობაში შედიან: გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დმანისისა და წალკის ადმინისტრაციული რაიონები.

2. რელიეფის ზოგადი დახასიათება

ქვემო ქართლის რელიეფი განხილულია როგორც კავკასიის, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი ტერიტორიის ფონზე, ისე სპეციალურადაც. კავკასიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიისთან ერთად იგი დახასიათებული აქვთ: ბ. დ ო ბ რ ი ნ ი ს [32], ს. კ უ ზ ნ ე ც ო ვ ს [41, 42], ა. რ ე ი ნ ჰ ა რ დ ს [50], ა. ლ ა ი ს ტ ე რ ს ა დ ა გ. ჩ უ რ ს ი ნ ს [43] და სხვ. ქვემო ქართლის რელიეფის

<sup>1</sup> ქვემო ქართლიდან განხილვის გარეშე გვაქვს დატოვებული თბილისის მიდამოები.

ზოგიერთი საკითხი განხილულია პ. აბიხის [20], ს. სიმონოვიჩის [53], გ. წულუკიძის [55], ვ. პახომოვის [49], ე. გაბუნიას და პ. გამყრელიძის [1] ი. კახაძის [35] და სხვ. შრომებში. საკვლევი ტერიტორიის რელიეფის დეტალური დახასიათება მოცემული აქვთ ალ. ჯავახიშვილს [17, 30], ლ. მარუაშვილსა [44, 10, 45, 46] და ბ. ყავრიშვილს [33, 34]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალ. ჯავახიშვილისა და ლ. მარუაშვილის შრომები, რომლებშიც ქვემო ქართლის რელიეფი ზუსტად და ნათლად დასურათებული. ამიტომ ამ საკითხის გაშუქებისას ძირითადად მათ ვეყრდნობით.

ქვემო ქართლის რელიეფი საკმაო სირთულით ხასიათდება, რაც შეპირობებულია მისი გეოლოგიური აგებულებითა და როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დეფლუაციური და აკუმულაციური პროცესებით. რელიეფის გაფორმებაში აქ ნაწილობრივ მეოთხეულის გაყინვარებაამაც მიიღო მონაწილეობა.

ქვემო ქართლი რელიეფის ტიპებისა და ცალკეული ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდება; აქ წარმოდგენილია ვაკეები, მთის ვაკეები, ქვაბულები, კარგად გამოხატული მდინარეული ტერასები; რელიეფის ვულკანური და გლაციალური ფორმები (ვულკანური კონუსები, კრატერები, ცირკები, კარები, მორენები, ტროგული ხეობები და სხვ.), მდინარეთა ხეობები რამდენიმე სახით: მთის ფერდობები, წყალგამყოფების დაკბილული და მოვლუვებული თხემები და სხვ. რელიეფის მსხვილ მორფოლოგიურ ერთეულებს წარმოადგენენ უმთავრესად ქედები: თრიალეთის სამსარის, ჯავახეთის, სომხეთისა და სხვ. სახით; ვაკეები (გარდაბანისა და მარნეულის), ქვაბულები და პლატოები (წალკის, გომარეთის, ბედენის, დმანისის, მოლოტოვის და სხვ.).


როგორც აღვნიშნე, ქვემო ქართლის (დასავლეთი ნაწილის) გეომორფოლოგიური დახასიათება მოცემული აქვს ლ. მარუაშვილს [45], სამხრეთ საქართველოს ვულკანურ მთიანეთთან ერთად. ავტორის მიერ ვულკანურ მთიანეთისათვის გამოყოფილ გეომორფოლოგიურ რაიონებიდან ქვემო ქართლის ფარგლებში თავსდება: I. რაიონი ტექტოგენური რელიეფის ბატონობით—წალკის ქვაბული; II. რაიონები ვულკანოგენურ-დანალექი რელიეფით: 1) მოლოტოვის პლატო, 2) ბედენის პლატო, 3) გომარეთის პლატო, 4) დმანისის პლატო, 5) ქვემო ქართლის პლატო; III. რაიონები კომბინირებული (ტექტოგენურ-ვულკანოგენური) რელიეფით: 1) სამსარის ქედი და 2) ჯავახეთის ქედი; IV. რაიონი ვულკანოგენურ-ეროზიული რელიეფით: მაშავერის ღვარის რაიონი.

ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს [30] მიერ ქვემო ქართლის ფარგლებში გამოყოფილია: 1) ჯავახეთის მთიანეთის ვულკანური კონუსების, ქედებისა და ღრმულების რელიეფი, 2) წალკის ლავური პლატო, 3) ქვემო ქართლის ვაკის დასავლეთ ნაწილის ირგვლივ მდებარე, სხვადასხვა აგებულების წინამთების რელიეფი, 4) რელიეფი ქვემო ქართლის მთათაშორისი, აკუმულაციური, ტერასული ვაკისა, განვითარებული მესამეულის დანაოკებულ სტრუქტურაზე, რომელმაც დაწვეა განიცადა; 5) თრიალეთის ქედის მთა-ხეობათა რელიეფი, მაღალზე მდებარე დენუდაციური პენეპლენიზირებული ზედაპირებით; უმეტესად ეოცენური ნაოკა სტრუქტურისა, გართულებული დიდი გარდატეხებითა და ახალგაზრდა ლავური ამოღვრებით.

განვიხილოთ ქვემო ქართლის მსხვილი მორფოლოგიური ერთეულები ცალცალკე (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ).

ს ა მ ს ა რ ი ს ქ ე დ ი მერიდიანული მიმართულებისაა და დასავლეთიდან წალკის ქვაბულს ესაზღვრება, მისი სიგრძე დაახლოებით 40 კმ უდრის, აქედან

საკვლევ ტერიტორიაზე მოდის მხოლოდ ნახევარი (ჩრდილო ნაწილი, მწ. სამსარამდე). ქედის საშუალო სიმაღლე დაახლოებით 2800 მ (ზ. დ.), იგი ჩრდილოეთით მდ. ქციას ხეობითაა განსაზღვრული, ხოლო სამხრეთით ტბა თაფარავანის სამხრეთი ნაპირის პარალელს სცილდება.



სურ. 1. მწ. თაფკვეთილი

სამსარის ქედი აგებულია უმეტესად ტრაქიტული, ლიპარიტული და ანდეზიტური ლავებისაგან. მორფოლოგიურად იგი ორი ელემენტის შეთანაწყობითაა წარმოდგენილი. პირველი ელემენტი ქედის ფართო საფუძველია, რომლის საშუალო სიმაღლე 2000 მ (ზ. დ.) უდრის. ესაა ცენტრალური ვულკანების საერთო საფუძველი. უკანასკნელი აღმოსავლეთისაკენ თანდათან დაბლდება და წალკის ქვაბულის ფსკერში გადადის. სამსარის ქედის მეორე ელემენტს წარმოადგენს ბორცვებისა და საშუალო სიმაღლის მასივების ჯგუფი [45]. ქედის შეფარდებითი სიმაღლე კვარცხლბეკის ზედაპირიდან 500—1300 მეტრს აღწევს. განხილული ტერიტორიის ფარგლებში ქედის ძირითადი ღერძი გადის მწვერვალ თაფკვეთილზე (2584 მ), დიდ (ჩრდილო) შეენაბადაზე (2929 მ), პატარა (სამხრეთ) შეენაბადაზე (2800 მ), ყარა-ყუზუზე (3183 მ) და სამსარზე (3285 მ). სამსარის ქედის მწვერვალებს შენარჩუნებული აქვთ გუმბათის ან კონუსის ფორმა. თავიანთი მოყვანილობით მწვერვალები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგ., სამსარი კლდოვანი, ციტაბოფერდობიანი, თითქმის ალპური შეხედულების მასივია; ყარა-ყუზუც კლდოვანია და სამკუთხოვან პირამიდას ჰგავს. ამათგან განსხვავებულია მწ. თაფკვეთილი, იგი როგორც სახელწოდებაც მიუთითებს, წაკვეთილ კონუსს ჰგავს. ქედის ზოგ ვულკანურ მწვერვალს შენარჩუნებული აქვს კრატერი. სამსარის ქედის რელიეფისათვის დამახასიათებელია ვულკანურ წარმონაქმნებს შორის მცირე ქვაბულებისა და ჩადაბლებების არსებობა, უკანასკნელში ხშირად პატარა ტბებია. მწ. თაფკვეთილსა და მწ. შეენაბადას შორის არის ჩადაბლებული ადგილი, რომელზეც გადადის გზა წალკიდან ტაბისყურის ტბისაკენ.

სამსარის ქედის რაიონი, და საერთოდ ქვემო ქართლი, ტემპერატურის დიდი ამპლიტუდით ხასიათდება, ეს გარემოება დიდად უწყობს ხელს ფიზიკურ.

გამოფიტვის პროცესების ინტენსიურად განვითარებას. ამის გამო, სამსარის ქედის მწვერვალთა ფერდობების ძირში დაგროვილია ვულკანური ქანების გამოფიტვის პროდუქტები, მსხვილ ლოდებიანი უბნების, ე. წ. „ქვების ზღვების“ სახით.

როგორც ზემოდაც აღვნიშნავდით, ქვემო ქართლის დასავლეთი ნაწილის რელიეფის გაფორმებაში ნაწილობრივ მეოთხეულის გაყინვარებამაც მიიღო მონაწილეობა. სამსარის ქედზე შედარებით კარგადაა გამოხატული რელიეფის ეპზარაციული ფორმები ცირკების, ტროგების, კარების, „ვერძის შუბლების“, კარლინგების და სხვ. სახით. გაყინვარების ნიშნებს ატარებს მწ. სამსარისა და ყარა-ყუზეს როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი ფერდობი, მაგრამ შეენაბადაზე ასეთი არ შეიმჩნევა. გლაციალურ-აკუმულაციური რელიეფი გვხვდება მწ. სამსარის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე, აქ დღემდე შემონახულია მორენები; ლ. მ ა რ უ ა მ ვ ი ლ ი ს მ იერ მწ. სამსარის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე აღნიშნულ იქნა წარსულში ხეობის ტიპის ყინვარის (5,5 კმ სიგრძის) არსებობა.

ჯავახეთის ქედი მერიდიანული მიმართულებისაა და მდ. მდ. ქციახრამისა და ახალ-ქალაქის წყლის აუზების წყალგამყოფს წარმოადგენს. იგი მოქცეულია, ერთი მხრივ; წალკის ქვაბულს, მოლოტოვოს, გომარეთის და დმანისის პლატოებსა და, მეორე მხრივ, ახალქალაქის ზეგანს შორის. ქედი აგებულია ბაზალტებით, ანდეზიტო-ბაზალტებით, ანდეზიტებით, ანდეზიტო-დაციტებით, ლიპარიტო-დაციტებითა და ობსიდიანით. ლავების ამონთხევას ადგილი ჰქონდა მესამეულის ბოლოსა და მეოთხეულში. ჯავახეთის ქედი სამსარისაგან განსხვავდება ნაკლებ კლდოვანებითა და ფერდობების ნაკლებ დაქანებით. ქედის თხემს, რომელიც სუსტადაა გამოხატული, ნაზი მოყვანილობა აქვს, აქ მხოლოდ ზოგიერთ მთებს აქვს კლდოვანი ხასიათი.

ჯავახეთის ქედი მორფოლოგიურად განსხვავებულ სამ ნაწილად იყოფა: 1) ჩრდილო ნაწილი — თიქმა-თაშის გადასასვლელიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. იგი შედგება უმეტესად პლატოსმაგვარი უბნებისაგან და ნაზი მოყვანილობის დაბალი და საშუალო სიმაღლის მალღობებისაგან, 2) შუა ნაწილი თიქმა-თაშის გადასასვლელის სამხრეთით, მწვერვალებით: ყოიუნდალით (2418 მ), დავაკრანით (2820 მ), ყულიაბიაკით, ავრიკარით (2975 მ) და სხვ. აღნიშნული მონაკვეთი სამხრეთით მთა ჩათახამდე ვრცელდება და საშუალო სიმაღლის მალღობებითაა წარმოდგენილი, 3) სამხრეთი ნაწილი — ესაა ქედის პლატოსმაგვარი ნაწილი, მდ. მამავერასა და ახალქალაქის წყლის აუზების გამყოფი, მწვერვალი ემლიკლით (2054 მ). ეს ნაწილი ნაკლებ მთიანია და დამრეცად ეშვება აღმოსავლეთითა და დასავლეთით. ჯავახეთის ქედის მეოთხე ნაწილი საქართველოს გარეთ მდებარეობს [45].

ჯავახეთის ქედის დასავლეთი კალთები შედარებით სუსტ დადაბლებას განიცდიან, დაახლოებით 2000—2100 მ სიმაღლემდე, ქედის ძირში ბევრგანაა ვულკანური ქვების გროვები. აღმოსავლეთი კალთა უფრო ციცაბოა და საფეხურებრივად ეშვება ხრამის აუზისაკენ. აქაც ფერდობის ძირში საკმაოდ მნიშვნელოვანი უბნები ვულკანური ქვებითა და ლავის ნატეხებითაა მოფენილი. გარდა ამისა, დასავლეთ ფერდობისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთი ფერდობი უფრო ძლიერაა დანაწევრებული, მდ. მდ. ხრამისა და მამავერას მრავალრიცხოვანი შენაკადებით. თუმცა ფიზიკური გამოფიტვის პროდუქტები ჯავახეთის ქედზეცაა გავრცელებული, მაგრამ ამ მხრივ ის სამსარის ქედს ბევრად ჩამორ-

ჩება. ამასთანავე ჭავახეთის ქედზე მაღალი ციციბაკალებიანი მასივები მცირე-რიცხოვანია. ჭავახეთის ქედმაც განიცადა ყინვარული მოქმედება, რის შესახებაც ცნობებს ლ. მ. არუაშვილი [44, 46] გვაწვდის. იგი მდ. სარგეთდარას სათავეში აღნიშნავს ტროჯულ ხეობას, ხოლო მდ. ყირმიზი-ბულალ-დერეს (მდ. მაშავერას შემდინარეა) ხეობაში—მორენებსა და ერატიკულ კაჭარებს. ყინვარული ფორმებიდან აქ უფრო მეტად ცირკებია გავრცელებული.

ჭავახეთის ქედზე გაყინვარების კვალის არსებობის შესახებ მიუთითებს გ. გაბრიელიანიც [24], რომელმაც ამ თვალსაზრისით დაკვირვება ჭავახეთის ქედის სამხრეთ ნაწილში (სომხეთის სსრ ფარგლებში) ჩაატარა.

ჭავახეთის ქედის რელიეფის ცალკეული ფორმების შექმნაში რამდენადმე თოვლიც ღებულობს მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ქედზე, რელიეფის ჩადაბლებულ ადგილებში, მთელი წლის განმავლობაში ძვეს თოვლის ლაქები. უკანასკნელი კარგად ჩანს ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, დმანისიდან. მოთავესებულია რა ჩადაბლებულ ადგილებში, თოვლის ლაქები თავიანთი მოქმედებით სახეს უცვლიან რელიეფს და ზოგჯერ თითქმის ყინვარული რელიეფის მსგავს ფორმებს ქმნიან.

წალკის ქვაბულს მდ. ხრამის ზემო დინების აუზი უკავია და ჩრდილოეთიდან თრიალეთის ქედის შუა ნაწილთაა განსაზღვრული (აღმოსავლეთით მწ. კლდეკარამდე), აღმოსავლეთით — მდ. მდ. ხრამის ზედა დინებისა და ალგეთისა და კლდეისის წყლის აუზების წყალგამყოფით; დასავლეთით ქვაბულის საზღვარს სამსარის ჩრდილო ნაწილის აღმოსავლეთი ფერდობი წარმოადგენს; სამხრეთით — ჭავახეთის მთების ძირი და დაშაბის სერი.

წალკის ქვაბული გარდა ძირითადი ელემენტისა შეიცავს აგრეთვე მიმდებარე ოროგრაფიული ერთეულების — თრიალეთის, სამსარის და ჭავახეთის ქედის ნაწილებს. გეომორფოლოგიურად იგი სხვადასხვაგვარია და ოთხ ნაწილად იყოფა: 1) წალკის ქვაბულის ჩრდილო ზოლი, რომელიც თრიალეთის ქედის შუა ნაწილის სამხრეთი ფერდობის სახითაა წარმოდგენილი და მთიანი და ბორცვოვანი ეროზიული რელიეფით ხასიათდება, 2) თრიალეთისძირა ზოლი, 3) წალკის ქვაბულის უდაბლესი, ცენტრული ნაწილი, რომელიც იყოფა რამდენიმე მეორეხარისხოვან ქვაბულად, რომელთა შორისაც დაბალი სერებია აღმართული, 4) წალკის ქვაბულის სამხრეთი და დასავლეთი ნაწილი [10].

წალკის ქვაბულისაკენ საკმაოდ დახრილად ეშვება თრიალეთის ქედის სამხრეთი ფერდობები. უკანასკნელი დაღარულია მდ. ხრამის მრავალრიცხოვანი შემდინარეებით.

თრიალეთის ძირა ზოლი მდებარეობს წალკის სერსა და თრიალეთის ქედს შორის, უკანასკნელის განშტოებანი ამ ზოლს 3 ნაწილად ჰყოფს: ა) მდ. ქციის ზემოწელის ხეობა ავრანლოს კანიონამდე. აქ წარმოდგენილია რეხის ქვაბული, ბ) რეხის ქვაბულის აღმოსავლეთით, თარსონის ბორცვობრივი წყალგამყოფის აღმოსავლეთით, მდებარეობს თარსონის ხეობა, გ) უფრო აღმოსავლეთით, წარმოდგენილია დასავლეთიდან—აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმული კაბურის დახრილი ვაკე. ამ ერთეულების საერთო თვისებად ჩაითვლება ის, რომ ისინი ტბიურ-მდინარეული აკუმულაციური წარმოშობის არიან [45].

წალკის ქვაბულის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებს, რომელიც ეფუზიური ქანებით აგებულ ჭავახეთის ქედისა და სამსარის ქედის ფერდობებს უკავია, აქ არ ვიხილავთ, რადგან ისინი დახასიათებული იყვნენ ამ ქედების განხილვისას.

წალკის ცენტრალური ნაწილი რელიეფის დადებითი და უარყოფითი ფორმების შეთანაწყობით ხასიათდება. უარყოფითი ფორმებიდან ყურადღებას იქცევს ქვაბულები და ტაფობები—ბეშთაშენის, ქიარაკის, ბაშქოვისა და წალკის (ბარმაქსიზის). დადებითი ფორმებიდან აღსანიშნავია სერები (წალკის, ბეშთაშენის, დაშბაშის), რომლებიც დასახელებულ ქვაბულებს ერთიმეორისაგან გამოჰყოფენ.

წალკის გეომორფოლოგიურ რაიონში, დიდი ნაწილი უკავია ბეშთაშენის ქვაბულს, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულია უფრო მცირე ქვაბულები—ქიარაკის, წალკის, ბაშქოვის. ბეშთაშენის ქვაბული აღმოსავლეთით ვიწროვდება და იმერას ხეობაში გადადის. ქვაბულის შუა ნაწილში ჩაწოლილია დარაკოვის პლატო. ქიარაკის ქვაბულის გაგრძელებას წარმოადგენს დასავლეთით მდ. ქილქილის ხეობა და უშუნგელის ტბის ტაფობი.

წალკის ქვაბულის ჩრდილო ნაწილში გაკიშულია დაბალი სერები — წალკის სერები, რომლებიც ბეშთაშენისა და ქიარაკის ქვაბულებს განსაზღვრავენ ჩრდილოეთიდან. აღნიშნული სერებიდან (მაღლობებიდან), ბეშთაშენის ქვაბულის შუა ნაწილის ახლოს გამოიყოფა განშტოება—ბეშთაშენის სერი, რომელიც ქიარაკის ქვაბულს განაცალკევებს ბეშთაშენის ქვაბულისაგან. სოფ. ბეშთაშენის მერიდიანის აღმოსავლეთით ეს სერი (ბეშთაშენის სერი) იტოტება ლივადისა და ბაშქოის სერების სახით და გარს ერტყმის ბაშქოის ტბის აუზს.

სამხრეთით, ბეშთაშენის სერის პარალელურად, ვრცელდება ქორსუს სერი, რომელიც აღმოსავლეთი ნაწილით ბედენის ქედში გადადის. კიდევ უფრო სამხრეთით, სოფ. სოფ. წალკასა და დაშბაშს შორის, მდებარეობს დაშბაშის სერი, რომელიც წალკის ქვაბულს გამოჰყოფს მოლოტოვის პლატოსაგან.

წალკის ქვაბულის რელიეფის განვითარების ისტორია ასე სურათდება: პლიოცენის დასაწყისში, ბაზალტური და ანდეზიტო-ბაზალტური ლავების ამოღვრამდე რაიონი წარმოადგენდა სუსტად დანაწევრებულ ხმელეთს, რომლის ჩრდილოეთით აღმართული იყო თრიალეთის ქედი. ლავამ, რომელიც ამოიღვარა ჭავახეთის ქედის ჩრდილო ნაწილიდან, დაფარა აჭარა-თრიალეთის გეოსინკლინური ზოლის სამხრეთი ნაწილი. ლავების ამოღვრა მოხდა ორჯერად. თითოეული ლავის საფარის გაჩენის შემდეგ მის ზედაპირზე მდინარეებისა და ტბების საშუალებით ილექებოდა თრიალეთის ქედიდან ჩამოზიდული მასალა. ამას მერე მოჰყვა მთათაწარმოშობის პროცესები, რის გამოც ლავებმა და მათ შემცველ კონტინენტურ ნალექების წყებამ განიცადა გვერდითი წნევა, რითაც შეიქმნა წალკის, ბეშთაშენის, დაშბაშის, ქორსუს ანტიკლინები და მათ შორის მთათესებული ქვაბულები (ბეშთაშენის, ქიარაკის, ბარმაქსიზის, ბაშქოის). ამრიგად, პლიოცენური ლავის საფარის დანაოქებით წარმოიშვა ქვაბულებისა და სერების სისტემა, რამაც განსაზღვრა წალკის თანამედროვე ოროგრაფიული სახე (ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, 1946).

მ ო ლ ო ტ ო ვ ო ს ( რ ო ტ ე ნ ბ ე რ გ ი ს ) პ ლ ა ტ ო მდებარეობს უმეტესად მდ. ხრამის მარჯვენა მხარეზე, 1500—1600 მ (ზ.დ.). მის საზღვარს დასავლეთით ჭავახეთის მთის ფერდობები წარმოადგენს, ჩრდილოეთით — დაშბაშის სერი და ბედენის ქედის დასავლეთი დაბოლოება; პლატო აღმოსავლეთით ციცაბოდ ეშვება მდ. მდ. ხრამისა და ჭოჭიანის ხეობებში. იგი მდ. ხრამის მარცხენა მხარეზეც ვრცელდება ახალიკის მთიანი ვაკის სახით. პლატო, რომელიც უმეტე-

სად ვაკე ზედაპირით ხასიათდება, დანაწევრებულია მდ. მდ. ხრამითა და კოჭიანით, აგრეთვე რიგი მშრალი ხევეებით.

ბედენის პლატო თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარეობს და მდ. ხრამის შუადინებისა და ალგეთის ზემო დინების გამოყფს წარმოადგენს. პლატოს ჩრდილოეთიდან საზღვრავს მდ. იმერას და აგრეთვე მდ. ალგეთის შემდინარის — ლაყვის წყლის ხეობა; პლატო სამხრეთიდან მდ. ხრამის შემდინარეების — ქივჭავის, ასლანკას, კლდისის წყალის, შიპიაკის აუზებით ისაზღვრება; დასავლეთით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პლატო ქორსუს სერში გადადის, ხოლო აღმოსავლეთით — გომერის ქედში. ბედენის მასივის თხემს ვარცლისებური ფორმა აქვს და ყოველმხრივ ამალღებული ნაპირბითაა შემოფარგლული. ჩრდილოეთით პლატოს გასდევს მალღობები, რომელსაც ბედენის ქედს ეძახიან, მასზე განლაგებულია მწვერვალები: ბედენი (1875 მ), იაილო (1951 მ) და სხვ. ქედის ჩრდილო ფერდობი საფეხურებრივად ეშვება ლაყვის წყლისა და იმერას ხეობაში. პლატოს სამხრეთი მალღობები წყვეტილია და თანაც დაბალი. ბედენი თავისებურ ოროგრაფიულ კვანძს წარმოადგენს: მას სამხრეთით გამოეყოფა მერიდიანული ქედი, რომელიც მდ. ხრამის მარცხენა ნაპირის გასწვრივ მიიმართება, სოფ. წყნარ აბანომდე, ამ ქედს ადგილობრივი მცხოვრებნი ქაჩალ-გორას უწოდებენ. უკანასკნელსაც თავის მხრივ გამოეყოფა ქედი, რომელიც კორხ-ხრამ-ღუზისა და ხრამის გამოყფს წარმოადგენს. ბედენის ქედიდან სამხრეთ აღმოსავლეთით მიიმართება განშტოება, რომელიც სოფ. დაღეთ-ხაჩინამდე და წინწყარომდე აღწევს. ბედენის ქედს ებმის ლაყვას ქედი (მწ. საკრისით, 1820 მ); იგი თრიალეთის ქედს მწ. კლდეკართან გამოეყოფა და წალკის ქვაბულს აღმოსავლეთიდან განსაზღვრავს.

ბედენის პლატოს აგებულებაში ძირითად როლს თამაშობს შუა ცარცის ნალექები, რომლებიც ლითოლოგიურად არკოზიული ქვიშაქვებით, კირქვებით და ტუფოგენური ნალექებითაა წარმოდგენილი. ახალგაზრდა ეფუზიური ქანები — დოლერიტული ლავები განვითარებულია ბედენის ქედის ჩრდილო ფერდობზე და, აგრეთვე, მით ამოვსილია ბედენის ვარცლისებური ჩალრმავეების ფსკერი.

ბედენის ქედის ჩრდილო ფერდობის ლავეები ძველია და მათ ინტენსიური დისლოკაცია აქვთ განცდილი, ხოლო პლატოს (ვარცლის) ლავეები ახალგაზრდაა, ისინი ჯავახეთის ქედის ვულკანებიდან ამოიღვარა და ორ ნაკადად მოდიოდა გომარეთის პლატოზე და მდ. კოჭიანის შესართავზე გავლით. ბედენის პლატო იმ გრძელი ლავური ღვარის ნაწილია, რომელიც ჯავახეთის ქედიდან მოდიოდა, გაივლიდა ქვემო ქართლის ლავური პლატოს მიდამოებს და მარნეულის ვაკისაკენ მიიმართებოდა. უეჭველია ლავური ღვარი ამონთხვევისას რელიეფის უარყოფითი ფორმის — ჩადაბლებული ადგილის მიმართულებით მოედინებოდა, ეს ჩადაბლებული ადგილი ძველი მდინარის ხეობა უნდა ყოფილიყო და ხრამის თანამედროვე აუზში იყო. ბედენის ვარცლისებური პლატო წინად სწორედ ძველი მდინარის — პალეოხრამის ხეობა ყოფილა, რომელიც მერე ლავეებით ამოვსილა [45].

გომარეთის პლატო წალკის სამხრეთით მდებარეობს, მდ. ხრამისა და მდ. ყარაბუღლახის აუზში. პლატოს აღმოსავლეთიდან განსაზღვრავს მდ. ხრამის ხეობა, სამხრეთით — შინდლიარის მასივი, ჩრდილოეთით — კვირიკეთის მალღობი, ხოლო დასავლეთით ჯავახეთის მთების აღმოსავლეთი კალთები. პლატოს სიმაღლე 1200—1250 მ-დან 1400—1450 მ-მდე მერყეობს. იგი დანაწევ-



რებულია მდინარე ყარაბულახითა და მისი შენაკადებით (მდ. მდ. მუხიანით, შამხიანით, ახათი და სხვა).

გომარეთის პლატოს ბრტყელი, ვაკე ზედაპირი აქვს, რომელზეც აქა-იქ დაბალი ბორცვებია გაბნეული, განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში. პლატო დანაწევრებულია მასში ჩაჭრილ მდინარეთა ვიწრო და ღრმა ხეობებით.

გომარეთის პლატო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ წავრმელებული ჩადაბლებაა და, ბედენის პლატოს მსგავსად, ძველ ხეობას წარმოადგენს, რომელიც ახალგაზრდა ლავებითა და ტბურ-მდინარეული ნალექებითაა ამოვსილი. ტბური ნალექებით დაფარულია გომარეთის ვაკე, საჯის ვაკის ნაწილი, დაღ-არუხლოს ქვაბულის ფსკერი და სხვა. ასე, რომ, თუმცა ვულკანიზმი მთავარი მოქმედია გომარეთის პლატოს გაფორმებაში, მათ განვითარებაში ტბებს მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით [45]. ძველი ტბებიდან ახლა აქ მხოლოდ ქაობებია დარჩენილი, ან კიდევ უმნიშვნელო ტბა.

დ მ ა ნ ის ის ( ბ ა შ კ ი ჩ ე თ ის ) პლატო მდ. მაშავერას ზემო დინების აუზში, ჭავახეთის მთების სამხრეთი ნაწილის აღმოსავლეთ ფერდობის ძირას მდებარეობს. აღნიშნული ფერდობი პლატოს დასავლეთ საზღვარს წარმოადგენს. სამხრეთით მისი საზღვარი სომხეთის ქედის დასავლეთი დაბოლოებაა, ჩრდილოეთით — შინდლიარის მასივი. აღმოსავლეთით პლატო თანდათან ვიწროვდება და მის გაგრძელებას მაშავერას ლაგური იღვარი წარმოადგენს. პლატო, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთითაა დახრილი, ცენტრალურ ნაწილში სიმაღლით 1200—1250 მ (ზ. დ.) აღწევს. იგი დოლორიტული ლავებითაა აგებული. დმანისის პლატო, ისე როგორც გომარეთის, ბედენისა და ქვემო ქართლის პლატო მაღალზე ამოწეული ვაკეა და ბრტყელი, ტალღობრივი და ბორცვიანი უბნების შეთანაწყობით ხასიათდება.

ქვემო ქართლის ვაკის დასავლეთ ნაწილის ირგვლივ მდებარე, სხვადასხვა აგებულების წინამთების რელიეფი<sup>1</sup>. დასახლებული რელიეფის ტიპი ქვემო ქართლის ვაკეს დასავლეთის მხრიდან აკრავს და ქვემო ქართლის ირგვლივ მდებარე მთიანი მასივების ვაკისაკენ მიმართული წინამთების ზონას წარმოადგენს. იგი რამოდენიმე ოროგრაფიული ელემენტის ნაწილს შეიცავს, რომლებიც გეოლოგიური აგებულებითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამან, და მორფოგენეზის სხვა ფაქტორებმაც, განაპირობა წინამთების რელიეფის რამდენადმე განსხვავებული ხასიათი მის ცალკეულ ნაწილებში.

წინამთების ჩრდილო ნაწილი ნაოჭა სტრუქტურით ხასიათდება და კარგად გამოხატავს სინკლინური და ანტიკლინური ნაოჭების მორიგეობას. ზონის აგებულებაში მონაწილეობას იღებენ: ეოცენის ნალექები, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილი არიან თიხებით, მერგელებით, ქვიშაქვებით, ტუფ-ქვიშაქვებით და ტუფობრექჩიებით; აგრეთვე შუა ეოცენის ვულკანოგენური ქანები (ფიქლოვანი თიხები, ქვიშაქვები და მერგელები) და ოლიგოცენისა და ქვედა მიოცენის ქვიშაქვები და თიხები. ამ ზოლის აგებულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე დელუვიური ნაფენები (30). ასეთმა აგებულებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა წინამთების ამ ნაწილის რელიეფის ხასიათი.

წინამთების ჩრდილო ნაწილი, რომელიც დასავლეთით მწ. ნაკალოვარის მერიდიანამდე აღწევს, ძლიერ დანაწევრებული რელიეფით ხასიათდება, რაშიც

<sup>1</sup> რელიეფის აღნიშნული ტიპი, და მომდევნოც, გამოყოფილი და დადგენილია პროფ. ა. ნ. ჯავახიშვილის მიერ.

გარდა ალგეთისა და მისი შემდინარეებისა (მდ. მდ. ასურეთის, ლამის-ხევის, ენაგეთის-ხევის, ბოგვის-ხევის და სხვ.) მონაწილეობას იღებს აგრეთვე მშრალი ხევებიც. წინამთების გამკვეთი მდინარეების (ალგეთის შემდინარეები) მიმართულემა სამხრეთ-აღმოსავლურია. ამავე მიმართულებითაა განლაგებული წყალგამყოფი სერებიც. წინამთების ჩრდილო ნაწილის რელიეფი ხასიათდება წყალგამყოფი სერების, ხეობებისა და მშრალი ხევების მორიგეობით.

წინამთების დასავლეთი ნაწილი თითქმის მთლიანად ქვემო ქართლის პლატოს ემთხვევა და მოთავსებულია მდ. მდ. ალგეთისა და მაშავერას ხეობებს შორის. იგი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ისაზღვრება მდ. ხრამის შუადინების მთათა ჯგუფის განშტოებებით, რომლებიც ბედენის პლატოდან და შინდლიარის მასივიდან გამოიყოფიან. აღმოსავლეთიდან პლატო განსაზღვრულია მარნეულის ვაკით (სოფ. სოფ. მარაბდა—მარნეული—არუხლო—ტაშთიკულარის ხაზით); დასავლეთით საზღვარს მთა ლისაიას განშტოებები წარმოადგენს. პლატო აგებულია დოლერიტული ლავებით, რომელიც გომარეთისა და ბედენის პლატოს ლავის გაგრძელებას წარმოადგენს.

ქვემო ქართლის პლატო მდ. ხრამით ორ ნაწილად იყოფა: ჩრდილო, რომელიც უფრო დიდია და რომელსაც თეთრი წყაროს პლატოსაც უწოდებენ და სამხრეთ ნაწილად, რომელიც გაცილებით პატარაა და ხრამის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს. ესაა ე. წ. დისველის პლატო. ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ იგი აგრეთვე ტაფანადაც იხსენიება. თეთრი წყაროს პლატოს საერთო დახრილობა აღმოსავლეთისაკენაა, მას ჩრდილო ნაწილში მთელ სიგრძეზე გასდევს ქედი, რომელიც ბედენიდან იწყება. პლატოს აღმოსავლეთი კიდე საკმაოდ დახრილია ქვემო ქართლის ვაკისაკენ.

ქვემო ქართლის პლატოს სამხრეთი ნაწილი—დისველი ბრტყელი, ვაკე რელიეფით ხასიათდება და ორ მხრივაა დახრილი (აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით). დისველის სამხრეთი კიდე შემორკალულია შინდლიარის მასივის აღმოსავლეთი განშტოების აღმოსავლეთ ბაზოლოგებით. დისველი საკმაოდ ციკაბოდ სწყდება ქვემო ქართლის ვაკისა და აგრეთვე მდ. მაშავერას ხეობისაკენ. ქვემო ქართლის პლატოს დასავლეთ ნაწილში, მდ. ასლანკას ზემო წელის აუზში, მდებარეობს ირავას ქვაბული.

წინამთების სამხრეთი ნაწილი წარმოადგენილია ძირითადად სომხითის (ანუ ლოქის) ქედის ჩრდილო ფერდობის წინამთებით. ს ო მ ხ ი თ ი ს ქ ე დ ი განედღის მიმართულებისაა და მდ. მდ. მაშავერასა და დებედის შორისაა გაწოლილი. ქედის აგებულებაში მთავარ როლს ითრული და ცარცული ნალექები თამაშობენ. უკანასკნელი წარმოდგენილია კირქვებით, ქვიშაქვებითა და ვულკანური წყებით (პორფირიტები, ტუფები და ტუფ-ბრეკჩიები); ამას გარდა, გავრცელებულია აგრეთვე მიოცენის დროინდელი გრანოლიორიტების ინტრუზიები. სომხითის მთებში შემჩნეულია ძველი გრანიტების გამოსასვლელიც. გეოლოგიური აგებულების ასეთი სირთულე, ადგილ-ადგილ ძლიერი დანაწევრება, ახალგაზრდა ეროზიულ დენუდაციურ პროცესებთან ერთად, ქედს მეტად დაღარულ სახეს აძლევს. ქედის ფერდობები ასიმეტრიულია: ჩრდილო ფერდობი კარგადაა განვითარებული და დიდ სიგრძეზე ეშვება ქვემო ქართლისაკენ, ხოლო სამხრეთი მოკლედ წყდება სომხეთის სსრ ტერიტორიისაკენ. ქედის ჩრდილო ფერდობის საერთო დაქანება ჩრდილო-აღმოსავლეთურია, ამან მნიშვნელოვნად განსაზღვრა მდ. მდ. მაშავერისა და ხრამის შემდინარეთა ძირითადი მიმართულება [30].

სომხითის ქედის ჩრდილო ფერდობი საკმაოდ ღრმადაა დანაწევრებული მდ. მაშავერას მარჯვენა შემდინარეებით — დმანისით, ფოლადაურით, რომელიც ლოქის წყლისა და ფირფიჭანის შეერთებით იქმნება; ტავაპარის წყლით და მდ. ხრამის მარჯვენა შემდინარეებით (შულავერის წყლითა და დებედათი). ამ მდინარეთა აუზები ურთიერთისაგან გამოყოფილია სომხითის ქედის გარდღივად მოდ მიმართული ლუკუნის (ხრამისა და მაშავერას აუზის წყალგამყოფი), ბოლნისის (მდ. მდ. მაშავერასა და ბოლნისის წყლის აუზების გამყოფი), შულავერის (შულავერის წყლის და დებედას გამყოფი), ოფრეთის (მდ. ფოლადაურისა და ტალაპარის წყლის აუზების გამყოფი) და სხვა წვრილი განტოტებებით. მდ. დებედას აღმოსავლეთით მდებარეობს განედობრივი მიმართულების ბაბაკარის ქედი, რომელიც კირქვებისა და მერგელებისაგანაა აგებული, იგი ეშვება რა სამხრეთით, ჰქმნის კირქვოვან პლატოებს, რომლებიც ზოგან თიხნარებითაა დაფარული.

სომხითის ქედი ჩრდილო ქვემო ფერდობით ჰქმნის წინამთების სამხრეთ რაიონს, რომელიც აგებულია ცარცული ნალექებით (ქვიშაქვოვანი კირქვებით, მერგელებითა და მარმარილოსმაგვარი კირქვებით, ტუფობრეჭიებით, ტუფკონგლომერატებით, ტუფ-ქვიშაქვებით, კვარც-პორფირიტებით). ამ რაიონში გავრცელებულია ახალგაზრდა ვულკანური ქანებიც — დოლერიტები, მდ. მაშავერის ლავური დეარის სახით, რომელიც დმანისის ლავური პლატოს გაგრძელებას წარმოადგენს და ბოლნისამდე აღწევს. მდინარეთა ვაფართოებულ ხეობებში გავრცელებულია საკმაო სისქის ალუვიური ნაფენები. ასეთმა ლითოლოგიურმა შემადგენლობამ ტექტონიკურ და ეროზიულ-დენუდაციურ პროცესებთან ერთად განაპირობა წინამთების რელიეფის ძლიერი დანაწევრება. წინამთების სამხრეთი რაიონი მდინარეთა ხეობებისა და სომხეთის ქედის ჩრდილო განტოტებათა დადაბლებული ნაწილების მორიგეობით ხასიათდება, აღნიშნული განტოტებანი ჩრდილოეთით თანდათან დაბლდებიან და გორაკ-ბორცვებში გადადიან. წინამთების ფართო ხეობებში, რომლებიც დიდი ნაყოფიერებით ხასიათდებიან, განლაგებულია (500—600 მ ზ. დ.) ქვემო ქართლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თრიალეთის ქედის მთა-ხეობათა რელიეფი. ქვემო ქართლის ფარგლებში ცალკე მორფოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს თრიალეთის ქედი, რომელიც აქ წარმოდგენილია დაახლოებით მწვერვალ არჯევანიდან აღმოსავლეთით, სამხრეთ ფერდობის სახით. მწ. არჯევანიდან თრიალეთის ქედი თანდათან მაღლდება აღმოსავლეთით. მთ. კლდეკარიდან თრიალეთის აღმოსავლეთი ნაწილი იწყება. აქ მთავარ ქედს გამოეყოფა სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულების — ლაყვის ქედი. მწ. ხუმარასთან თრიალეთის ქედი უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და აღწევს მთ. საყარაულოს (1474 მ), მერე კი აღმოსავლეთით — თბილისისაკენ მიემართება და თელეთის ქედის სახით ეშვება მდ. მტკვრის ხეობაში. ამ ნაწილში თრიალეთის ქედი მდ. მდ. ვერესა და ალგეთის აუზების წყალგამყოფს წარმოადგენს.

ქედის აგებულებაში მთავარ როლს თამაშობს პალეოგენური ფლაში, ტუფოგენური ფენების მონაწილეობით. უფრო ძველ ქანებს აქ ზედა ცარცის კირქვები წარმოადგენს. შემდეგ ამას მოჰყვება პალეოცენი, რომელიც მერგელებით, ქვიშაქვებით, თიხა-ფიქალებითა და ანდეზიტური ტუფებითაა წარმოდგენილი. პალეოცენის ფლიშური სერია ზემოდან დაფარულია შუა ეოცენის ანდეზიტური საფარით და აგრეთვე ვულკანური ბრეჭიებითა და ტუფების წყებითა.

ზედა ეოცენი გამოხატულია ქვიშაქვებით, რომელსაც ზოგან თიხები ცვლის, ხოლო ოლიგოცენი — თიხებითა და ქვიშაქვებით.

თრიალეთის ქედის აწევება ალპური დანაოქების შესატყვის ფაზებთან იყო დაკავშირებული და მოხდა ოლიგოცენში და ქვედა მიოცენში. ამ უკანასკნელი ამოწევის შემდეგ ქედი არ იყო მაღალი. აწევებას თან მოჰყვა პენეპლენიზაცია. თრიალეთის ქედისათვის მთათაწარმოშობის მთავარი ფაზა პლიოცენის დასასრულს იყო.

ქედის ამგვარმა მრავალფეროვანმა ლითოლოგიურმა აგებულებამ, ტექტონიკურ და როგორც ძველ, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუდაციურ პროცესებთან ერთად, განსაზღვრეს რელიეფის სახე. ქედის მორფოლოგიურ თავისებურებად ითვლება ის, რომ მისი ფერდობები ასიმეტრულია; ჩრდილო ფერდობი უფრო გრძელია, სამხრეთი კი მოკლე. ასიმეტრიულობა კარგადაა გამოხატული ცენტრალურ ნაწილში. თრიალეთის ქედის სამხრეთი ფერდობი, განხილვის ფარგლებში, დანაწევრებულია მდ. მდ. ალგეთისა და ხრამის მარცხენა შემდინარეებით. უკანასკნელნი ურთიერთ განცალკევებულია მოკლე განშტოებით.

ქვემო ქართლის ვაკე განხილული ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილს იკავებს და გავრცელებულია მდ. მტკვრის ორივე მხარეზე, აგრეთვე მისი შემდინარეების — ხრამისა და ალგეთის ქვემო დინებათა გაყოლებით. ვაკის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს წარმოადგენს გარე კახეთის ზეგნის ვაკისაკენ დახრილი ფერდობი; ჩრდილოეთით და სამხრეთით ვაკე განსაზღვრულია იაღლუჯის მაღლობით, თრიალეთისა და ლოქის ქედების წინამთების ზოლითა და გორაკ-ბორცვებით, ხოლო დასავლეთით — ქვემო ქართლის პლატოს აღმოსავლეთი ფერდობით. ვაკე შუა ნაწილისაკენ — მტკვრისაკენაა დახრილი, მთლიანად კი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ეშვება. ვაკის ყველაზე დაბალი ნაწილი წითელი ხიდის რაიონშია და 270 მ (ზ. დ.) უდრის. ქვემო ქართლის ვაკე რელიეფის ხასიათით (როგორც სოღახლუდის, ისე გარდაბნისა და მარნეულის სტეპის ფარგლებში) სანაპირო და პერიფერიულ ნაწილებში განსხვავებულია. ვაკის მარცხენა ნაწილიც რამდენადმე განსხვავებულია მარჯვენასაგან. მარცხენა ნაწილი, რომელსაც ყარაიას (გარდაბნის) ვაკესაც უწოდებენ ხოლმე, ოროგრაფიული თვალსაზრისით ორად იყოფა: ვაკედ ანუ საკუთრივ ყარაიას სტეპად და „მაღლობად“. უკანასკნელი გარე კახეთის ზეგნის ვაკისაკენ მიმართული ფერდობის წინა ნაწილის სახითაა გამოხატული და საშუალოდ 360—425 მ (ზ. დ.) აღწევს. საკუთრივ ვაკეში გამოიყოფა ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. პირველი სრულიად სწორი ზედაპირით ხასიათდება, რელიეფის ერთგვაროვნებას აქ არღვევს ცალკეული უმნიშვნელო გორაკ-ბორცვები. ვაკის მეორე ნაწილი ნაკლებ დაქანებულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ფართო ტერასებით ხასიათდება.

ქვემო ქართლის ვაკის დიდი ნაწილი მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზეა გაშლილი, ესაა იაღლუჯის სამხრეთით მდებარე მარნეულის (ბორჩალოს) ვაკე, რომელსაც დაახლოებით სამკუთხედის მოყვანილობა აქვს და ფუძით მდ. მტკვარს ებჯინება, ხოლო წვერით ბოლნისს. ჩრდილოეთით ვაკე განსაზღვრულია იაღლუჯის სამხრეთი ფერდობით და იმ ხაზით, რომელიც გადის სოფლებზე: არუხლოზე ჯაფალოზე და ბოლნისზე. ვაკის სამხრეთი საზღვარი სომხი-

თის ქედის ჩრდილო ფერდობების ძირს მიჰყვება იმ ხაზით, რომელიც დაახლოებით გაივლის სოფლებზე: ბოლნისზე, ხატის-სოფელზე, ფახრალოზე, სარაჩლოზე და დაბა შაუშიანზე. აქედან ვაკის ნაწილი სამხრეთით — მდ. დებედას გაყოლებით საკმაოდ შორს იპოება. მერე სამხრეთი საზღვარი ბაბაკარის



სურ. 2. ქვემო ქართლის ვაკის ნაწილი ბოლნისთან

ჩდ. ფერდობს გასდევს. ამ ფარგლებში მოქცეული მარნეულის ვაკის ღრენირებას აწარმოებს მდ. მდ. მტკვარი, ხრამი, დებედა, შულავერის წყალი, ტალავარის წყალი, ბოლნისის წყალი, მაშავერა და ალგეთი (ამ მდინარეთა ქვემო ნაწილები). მარნეულის ვაკე დახრილია პერიფერიებიდან მდ. ხრამისაკენ და

მთლიანად კი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ვაკეზე კარგადაა გამოხატული ტერასები.

ქვემო ქართლის ვაკეზე შენიშნულია სარმატული თიხებითა და ქვიშაქვებით აგებულ-სინკლინური და ანტიკლინური ნაოჭების მორიგეობა. დისლოცირებულ სარმატის ნალექებს აქ ზემოდან ხურავს უფრო ახალგაზრდა ნალექები—თაბაშირის შემცველი ქვიშაქვიანი თიხები და ქვიშები, როჰკითა და რიყით. ასეთია ვაკის საფუძველი, რომელიც დაფარულია თანამედროვე კონტინენტალური ნალექების სქელი ფენით. ქვემო ქართლის ვაკე მთათაშორის ტექტონიკურ დეპრესიას წარმოადგენს, რომელშიც ადრე ილექებოდა კონტინენტური ნალექები. უკანასკნელნი ჰქმნიან ვაკის ტერასირებულ რელიეფს. ასე რომ, მდ. მტკვრის, ხრამის, ალგეთის და მათი შემდინარეების ეროზიულ-აკუმულიაციურმა მოქმედებამ, ეპიროგენეტურ-მოძრაობასთან ერთად, განსაზღვრა ქვემო ქართლის რელიეფის ძირითადი სახე [30].

როგორც აღვნიშნავდით, ქვემო ქართლის ვაკეზე კუნძულივით განცალკევებულად აღმართულია იაღლუჯას მაღლობი, რომელსაც ზოგჯერ იაღლუჯას ქედსაც ეძახიან. იგი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულია ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ შევიწროებული. მაღლობი მობრტყელებული ზედაპირით ხასიათდება და ჩრდილო და სამხრეთ კიდეზე ოდნავ ამოწეულია. მსგავსად ქვემო ქართლის ვაკისა იგი ორ მხრივ დაქანებას ამჟღავნებს — შუა გულისაკენ და საერთოდ კი სამხრეთ-აღმოსავლეთით, მის უმაღლეს წერტილს მწ. საყარაულომთა (770 მ) წარმოადგენს, რომელიც იაღლუჯას ჩრდილო-დასავლეთ კიდეშია აღმართული. მაღლობის ზედაპირი აგებულია დისლოცირებული პოსტპლიოცენური რიყით.

ქვემო ქართლის ვაკე, რომელიც ალუვიური და დელუვიურ-პროლუვიური ნაფენებითაა აგებული, დიდი ნიყიერებით ხასიათდება და ქვემო ქართლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ აქაა განლაგებული.

ქვემო ქართლის ფარგლებში მოქცეულია აგრეთვე გარე კახეთის ზეგნის ნაწილი, სახელობრ, მთების: ამართულის, სარი-იარის, დემურ-დაღის, დიდი უღაბნოს, ყარა-თაფას ფერდობები, რომლებიც ქვემო ქართლის ვაკეს განსაზღვრავენ ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ქვემო ქართლის რელიეფის განხილვიდან ჩანს, რომ მისი ტოპოგრაფიული პირობები სრულიად ხელსაყრელია მეურნეობის რიგი დარგების განვითარებისათვის: უპირველესად აღსანიშნავია ვაკე რელიეფის მნიშვნელოვანი განვითარება, რაც სამეურნეო ათვისების თვალსაზრისით დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შეიძლება გამოიყოს შემდეგი ჰიფსომეტრული ზონები: 1) 500 მეტრამდე (ზ. დ.), 2) 500-მ-დან 1000-მდე; 3) 1000-დან 1500 მ-დე, 4) 1500 მ-დან 2000 მ-მდე და 5) 2000 მ-ის ზემოთ.

პირველი ზონა ქვემო ქართლის ვაკეს ემთხვევა და 1075 კმ<sup>2</sup> უჭირავს (ქვემო ქართლის მთელი ტერიტორიის 18,9% შეადგენს). ზონის ვაკე რელიეფი სრულ შესაძლებლობას იძლევა სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვა-გამოყენებისათვის; ვაკე მცირედ დახრამული და გზების ხშირი ქსელითაა წარმოდგენილი, რითაც იგი უკავშირდება როგორც საქართველოს სსრ სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებს, ისე მოძმე რესპუბლიკებს (სომხეთს და აზერბაიჯანს), რაშიც ზონის ტოპოგრაფიულ თავისებურებას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის. ზონის რელიეფის ერთ-ერთ დადებით მხარეთ უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი აადვილებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხელოვნურ მორ-

წყვას. ქვემო ქართლის ვაკეზე განვითარებული ალუვიური და დელუვიურ-პროლუვიური ნალექები განსაზღვრავენ მისი ნიადაგების მაღალ ნაყოფიერებას. ყველა ზემოაღნიშნულმა პირობებმა დიდად შეუწყო ხელი ამ ზონის მჭიდროდ დასახლებას.

მეორე ზონა (500—1000 მ-მდე ზ. დ.) ქვემო ქართლის ვაკეს ნახევარკალის სახით აკრავს დასავლეთით, ნაწილობრივ აღმოსავლეთითაც. იგი ძირითადად წინამთებიტაა წარმოდგენილი. ამ ზონას 1368.1 კმ<sup>2</sup> უჭირავს (ქვემო ქართლის მთელი ტერიტორიის 24,1%-ს). ზონის სამეურნეო თვალსაზრისით შეფასების დროს საყურადღებოა რელიეფის დახრილობა და ექსპოზიცია; დახრილობის მიხედვით აქ რელიეფის სამი ტიპი შეინიშნება: სუსტად, საშუალოდ და ძლიერ დახრილი. სუსტად დახრილია ქვემო ქართლის პლატო, რომელიც აქ მისი აღმოსავლეთი ნაწილითაა გამოხატული. ქართლის პლატოს ამ ნაწილში შედის დისველი (ტაფანი) და თეთრი წყაროს პლატო, რომლებიც ძირითადად ვაკე რელიეფით არიან წარმოდგენილი და სამეურნეო ათვისების თვალსაზრისით საუკეთესო ტერიტორიებს წარმოადგენენ. სუსტადაა დახრილი აგრეთვე წინამთების ზონა (700—750 მ ზ. დ.) როგორც სამხრეთ და დასავლეთ, ისე ჩრდილო ნაწილში. გარდა ამისა, წინამთების უდიდესი ნაწილის ექსპოზიცია სამხრეთულია. ამრიგად, ეს ზონა რელიეფის სუსტი დახრილობისა და უმეტესად სამხრეთული ექსპოზიციის წყალობით, სამეურნეო ათვისების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. ზონის ზედა ნაწილი (750 მ ზემოთ) შედარებით უფრო დახრილია და მეტწილად ტყეების გავრცელების არეს ემთხვევა. ძლიერ დახრილია მდ. ალგეთის, ასევე ხრამის და მისი შემდინარების შემოწვლის ხეობის ფერდობები, თუმცა ასეთი, ფართობის მიხედვით, მცირეა.

მესამე ჰიფსომეტრულ ზონაში (1000—1500 მ-მდე) ერთიანდება თრიალეთისა და სომხითის ქედის ფერდობები, აგრეთვე დმანისის, გომარეთის, მოლოტოვოს პლატოები და წალკის ქვაბულის დიდი ნაწილი. ზონის საერთო ფართობი 1346,3 კმ<sup>2</sup> უდრის (ქვემო ქართლის მთელი ტერიტორიის 23,7%-ს). რელიეფი აქ ძირითადად (თრიალეთისა და სომხითის ქედის ფერდობების გამოკლებით) ვაკე ხასიათის მატარებელია, ასეთია მაგ., ქვემო ქართლის პლატოს დასავლეთი ნაწილი, აგრეთვე ირავას ქვაბულის ფსკერი, რომელიც ნაოციერი ნიადაგებით ხასიათდება და მჭიდროდ დასახლებულია. ბრტყელი რელიეფით არის წარმოდგენილი ზემოთ დასახლებული პლატოებიც და წალკის ქვაბულის ფსკერი. ამიტომ ამ ზონის რელიეფი მისი ათვისება-გამოყენებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის, მაგრამ მაღალი ჰიფსომეტრული მდებარეობის გამო ეს ტერიტორია მხოლოდ ზოგაერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებისათვისაა ხელსაყრელი.

მეოთხე ზონა (1500 მ-დან 2000 მ-მდე) ძირითადად წალკისა და დმანისის რაიონებშია გამოხატული და რელიეფის მხრივ საშუალებას იძლევა მიწების დამუშავების დროს საკმაოდ იქნეს გამოყენებული მექანიზაციის პროცესები. ამ ზონაში ერთიანდება წალკის ქვაბულის დიდი ნაწილი, რომელიც ცალკეული მეორე რიგის ქვაბულების, ვაკეებისა და დაბალი სერების მორიგეობით ხასიათდება, ბედენის პლატო დამახასიათებელი ვაკე ზედაპირით, ლორეს ქვაბულის ნაწილი (ირგანჩაის მიდამოები), და სხვ. ზონის ფართობი 1276,7 კმ<sup>2</sup>-ს უდრის (ქვემო ქართლის მთელი ტერიტორიის 22,5%-ს).

უკანასკნელი ზონა (2000 მ ზემოთ) გამოხატულია ქვემო ქართლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ჭავჭავთისა და სამსარის ქედების თხემებისა და ზემო

ფერდობების სახით, აგრეთვე თრიალეთის ქედის დასავლეთი ნაწილით. აღნიშნული მთიანი მასივების შედარებით ნაზი რელიეფი, რომელიც სათიბ-საძოვრებითაა დაფარული, ფართოდ გამოიყენება ქვემო ქართლისა და კახეთის მოსახლეობის მიერ, როგორც საზაფხულო სასაძოვრო ადგილები. სამსარისა და ჯავახეთის ქედის ყველაზე ჩადაბლებულ ადგილებზე გადის შარა გზები, რომლითაც ქვემო ქართლი უკავშირდება ჯავახეთს. ზონის ფართობი 618,2 კმ<sup>2</sup> უდრის (10,8%).

### 3. სასარგებლო წიაღისეული

ქვემო ქართლის რთულმა გეოლოგიურმა აგებულებამ განაპირობა აქ მრავალფეროვანი წიაღისეულის არსებობა. ქვემო ქართლის ტერიტორია, განსაკუთრებით კი მისი სამხრეთი ნაწილი, სომხეთის ქედის ზონა, ადრინდნე ცნობილი იყო მადნეულით. უპირველესად, აღსანიშნავია პოლიმეტალების და რკინის საბადოები. რკინის მოპოვება-დამუშავება აქ ძველთაგანვე წარმოებდა, რასაც ადასტურებს მრავალ ადგილას გამონამუშევრებში ნაპოვნი პრიმიტიული სანათურები, მადარობებში სოლებით მუშაობის კვალი და სხვა. დღემდე შემორჩენილი სახელწოდებანი „სარკინეთი“, „ფოლადაური“ იმაზე მიუთითებს, რომ ადრე ქვემო ქართლში რკინის მოპოვება და თუჯის წარმოება ყოფილა განვითარებული. ქვემო ქართლის რკინის მადნის არსებობის შესახებ პირველად ვახუშტიმ აღნიშნა, იგი წერს: „სარკინეთს ი თ ხ რ ე ბ ი ს ლ ი თ ო ნ ი რკინისა და სპილენძისა“-ო. (17, გვ. 36).

რკინის მნიშვნელოვანი საბადო ჩათახშია, ბოლნისის სამხრეთით, მდ. ბოლნისის წყლის აუზში (ბოლნისიდან 13—15 კმ-ზე). რკინის მადანი აქ რიგ უბნებშია, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია: დემურ-სე, დიდი გიუნეი და სარკინეთი, ამ საბადოთა მადანში რკინის შემცველობა მნიშვნელოვანია, შედარებით ნაკლებია იგი ბალიდარასა და ტაშ-ქესანის საბადოების მადანში. სხვა უბნებიდან აღსანიშნავია დარქილისი, გულარი, კაშვიის ტყე და სხვ. ჩათახის საბადო, XVIII საუკუნეში, რკინით მთელ საქართველოს ამარაგებდა. 1795 წელს, აღამაჰმად-ხანის შემოსევასთან დაკავშირებით, რკინის წარმოება დროებით შეწყდა. 1807 წელს რკინის წარმოება აქ 4—5 ტონას უდრიდა. მერე მთლიანად, შეწყდა, 1862 წლამდე. ამ წელს ჩათახში (მდ. ფირფინჯანისა და ლოქის წყლის შეერთების ადგილთან) აგებული იქნა თუჯის გამოსადნობი ქარხანა, რომელიც ადგილობრივი ნედლეულით მუშაობდა. ქარხანამ 1875 წლამდე იმუშავა, რის შემდეგ კვლავ შეწყდა იქ თუჯის წარმოება. ქარხანა აღდგენილ იქნა 1923 წელს, მაგრამ იმუშავა რა რამდენიმე წელს, სარკინეთის მადნის გამოლევასთან დაკავშირებით, დაკონსერვდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის დეტალური გეოლოგიური შესწავლა 1926 წლიდან დაიწყო, იგი სრულად შესწავლილი არაა. ამჟამად მიმდინარეობს ჩათახის საბადოს დეტალური შესწავლა, რათა საბოლოოდ დადგინდეს საბადოს სამრეწველო-საექსპლუატაციო მნიშვნელობის საკითხი.

გარდა აღნიშნულისა, რკინის საბადო არის აგრეთვე მარნეულისა (ე. წ. მადნის წყაროს საბადო, მთა ვახვრეტლი კლდის ფერდობზე) და თეთრი წყაროს რაიონში (სოფ. ბოჯვის მიდამოებში). რკინის ნაჩენები ცნობილია აბულმუჯის (მდ. მაშავერას მარცხენა შემდინარე) ხეობაში და სხვ. აღნიშნულ საბადოებს პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვთ.



საქართველოს და, კერძოდ, ქვემო ქართლის ეკონომიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიმეტალების საბადოს.

ქვემო ქართლში მოიპოვება აგრეთვე ოქროც; ამ მხრივ აღსანიშნავია დამბლუთის საბადო (მდ. დამბლუთკას ხეობაში), სადაც, ისტორიული წყაროების მიხედვით, XVIII საუკუნის დამლევა და XIX საუკუნის დასაწყისში ოქროს ამოღება წარმოებდა. ოქროს საბადო არის აგრეთვე აბულმულკის ხეობაში. ქვიშრობებთან ერთად ოქრო გვხვდება მდ. მდ. პინეზაურის, მამავერასა და კაზრეთის ხეობებში.

თეთრი წყაროს რაიონში არის მარგანეცის საბადოები (საკურთივ თეთრი წყაროს მიდამოებში, მთა სამებას სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, სოფ. სოფ. სამშვილდესა და ვარზუნას მიდამოებში და სხვ.). მარნეულის რაიონში, სადახლოდან 7 კმ-ზე, მდებარეობს აზბესტის საბადო.

ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს მის ტერიტორიაზე უხვად გავრცელებული სამშენებლო მასალები. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს სადახლოს მარმარილო, რომლის საბადო, მარნეულის რაიონში, სოფ. ცოფის ახლოსაა. სადახლოს მარმარილო მუქი და ღია რუხი ფერისაა, მისი მარაგი დიდია, საექსპლუატაციოდ მისაწვდომი და მოხერხებულია. მარმარილოს მოპოვება აქ დიდი ხანია მიმდინარეობს. სადახლოს მარმარილოს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკა იყენებს, არამედ იგი რესპუბლიკის ფარგლებს გარედაც იგზავნება. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში (1954 წ.) აქ 1000-მდე კუბიკური მეტრი მარმარილო იქნა დამზადებული. მოპოვებული მარმარილოს ნაწილი დასამუშავებლად თბილისის მარმარილოს ქარხანაში იგზავნება.

კიდევ უფრო ფართო გამოყენება აქვს მშენებლობაში ბოლნისის ტუფს, რომლის საბადო ბოლნისის სამხრეთ-აღმოსავლეთით ტაშ-ქესანის მაღლობზე მდებარეობს. ბოლნისის ტუფი სხვადასხვა ფერისაა; მას ამშვენებს შივ ჩართული მრავალგვარი ზოლი. ბოლნისის ტუფი, რომელიც დიდი მარაგით ხასიათდება, ყინვა გამძლეა, კარგად ღებულობს ლურსმანს და ადვილად მუშავდება. შენობების მოსაპირკეთებლად იგი ყველაზე ძვირფას ქვას წარმოადგენს. საუკეთესო სამშენებლო ტუფია აგრეთვე ხატის სოფლის მიდამოებში და ზემოთ დასახლებული ტაშ-ქესანის მაღლობის სამხრეთით, 6 კმ-ზე. ბოლნისის ტუფისაგანაა აშენებული სიონის ტაძარი (თბილისში) და ქართული არქიტექტურის უძველესი ძეგლი — ბოლნისის სიონი, აგრეთვე რიგი ძველი ეკლესია ქვემო ქართლში (ბოლნისში, თეთრ წყაროში და სხვ.). ბოლნისის ტუფი ამშვენებს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობას და მთავრობის სახლს. ტუფი დიდი რაოდენობით ვადის საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. სხვადასხვა ფერის, საუკეთესო ხარისხის სამშენებლო ტუფი არის აგრეთვე მარნეულის რაიონში, სადგურ სადახლოს ახლოს.

ქვემო ქართლში ძლიერ გავრცელებულია ცარცის, (ზედა ცარცის) კირქვები, რომელიც შესანიშნავ სამშენებლო მასალას წარმოადგენს. კირქვის საბადოები წარმოდგენილია თეთრი წყაროს, მანგლისის და დურნუკის მიდამოებშიც. აგრეთვე დაბა შაუმიანის, სოფ. სოფ. ბოლნისის და ოფრეთის ახლოს. აღნიშნულ საბადოთა კირქვა თეთრი, მორუხო და მოყვითალო ფერისაა, წვრილ შარცკლოვანია და ადვილად მუშავდება. კარგი ხარისხის სამშენებლო კირქვები არის სოფ. გომარეთთანაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია სადახლოს კირქვის საბადო, რომელიც მაღალი ხარისხისაა და კირქვით (მდნობით) რუსთავის ქარხანას ამარაგებს.

მდ. მდ. ხრამისა და ალგეთის ხეობაში განვითარებულია იურული და პალეოგენის ტუფოგენური ქვიშაქვები. პალეოგენის ქვიშაქვები არის აგრეთვე მანგლისისა და თეთრი წყაროს, ხოლო იურულისა — ბოლნისის, შაუმიანის,



სურ. 3. კორჭის გამოსაყლები სადახლოს მიდამოებში

დმანისის, ყაჩაგანის მიდამოებში და სხვ. აღნიშნული ქვიშაქვები კარგ საშენ მასალას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი სამშენებლო მასალაა შავი და მუქი-რუხი ბაზალტები და ანდეზიტო-ბაზალტები, რომლის მოპოვება-დამუშავება მიმდინარეობს სოფ.

სოფ. დურნუკის, მარნეულის, წინწყაროს და სანდარას ახლოს. ქვეშისა და ორ-მაშენის მიდამოებში დიდი რაოდენობითაა დიაბაზები და პორფირები. მდ. ხრამის გაყოლებით, დაბა მოლოტოვის ქვევით, მოიპოვება რუხი და ვარდისფერი გრანიტები, რომელიც მნიშვნელოვან სამშენებლო ქვას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულ საშენი მასალები, რომელთა მარაგი აქ აურაცხელია, ფართოდ არის გამოყენებული ქვემო ქართლში მშენებლობისათვის. საშენი მასალა დიდი რაოდენობით იგზავნება აგრეთვე ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ჩათახის მიდამოებში, მდ. ფოლადაურისა და ლოქის წყალის აუზში, გავრცელებულია თეთრი და მორუხი ფერის კვარციტები, რომლებიც კარგ მოსაპირკეთებელ საშენ მასალას წარმოადგენს. კვარციტების საბადო არის კიდევ კაზრეთსა და ბოლნისხაჩინში. ამ საბადოთა კვარციტები შეიძლება გამოყენებულ იქნენ აგრეთვე სალეს და წისქვილის ქვებად.

ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს ალგეთის ლითოგრაფიული ქვა (ალგეთის ხეობაში), რომელიც თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება ზოლენგოფენის (ბავარია) ცნობილ ლითოგრაფიულ ქვას. ალგეთის ლითოგრაფიული ქვის დადებით თვისებათა შორის აღსანიშნავია ის, რომ საბადოდან შეიძლება სასურველი ზომის ქვის ამოღება, ხოლო უარყოფით თვისებას წარმოადგენს მისი ნაკლები ცინვაგამძლეობა. ალგეთის ლითოგრაფიული ქვის მოპოვება 1926 წლიდან დაიწყო. მით მარაგდებოდა საბჭოთა კავშირის პოლიგრაფიული მრეწველობა. ამ ქვაზეა დაბეჭდილი „მსოფლიოს ატლასი“. ლითოგრაფიული ქვის მარაგი აქ ძალზე დიდია, მისი მოპოვება-დამუშავებისათვის რელიეფური პირობები ხელსაყრელია. ალგეთის ლითოგრაფიული ქვის მოპოვება შეწყვეტილ იქნა სამამულო ომის წინა წლებში.

ქვემო ქართლში ცეცხლგამძლე თიხებიცაა (უცაშინის საბადო), რომელიც ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. შედარებით მცირე რაოდენობით ვეხვდება ამეთისტი (მარნეულის რაიონში), ავატი და იაშმა (სადანლოსა და შაუმიანის მიდამოებში).

მდ. მდ. მტკვრის, ალგეთის, ხრამისა და მისი შემდინარეების ხეობებში გავრცელებულია ხრეში, ღორღი და სილა, რომელიც ფართოდაა გამოყენებული როგორც საბინაო, ისე საგზაო მშენებლობაში. გარდა ამისა, ქვემო ქართლის ვაკეზე დიდი გავრცელება აქვს ლიოსისებურ თიხნარებს, რითაც ადგილობრივი მცხოვრებლები აგურსა და კრამიტს ამზადებენ.

ქვემო ქართლში მრავალნაირი ძვირფასი სამშენებლო მასალის დიდი რაოდენობით არსებობა ბუნებრივად აყენებს საკითხს აქ სამშენებლო მასალათა მრეწველობის განვითარებისათვის.


#### 4. კლიმატი

ქვემო ქართლი კლიმატის საკმაო მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც გამოწვეულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, რელიეფის პირობებითა და იმ ზოგადი ცირკულარული პროცესებით, რომელიც ვითარდებიან ამიერკავკასიისა და, კერძოდ, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. ქვემო ქართლის მდებარეობა განსაზღვრავს მის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მზის რადიაციის (მზის სხივური ენერჯის) მიღებას.

რადიაციის ამ თვისებასთან დაკავშირებულია მზის ნათების ხანგრძლივობა. ქვემო ქართლში მზის ნათების დიდ ხანგრძლივობას აპირობებს დაბალი გეოგ-

რაფიული განედი, ჰორიზონტის მნიშვნელოვანი გაშლილობა, ნაკლები მოღრუბლულობა, განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში, და ატმოსფეროს საკმაოდ კარგი გამჭვირვალობა. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მზის ნათების ხანგრძლივობა 2000—2100 საათიდან 2528 საათამდე მერყეობს. მოწმენდილ, წახევრად მოწმენდილ და ღრუბლიან დღეთა განაწილება აგრეთვე ნათლად გვიჩვენებს ქვემო ქართლის კლიმატის რადიაციულ თავისებურებებს.

ცალკეული თვეების მიხედვით, განხილული ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში, მოწმენდილ, წახევრად მოწმენდილ და ღრუბლიან ამინდთა რაოდენობა პროცენტებში ასე წარმოგვიდგება:



გრაფიკი 1

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ქვემო ქართლის ტერიტორია იმ ატმოსფერული პროცესების გავლენის სფეროშია მოქცეული, რომელიც ვითარდებიან ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში, მაგრამ ადგილობრივი ოროგრაფიული პირობების გამო, ეს პროცესები განიცდიან ცვლილებებს, რითაც იქმნება განხილული ტერიტორიისათვის დამახასიათებელი თავისებური კლიმატი: ქვემო ქართლს დასავლეთით და სამხრეთით გარს აკრავს საკმაოდ მოზრდილი ქედები (ჯავახეთის, სამსარის და სომხეთის), რომლებიც ანელებენ და წინააღმდეგობას უწევენ თბილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებას დასავლეთიდან და სამხრეთ დასავლეთიდან. რაც შეეხება თრიალეთის ქედს, რომელიც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საკვლევ ტერიტორიას, იგი ქვემო ქართლს იზოლირებულს ხდის მტკვრის ხეობაში (შიდა ქართლში) ვაბატონებული ჰაერის მასების გავლენისაგან, დასავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრასთან დაკავშირე-

ბულია საკვლევ ტერიტორიაზე ღრუბლიანობის გადიდება და ტემპერატურის მცირე დაწევა. მაგრამ ზოგჯერ, როცა დასავლეთიდან მძლავრი, ცივი ჰაერის მასა იჭრება, ქვემო ქართლში მოდის ნალექი და ტემპერატურა საგრძნობლად ეცემა. ქვემო ქართლის ამინდის პირობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასები; იჭრებიან რა უმეტესად წლის ცივ პერიოდში, აღნიშნული მასები ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში იწვევენ ჩვეულებრივ ღრუბლიანობას, ზომიერ ნალექებს და ტემპერატურის დაცემას. რაც შეეხება ჰაერის მასების აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ერთდროულად შემოჭრას, რაც იშვიათად ხდება, იგი განაპირობებს საკვლევ ტერიტორიაზე ხანგრძლივ და უხვ ნალექებს (მ. კორძახია, 1955).

განხილული ტერიტორიის ტოპოგრაფიული პირობები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თერძის რეჟიმის ხასიათს. სამი მხრიდან მთების გარშემოფარგვლა ხელს უწყობს აქ ჰაერის ცირკულაციის შესუსტებას, სამაგიეროდ ძლიერდება რადიაციული პროცესების როლი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თერძულ რეჟიმზე. რელიეფის საერთო ხასიათის გამო ადგილი აქვს ჰაერის მასების შეგუბებას, რის გამოც ზამთარში რადიაციული გადაცივების ტიპის ამინდი გვაქვს, ზაფხულში კი ცხელი [48, 12]. დიდია ტემპერატურის სეზონური ცვალებადობა ამპლიტუდა, განსაკუთრებით ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში. შედარებით მცირეა იგი დასავლეთ ნაწილში (წალკისა და დმანისის რაიონებში). ტერიტორიის კლიმატური თავისებურებები უფრო თვალსაჩინო ხდება მისი ცალკეული სეზონების მიხედვით განხილვისას. ამიტომ ქვემო ქართლის კლიმატი დავახასიათოთ სეზონების მიხედვით:

ზ ა მ თ ა რ შ ი ქვემო ქართლის, ისე როგორც მთელი საქართველოს, ამინდის პირობებზე დიდ გავლენას ახდენს ჰაერის ამა თუ იმ მასის შემოჭრა, მაგრამ ქვემო ქართლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ადგილობრივი ანტიციკლონური ოლქების გაფორმების პროცესებს, რის შედეგადაც ვლდებულობთ ჰაერის მასების რადიაციულ გადაცივებას. უკანასკნელი კი განხილულ ტერიტორიაზე, კვ ზამთარს აპირობებს. როგორც აღვნიშნე, წლის ცივ პერიოდში ადგილი აქვს აგრეთვე აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრას. ზემოაღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით მეტეოროლოგიური ელემენტების რეჟიმი ზამთრის პერიოდში თავისებურია, რომელსაც, თავის მხრივ, რამდენადმე რელიეფის პირობები ართულებს. ქვემო ქართლის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში, ჰაერის საშუალო ტემპერატურა უმეტეს დღეებში უარყოფითია.

ქვემო ქართლის ყველაზე ცივი თვე იანვარია. საკმაოდ დაბალია აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა, რომელიც ისე როგორც მთელი საქართველოში, ქვემო ქართლშიც დაკავშირებულია კონტინენტური არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრასთან. ქვემო ქართლის ვაკეზე ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა — 22°-მდე ეშვება (გარდაბანი), უფრო მაღალ ადგილებში, მაგ., წალკაში იგი — 32°-ს უღრის, დმანისში — 23°-ს.

ქვემო ქართლში საკმაოდ რთულ სურათს იძლევა ნალექების ტერიტორიული განლაგება როგორც ცალკეული თვეების, ისე მთელი სეზონის განმავლობაში. გაბატონებული ატმოსფერული პროცესების ხასიათისა და ადგილობრივი ტოპოგრაფიული პირობების გამო, აქ ნალექები მთელი წლის განმავლობაში ცოტაა. ვაკეზე ზამთრის ნალექების ჯამი 46 მმ-დან (გარდაბანი) 62 მმ-მდე (სანდარა) მერყეობს. ნალექების მინიმუმი იანვარშია. თუმცა ზამთრის პერი-

ოღმსი საერთოდ ნალექები მცირე რაოდენობით მოდის, მაღალ ადგილებში იგი მაინც რამდენადმე სჭარბობს. ასე, მაგ., ზამთარში მოსული ნალექების ჯამი მამულთაში 70 მმ უდრის; მანგლისში 76 მმ, თეთრ წყაროში 69 მმ, ხოლო წალკაში 64 მმ. ქვემო ქართლში ზამთრის ნალექების რაოდენობა (პროცენტულად), მთელი წლის განმავლობაში მოსული ნალექების საერთო ჯამიდან, ასეთ სურათს იძლევა:

მეტსადგურები	გარდაბანი	სანდარა	სადახლო	ბოლნისი	ზაფხიანი	ქვეში	თეთრი წყ.	მანგლისი	ღმინისი	მამულთა	მილთოვო	ბაშქოვი	წალკა	ოლაიანი	რუხა
ნალექები %/0 .	12	12,6	10,6	11,9	10,5	12,5	9,1	11	8,7	9,1	8,2	9,6	10	5	9,8

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ქვემო ქართლში ზამთრის პერიოდის ნალექები მთელი წლის განმავლობაში მოსული ნალექების უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს, სხვა სეზონებთან შედარებით; ამის შესატყვისად ნალექიან დღეთა რიცხვიც მცირეა. განხილულ ტერიტორიაზე ნალექები ზამთრის პერიოდში უმეტესად თოვლის სახით მოდის. თოვლის საფარის სიმაღლე და ხანგრძლივობა, რელიეფის პირობების ხასიათთან შეფარდებით, აქ სხვადასხვაა. ქვემო ქართლის ვაკეზე თოვლის საფარის სიმაღლე და თოვლიან დღეთა რაოდენობაც მცირეა, მთიან ნაწილში კი როგორც თოვლის საფარის სიმაღლე, ისე თოვლიან დღეთა რაოდენობა მნიშვნელოვანია.

განხილულ ტერიტორიაზე შეფარდებითი სინოტივე საკმაოდ მაღალია.

ქვემო ქართლში ქარების რეჟიმი კარგად გამოხატავს ატმოსფეროს გაბატონებული პროცესებისა და ადგილობრივი ოროგრაფიული პირობების ხასიათს. ზამთრის პერიოდში, ისე როგორც მთელი წლის განმავლობაში, ორი მიმართულების ქარებია გაბატონებული. ისე როგორც საერთოდ მთიან მხარეში, აქაც, ქვემო ქართლის მთიან ნაწილებში, განვითარებულია მთა-ხეობათა ქარებიც (უმეტესად წლის თბილ პერიოდში).


გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე ძლიერდება ტალღური და ციკლონური აღრევები, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. სამაგიეროდ ამიერკავკასიაში ანტიციკლონური ოლქების გაფორმების პროცესების განმეორება მცირდება, ეს გარემოება გავლენას ახდენს ქვემო ქართლის გაზაფხულის პერიოდის ამინდის პირობებზე [48, 12]. გაზაფხულის (მარტის თვის) ჰაერის საშუალო ტემპერატურა დადებითია და რელიეფის პირობების შესატყვისად 0°-დან 6—7°-მდე მერყეობს; ტერიტორიის ვაკე ნაწილში (ზღვის დონიდან 500 მეტრამდე) მარტის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა 6°-ს აღემატება; მთიან ნაწილში გაცილებით ნაკლებია (0—2°-მდე). მარტიდან მკვეთრად იწყება ტემპერატურის მატება და აპრილის ბოლოსათვის ვაკეზე 12°-ს აღწევს, ხოლო მთიან ნაწილში დაახლოებით 5—7°-ს.

ყინვები ქვემო ქართლის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში საშუალოდ ნოემბრის პირველი რიცხვებიდან იწყება. ეს უმეტესად დაბალ და საშუალო ზონაზე ითქმის, დაახლოებით 1200 მ-მდე (ზ. დ.), მაღალ ზონაში კი ყინვები ოქტომბრის პირველ დეკადიდანვეა. უკანასკნელ ყინვებს ვაკეზე ადგილი აქვს საშუალოდ აპრილის პირველ რიცხვებში. შემჩნეულია მოგვიანებული ყინვებიც. მთიან ნაწილში უკანასკნელი ყინვები აპრილის ბოლოსა და მაისის პირველ დე-

კადაშიცაა. ასეთი მოგვიანებითი ყინვები რამდენადმე უარყოფითად მოქმედებს სოფლის მეურნეობის რიგ კულტურებზე.

ქვემო ქართლის რელიეფის მრავალფეროვნება და ზემოთ განხილულ ატმოსფეროს ცირკულარული პროცესები განსაზღვრავენ აქ ნალექების ტერი-


გრაფიკი 12



გრაფიკი 1 ა

ტორიული განაწილების სიჭრელეს. ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში (გარდაბანის რაიონში) გაზაფხულის სეზონში ნალექების ჯამი დაახლოებით 130 მმ უდრის, აქედან ნალექების რაოდენობა დასავლეთისაკენ თანდათან იზრდება.

გრაფიკი N 2



გრაფიკი 2

მაგრამ ვაკეზე არსად 175 მმ-ს არ აღემატება. გაზაფხულის ნალექების რაოდენობა იზრდება აგრეთვე ქვემო ქართლის სამხრეთ და ჩრდილო მთიან ნაწილებშიც.

აღსანიშნავია, რომ ნალექების წლიური ჯამიც აღმოსავლეთიდან — დასავლეთისაკენ იზრდება.

ნალექების ზრდის ასეთი ტენდენცია დამახასიათებელია გაზაფხულის სეზონისათვისაც. თვითური ნალექების რაოდენობა მთელ ტერიტორიაზე უდიდესია მაისში. გაზაფხულის ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში მოსული ნალექების დაახლოებით 36% შეადგენს და ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებზე ასე ნაწილდება:

მეტსადგურები	რეხა	ოლიანკი	მოლდოტოევი	წალკა	დმანისი	მამულა	მანგლისი	თფიური წყარო	ქვეში	შაგინანი	ბოლნისი	სანდრა	სადახლო	გარდაბანი
ნალექების რაოდენობა პროცენტებში	32,3	35	33,9	32,6	34,8	35,0	33,9	34,9	34,6	34,3	34,7	33,9	34,2	34,8

როგორც ჩანს, ქვემო ქართლში გაზაფხულის პერიოდში ნალექები შედარებით დიდი რაოდენობით მოდის, რაც მნიშვნელოვან დადებით მოვლენას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ფართოდ გავრცელებისათვის. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულზეა, მინიმუმი ზამთარში.

გაზაფხულზე ხანდახან გვალვები იცის, ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს მაისში და თანაც დაბალ ადგილებში. აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში ნალექები ხშირად ფაცხსმის ხასიათს ატარებს, ამის გამო იგი ნაკლებად რგებს ნიადაგს. გაზაფხულზე (გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულის დასაწყისში) შემჩნეულია სეტყვაც, თუმცა იშვიათად. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ელჭექი. ელჭექიან დღეთა რიცხვი 30-დან (გარდაბანი) 50-მდე (დმანისი) მერყეობს. ელჭექიან დღეთა მეტი წილი მაისზე და ივნისზე მოდის.

ზ ა ფ ხ ლ შ ი ციკლონური მოქმედება ხმელთაშუა ზღვაზე ივნისში კიდევ კარგადაა გამოხატული და, ციკლონური აღრევების წყალობით სამხრეთ-დასავლეთიდან, ამიერკავკასიაში მაღალი წნევის ადგილობრივი ოლქების შექმნის პირობები აღარ არის. ამ პროცესებთან დაკავშირებულია ივნისში ნალექების დიდი რაოდენობა [48, 12]. ქვემო ქართლის ფარგლებში ივნისის თვის ნალექების საშუალო რაოდენობა 54 მმ-დან 100 მმ-მდე მერყეობს. ვაკეზე, ივნისში, ნალექების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მთიან ნაწილში. ასე, მაგ., ქვემო ქართლის ვაკეზე ივნისის თვის ნალექების საშუალო რაოდენობა 54 მმ-დან 77 მმ-მდე აღწევს. ზღვის დონედან 500—600 მეტრის ზემოთ, ივნისის თვის ნალექების საშუალო რაოდენობა 80 მმ აღემატება. როგორც უკვე აღვნიშნავდით, ქვემო ქართლში ნალექების მაქსიმუმს ადგილი აქვს მაისში, მაგრამ ზოგიერთ პუნქტებში ნალექების მაქსიმუმი ზაფხულის თვეებზე (ივნისი) მოდის. ზაფხულის დანარჩენ თვეებში ნალექების რაოდენობა მკვეთრად მცირდება (მინიმუმი აგვისტოში). ზაფხულის ნალექების ჯამი ქვემო ქართლის ნალექების წლიურ ბალანსში მეროე ადგილს იჭერს (პირველზე გაზაფხულია). ზაფხულის ნალექების რაოდენობა (პროცენტებში) მთელი წლის განმავლობაში მოსული ნალექების ჯამის მიმართ ტერიტორიის ცალკეული ნაწილების მიხედვით შემდეგნაირად ხასიათდება:



მეტსადგურები	რუხა	ოლაჩქი	მილოტიჯო	წალკა	დმანისი	მამულა	მანგლისი	თეთრი წყარო	ქემში	შაუმიანი	ბოლნისი	სანდარა	სადაზლო	გარდაბანი
ნალექების რაოდენობა პროცენტში	40,3	33	34,2	34,9	33,3	26,1	32,3	26,2	30,3	31,8	29,5	29,6	31,6	27,9

როგორც ჩანს, ქვემო ქართლში ზაფხულის განმავლობაში ნალექების რაოდენობა არც თუ ისე მცირეა, მაგრამ ამ დროს ნალექები აქ თავსხმის ხასიათს ატარებს, ამიტომ მოსული ნალექების მხოლოდ მცირე რაოდენობა ჩაიყონება ნიადაგში, უდიდესი ნაწილი კი ზედაპირული დვარების სახით უტბად ჩაედინება მდინარეებში, ასე, რომ ეს ნალექები ნაკლებად რგებს ნიადაგს.

წვიმიან დღეთა რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ, ქვემო ქართლში შეესაბამება წლიური ნალექების განაწილებას; ნალექიანი დღეების რიცხვი ნაკლებია ქვემო ქართლის ვაკეზე. დღეთა რიცხვი ყველა გრადიციის ნალექებით იზრდება ქვემო ქართლის დასავლეთ, ჩრდილო და სამხრეთ მთიან ნაწილებში.

ქვემო ქართლში ზაფხულში დიდი რადიაციის გამო ნიადაგი და ჰაერი ძლიერ თბება. ზაფხულის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურები 15°-დან (წალკა) 24°-მდე (გარდაბანი) მერყეობს. მაღალია მაქსიმალური ტემპერატურები, განსაკუთრებით ვაკეზე; აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა აქ 38—40° აღწევს. მთიან ნაწილში აბსოლუტური მაქსიმუმები შედარებით დაბალია, მაგრამ 27° ქვემოთ, მაინც არ ეშვება.

ქვემო ქართლში, სადაც ზაფხულში ჰაერის ტემპერატურა მაღალია, ნალექების წლიური რაოდენობა კი მცირე, მკვეთრადაა გამოხატული სინოტივის დეფიციტის გავლენა. სინოტივის დიდი დეფიციტით გამოირჩევა ქვემო ქართლის ვაკე-განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ნალექებისა და ტემპერატურის განაწილების სიჭრელე როგორც ცალკეული თვეების, ისე სეზონისა და მთელი წლის მიხედვით, რაც დიდათაა დამოკიდებული რელიეფის მრავალფეროვანებასთან, განსაზღვრავს სინესტის დეფიციტის სხვადასხვაობასაც: ბოლნისის რაიონში (ვაკეზე) სინესტის ბალანსი მთელი წლის მიხედვით უარყოფითია. ასეთივე მდგომარეობაა გარდაბნის ვაკეზეც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სინესტის უარყოფითი ბალანსი ზამთარში და ზაზაფხულზე შედარებით ნაკლებია [57].

განხილული ტერიტორიის მაღალ ნაწილებში სინესტის წლიური ბალანსი დადებითი ხდება. მაგრამ აქაც ცალკეულ თვეებში (უმეტესად ივლის-აგვისტო), 1300—1500 მეტრამდეც კი, მოსული ნალექების რაოდენობა საკმარისი არაა აორთქლებაზე საჭირო ნალექების დასაფარავად. სოფლის მეურნეობის კულტურების ნორმალური განვითარებისათვის ეს გარემოება ბუნებრივად სვამს საკითხს, რათა სავარგულები ხელოვნური რწყვით იქნეს უზრუნველყოფილი.

შ ე მ ო დ გ ო მ ა ზ ე უპირატესობა ეძლევა ამინდის ანტიციკლონურ ტიპს, ამას მოჰყვება ხოლმე, ქვემო ქართლში, აცივება. შემოდგომის დასაწყისში (სექტემბერში) ჯერ კიდევ მაღალი ტემპერატურაა, ზოლო შემდგომ თვეებში მკვეთრად ეცემა, რადგან შემოდგომის მეორე ნახევრიდან თავს იჩენს ციმბირის მაქსიმუმის მოქმედება და ჩრდილოეთის მასების შემოჭრა; ხშირდება ამ დროს ფრონტალური ტიპის ამინდები. ნოემბრის მეორე ნახევრიდან იწყება არქტიკუ-

ლი მასების შემოჭრა, რაც იწვევს ტემპერატურის დაცემას [12, 9]. ქვემო ქართლში სექტემბრის თვის საშუალო ტემპერატურა 11° ზე დაბლა არ ეცემა (წალკაში 11,8°), ოქტომბერში ქვემო ქართლის ვაკეზე ტემპერატურა 14°-მდე აღწევს, მთიან ნაწილში კი 7°-მდე ეცემა. ნოემბრის თვეში ჰაერის საშუალო ტემპერატურა ვაკეზე 7,5° არ აღემატება, ხოლო მთიან ნაწილში 4°.

შემოდგომის პერიოდში საკმაოდ დიდია ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა (სექტემბერში წალკაში 29°, გარდაბანში 35°).

საკმაოდ ჭრელ სურათს იძლევა საშუალო მინიმალური ტემპერატურების მსვლელობაც. დაბალი მინიმალური ტემპერატურით (7,0°-დან—2,7°-მდე) ხასიათდება მთიანი ნაწილი, შედარებით უფრო მაღალით (2,3°-დან 13°-მდე) ქვემო ქართლის ვაკე.

შემოდგომაზე ყინვიან დღეთა რაოდენობა თვალსაჩინოა. განსაკუთრებით ტერიტორიის მაღალ ნაწილებში, სადაც პირველი ყინვები საშუალოდ ოქტომბრის პირველი დეკადიდანაა; ტერიტორიის უდიდეს ნაწილში კი ყინვები საშუალოდ ნოემბერში იწყება.

ქვემო ქართლში, შემოდგომაზე ღრუბლიანობა და ნალექების რაოდენობა რამდენადმე იზრდება. ნალექების საშუალო რაოდენობა ვაკეზე 40 მმ-დე აღწევს (სექტემბერში). ხოლო მთიან ნაწილში გაცილებით მეტია (70—85 მმ). ნალექები შედარებით ნაკლებია ნოემბერში (ვაკეზე დაახლოებით 30—38 მმ, მაღალ ნაწილში 40—46 მმ). შემოდგომაზე ნალექების თვიური განაწილება (პროცენტებში) საერთო წლიური ჯამის მიმართ ასეთია:

მეტსადგურები	რუხა	ოლიანკი	მოლოტოვი	წალკა	დმანისი	მამულა	მანგლისი	თფილი	ჭყვი	შაუმიაში	ბოლნისი	სანდარა	სადახლო	გარდაბანი
ნალექების რაოდენობა პროცენტებში წლების მიხედვით	17,6	27	23,7	22,5	23,2	29,8	22,8	29,8	22,6	23,4	23,9	23,9	23,6	25,3

ქვემო ქართლი რელიეფის ხასიათთან დაკავშირებით რამდენიმე კლიმატური ზონითაა (ტიპით) წარმოდგენილი. ქვემო ქართლში გამოიყოფა კლიმატის შემდეგი ტიპები: 1) მშრალი კლიმატი ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით; 2) სუბტროპიკული მშრალიდან ზომიერად ნოტიო კლიმატზე გარდამავალი, ცხელი ზაფხულით; 3) ზომიერად ნოტიო, ზომიერად თბილი კლიმატი გრილი ზაფხულით და ნალექის ორი მაქსიმუმით წელიწადში; 4) ზომიერად ნოტიო, ცივზამთრიანი და ხანგრძლივ ზაფხულიანი კლიმატის სუბტროპიკული მთიანეთის მშრალ კლიმატზე გარდამავალი, ნალექების ორი მაქსიმუმი; 5) მაღალი მთის უზაფხულო კლიმატი; 6) ზომიერად ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით, ნალექების მაქსიმუმით ზაფხულის დასაწყისსა და მინიმუმით იანვარში; 7) ზომიერი ნოტიო კლიმატი ხანგრძლივი გრილი ზაფხულით და ნალექების ორი მაქსიმუმით [9].

პირველი ტიპი გამოხატულია ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში, დაახლოებით 500 მ-მდე (ზ. დ.). ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა ამ ზონაში 11,5-დან 13°-მდე მერყეობს. ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა 383 მმ-დან 493 მმ-მდეა. ნალექების მაქსიმუმი მაისში და ივნისში, მინიმუმი

იანვარში და აგვისტოში. დიდი რადიაციის, მაღალი ტემპერატურის, ძლიერი აორთქლებისა და ნალექების მცირე რაოდენობის გამო ჰაერის შეფარდებითი სინოტივე მცირეა. ზაფხული გვალვიანია, ზამთარი უმეტესად უთოვლო. ზონის კლიმატი ხელისშემწყობია სოფლის მეურნეობის მრავალგვარი კულტურების განვითარებისათვის. მაგრამ მოსავლიანობის გაზრდისათვის აქ ხელოვნური მორწყვა აუცილებელია. მზის სხივებით სიუხვე ჰაერის შედარებით მაღალი ტემპერატურა ვეგეტაციის პერიოდში, წლის თბილი პერიოდის ხანგრძლიობა, ზომიერი შეფარდებითი სინოტივე და მცირე ღრუბლიანობა საშუალებას იძლევა ქვემო ქართლში (ვაკეზე) უფრო მეტად განვითარდეს მეხილეობა და მეხალეობა. ამ ზონის კლიმატი საშუალებას ქმნის მევენახეობის გავრცელება-განვითარებისათვის. როგორც ამ, ისე მომდევნო ზონაშიც ხორბლისა და სიმინდის კულტურის გავრცელებისათვის საუკეთესო პირობებია, რასაკვირველია, ხელოვნური მორწყვის გათვალისწინებით.

ზღვის დონიდან 500—800 მ-მდე ვრცელდება ზონა — „სუბტროპიკული მშრალიდან ზომიერად ნოტიო კლიმატზე გარდამავალი, ცხელი ზაფხულით“, დასახელებული ზონა ჰიფსომეტრულად უფრო მაღალზე მდებარეობს და, ცხადია, მისი კლიმატური რეჟიმიც პირველთან შედარებით რამდენადმე განსხვავებულია. ამ ზონაში ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა დაახლოებით 10—12°-ის ფარგლებში მერყეობს. ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა 550 მმ უდრის. ნალექების მაქსიმუმი მაისშია და ივნისში, მინიმუმი იანვარსა და აგვისტოში. ნალექიან დღეთა რიცხვი ქვემო ქართლის ვაკესთან შედარებით მეტია. აღნიშნული ზონის კლიმატური პირობები ხელსაყრელია ხორბლისა (შემოდგომის ხორბალი) და სიმინდის კულტურების, აგრეთვე მეხილეობისა და მევენახეობის ფართოდ გავრცელებისათვის.

შემდგომი ზონა „ზომიერად ნოტიო, ზომიერად თბილი კლიმატი არაცხელი ზაფხულით და ნალექების ორი მაქსიმუმით წელიწადში“ ძირითადად ტყეების გავრცელების არეს ემთხვევა. აქ კლიმატური პირობების შესატყვისად გავრცელებულია უფრო მეტად გაზაფხულის ხორბალი, სიმინდი.

ქვემო ქართლის ფარგლებში 1000—1700 მეტრის სიმაღლემდე წარმოდგენილია კლიმატური ზონა — „ზომიერად ნოტიო, ცივზამთრიანი და ხანგრძლივ ზაფხულიანი კლიმატის სუბტროპიკული მთიანეთის მშრალ კლიმატზე გარდამავალი, ნალექების ორი მაქსიმუმით წელიწადში“, რომელიც ძირითადად დმანისისა და წალკის ვაკეებს მოიცავს. ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა აქ 6-დან 8°-მდე მერყეობს; იანვრის თვის ტემპერატურა — 2,5-დან 5,3°-მდეა, ივლისის 16-დან 19°-მდე. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 665 მმ-მდე აღწევს.

დმანისისა და წალკის რაიონებში თერმული და სინესტის პირობები ხელისშემწყობია არა მარტო ბოსტნეული და ძირნაყოფა, არამედ მარცვლოვანი კულტურებისათვისაც, უმეტესად საგაზაფხულო ხორბლისათვის. ამ ზონის ქვემო ნაწილში სიმინდიც მოჰყავთ, ზონის ზემო ნაწილში—ქერი, შვრია, საშემოდგომო და საგაზაფხულო ქვიავი.

ამავე ზონის კლიმატისათვის დამახასიათებელი თვისებები: ზომიერი სინოტივე, მზის დიდი რადიაცია, მზის ნათების ხანგრძლიობა, ჰაერის მცირედ დამტვერიანება და სხვ. ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამთო-კლიმატურ კურორტთა გავრცელებისათვის. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წარმოდგენილი სხვა კლიმატური ზონები (1700 მ ზემოთ) კულტურული მცენარეულობის გავ-

რცელებისათვის ნაკლებ ხელსაყრელია. სამაგიეროდ აქ სათიბ-საძოვრების დიდი მასივებია, რომელიც ქვემო ქართლის (და არა მარტო ქვემო ქართლის) რაიონების მესაქონლეობის განვითარებისათვის ძვირფას ბაზას წარმოადგენს.

### 5. შიდა წყლები

ქვემო ქართლის ტერიტორიის დრენირებას აწარმოებს მდ. მტკვარი (სოლანულის ქვემოთ) და მისი მარჯვენა შემდინარეები — ხრამი და ალგეთი. მდინარეები როგორც ხეობათა განვითარებით, ისე ჰიდროლოგიური რეჟიმის მიხედვით აქ საკმაოდ მრავალფეროვანია, რასაც განსაზღვრავს რელიეფის ხასიათი და კლიმატური პირობების სიჭრელე.

ქვემო ქართლის მდინარეები ძირითადად სამხრეთ მთიანეთის პოტომოგრაფიული რაიონის ალგეთ-ხრამის ქვერაიონში ერთიანდება [8]. მდ. ხრამი, რომლის აუზშიც მოქცეულია განხილული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, ქვემო ქართლს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჰკვეთს. მისი სიგრძე საქართველოს ფარგლებში 220 კმ-ია, აქედან ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დაახლოებით 200 კმ მოდის. მდ. ხრამი (ქცია-ხრამი) სათავეს თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე იღებს, მდ. ყარაყაის აღმოსავლეთით, 2422 მ (ზ. დ.) სიმაღლეზე. ქვემო ქართლის ფარგლებში ის შემოდის ვიწრო ხეობით, რომელიც დაახლოებით სოფ. ხანდომდე გრძელდება, სოფ. სოფ. ხანდოსა და რეხას შორის მდ. ხრამი (ამ ნაწილში მას ქციასაც ეძახიან) იშლება ვაკეზე, რომლის ნაწილი დაჭაობებულია, ნაწილი კი სათიბ-საძოვრებად და სათეს ფართობებადაა გამოყენებული. აქ მდინარე მენადრებს აჩენს. სოფ. რეხას სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხრამს მდ. ტუსრები უერთდება, რომელიც თრიალეთის ქედზე მწ. არჯევანის (ჯამჯამას) დასავლეთით იწყება. ავრანლოს კანიონის გავლის შემდეგ მდინარე საკუთრივ წალკის ვაკეზე მიედინება და მდორეა, წალკის წყალსაცავამდე კარგად გამოხატული მენადრებით ხასიათდება, ნაპირები ალაგ-ალაგ (სოფ. კუმთან) დაჭაობებული აქვს. ხრამის მნიშვნელოვან შემდინარეთა შორის აქ აღსანიშნავია: ხველრმის წყალი, გუმბათის ხევი, ეგრიჩაი. სოფ. დაშბაშიდან ხრამის ხეობა მკვეთრად იხრება სამხრეთისაკენ და ამ მიმართულებას ინარჩუნებს დაბა მოლოტოვომდე. უკანასკნელიდან დაახლოებით მდ. კლდეისის შესართავამდე მდ. ხრამი აღმოსავლეთური მიმართულებისაა, მერე კვლავ სამხრეთული, მდ. ყარაბულახის შესართავამდე. მდ. ხრამის ხეობა ამ მონაკვეთზე ღრმად იჭრება ლავურ საფარში და ვიწრო, ციცაბოკალთებიანი ხეობით ხასიათდება; განსაკუთრებით ღრმა ხეობა მდ. ყარაბულახის შესართავთან და სოფ. დაშბაშთან. მდ. კლდეისის შესართავიდან მდ. ყარაბულახის შესართავამდე ხრამი გასდევს გომარეთის პლატოს, აღმოსავლეთ მხარეზე. აქედან ხეობა ვიწროვდება დმანისისა და ლუჯუნის ქედით, საბოლოოდ იცვლის მიმართულებას აღმოსავლეთისაკენ, სოფ. არუხლომდე, მერე კი ქვემო ქართლის ვაკეზე გამოდის. ამ მონაკვეთზე ხრამის მნიშვნელოვანი შემდინარეებია: ჭოჭიანი, ყარაბულახი, კორ-ხრამ-დუზი (ასლანკა), რომლის ზემო წელი ირავის ქვაბურს რწყავს და, ჭივ-ჭივა. მდინარე ხრამი და მისი შემდინარეები ამ ნაწილში უმეტესად წალკის, გომარეთის და დმანისის ვულკანურ პლატოებზე მოედინებიან, მეტწილად მსხვილი ლოდებით მოფენილი ღრმა და მიუღვამელი კალაპოტები აქვთ. ხეობები უმეტესად ბაზალტებითა და დოლერიტებითაა აგებული. მდ. ხრამისა და მისი შემდინარეების ხეობათა ქვემო ნაწილში განვითარებულია რელიეფის ეპზოტექნიკური ფორმები (დამეწყრასთან და ჩაქცევასთან დაკავ-

შირებული ფორმები). მაშინ, როცა მდ. ხრამის ხეობა სოფ. დაშბაშამდე ტყეებს მოკლებულია, დაშბაშის ქვემოთ, დაახლოებით სოფ. სამშვილდემდე, იგი ტყით არის შემოსილი.

როგორც აღენიშნეთ. მდ. ხრამი სოფ. არუხლოდან შესართავამდე ქვემო ქართლის ალუვიურ ვაკეზე მიიკვლევს გზას, აჩენს მცირე სიდიდეს წყვეტილ ნარწყულებს. აქ მისი კალაპოტი დაბალია და წვრილი კენჭებით, ხრემით და სილით არის მოფენილი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საამშენებლო მასალად იყენებს. ქვემო ქართლის ვაკის ფარგლებში მდ. ხრამს უერთდებიან საკმაოდ წყალუხვი მდინარეები: მაშავერა შემდინარეებით—ხაჩინ-ჩაით, დმანისითა და ტალავარის წყალით; შულავერის წყალი, დებადა და სხვ. გარდა ზემო-აღნიშნულისა, მდ. ხრამს მრავალი, მცირე მდინარე ერთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდიან მის წყლიანობას. მდ. ხრამისა და მისი შემდინარეების ხეობებისათვის დამახასიათებელია დიდი დებიტის მქონე წყაროების არსებობა, რომელნიც აგრეთვე მდინარეთა უხეწყლიანობაში დიდ როლს თამაშობენ.

ქვემო ქართლის მნიშვნელოვან მდინარეს წარმოადგენს აგრეთვე ალგეთი, რომელიც თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ძვერვალ კლდექართან, 1900 მ (ზ. დ.) სიმაღლეზე იწყება და შესართავამდე (275 მ ზ. დ.) მთლიანად სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართება. ალგეთის ხეობა სოფ. ფარცხისამდე ვიწროა, საკმაოდ დახრილი კალთებით, შემდეგ იწყებს რა თანდათან გაგანიერებას სოფ. მარაბდასთან ქვემო ქართლის ვაკეზე იშლება, სადაც ხეობა განიერი და დაბალნაპირებიანი ხდება. ხეობის მარცხენა მხარე დასერილია თრიალეთიდან ჩამომდინარე რივი მცირე მდინარეებით (მდ. მდ. დვალეთით, ბოგვით, ენაგეთის-ხევით, ლამის-ხევით, ასურეთით და სხვ.), რომელთა ნაწილი ზაფხულობით მთლიანად შრება. ალგეთის მარჯვენა შენაკადიდან მნიშვნელოვანია მხოლოდ მდ. ლაკვის-ხევი. მდ. ალგეთის ხეობის შუა და ზემოწელისათვის დამახასიათებელია მეწყერების განვითარება. ქვემო ქართლის ვაკის ფარგლებში. მდ. ალგეთი მდორეა და ზომიერი კლაკნილობა ახასიათებს.

განხილულ ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ ნაწილში, მიედინება მდ. მტკვა-რი, რომელიც გარდაბნის ვაკეს მარნეულის ვაკისაგან გამოჰყოფს. ამ მონაკვეთზე იგი ვაკის ტიპურ მდინარეს წარმოადგენს, ახასიათებს ნარწყულებისა და კუნძულების განვითარება. ქვემო ქართლის ფარგლებში მას მარცხნიდან მხოლოდ ერთი პერიოდული მდინარე — ლოჭინი უერთდება.

ლორეს ვაკეზე მდებარე სოფ. ირგახნის შუაზე ჰკვეთს პატარა მდინარე — ირგახნაი, რომელიც იქვე ახლოს მდებარე მთებიდან ჩამოედინება. სცილდება რა სოფელს იგი რიგ ღელეს იერთებს და შედარებით მოზრდილი მდინარე ხდება. ზამთარში მდინარე მთლიანად იყინება. ხრამ-ალგეთის პოტომოგრაფიული ქვერეონის მდინარეები, რელიეფის პირობების შესატყვისად დიდი ვარდნით ხასიათდებიან.

ქვემო ქართლის მდინარეთა რეჟიმი საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩამონადენის წლიური განაწილების მიხედვით ქვემო ქართლში ორი ერთეული გამოეყოფა: 1) ქვეზონა გაზაფხულის ჩამონადენის ზომიერი სიქარბისა ზამთრის მინიმუმით და 2) ზონა არამუდმივი მდინარეული ჩამონადენისა [6]. პირველ ქვეზონაში მოქცეულია მდ. ხრამის აუზის დასავლეთი ნაწილი (და-

ახლოებით მარნეულის მერიდიანის დასავლეთით). ქვეზონის მდინარეების რეჟიმი ზამთრის პერიოდში, როცა ისინი ძირითადად გრუნტის წყლით საზრდოობენ, დაბალი, მდგრადი ხარჯით ხასიათდება. გაზაფხულზე, როცა თოვლი იწყებს დნობას, მდინარეები წყალუხვია. ამასთანავე ამ დროს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ადგილი აქვს ძლიერ წვიმებს (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნალექების მაქსიმუმი მაისშია), რაც კიდევ უფრო ზრდის ჩამონადენის ოდენობას (ჩამონადენის მაქსიმუმი მაისშია), გაზაფხულის დასასრულიდან მდინარეები იწყებენ წყალმცირობას, მაგრამ იენისში ნალექების რამდენადმე სიუხვის გამო წყალმცირობა დიდი არაა. ზაფხულის მეორე ნახევარში კი ნამდვილი წყალმცირობის პერიოდია. წყალმცირება მდინარეები აგრეთვე შემოდგომაზე, მაგრამ ამ დროს, ხახდახან, ხანმოკლე წყალმოვარდნას აქვს ადგილი, რაც გამოწვეულია ხრამის აუზში შემოდგომის ინტენსიური წვიმებით. შემოდგომის დასასრულიდან მდინარეების საზრდოობის ძირითად წყაროს მიწისქვეშა წყლები წარმოადგენს. მდ. ხრამს, რომელიც საკმაოდ წყალუხვ მდინარეს წარმოადგენს, წყალდიდობა ახასიათებს IV — VI თვეების განმავლობაში, მაქსიმუმით მაისში, რაც მის აუზში მთების ზემო ნაწილში თოვლის დნობითა და წვიმებითაა გამოწვეული. მდ. ხრამის ჩამონადენის განაწილება სეზონების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა: გაზაფხულის ჩამონადენი წლიური ჩამონადენის 43%-ს უდრის, ზაფხულის — 27%-ს, შემოდგომის — 17%-ს, ხოლო ზამთრის ჩამონადენისა 13%-ს. მდინარე ხრამი და მისი შენაკადები წალკისა და დმანისის რაიონების ფარგლებში, ზამთარში, ნაწილობრივ ყინულით იფარებიან.

ქვემო ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი (მარნეულის მერიდიანის აღმოსავლეთით) არა მუდმივი მდინარეული ჩამონადენის ზონას მიეკუთვნება. აქ ძირითადად მდინარეს მტკვარი წარმოადგენს, რომელმაც ძლიერი აღიდგება გაზაფხულზე (მაისში) იცის, მის აუზში თოვლის დნობისა და ძლიერი წვიმების დროს, წლის დანარჩენ სეზონში ის შედარებით წყალმცირება. ხანმოკლე აღიდგება მტკვარს შემოდგომაზეც ახასიათებს. ჩამონადენთა პროცენტული განაწილება სეზონებში ასეთია: გაზაფხულის ჩამონადენი წლიური ჩამონადენის 48%-ს შეადგენს, ზაფხულისა — 28%-ს, შემოდგომის — 14%-ს, ხოლო ზამთრისა — 10%-ს.

ქვემო ქართლში საკმაოდ ბევრი ტბაა, განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში (წალკისა და დმანისის რაიონები). ადრე იქ უფრო მეტი ტბა ყოფილა, მაგრამ ამათგან ნაწილი დამშრალა, ზოგი კაობად გადაქცეულა, ზოგიც დაქობების სტადიაშია. წარმოშობის მიხედვით ქვემო ქართლის ტბები სხვადასხვანაირია; ქვემო ქართლის დასავლეთი ნაწილის ტბები გენეზისის მიხედვით ასე ჯგუფდებიან: 1) სინკლინურ (ტექტონიკურ) ქვაბურებში მოთავსებული ტბები, რომელსაც მიეკუთვნებიან წალკის რაიონის თანამედროვე და ზოგი უკვე ამომშრალი ტბები. 2) ვულკანური ტბები (ორუშანის, ნადარბაზევისა და სხვ.), 3) ყინვარული და ყინვარულ-ველკანური ტბები, რომელსაც მიეკუთვნებიან სამსარის ქედის ფერდობზე გაბნეული პატარა ტბები [45]. გარდა ამისა, ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ჯანდარის ტბა, რომელიც უმრავლესი მკვლევარის მიერ დღემდე ხეობის ტბადაა ცნობილი.



წალკის ქვაბულში, სოფ. ბაშქოის სამხრეთ-აღმოსავლეთით (1510 მ<sup>2</sup> ფ. დ.) მდებარეობს ბარეთის ტბა. იგი სინკლინურ ქვაბულშია მოთავსებული და გარს ანტიკლინური სერები აკრავს. ტბის უდიდესი სიგრძე 1,7 კმ, სიგანე კი 1,5. სარკის ფართობი დაახლოებით 2 კმ<sup>2</sup> უდრის. ტბის ნაპირები დაქობებულია, განსაკუთრებით სამხრეთით. ტბა ძირითადად გაუმდინარია, მხოლოდ, ზოგჯერ, ტბის მაღალი დონის დროს მისგან პატარა ნაკადული გამოედინება და მდ. ბაშქოვ-ხრამს ერთვის. ტბის წყალი მტკნარია და თევზით მდიდარი. იგი მიწის ქვეშა წყლებით, წვიმებით და თოვლის ნაღვლით იკვებება. ზამთარში იგი მთლიანად იყინება, ზოგჯერ კი „წინაპირებს“ იკეთებს.

სოფ. წალკასთან ახლოს მდებარეობს წალკის ტბა (წალკის წყალსაცავი), რომელიც მდ. ხრამის ხელოვნური შეგუბებითაა გაჩენილი.

წალკის რაიონში მცირე ტბებიდან აღსანიშნავია ტბა უზუნგელი, ხადიკი, შიბიაკი, ალიგელი, და სხვ. მცირე ტბები განლაგებულია აგრეთვე მოლოტოვის პლატოზე, (აქ სამი ტბაა); მდ. ჭოჭიანის მარჯვენა მხარეზე ერთმანეთის ახლოს შეიდი პატარა ტბაა, ხოლო დმანისის პლატოს სამხრეთით 3 ტბა, რომელთა შორის ყველაზე დიდია ტბა სალიუგლი-გელი (ვახუშტით ორმოზანი).

ქვემო ქართლის ვაკეზე მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ტბაა — ჯანდარი, რომელიც გარდაბნის ვაკის კიდეში, გარე კახეთის ზეგნისა და ქვემო ქართლის ვაკის საზღვარზე, საკმაოდ მოზრდილ ტაფობში მდებარეობს. ტბის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი შემოფარგლულია ბეიუკ-ქიასიკის ქედის ფერდობებით, სამხრეთიდან მთა ყარა-ბიხის (659 მ) კალთებით, ხოლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იგი განისაზღვრება მთ. ყარა-თაფას (729 მ) ფერდობებით. ჩრდილო-დასავლეთით ტბის აუზი ღიაა და თითქმის შეუმჩნეველად გადადის გარდაბნის ვაკეში. ტბის ფართობი უკანასკნელად მნიშვნელოვნად გაიზარდა, რადგან სარწყავად გამოყენებისა და თევზის მოშენების თვალსაზრისით მას ხელოვნური არხი შეუერთეს, რომლითაც მასში მდ. მტკვრის წყალი ჩაედინება (როცა გარდაბნის ველი ხელოვნურ მორწყვას არ საჭიროებს). ტბის ხელოვნური ავსებით შეიქცალა ნაპირების კონფიგურაცია და წყლის ქიმიური შემადგენლობაც, ტბის წყალი მტკნარია რომელმაც უზრუნველყო მასში თევზების დიდი რაოდენობით მოშენება. ტბის სიგრძე დაახლოებით 7 კმ უდრის<sup>1</sup>, განი კი 3 კმ. ნაპირებთან ახლოს ტბა თხელია. შუაგულისაკენ სიღრმე მატულობს. ტბის უდიდესი სიღრმე 8 მ აღწევს, მაღალი დონის დროს. ვიდრე ტბას ხელოვნურ არხს შეუერთებდნენ მის კვებაში ძირითადად წვიმისა და მიწის ქვეშა წყლები მონაწილეობდნენ. ახლა ამასთან ერთად, მას მტკვრის წყალიც ასაზრდოებს. ზამთარში ტბის დონე მაღალია, ზაფხულობით პირიქით, რადგან მასში არა სარწყავი პერიოდის განმავლობაში დაგროვებულ წყალს უკვე სარწყავად ხმარობენ. ტბის სანაპირო ლელითა და ლერწმითაა დაფარული, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე.

ქვემო ქართლის დასავლეთ ნაწილში განლაგებული ტბები უმთავრესად ატმოსფერული ნალექებით და მიწის ქვეშა წყლებით საზრდოობენ. მათ აღი-დება გაზაფხულზე ახსიათებთ, რაც გამოწვეულია ამ დროს უხვი წვიმებითა და თოვლის დნობით, წყალმციკრენი არიან ზაფხულზე, ატმოსფერული ნალექების სიმცირისა და ინტენსიური აორთქლების გამო.

<sup>1</sup> ჯანდარის ტბის ნახევარი ჩენი მომხმ რესპუბლიკის—აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული.

ქვემო ქართლში მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს ის მრავალრიცხოვანი, დიდი დებიტის მქონე წყაროები, რომლებიც უხვად არიან გაბნეული მის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში (ყარაბულახის, ოზნის, დაშაშის, ავრანლოს, არმუთლის, მოლოტოვოს, ბეშთაშენის, აშკალის მიდამოებში და-სხვ.).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ქვემო ქართლი ჰიდრორესურსებით საქართველოს სს რესპუბლიკის მნიშვნელოვან კუთხეს წარმოადგენს. ტერიტორიის უმეტესი ნაწილის მთიანი რელიეფის გამო, აქაურ მდინარეთა ვარდნა და დახრილობა საკმაოდ დიდია. ეს გარემოება განსაზღვრავს მდინარეთა მაღალ ენერგეტიკულ თვისებებს, რითაც მათ განსაკუთრებულ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებს. მდ. ხრამის საშუალო წლიური თეორიული სიმძლავრე 279 ათას კილოვატს უდრის, ხოლო მდ. ალგეთისა 15 ათასს. ერთად ხრამ-ალგეთის ხედრითი ჰიდრავლიური სიმძლავრე 55 კვტ/კმ<sup>2</sup> უდრის. მძლავრ მდინარეს წარმოადგენს მტკვარი; მისი შუა წელის საშუალო წლიური სიმძლავრე 1510 ათას კილოვატს უდრის, ხედრითი ჰიდრავლიური სიმძლავრე 138 კვტ/კმ<sup>2</sup>, აღნიშნულიდან დიდი წილი ქვემო ქართლზე მოდის.

უღდესი მნიშვნელობა აქვთ ქვემო ქართლის მდინარეებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. იმის გამო, რომ ქვემო ქართლი ნალექებით საერთოდ ღარიბია სავარგულების ხელოვნური რწყვა დიდ მნიშვნელობას ღებულობს. მდინარეთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გამოყენებულია სარწყავებად. მაგ., მდ. მტკვარი რწყავს გარდაბნის ვაკეს; ალგეთი, ხრამი, შულავერის წყალი და მამავერა კი მარნეულის ვაკეს. მდ. ხრამი გამოყენებულია სარწყავად წალკის ფარგლებში. ქვემო ქართლის მდინარეების სარწყავად გამოყენებას აადვილებს ქვემო წილში მათი კალაპოტის ნაპირთა სიდაბლე, ადვილად მისადგამლობა.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ქვემო ქართლში უამრავი წყაროებია, რომელთა ნაწილის წყალი მოსახლეობის მიერ სასმელადაა გამოყენებული. აქაური წყაროები დიდ როლს თამაშობენ აგრეთვე ქვემო ქართლის მდინარეთა საზრდოობაში.

ქვემო ქართლის ტბები, გარდა წალკის ტბისა (წალკის წყალსაცავისა) როგორც ჰიდროენერგორესურსი გამოყენებული არაა. ტბების ძირითადი გამოყენება მდგომარეობს მასში, რომ ისინი სასმელი წყლით უზრუნველყოფენ საქონელს, გარდა ამისა ჯანდარის ტბა თავისებურ საცავს წარმოადგენს, რომელშიც შემოდგომა-ზამთარში მოგროვებული წყლის დიდი მარაგი ზაფხულის განმავლობაში სარწყავადაა გამოყენებული. ქვემო ქართლის შიდა წყლების მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი მდიდარია სარეწაო მნიშვნელობის თევზებით.

## 6. ნიადაგები

ქვემო ქართლის გეოლოგიური (ლითოლოგიური) აგებულების, რელიეფის, კლიმატისა და ჰიდროლოგიური პირობების სირთულემ განსაზღვრა მისი ნიადაგების მრავალფეროვანება. უკანასკნელში ადამიანმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ქვემო ქართლში ძირითადად ხუთი მსხვილი კლიმატური და გეომორფოლოგიური ზონაა გამოხატული, ამის შესატყვისად ნიადაგების ზონაც ამდენივეა.

ქვემო ქართლის ვაკეზე ძირითადად წაბლა ნიადაგებია გავრცელებული; გარდაბნის ვაკეზე უფრო წაბლა და ღია წაბლა ნიადაგი. მარნეულის ვაკეზე კა



წაბლა, მუქი წაბლა და სუსტად ბიცობიანი წაბლა ნიადაგები; წაბლა ნიადაგები სხვადასხვა ვარიაციებს იძლევიან, რაც ფიზიკურ-გეოგრაფიულ მიკრო-რაიონების ხასიათითაა შეპირობებული. როგორც ვიცით, ქვემო ქართლის ვაკე ნალექების სიმცირით ხასიათდება. ამის გამო აქ ძველთაგანვე ირწყვებოდა ნიადაგები, რამაც მათი პირვანდელი სახე რამდენადმე შესცვალა. † †

ქვემო ქართლის წაბლა ნიადაგები მაღალნოყიერია. ისინი უფრო მეტად გამოყენებულია ხორბლის, ბალ-ბოსტნების, თამბაქოსა და ვენახებისათვის. მაგრამ წაბლა ნიადაგების ნაყოფიერების გაზრდისათვის ნალექების სიმცირისა, მაღალი ტემპერატურისა და ინტენსიური აორთქლების პირობებში, მორწყვა ერთ-ერთ განსაკუთრებულ ღონისძიებას წარმოადგენს, რათაც შეიძლება ხსენებული კულტურების მოსავლიანობის გაზრდა. წაბლა ნიადაგების ნაყოფიერების გაზრდისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე სასუქები და ბალახის კულტურა [51].

ქვემო ქართლის ვაკეზე საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს დამლაშებულ და მლაშობ ნიადაგებს. დამლაშებული ნიადაგები ნაწილობრივ გამოყენებულია ხორბლისა და სხვა კულტურებისათვის, მაგრამ სრულად ათვისებისათვის იგი რიგი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

მდ. მდ. მტკვრის, ალგეთის, მაშავერას, დებედას და შულავერის წყალის სანაპიროებზე გავრცელებულია სხვადასხვა შემადგენლობისა და თვისებების მქონე ალუვიური ნიადაგები. პირნელის ვაკეზე ხრამის, ალგეთისა და მტკვრის ნაპირებზე ალუვიურ კარბონატული ნიადაგებია, დებედას სანაპიროზე კი უკარბონატო; გარდაბნის ვაკეზე წარმოდგენილია ალუვიური მდელის ნიადაგები, დაჭობებული სახესხვაობებით. ქვემო ქართლის ალუვიური ნიადაგები ნოყიერია და ფართოდაა გამოყენებული ხორბლისა და ბალ-ბოსტნის კულტურებისათვის. დაჭობებული და დამლაშებული ალუვიური ნიადაგებით დაკავებული ფართობები სათიბ-სამოვრებადაა გამოყენებული.

წაბლა ნიადაგების ზონას გარს აკრავს, საკმაოდ ფართო რკალის სახით, მთისწინების გარდამავალი სახის ტყე-ველისა და ტყის ნიადაგების ზონა. აქ წარმოდგენილია, ერთი მხრივ, წაბლა, ზოლო, მეორე მხრივ, ტყის ყავისფერისა კენ გარდამავალი ნიადაგები. ვ. აკიმევი [21] ამ ნიადაგებს რუხ-ყავისფერს უწოდებს. უკანასკნელი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული წინამთების მცირე სისქის, ძლიერ ხირხატიან სახესხვაობებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ისინი უფრო ციცაბო ფერდობებზეა განვითარებული, სადაც ეროზიული პროცესების გამო ნიადაგები ჩამორეცხილია და ზოგან დედა ქანებია გამოშლვებული. ზონის დიდ ნაწილში გვხვდება ტყის ყავისფერი ნიადაგები, რომელნიც კარგი ფიზიკური თვისებებით ხასიათდებიან, რაც სხვა დადებით მხარეებთან ერთად, განსაზღვრავს მათ მაღალ ნაყოფიერებას. წინამთების ჩრდილო ნაწილში ტყის ყავისფერ ნიადაგებს აქა-იქ ნეშომძალა-კარბონატული და შავმიწისებური ნიადაგების მსგავსი ნიშნები აქვს. შავმიწისებური ტყის ყავისფერი ნიადაგები მ. საბაშვილის [51] მიერ აღნიშნულ იქნა ასურეთის მიდამოებში, აქ ისინი ფართოდაა გამოყენებული მარცვლეული კულტურების, ბალჩეულისა და ვენახების ქვეშ. კარბონატული შავმიწისებური ნიადაგები წარმოდგენილია აგრეთვე ყულარის მიდამოებში, სადაც ვაზი კარგად ვითარდება. თინარა შავმიწებს ვრცელი ფართობი უჭირავს დისველის პლატოზე (ტაფანზე).

ტაფანის ნიადაგები გამოყენებულია როგორც ხორბლისა და სიმინდის, ასევე ვენახის კულტურისათვის.

წინამთების ზონაში, კირქვების გამოსასვლელებთან დაკავშირებულია ნე-შომპალა-კარბონატული ნიადაგები. ასეთი ნიადაგები გვხვდება სოფ. სოფ. ას-კალაფას, ფიტარეთის, ღურნუკისა და წინწყაროს მიდამოებში, აგრეთვე მდ. ალგეთის ნაპირზე.

ქვემო ქართლის წინამთების ზონის ნიადაგები, როგორც აქვე აღვნიშნეთ, მაღალი ნოყიერებით გამოირჩევიან. ეს ნიადაგები ხელსაყრელია ხორბლის, სიმინდის, ბაღ-ბოსტნისა და ვენახის კულტურის წარმატებით განვითარებისათვის, მაგრამ ისე, როგორც ქვემო ქართლის ვაკეზე, აქაც მაღალი და მყარი მოსავლიანობის უზრუნველყოფისათვის ეს ნიადაგები ხელოვნურ მორწყვას საჭიროებს.

ქვემო ქართლში დიდი ფართობი უკავია მთა-ტყეთა ნიადაგებს, რომლებიც საკმაოდ მრავალი ვარიანტებითაა წარმოდგენილი; უფრო მეტად აქ ტბის ყავისფერი და ყომრალი ნიადაგებია. არის აგრეთვე კორდიან-ეწიროვანი და ნე-შომპალა-კარბონატული ნიადაგები. გარდა ამისა, აქა-იქ გავრცელებულია მთა-ტყის შავმიწისებური ნიადაგები (მაგ., ბედენის პლატოს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში) [15]. მთა-ტყის ზონაში ზოგან ვხვდებით, მცირე ნაკვეთებად, ქვიან-ლორლიანი, ტყის ღია ფერის ნიადაგებს (სომხითის ქედის ფერითობებზე, მდ. ალგეთის სათავეში, ბაბაკარის მთების კალთებზე).

მთა-ტყის ნიადაგები კარგადაა შესწავლილი დმანისის რაიონში, ე. ჩხიკვი-შვილისა და ე. ამბოკაძის [16] მიერ. აქ მთა-ტყის ნიადაგებში, რომლის გავრცელების ზედა საზღვარი 1800 მ (ზ. დ.) აღწევს, გამოიყოფა ტყის ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგები; პირველი მთების შუა (და ნაწილობრივ ქვემო) ფერ-დობებს იკავებს, დაახლოებით 1100—1200 მეტრამდე. ამ ნიადაგებს საკმაო დიდი სისქე აქვთ და კაკლოვანი და გოროხოვან-კაკლოვანი სტრუქტურითა და ხირხატაობით ხასიათდება. ტყის ყავისფერი ნიადაგები მდიდარია ორგანული ნივთიერებით. ტყის ყავისფერი ნიადაგების ზემოთ ტყის ყომრალი ნიადაგებია განვითარებული. მათ კაკლოვანი სტრუქტურა და მკვრივი აგებულება ახასიათებთ. მთა-ტყეთა ზონაში, სივრცობლივად ტიპურ ყომრალ ნიადაგებს ყველაზე მეტი ფართობი უკავია. შედარებით ნაკლებ ადგილს იჭერს გაეწრებული ყომრალი ნიადაგები. ყომრალი ნიადაგების გავრცელების ფარგლებში გვხვდება აგრეთვე პროგრადირებული ყომრალი ნიადაგები. ტყის ყავისფერ ნიადაგებთან შედარებით ყომრალ ნიადაგებში საერთოდ ჰუმუსის რაოდენობა მცირეა. რამდენადაც მეტია ჰუმუსის რაოდენობა პროგრადირებულ ყომრალ ნიადაგებში, რომლებიც კარგი სტრუქტურითა და საკმაოდ მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება [16].

ტყის ღია ფერის ქვიან-ლორლიან და ტყის მურა ნიადაგებს შედარებით მცირე სისქე ახასიათებთ, ასეთივეა ამ ზონაში გავრცელებული ნე-შომპალა-კარბონატული ნიადაგებიც. რაც შეეხება ტყის შავმიწისებურ ნიადაგებს ისინი უფრო დიდი სისქისაა, თიხნარი შემადგენლობა აქვთ და ვულკანური ქანების გამოფიტვის პროდუქტებზეა განვითარებული.

მთა-ტყის ნიადაგების ძირითადი მასა ტყითაა დაფარული, მაგრამ ნაწილობრივ გამოყენებულია სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის (ქერის, შერის, ჭვავის ქვეშ. ზონის ქვედა ნაწილში მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ავრცელებენ ბალჩუხსაც).

ქვემო ქართლის დასავლეთ ნაწილში, წალკისა და ღმანისის რაიონებში ძირითადად გავრცელებულია მთა-სტეპისა და მთა-მდელოს ნიადაგები. მთა-სტეპის ზონაში წარმოდგენილია: ა) მთის შავი მიწები და ბ) მთის გამოტუტვილი შავმიწები და შავმიწისმაგვარი მდელოს ნიადაგები, ხოლო მთა-მდელოს ზონაში: ა) შავმიწისებური და კორდიანი მთა-მდელოს ნიადაგები, ბ) კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთა-მდელოს ნიადაგები. წალკის, ღმანისის და გომარეთის ვაკეებზე გაბატონებულია შავმიწა და შავმიწისებური მდელოს ნიადაგები, რომელთა გავრცელების ზედა საზღვარი დაახლოებით 2200 მ (ზ. დ.) აღწევს. ეს ნიადაგები განვითარებულია ძირითადად მდელოს მცენარეულობის საფარის ქვეშ; წალკის შავმიწებიდან გამოიყოფა კარბონატული, საშუალო, გამოტუტვილი და დეგრადირებული სახესხვაობანი [51]. უფრო ტიპური ხასიათის შავმიწები ღმანისისა და გომარეთის ვაკეებზეა. აქ ისინი ვ. ჩიკვიშვილისა და ვ. ამბოკაძის თანახმად, ვრცელდება 1100 მეტრიდან 1650—1700 მეტრამდე და წარმოდგენილია შავმიწების გამოტუტვილი, დაწილული და კარბონატული სახესხვაობებით. როგორც წალკაში, ისე აქაც გამოტუტვილ შავმიწებს ყველაზე მაღალი მდებარეობა უჭირავთ. დაწილული შავმიწები განვითარებულია საჯა-გომარეთის ვაკეზე, ხოლო შავმიწების კარბონატული სახესხვაობა-მაშავერას აუზში. ირვინჩაის მიდამოებში გავრცელებულია მცირე სისქის შავმიწები.

წალკის, ღმანისის, გომარეთის ვაკეზე, მდინარეთა ხეობებში, მცირედ, ალუვიური ნიადაგებია. განხილულ ზონაში გვხვდება სხვადასხვა სახის ჭიბიანი ნიადაგებიც, უფრო მეტად წალკის ქვაბულში (სოფ. სოფ. კუშჩის, რეხას, ბეშთაშენის მიდამოებში და სხვ.). მთა-სტეპის ნიადაგები მაღალნაყოფიერია და გამოიყენება კარტოფილისა და საკვები ბალახების სათესად, ხოლო შედარებით დაბალი ადგილები—ხორბლის კულტურისათვის.

ქვემო ქართლის მაღალმთის ზონაში მთა-სტეპის შავმიწებსა და შავმიწისებურ ნიადაგებს სცვლის მთა-მდელოს ზონის ნიადაგები, რომლებიც დაახლოებით 2100—2200 მ (ზ. დ.) ზემოთ ვითარდება. ზოგჯერ ზონის ქვედა საზღვარი 1700—1800-მდე ეშვება. მთა-მდელოს ზონაში დიდი გავრცელება აქვს მთა-მდელოს შავმიწისებურ ნიადაგებს, რომელიც მთის ველის შავმიწებისაკენ გარდამავალ ნიადაგებად ითვლება და გავრცელებულია სამსარისა და კეჩუთის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე, თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობსა და სომხეთის ქედის ჩრდილო ფერდობზე. დასახელებული ქედების ყველაზე მაღალი ნაწილები, 2300—2400 მეტრის ზევით, უკავია მთა-მდელოს კორდიან ნიადაგებს, რომლებიც ძირითადად ვულკანური ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე, სუბალპური ბალახეულობის ქვეშ არის განვითარებული. მთა-მდელოს ზონაში, გარდა დასახელებულისა, არის ტორფიანი ნიადაგები. აქვე, რელიეფის ჩადაბლებულ ადგილებში, გვხვდება მთა-მდელოს ჭიბიანი ნიადაგები.

ქვემო ქართლის მთა-მდელოს ნიადაგები ნოყიერი და ხშირი ბალახეულობითაა დაფარული.

## 7. მცენარეულობა

რელიეფისა და კლიმატური პირობების მრავალფეროვანებამ განსაზღვრა ქვემო ქართლის მცენარეული საფარის სიჭრელე; საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ შედარებით მცირე ტერიტორიაზე გავრცელებულია მცენარეულობა დაწყებული მშრალი ველებისათვის დამახასიათებელი ტიპიდან დამთავრებული ალპური ზონისათვის დამახასიათებელი ტიპით. ქვემო ქართლის ვაკეზე, კლიმა-



ტური პირობების შესატყვისად, განვითარებულია უროიანი და აბზინდიან-უროიანი ველები. უროიანი ველები კარგადაა გამოხატული მდ. მტკვრის ორივე მხარეზე; იგი ძირითადად წაბლა ნიადაგებზეა განვითარებული, თუმცა ამ მხრივ არეალს არ იზღუდავს და ყოველგვარ ნიადაგებზე კარგად ვითარდება. უროიანი ველებს დიდი გავრცელება აქვს მარნეულის რაიონში; აქ ის გარს უვლის იაღლუჯის მთას და სამხრეთით სოფ. ვიაურ-არხის პარალელამდე ვრცელდება, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით — თითქმის ბოლნისამდე. უროიანი ველები გავრცელებულია აგრეთვე გარდაბნის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილში.

ქვემო ქართლში წარმოდგენილია როგორც პირველადი, ისე მეორადი უროიანი ველები [7]. პირველადიდან აქ გავრცელებულია წმინდა ველები, რომლის ძირითადი ფონის შემქმნელია ურო. მასთან ვხვდებით ჩვეულებრივ იონჯას, აგრეთვე წინმატასელს, კუტი-ბალახს, ფარსმანდუქს, მინდვრის ნემსას და სხვ. პირველად უროიანი ველებში არის უროიან-ვაციწვერიანი დაჯგუფებაც, რომლებიც უფრო შემადლებულ ადგილზე სახლობენ. ნ. კეცხოველის [7] მიხედვით, უროიან-ვაციწვერიანი ველების ძირითადი სახეები ასეთია: ურო, წივანა, იონჯა, კუტი-ბალახი, ურცი და სხვ. გარდა ამისა აქ გვხვდება: კახური ესპარცეტი, საყვითლო, ვაციწვერა, მინდვრის ნემსა, ჭინჭარა და სხვ.

მეორადი უროიანი ველები უმეტესად ფერდობებს აკრავს და კარგადაა გამოხატული ბოლნისისა და აგრეთვე ქვეშის მიდამოებში. ამ ველების მნიშვნელობა ისაა, რომ იგი სათიბ-საძოვრებადაა გამოყენებული და საუკეთესო საზამთრო საძოვარს წარმოადგენს. ველის მცენარეულობაში მესაქონლეობისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ესპარცეტი, ჩვეულებრივი იონჯა, მხიხავი ჯანგა, სათითურა. გარდა აღნიშნულისა, გარდაბნის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილში, აგრეთვე სარვანის მიდამოებში, წარმოდგენილია მლაშობი ნახევარუდაბნოს მცენარეულობა, რომლის შექმნაში მთავარ მონაწილეობას იღებს ყარღანი, ავშანი და სხვ.

მდ. მდ. ხრამისა და ალგეთის ქვემო წელში, დაახლოებით შულავერის წყლის აღმოსავლეთით, გავრცელებულია აბზინდიან-უროიანი ველი. აბზინდიან-უროიანი ველი გამოხატულია აგრეთვე გარდაბნის ვაკეზე დასავლეთ ნაწილში, სადაც იგი საკმაოდ ფართო ზოლადაა გადაჭიმული, ჩრდილოეთიდან ვიდრე რესპუბლიკის სამხრეთ საზღვრამდე. ეს ველები ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც საზამთრო საძოვრები. ქვემო ქართლში უფრო ლოკალური გავრცელება აქვს აბზინდიან ნახევრადუდაბნოს მცენარეულობას. იგი აქ გამოხატულია მარნეულის რაიონში, მთა იაღლუჯაზე. იაღლუჯას აბზინდიან ნახევრად უდაბნოს მცენარეულობა ადრევე გამოყენებული იყო ქვემო ქართლის მესაქონლეობისათვის, რის შესახებაც ვახუშტიც მიგვითითებს, იგი წერს: „საყალთუტნის დასავლით არს იაღლუჯის მთა უტყეო და უწყლო, და სადაცა სდის წყარო მცირე, იგიცა მცირე და მლაშე. არამედ არს ფრიალ ბალახოვანი, ზამთარ-ზაფხულს მოუკლებელი, რომელსა ზედა იზრდებიან არვენი, მროწლენი, ჯოგნი და აქლემნი-“ო[4]. როგორც სათიბი ეს ველი დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. იგი შედარებით კარგია როგორც საძოვარი ზამთარში და ადრე გაზაფხულზე. თვით აბზინდიან, როგორც ამას ნ. კეცხოველი აღნიშნავს, ზამთრის პერიოდში ცხვრისათვის საუკეთესო საძოვარს წარმოადგენს.

ქვემო ქართლში დიდი ადგილი უჭირავს ჯაგ-ეკლიან ველებს (ბოლნისის, თეთრი წყაროს, გარდაბნისა და მარნეულის რაიონები), რომელთა გავრცელების ზედა საზღვარი 750—900 მ მერყეობს, ზოგან უფრო ზემოთაც ადის; ეს იქ,

სადაც ტყის ქვედა საზღვარი ხელოვნურად, გაჩეხვით, ზემოდ აწეულია. ჯაგ-ეკლიანი ველის შემქმნელია ძეძვი. ბუჩქნართა შორის აღსანიშნავია აგრეთვე შავჯაგა, ქართული ნუში, გარდა ამისა, მთის პირებზე ჯაგ-ეკლიან ველში ვხვდებით საღსლაღს და გრაკლას. იქ, სადაც ტყეები გაჩეხილია და უკან დაუხვევია, ძეძვთან ერთად ვხვდებით ჯაგრცხილას, ქართულ მუხას, კუნელს, ნეკერჩხალს, კვრინჩხს.

ჯაგ-ეკლიანი ველის მცენარეულობა მისი გამოყენების თვალსაზრისით შესწავლის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს. აქ ბევრგან ვხვდებით გარეულ ვაშლსა და მსხალს. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საძირებდად, ახალი ჯიშების გამოყვანისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა ამ ტიპში გავრცელებული, მესაქონლეობისათვის ძვირფასი მცენარეები: ქართული ესპარტეტი, ჩვეულებრივი ესპარტეტი, ჩვეულებრივი იონჯა, ტიმოთეა, წითელი სამყურა და სხვ. ქვემო ქართლში ველის მცენარეულობაში მოიპოვება სამკურნალო და ეთეროვანი მცენარეებიც (ვალერიანა, სამკურნალო ძიძო, ლემა, ენდრო, ურცი და სხვ.)[7].

ქვემო ქართლის მცენარეულ საფარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტყეებს, რომელნიც აქ სომხეთისა და თრიალეთის ქედის ფერდობებზე და აგრეთვე წალკისა და დმანისის მთის ვაკეთა აღმოსავლეთ ფერდობებზეა გავრცელებული. ქვემო ქართლში ძირითადად ფართო ფოთლოვანი ტყეებია, მუხის, რცხილისა და წიფელის გაბატონებით. მუხნარ ტყეებს უჭირავს მთის ქვედა ნაწილი. მისი შემქმნელია ქართული მუხა, მათ ურევია აგრეთვე რცხილა, ნეკერჩხალი, იფანი, თელა. ქვეტყეში გაბატონებულია კუნელი; მონაწილეობს აგრეთვე ვაშლი და პანტა. წიფლნარებს უჭირავს მთის ტყეთა ზემო იარუსები. წიფლის ტყეები კარგადაა გამოხატული სომხეთისა და თრიალეთის ქედის ფერდობებზე, წალკისა და დმანისის მთის ვაკეთა აღმოსავლეთ ფერდობებზე. ამ ტყეებს ქმნის წიფელი, რომელსაც ურევია რცხილა, მუხა, ნეკერჩხალი და სხვ. წიფლნარის სარტყელის ქვემოთ დამახასიათებელია მუხნარ-რცხილნარის განვითარება, ზოგან წმინდა რცხილნარიცაა გამოხატული. ქვემო ქართლის ტყეებში, გარდა ზემოაღნიშნულისა, გავრცელებულია: ცაცხვი, თელა, ვერხვი და სხვ. მცირედაა წარმოდგენილი წიწვიანები; თრიალეთის ფერდობზე, მანგლისისა და ახკალაფას მიდამოებში აქა-იქ გვხვდება ნაძვი, ალგეთის სათავეში მცირე რაოდენობით არის სოჭი. მანგლისის მიდამოებში და თრიალეთის ქედზე ალაგ-ალაგ ფიჭვიცაა. ქვემო ქართლში ტყის ზემო სარტყელში განვითარებულია მალაღმთის მუხნარი ტყეები.

განხილულ ტერიტორიაზე გავრცელებულია ფოთლოვანი ნათელი ტყეებიც, განსაკუთრებით ხრამის ხეობაში (მდ. ყარაბულახის შესართავის ქვემოთ. სამშვილდემდე). ამ ტყის შემქმნელია აკაკი, ხრამისა და მაშავერას ხეობაში, ამ ტყეებში ერევა ნეკერჩხალი, თელა, ჯაგრცხილა, მუხა და სხვ.

ქვემო ქართლის ფარგლებში მდ. მტკვრის, აგრეთვე ხრამის ხეობაში წითელ ხიდთან<sup>1</sup> და მაშავერას შესართავის მიდამოებში წარმოდგენილია ქალის ტყე, რომლის მთავარი შემქმნელი ჯიშებია: ვერხვი (ხვალო), შავი ვერხვი, ტირიფი, ქალის მუხა, თელა, თუთა. ქვეტყეში გავრცელებულია: კუნელი, ქაცვი, იალღუნი ანუ სამასრე ტირიფი და სხვ. ლეშამბოიანებიდან კი კატაბარდა, სვია, ლვედკეცი, კრიკინა, მაყვალი და სხვ.

<sup>1</sup> ქალის ტიპის ტყეს, წითელ ხიდთან ადგილობრივი მცხოვრებნი ლეჩბადინის ტყეს უწოდებენ. დ. უ.

ქვემო ქართლის ტყეებს წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ მათი სამრეწველო ექსპლოატაცია უადრესად შეზღუდულია. ტყეების საერთო ფართობი 112780 ჰექტარს უდრის (ქვემო ქართლის მთელი ტერიტორიის 19,3%). ტყის ფართობის მიხედვით პირველი ადგილი თეთრი წყაროს რაიონს უკავია (44.295 ჰა), მეორე ბოლნისის რაიონს (31.129 ჰა), შემდეგ ამათ თანმიმდევრობით მოსდევს დმანისის (18.458 ჰა), მარნეულის (13142 ჰა), წალკის (3652 ჰა) და გარდაბნის (2164 ჰა) რაიონები. ქვემო ქართლში უმეტეს წილად სახელმწიფო ტყეებია, საკოლმეურნეო ტყეებს კი შედარებით მცირე ფართობი უკავია.

ქვემოთ მოკლედ განვიხილოთ ტყის ფონდის განაწილება ქვემო ქართლის ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით. ყველაზე მცირეტყიანი რაიონი გარდაბანია. ისტორიულ წარსულში აქ ტყეებს შედარებით მეტი გავრცელება ჰქონიათ. მაგრამ ადამიანის ჩარევით ახლა ამ ტყის მხოლოდ უზარმაზარი ნაშთიღაა შემორჩენილი. გარდაბნის რაიონში ძირითადად ტუგაის ტყეებია. მათ შექმნაში მონაწილეობს ვერხვი, მუხა, ჭადარი, აკაცია, ტირიფი, იაღლეუნი, თუთა და სხვ. გარდაბნის ტყეების ექსპლოატაცია საერთოდ არ სწარმოებს, მაგრამ ადგილობრივ მოთხოვნილებებისათვის ცალკე გამოყოფილ ნაკვეთებში ამზადებენ წვრილ ბოძებს, სარებს, შეშას, საქმიან მერქანს და სხვ. უკანასკნელ პერიოდში ძლიერ გაუმჯობესდა აქ ტყის დაცვა, მოვლა და განახლება; 5 წლის განმავლობაში 267,93 ჰა ფოთლოვანი ტყე გაშენდა (უმეტესად თეთრი აკაცია, კაკალი, ვაშლი და სხვ.), ტყის გაშენების ღონისძიებათა წარმატებით გატარების უზრუნველსაყოფად გარდაბანში დაარსდა სანერგე, რომელიც ნერგით არა მარტომ ამ რაიონს, არამედ, ნაწილობრივ მეზობელ რაიონებსაც უზრუნველყოფს.

მარნეულის რაიონის ტყეები სომხეთის ქედის ჩრდილო ფერდობზეა განლაგებული (ოფრეთისა და შაუმიანის ტყეები), ამას გარდა, მას ეკუთვნის ჭალის ტყე მდ. ხრამის ქვემო წელში (წითელი ხიდის მიდამოებში). დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე მარნეულის ტყეებს, ისე როგორც სხვა რაიონების ტყეებს, კერძო პირები ფლობდნენ, ისინი არ ზრუნავდნენ ტყის მეურნეობის სწორად წარმართვისათვის. ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა გამოეგლიჯათ ტყიდან, რამაც ტყეები ძლიერ გააჩანაგა. ამჟამად ტყის მოჭრა ქვემო ქართლში და, კერძოდ, მარნეულში სათანადო სპეციალისტების მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით წარმოებს, თანაც იმ პირობით, რომ ტყის მოჭრამ კი არ შეაჩეროს მისი განვითარება, არამედ, პირიქით, ხელი შეუწყოს ტყის კორომების სწრაფ ზრდას. მარნეულის ტყეებში ამზადებენ მცირე რაოდენობით სამასალე ხე-ტყეს, აგრეთვე შეშას, და სარს ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ქვემო ქართლში ბოლნისი თეთრი წყაროს რაიონის შემდეგ ტყით ყველაზე მდიდარია. ბოლნისის რაიონის ტყეები განლაგებულია სომხეთის ქედის ჩრდილო ფერდობზე და ლუკუნის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში — დარბაზის, ფოლადაურის, ხაჩინის, ფახრალის, კაზრეთის, ლოქ-ჯანდრის მიდამოებში. ტყეებში გაბატონებულია წიფელი (29%), რცხილა (28,9%) და მუხა (18,5%). დანარჩენებს — ნეკერჩხალს, იფანს, ვერხვს, პანტას და სხვას შედარებით ნაკლები გავრცელება აქვთ. წიფელი გვხვდება როგორც წმინდა კორომების სახით, ისე მუხასთან და რცხილასთან შერევით. წიფლის წმინდა კორომები შემორჩენილია მხოლოდ ჩათახისა და ლოქ-ჯანდრის მიდამოებში, წიფლის ტყეები უმეტესად ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზეა წარმო-

გენილი. ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფერდობებზე რცხილაა გაბატონებული, ხოლო მუხნარი ტყეები, რომელნიც უმეტესად რცხილასთან, ჯაგრცხილასთან და სხვა ჯიშებთან შერევით გვხვდება, უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობებს იკავებს. ბოლნისის ტყეები მიკუთვნებულია პირველი ჯგუფის ტყეებს; მათ ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ ამ ტყეებში პირადებითი ჭრა აკრძალულია. გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია მთავარი სარგებლობის ჭრები, რომელიც სათანადო გეგ-



სურ. 4. ბოლასქესანის ტყე

მითა და კონტროლით წარმოებს. ადგილობრივი მოთხოვნილებისათვის ამზადებენ წვრილ დამხმარე მასალას, ლატნებს, სარებნ, შეშას. ფოლადაურის მიდამოებში ამზადებენ აგრეთვე მასალას პარკეტისათვის. ამასთანავე, რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება გატყევებისათვის; უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გაშენებულ იქნა 251,92 ჰა, ტყე, რომელიც ძირითადად ფოთლოვანი ჯიშებისაგან შედგება (კაკალი, თუთა, იფანი, ნეკერჩხალი). ფოლადაურის მიდამოებში გაშენებულ იქნა (20 ჰა) ფიჭვიც.

ქვემო ქართლში ყველაზე ტყიანი რაიონი თეთრი წყაროა, რომლის ტყის მასივები უმეტესად თრიალეთის ქედისა და მისი განშტოების ფერდობებზეა განლაგებული — თეთრი წყაროს, ალექსეევსკის, მანგლისისა და პრიუტის მიდამოებში. თეთრი წყაროსა და მანგლისის მიდამოებში გაბატონებულია ფოთლოვანი ჯიშები, მცირე რაოდენობით წიწვიანებიც (ფიჭვნარი). ტყის საერთო ფართობიდან სკარბობს მუხით გაბატონებული კორომები, რომელიც უმეტესად რცხილისა და ჯაგრცხილის შერევითაა გამოსახული, ალაგ-ალაგ გვხვდება თელისა და პანტის შერევითაც. მუხის კორომები, წარსულში წმინდა ჭრების შედეგად, მეტწილად ამონაყრითი ხასიათისაა; ზოგან საქონლის ინტენსიური ძოვების გამო მუხის ჯანსაღობა შექმნილი. ქვეტყე წარმოდგენილია კუნელით, შვინდით, შვინდანწლათი, ზღმარტლით, ასკილით და სხვ. ფართობით მეორე ადგილი წიფლის კორომებს უკირავს, რომელშიც რცხილა და მუხაც გვხვდება.

წიფლის ტყეები მთის მალალ ზონაშია გავრცელებული, დასახლებული პუნქტებიდან შედარებით დაცილებულია, ამიტომაც მათი მდგომარეობა რამდენადმე კარგია. ალექსევკისა და თეთრი წყაროს მიდამოების ტყეებში მნიშვნელოვანი გავრცელება აქვს აგრეთვე რცხილას. რცხილნარი ტყეები, მუხნარის მსგავსად, დაბალ ზონაშია, ამიტომ იგი უფრო იჩეხება, რის გამოც ძლიერ გამეჩხრებულია.

თეთრი წყაროს ტყეების მნიშვნელოვანი მასივები განლაგებულია მანგლისის მიდამოებში, სადაც ვაბათონებული ჯიშებია: წიფელი, მუხა, რცხილა. გავრცელებულია აგრეთვე ნეკერჩხალი, იფანი, ჯაგრცხილა, მცირედ ნაძვი და ფიჭვი, პანტა და სხვ.

წარსულში მანგლისის ტყეები ინტენსიურად იჩეხებოდა, რამაც ძლიერ გამეჩხრა კორომები. საერთოდ მანგლისისა და თეთრი წყაროს ტყეების ექსპლუატაცია ძველთაგანვე ძლიერი იყო. გარდა სამასალე და საშუშე ხე-ტყისა აქ დიდი რაოდენობით ნახშირის ამზადებდნენ; მანგლისი და თეთრი წყარო იყო თბილისისათვის ნახშირის მიმწოდებელი[3]. საქონლის მოუწყვსრიგებელი ძოვებით ტყის ბუნებრივი განახლების პროცესები მიმდინარეობდა საეხებით არა დამაკმაყოფილებლად, რამაც განსაკუთრებით ძლიერი დალი დასევა დასახელებული პუნქტების ახლო მდებარე ტყის კორომებს. მანგლისის ტყეების დაცვა-განახლებას ყურადღება მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა. გარდა იმისა, რომ ამ ტყეებს ნიადაგთადაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობა აქვს, მათ აქვე აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა როგორც საკურორტო ტყეებს. ამიტომ აქ ტყის ყოველგვარი სახის ჭრები აკრძალულია, გარდა სანიტარულისა, რომელიც შედარებით მცირე ფართობზე წარმოებს. მანგლისის ტყეებში ამზადებენ მცირე რაოდენობით შეშას და წვრილ საშენ მასალას. პრიუტის ტყეებსაც ნიადაგთადაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობა აქვს. აქ ყველაზე უფრო გავრცელებულია ამონაყრითი წარმოშობის მუხითა და წიფლით ჭარბი კორომები; ამ ტყეებში გვხვდება აგრეთვე ჯაგრცხილა, ნაძვი და ფიჭვი, უმნიშვნელო რაოდენობით — ვერხვი და კაკალი. საქართველოს სსრ მინისტრთა ნაბჭოს დადგენილებით პრიუტის ტყეები მთლიანად შეტანილია ქალაქ თბილისის „მწვანე ზონის“ შემადგენლობაში, ამასთან დაკავშირებით ტყის მოჭრა აქ ძალზე განსაზღვრულია.

თეთრი წყაროს რაიონში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ტყის გაშენებას; უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გაშენდა 185,93 ჰა ტყე, მათ შორის 121,71 ჰა ფოთლოვანი, ხოლო 64,22 ჰა წიწვოანი (ძირითადად ფიჭვი).

დმანისის რაიონის ტყეები ძირითადად მდ. დმანისის აუზშია განლაგებული, ტყეების ნაწილი აგრეთვე გომარეთისა და ორმაშენის მიდამოებშიცაა. ტყეების შემადგენელ ჯიშებს აქ წარმოადგენენ წიფელი, რცხილა, მუხა, ჯაგრცხილა, ალაგ-ალაგ ტყის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე იფანი, ნეკერჩხალი, ვერხვი, თელამუში, პანტა, დიდგულა და სხვ. წიფელი სუფთა კორომებს ჰქმნის, ან რცხილასთანაა შერეული. ეს უკანასკნელი გავრცელებულია წმინდა კორომებადაც, წიფელთან და მუხასთან შერევითაც. მუხნარ ტყეში შერეულია რცხილა და ჯაგრცხილა. ადრე დმანისის რაიონში ტყეები გაცილებით მეტი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ის კერძო მფლობელების ხელში იყო ჩქარი ტემპით ნადგურდებოდა. დმანისის რაიონი ტყეებით ღარიბ რაიონად ითვლება, ამიტომაც ტყის ჭრა აქ ძალზე შეზღუდულია. რაიონში უკანასკნელად დიდი მოცულობით გაიშალა მუშაობა ტყის გაშენებისათვის; 1950



წლიდან 1954 წლამდე სულ გაშენდა 742 ჰა ტყე, აქედან 407 ჰა ფოთლოვანი, დანარჩენი წიწვოვანი.

ტყით ყველაზე ღარიბია წალკის რაიონი. ტყეები აქ ხრამის ხეობაშია გავრცელებული, დამბაშს ქვევით და ძირითადად ფოთლოვანი ჯიშებისაგან (წიფელი, რცხილა, ნეკერჩხალი და სხვ.) შედგება. ტყის მოჭრა აქ წარმოებს მისი გაუმჯობესების თვალსაზრისით, ამასთანავე შესაფერისი ყურადღება ექცევა ტყის გაშენებას; უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გაშენებულ იქნა 312 ჰა ტყე, აქედან 152 ჰა წიწვოვანი, თუმცა ისეთი უტყეო რაიონისათვის, როგორც წალკა ეს ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლება.

როგორც აღვნიშნეთ, ქვემო ქართლის ტყეებს ნიადაგთდაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობა აქვს, ნაწილობრივ საკურორტოც. მაგრამ ამით არ ამოიწურება მათი სამეურნეო მნიშვნელობა; თუმცა ქვემო ქართლის ტყეების სამრეწველო ექსპლოატაცია არ მიმდინარეობს, აქ ტყეების მოვლითი და სანეიტარული ჭრის შედეგად საყურადღებო რაოდენობის საქმიან მერქანსა და შესასამზადებენ, ადგილობრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ქვემო ქართლის ტყეებში ბევრია პანტა, ვაშლი, შინდი, ყოლო, მოცვი და სხვ., რომლებიც მოსახლეობას ბევრ ხილს აძლევს. ხილადვე იყენებენ წიფლის წიწვიბოს; ტყეებში აგროვებენ და ამზადებენ აგრეთვე კაკალს[7]. ამის გარდა, ტყეებში ბევრია სამკურნალო და თაფლის შემცველი მცენარეულობა. უკანასკნელი, მეფუტკრეობის განვითარებისათვის ძვირფას ბაზას წარმოადგენს. ქალის ტიბის ტყეებში (მდ. მდ. მტკვარისა და ხრამ-ალგეთის ხეობებში) მნიშვნელოვანი რაოდენობითაა გავრცელებული თუთა, რომელიც მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის საიმედო წყაროს წარმოადგენს. თუთის ფოთოლი ქვემო ქართლის რაიონებიდან (გარდაბნიდან და მარნეულიდან) მიმდებარე ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებშიც გააქვთ.

ქვემო ქართლის მცენარეულ საფარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთის ველებს, რომელიც გამოხატულია დმანისისა და გომარეთის ვაკეზე, წალკის ქვაბულში და ბედენის პლატოზე. მთის ველების დაჯგუფება შექმნილია სუბალპების ბალახეულობისაგან, რომელშიც მონაწილეობას იღებს ველის დამკორდებელი მარცვლოვანები და წმინდა ქსეროფიტები [7, 36]. ქვემო ქართლის მთის ველის მცენარეულობა რამდენიმე ვარიანტის სახითაა წარმოდგენილი; მთის ველის ქვედა ზონაში, გავრცელებულია მთის ველის ურთიანი ვარიანტი, სადაც გვხვდება: ურო; წივანა, სამყურა, ესპარცეტი, თრიალეთის იონჯა, ურცი, კუტი-ბალახი, ქარელა, ფარსმანდუკი და სხვ. ბუნქნარებიდან აქ გვხვდება: ძეძვი, ჩიტავაშლა, გრაკლა, შავჯაგა. მთის ვაციწვერიანი ველების შექმნაში მონაწილეობას ღებულობენ: ვაციწვერა, კეწეწურა, ცხვრის წივანა, ნამიკრედია, ისლი, სამყურა, ქაფურა, მარმუჭი, მარწყვა ბალახი, მრავალძარღვა, მინდვრის ნემსა, ნალველა, შერიელა, ბაია და სხვ.

მთის ველებისათვის ტიპურს წარმოადგენს მარცვლოვან-ნაირბალახოვანი დაჯგუფება, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ელემენტებით: სწორი შვრიელა, კეწეწურა, მდელის წივანა, ცხვრის წივანა, მდელის თივაქასრა, ტიმოთელა, საითურა, ბრამი, ისლი, ცხვარა, ნამიკრედია, ვაციწვერა, ცხცახა, თრიალეთის იონჯა, კურდღლის ბალახი, სამყურას რამდენიმე სახეობა, მარმუჭი, მაჩიტა, დილხაში, ქარაული ნემსიწვერა, ბაია, დაჯირა, მარწყვა-ბალახა, მინდვრის ნემსა, წიწილკურა, ქაფურა, მთის ბარისპირა, მრავალძარღვა, ჯინჯარა, ურცი და სხვა.

ქვემო ქართლში ზღვის დონიდან დაახლოებით 1800 მეტრის ზემოთ სუბალპების მდელოები იწყება (ზოგან 1600 მეტრამდეც ეშვება). მათი გავრცელების ზედა საზღვარი 2400 მეტრს აღწევს. სუბალპების მდელოები ორ ტიპად იყოფა: სუბალპების მდელო, რომელშიც ველის ელემენტები მონაწილეობენ და სუბალპების მდელო, სადაც ველის ელემენტები მონაწილეობას არ ღებულობს. სუბალპური მდელოები ქვემო ქართლში გამოსახულია წალკისა და დმანისის რაიონებში—ჯავახეთის, სამსარის, თრიალეთის და სომხეთის ქედის ფერდობებზე. განხილული ტერიტორიის სუბალპებისათვის დამახასიათებელი მცენარეებია: ჩაღანდარი, აკონიტუმი, დეზურა და სხვ. გარდა ამისა, ამ მდელოებში გავრცელებულია: პრელი შვრიელა, თივაქასრა, კეწეწურა, ოქროშვრია, ტიმოთელა, ბაია, ფრინტა, ცხვარა, ნარი, ცის-ფოლიო, მზიურა, მდელოს წივანა, ცახცახა, ბრძამი, სათითურა, სამყურას რამდენიმე სახეობა, თრიალეთის იონჯა, ცერცვალა, ირაგა, ვვირილა, დიდილოს რამდენიმე სახეობა, ბურბუმელა, ქაფურა, მარწყვაბალახი, დილხამი, მანიტა, ცისანა, მატიტელა, ჩაღანდარი, წიწილკურა, ბარისპირა, ანისული, მრავალძარღვა, ფურისულა, ისლი, მინდვრის ნემსა და სხვ.[7].

ქვემო ქართლში შედარებით მცირედაა გავრცელებული ალპური მცენარეულობა, რადგანაც ალპური ზონა მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი თრიალეთის, სამსარისა და ჯავახეთის ქედზე. ისე, როგორც სუბალპური მდელოები, ალპური მცენარეულობაც აქ რამდენიმე ვარიანტს ქმნის (ისლიანები, მარცვლოვანები, ნაირბალახოვანი მდელოები).

წალკისა და დმანისის რაიონში კარგადაა გამოხატული მთის ქაობთა მცენარეულობა. ქვემო ქართლში მცირე ადგილი უკავია სუბალპურ ტყეებს (ბედენის პლატოს ფერდობებზე, მაშავერას ხეობაში და სხვ.).

ქვემო ქართლის მთის ველთა და მდელოთა ბალახეული მცენარეულობა ფრიად მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს. იგი ძვირფასი ბაზაა მესაქონლეობის განვითარებისათვის. ველები და მდელოები ქვემო ქართლის რაიონების საქონლისათვის ძირითად საძოვარ ადგილებს წარმოადგენს. აქ სათიბ-საძოვრებს 218172 ჰექტარი ფართობი უკავია, რაც ქვემო ქართლის მთელი ტერიტორიის 37,3%-ს შეადგენს (საქართველოს მთელი სათიბ-საძოვრების 12,8%-ს). სათიბ-საძოვრებით უფრო მდიდარია დმანისისა და წალკის რაიონები; უკანასკნელი ადგილი ამ მხრივ ბოლნისის რაიონს უკავია. საკმაოდ დიდი როლს ითამაშებს სათიბ-საძოვრები ვარდანის, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონებშიც. ქვემო ქართლის მდიდარი და ნოყიერი საძოვრებით არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ საქართველოს სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების მოსახლეობაც სარგებლობს. ნაზი რელიეფი, მისადგომად შედარებით კარგი გზები, წყლების სიუხვე (განსაკუთრებით ჯავახეთის ქედზე), ნოყიერი ბალახეულობა, სიახლოვე, რითაც ქვემო ქართლის მთის ველთა და მდელოთა მცენარეულობის გავრცელების ზონა ხასიათდება, დიდად ზრდის ქვემო ქართლის სათიბ-საძოვრების ღირებულებას.

ქვემო ქართლის მთის ველები და მდელოები მდიდარია თაფლოვანი მცენარეებით, რაც საწინდარია ამ რაიონებში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისათვის. სხვათა შორის, ცნობილია, რომ წალკისა და დმანისის სათიბები ლორეს ვაკის სათიბების ანალოგიურია, ხოლო ლორეს ველი მეფუტკრეობის ერთ-ერთ შესანიშნავ ადგილს წარმოადგენს მთელ ამიერკავკასიაში[3].

ქვემო ქართლის მთის ველების და მდელოების რაციონალური ათვისება

დიდად გაზრდის მათ ღირებულებას. ამჟამად მდელოები ზედმეტად გადატვირთულია, რის გამოც საძოვრები ფუჭდება; ზოგან, საქონლის ინტენსიური ძოვებით, საძოვრები სრულიად უვარვისი გამხდარა. იქ, სადაც ადრე საუკეთესო სათიბ-საძოვარი იყო, ახლა, უსისტემო ძოვებით, იგი დასარევლიანებული და მღარე ხარისხისაა.

### 8. ცხოველთა საყვარო

ქვემო ქართლში ეკოლოგიურ პირობათა შესატყვისად გვხვდება როგორც ველებისათვის, ისე ტყისა და სუბალპებისათვის დამახასიათებელი ელემენტები. ქვემო ქართლის ვაკეზე გვხვდება ლერწამის კატა, აქ არის აგრეთვე ზღარბი, თხუნელა; ვაკეზე ფართოდაა გავრცელებული სტუპის თაგვი, ზახუნა; როგორც წმინდა ველებში, ისე ჯაგ-ეკლიან ველებში ბევრია კურდღელი, რომელიც სუბალპებშიც გვხვდება. ცხოველებით შედარებით მდიდარია ტყის ზონა. ჩლიქოსნებიდან აქ წარმოდგენილია გარეული ღორი. ფართოდაა გავრცელებული ტურა, მგელი და მელა, რომელნიც არეალით არ იზღუდებიან და არა მარტო ტყის ზონაში, არამედ ველზე და სუბალპურსა და ალპურ მდელოებზეც იჭრებიან. ტყის ზონაში გვხვდება კვერნა; მთელ ტერიტორიაზე გავრცელებულია დედოფალა. ქვემო ქართლის მდინარეთა ხეობებში, განსაკუთრებით ქცია-ხრამის ხეობაში, ბინადრობს წავი, ტყეებში ბევრია აგრეთვე კურდღელი, ციყვი და სხვ.

ქვემო ქართლში ფრინველთა ფაუნა მრავალგვარია; აქ გვხვდება: ყვავი, კაჭკაჭი, შოშია, ჩიტბატონა, ჭივჭივი, ტოროლა, მთის ტოროლა, მერცხალი, ოფოფი, ყაპყაპი, გუგული, შაშვი, კოდალა, ტყის ქათამი, გარეული ინდაური, თეთრი ყარყატი, შავი ყარყატი, ყანჩა, მწყერი, გნოლი, ხონთქრის ქათამი, ხოხობი, არწივი, მიმინო, გედი, ბუ, იხვი, ბატი და სხვ.[19]. განხილულ ტერიტორიაზე მრავალფეროვანია ქვეწარმავალნი და ამფიბიები.

ქვემო ქართლი მდიდარია იქტიოფაუნით. აქ გარდა მტკნარი წყლის ფორმებისა ზღვის ფორმებიცაა. მდ. მტკვარში გავრცელებულია ზუთხი, კასპიის ორაგული, ტობი (მტკვრის ტობი), ციმორი, წვერა, კობრი, ლოქო და სხვ. მდიდარია თევზით ქცია-ხრამი; ამის შესახებ ჯერ კიდევ ადრე ვახუშტი მიუთითებდა. „ღის ქცია საშუალს ნარიანისა, კალმახით სავსეო“[4]. მდ. ხრამში (ქცია-ხრამი) ბევრია კალმახი და ხრამული; ხრამული მოიპოვება აგრეთვე, ალგეთშიც. ხრამის ქვემო დინებისათვის დამახასიათებელია იგივე ფორმები, რაც მტკვრისათვის. გარდა აღნიშნულისა, ქვემო ქართლის მდინარეებში გავრცელებულია ფორეჯი, მტკვრის შამგუცელა, შამაია და სხვ. თევზით მდიდარია აგრეთვე მდ. ხრამის შემდინარეებიც. განსაკუთრებით ბევრია თევზი დებედაში. „არს ესე მდინარე სარგებლიანი მუნ, სადაც იწყებს დინებასა ჩრდილოთ კერძ, თევზთა სიმრავლითა, ხოლო სახელდობრ ორაგული, ლოქო, ჭნარი, გოჭა, კაბოეტი და წვერილი თევზი სხვადასხვაგვარნი მრავალნი. და სად აღმოსავლეთად დის, მუნ არს კალმახთა სიმრავლე დიდთა და წვერილთა“[4]. სხვათა შორის, მდ. დებედა თუმცა მისი ქვემო დინებით ტიპიურ ვაკის მდინარეს წარმოადგენს, მასში მაინც აღინიშნება კალმახი. უზვადაა წარმოდგენილი იქტიოფაუნა ქვემო ქართლის ტბებში: ჟანდარის, წალკის წყალსაცავის, ბარეთის, სალოუგლი-გელის და სხვ. ჟანდარის ტბაზე ბინადრობს ყველა ის თევზი, რომელიც მდ. მტკვარშია გავრცელებული, განსაკუთრებით მის ზემო და შუა წელში (კობრი, ლოქო, ნაფოტა, გამბუზია, ქაშაბი, წვერა, მურწა, ხრამული და სხვ.). მტკვარში გავ-

რცელებული თევზები აქ ხვდებიან არხის საშუალებით, რომელიც მდ. მტკვრიდანაა გამოყვანილი. თევზის სახეობებით მრავალფეროვანია აგრეთვე წალკის წყალსაცავი. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ბარეთის ტბას იხსენიებს როგორც „მცირე უთევზოს“. შესაძლებელია სახელოვან გეოგრაფს არ ჰქონდა ცნობა ბარეთის ტბის იქტიოფაუნის შესახებ, ან კიდევ ტბა მაშინ მართლაც უთევზო იყო, მაგრამ ამჟამად იგი მდიდარია თევზით. ასევე, როგორც „არა დიდი და უთევზო“ შეფასებულია ვახუშტის მიერ ტბა სალიუგლი-გელი. ახლა ტბაში ბევრია თევზი. ჩანს იქ იგი ხელოვნურად გააშენეს.

ქვემო ქართლის ფაუნიდან სარეწაო მნიშვნელობა მხოლოდ იქტიოფაუნას აქვს. თევზის სარეწები მოწყობილია ჯანდარის ტბაზე, წალკის წყალსაცავზე, მდინარეებზე: მტკვარზე, ხრამზე და დებედაზე, სადაც საკმაო ოდენობით თევზს იჭერენ.

## 2. ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) რაიონები

ქვემო ქართლის ლანდშაფტები რელიეფის სირთულისა და კლიმატური პირობების სხვადასხვაობის შესატყვისად მრავალფეროვანია. როგორც რელიეფის განხილვიდან დავინახეთ ქვემო ქართლს დაახლოებით ამფითეატრის მოყვანილობა აქვს, რომლის უმდაბლეს (აღმოსავლეთ) და უმაღლეს (დასავლეთ) წერტილთა შორის სხვაობა 3000 მ აღწევს. სიმაღლეთა შორის ასეთი ცვლილება კლიმატური პირობების ცვალებადობას იწვევს, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და, საერთოდ, სიმაღლითი ზონების მიხედვით. ამასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ნიადაგ-მცენარეული საფარის და, საერთოდ, მთელი ლანდშაფტის ცვალებადობა. ლანდშაფტებს ნელ ბუნებრივ ცვალებადობასთან ერთად, ადამიანის შემოქმედებით, აქ მნიშვნელოვნად უცვლია პირვანდელი სახე; ქვემო ქართლის საკმაოდ დიდ ნაწილში პირვანდელი ბუნებრივი ლანდშაფტების ნაცვლად კულტურული ლანდშაფტებია გამოხატული.

ქვემო ქართლის სპეციალური ლანდშაფტური (ფიზიკურ-გეოგრაფიული) დარაიონება დღემდე არ ჩატარებულა, მაგრამ ამ თვალსაზრისით იგი განხილულია საქართველოს ტერიტორიის ფონზე. ამ მიზეზით დარაიონება და საკუთრივ ქვემო ქართლისათვის გამოყოფილი რაიონებიც სიზუსტეს რამდენადმე მოკლებულია. საქართველოს სსრ ფიზიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებას მიეძღვნა ალ. ჯავახიშვილის [31] საინტერესო შრომა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორია 11 ლანდშაფტურ ერთეულადაა დაყოფილი. ამ დაყოფით ქვემო ქართლი თავსდება: ა) სამცხე-თრიალეთის მთიანეთში, ბ) ჯავახეთის მთიანეთში და გ) ქვემო ქართლის მთათაშორის ბარში. მაშინ, როცა დასახელებული შრომა ზუსტად ასახავს საქართველოს ტერიტორიის მსხვილ ფიზიკურ გეოგრაფიულ ერთეულებს, საკუთრივ ქვემო ქართლისათვის, ცხადია, მასშტაბის შესატყვისად, მიკროლანდშაფტურ რაიონებს ვერ ითვალისწინებს. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დარაიონება ჩატარებულ იქნა აგრეთვე ბ. დობრინინის, მ. საბაშვილის, ლ. მარუაშვილის, გ. ტარასაშვილისა და ბ. კლობოტოვსკის მიერ. карта физико-географических (ландшафтных) областей, районов и зон Грузинской ССР აღნიშნული შრომა ძირითადად სწორად ასახავს საქართველოს მრავალფეროვან ლანდშაფტებს, განსაკუთრებით კავკასიონის მაღალმთიანი ნაწილისათვის, მაგრამ ეს არ ითქმის შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და სხვ. მიმართ. ხსენებული ავტორების მიერ მოცემული რუკის ძირითად ნაკლად უპირველესად ითვლება ის, რომ იგი არაა შედგენილი დარაიონ-

ნების ერთიანი პრინციპის მიხედვით; დარაიონებისას მხედველობაში მიღებული არაა ბუნების მთელი კომპლექსი, როგორც ამას საერთოდ ლანდშაფტური დარაიონება მოითხოვს, არამედ ლანდშაფტის ესა, თუ ის კომპონენტი.

✓ ვლბულობით რა მხედველობაში ბუნების ყველა კომპონენტს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გამოვყოფთ შემდეგ ლანდშაფტურ ერთეულებს: I. რაიონი ქვემო ქართლის ალუვიური ვაკისა, მშრალი კლიმატით, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, წაბლა ნიადაგების კომპლექსით, უროიან და აბზინდიან-უროიანი ველის მცენარეულობით. რაიონს ქვემო ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს და პიფსომეტრულად დაახლოებით 500—550 მ (ზ. დ.) ვრცელდება. ქვემო ქართლის ვაკის, ისე როგორც სხვა ლანდშაფტური ერთეულის, ბუნებრივი კომპონენტების დეტალური დახასიათება მოცემულია ამ შრომის ანალიზურ ნაწილში. აქ მხოლოდ ლანდშაფტური რაიონის მოკლე სასოფლო-სამეურნეო შეფასებაზე შევჩერდებით.

ქვემო ქართლის რელიეფური, პიდროლოგიური, ნიადაგური და კლიმატური პირობები ხელს შეწყობია მემარცვლეობის, მევენახეობის, მებაღეობა-მებაღეობის და მეთამბაქეობის მაქსიმალურად განვითარებისათვის (განსაკუთრებით მორწყვის პირობებში), გარდა ამისა, ქვემო ქართლის მცენარეული საფარის ხასიათი აპრობებს ვაკეზე საუკეთესო საზამთრო საძოვრების არსებობას, რასთანაც, ნაწილობრივ, დაკავშირებულია გარდაბნის, მარნელისა და ბოლნისის რაიონებში მესაქონლეობის განვითარება. დასახელებულ ლანდშაფტურ რაიონში შეიძლება გამოიყოს: Iა- მდ. მტკვრისა და ხრამისპირა ქვერაიონი, ტუგაის ტყეებით, ალუვიურ დაქობებულ ნიადაგებით. ქვერაიონს უჭირავს ვიწრო ზოლი მდ. მტკვრის გასწვრივ, აგრეთვე მდ. ხრამის ხეობა წითელი ხიდისა და მაშავერას შესართავის რაიონში. ზოგადად ქვერაიონის სამეურნეო ხასიათი ქვემო ქართლის ვაკის ანალოგიურია.

II. მთათა წინეთის ზონა, სუბტროპიკული მშრალიდან ზომიერ ნოტიოზე გარდამავალ კლიმატით, ჯაგეკლიანი ველების ბატონობით, გარდამავალი სახის ტყე-ველისა და ტყის ნიადაგებით. დასახელებული ლანდშაფტური ზონა, ქვემო ქართლის ვაკეს ძირითადად დასავლეთიდან ეკვრის. მისი ვაკრცელების ზედა საზღვარი ძლიერ მერყეობს; ზოგან 750—800 მეტრამდეა, ზოგან კი 1000 მ-მდეც აღწევს, ჩვენ ამ ლანდშაფტური ზონის ზედა საზღვარს ზღვის დონიდან საშუალოდ 900 მ-ს ვგულისხმობთ. სამეურნეო მნიშვნელობის თვალსაზრისით განხილული ზონა ქვემო ქართლის ვაკეს მიემსგავსება, განსხვავება მათ შორის ისაა, რომ მთათაწინეთის ზონა თითქმის ურწყავია, რის გამოც შედარებით დაბალნაყოფიერია. მთათაწინეთის ზონაში გამოიყოფა ლანდშაფტურად ურთიერთ რამდენადმე განსხვავებული რაიონი: IIა- იალუჯის მაღლობის აბზინდიანი ნახევრად უდაბნოს მცენარეულობით, IIბ- კოდაფარცხის დაბალი სერებისა და ხე-ხეობების მორიგეობით, ბუჩქნარი მუხით, ჯაგრცილითა და ჯაგეკლიანი ველებით, IIგ- ტაფანისა მშვილდის (ქვემო ქართლის პლატოს) პლატოსმაგვარი ხასიათის რელიეფით, ფოთლოვანი ნათელი ტყის ელემენტებით, IIდ- სადახლო-კაზრეთის ბორცვიან-მთათაწინეთის ძლიერ დანაწევრებული რელიეფით, ჯაგეკლიანი ველის ბატონობით.

II-ბ ა ბ ა კ ა რ ი ს მ თ ე ბ ი ს ძლიერ დანაწევრებული რელიეფით, ბუჩქნარი მუსითა და ჯაგრცხილის სიჭარბით.

III. მ თ ა ტ ყ ე თ ა ზ ო ნ ა, ფ ა რ თ ო ფ ო თ ლ ო ვ ა ნ ი ტ ყ ე ე ბ ი თ (წ ი ფ ლ ნ ა რ ი, მ უ ხ ნ ა რ - რ ც ხ ი ლ ნ ა რ ი) ტ ყ ი ს ყ ა ვ ი ს ფ ე რ ი და ყ ო მ რ ა ლ ი ნ ი ა დ ა გ ე ბ ი თ. ზონის გავრცელების ქვედა საზღვარი დაახლოებით 900 მ (ზ. დ.) შეესაბამება. დასავლეთით ამ ზონას დმანისის, გომარეთის, წალკისა და ბედენის ვაკეების აღმოსავლეთი კიდე განსაზღვრავს; ჩრდილოეთითა და სამხრეთით კი თრიალეთისა და სომხეთის ქედის თხემურ ნაწილამდე ვრცელდება. ზონაში სოფლის მეურნეობისათვის გამოსაყენებელი ფართობები მცირეა. უფრო მეტად აქ განვითარებულია მესაქონლეობა, მცირედ, სიმინდის (ქვედა ნაწილში) და ქერის ნათესებიც. აქ გავრცელებულ ტყეებს, წყალშენახვითი და ნიადაგთდაცვითი მნიშვნელობა აქვს. ზონა მეტად მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მის ფარგლებშია მოქცეული საქართველოს ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი კურორტი მანგლისი.

კ უ რ ო რ ტ ი მ ა ნ გ ლ ი ს ი მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 1200 მეტრზე. მანგლისის მიდამოებს ჩრდილოეთიდან განსაზღვრავს თრიალეთის ქედი (ზემო ფერდობები)<sup>1</sup>, აღმოსავლეთიდან მისი განშტოებაა—მდ. დვალთასა და თონეთის წყალგამყოფი; სამხრეთით — მდ. ალგეთის ხეობა, ხოლო დასავლეთით მდ. საყავრე-კურორტი და მისი მიდამოები ყოველმხრივ მაღალი მთებითაა შემოზღუდული და ტაფობს მოგვაგონებს. მანგლისის ფარგლებში თრიალეთის ქელი განიღური მიმართულებისაა. მისგან გამოყოფილი მოკლე განშტოებანი ციცაბოდ ეშვებიან მანგლისისაკენ. საკურორტო ტერიტორიის რელიეფი საკმაოდ დანაწევრებულია მდ. ალგეთის მარცხენა შენაკადებით (საყავრე, მეგვისი ანუ თხინვალის წყალი, ოძისი, თეთრი წყალი, დვალთა და სხვ.). მიუხედავად ამისა, რელიეფის პირობები აქ სრულიად ხელშემწყობია კურორტის შემდგომი განვითარებისათვის<sup>2</sup>. მანგლისის მიდამოებისათვის დამახასიათებელმა ზომიერმა ნოტიო კლიმატმა, მზის რადიაციის სიუხვემ, მზის ნათების ხანგრძლივობამ, ჰაერის მცირედ დამტვერიანებამ, უხვ მცენარეულ სამოსელთან ერთად განაპირობა სამთო-კლიმატური კურორტის არსებობა.

მზის ნათების ხანგრძლივობა მანგლისის მიდამოებში 2150 საათს უდრის. საკმაოდ დიდია მოწმენდილი და ნახევრად მოწმენდილი ამინდები. საკურორტო სეზონის განმავლობაში (ივნისიდან სექტემბრამდე, ჩათვლით), მანგლისის მიდამოებში მოწმენდილი და ნახევრადმოწმენდილი ამინდი გაცილებით ბევრად სჭარბობს ღრუბლიან ამინდს, რაც კურორტისათვის დადებით ფაქტორს წარმოადგენს. კურორტი მანგლისის შედარებით მაღალი ჰიფსომეტრული მდებარეობა განსაზღვრავს მისი თერმული რეჟიმის ხასიათს. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა აქ 8<sup>0</sup>-ს უდრის. საკურორტო სეზონის განმავლობაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 14<sup>0</sup>-ზე ნაკლები და 18,6<sup>0</sup>-ზე მეტი არაა.

ჰაერის ასეთი ტემპერატურა აგრეთვე კურორტის კლიმატის საუკეთესო თვისებას წარმოადგენს. კურორტის კლიმატის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურიდან საშუალო ტემპერა-

<sup>1</sup> საზღვრები დასახელებულია მხოლოდ კურორტის მიდამოებისათვის.

<sup>2</sup> კურორტ მანგლისის რელიეფის დეტალური დახასიათება მოცემული აქვს ბ. ი. ყავრი-შვილის შრომაში—„Физико-географический очерк окрестностей Маггლისа. «Закавказский краеведческий сборник, серия А. Естественное, I, Тифлис, 1930.



ტურათა მაჩვენებელი. ამ მხრივ კურორტი მანგლისი შედარებით კარგ ბებშია, ასე მაგ., საკურორტო სეზონის განმავლობაში აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურიდან საშუალოდ ასეთ სურათს იძლევა: იენისში 5°, ივლისში 9°, ავგისტოში 9°, სექტემბერში 3°. მართალია რაიონში ნალექების წლიური რაოდენობა დიდი არაა, სამეურნეო თვალსაზრისით, მაგრამ საკურორტო სეზონის განმავლობაში მოსული ნალექები აკმაყოფილებს კურორტის მოთხოვნას ნალექებზე. იენისში 103 მმ ნალექი მოდის, ივლისში — 71 მმ, ავგისტოში — 49 მმ, სექტემბერში — 59 მმ. კურორტის კლიმატის ერთ-ერთ და ყველაზე მნიშვნელოვან დადებით თვისებას წარმოადგენს შეფარდებითი სინოტივის ზომიერი რაოდენობა (68—70%), რაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის ფრიალ საგულისხმო ფაქტორია. მანგლისში ძლიერი ქარები არ იცის, რაც მისი რელიეფის ხასიათითაა შეპირობებული. კლიმატის რამდენადმე უარყოფით თვისებად ითვლება ნისლიანობა. მაგ., საკურორტო სეზონის განმავლობაში ნისლიან დღეთა რაოდენობა 21 უდრის, მაგრამ ნისლი აქ მცირე ხნით იცის ხოლმე.

მანგლისის როგორც კურორტის მნიშვნელობას ზრდის ის, რომ იგი ტყითაა დაფარული. აქ გაბატონებულია ფოთლოვანი ტყეები, მუხა, რცხილა, წიფელი; ამთ ერევა თელა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, პანტა და სხვა. გავრცელებულია აგრეთვე წიწვიანებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიჭვნარის წმინდა კორომი, მანგლისის ცენტრში. ამ ფიჭვნარში, რომლის ფართობი 70 ჰექტარს უდრის, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებია გაშენებული.

კურორტს აქვს ბუნებრივი პარკი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე უკეთეს დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს მანგლისში. გარდა ამისა, მდ. ოძისის ხეობაში, მანგლისიდან 6 კმ-ზე, გოგირდ-წყალბადოვანი წყლის გამოსასვლელია, სადაც ხშირად მიემგზავრებიან აქაური მოავარაკენი. მანგლისის როგორც კურორტის მნიშვნელობას აძლიერებს ისიც, რომ იგი ქალაქ თბილისთან ახლოს მდებარეობს, რის გამოც თბილისის მცხოვრებთათვის ადვილად მისაწვდომია. უნდა აღინიშნოს, რომ მანგლისში დამსვენებელთა ძირითადი კონტიგენტი თბილისიდანაა. იგი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიითა და წყლით. მანგლისის მიდამოები ყურადღებას იმსახურებს ტურიზმისათვის საინტერესო მრავალი ძეგრფასი ობიექტების არსებობითაც.

კურორტ მანგლისის ძირითად დამსვენებელთა და სამკურნალოდ ჩამოსულთა კონტიგენტი ბავშვებისა და მოზარდებისაგან შედგება, საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აქ მოზარდილებიც. კურორტის ჰავა საუკეთესო შედეგებს იძლევა რიგ დაავადებათა წინააღმდეგ, კერძოდ, აქ მკურნალობენ: ფილტვების ტუბერკულოზით, ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზით, მშრალი პლევრით, ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზით, ქრონიკული ბრონქიტით, მალარიით, მეორადი ანემიით, ბრონქული ასტმით, რაქიტით და სხვ. დაავადებულნი და, როგორც მრავალი წლის დაკვირვებებმა გვიჩვენა, იგი ხსენებულ დაავადებებს წარმატებით კურნავს [13]. უკანასკნელად დიდი ყურადღება მიექცა კურორტ მანგლისის მშენებლობას; მოეწყო პოლიკლინიკა, საავადმყოფო, აშენდა ახალი სანატორიუმი. კურორტს ემსახურება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და სხვ. ამჟამად მანგლისში ბავშვთა, მოზარდთა და მოზარდილთათვის 4 სანატორიუმი. აქედან ერთი მთელი წლის განმავლობაში მუშაობს და წლიურად 1200 ავადმყოფსა და დამსვენებელს ემსახურება. დანარჩენი მხოლოდ სეზონურად მუშაობს და 695 ავადმყოფ-დამსვენებელს ემსახურება. გარდა მოხსენებული-სა, მანგლისში ზაფხულის განმავლობაში პიონერთა მრავალრიცხოვანი ბანაკები

და საბავშვო სახლები მუშაობს. კურორტზე კერძო დამსვენებლები ვაცილებით მეტი როდენობითაა წარმოდგენილი; 1953 წელს აქ 12000-მდე მშრომელი ისვენებდა. აღსანიშნავია, რომ მანგლისში არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არამედ მოძმე რესპუბლიკებიდანაც ჩამოდიან სამკურნალოდ და დასასვენებლად (1954 წელს დამსვენებელთა 10% სხვა რესპუბლიკიდან იყო).

მანგლისი, რომელიც ჯერჯერობით საგარეუბნო მნიშვნელობის კურორტს წარმოადგენს და ისეთი დიდი სამრეწველო ქალაქის გვერდზე მდებარეობს როგორც თბილისი, საქიროებს უკეთეს კეთილმოწყობას, პირველყოვლისა ერთიორად უნდა გაიზარდოს კომუნალური მშენებლობა, რომ დააკმაყოფილოს დამსვენებელთა მოთხოვნილება. უნდა დაჩქარდეს კურორტის წყლით სრული უზრუნველყოფისათვის შედგენილი პროექტის განხორციელება, რომელიც გულისხმობს გონხარიდან წყლის გამოყვანას. კომუნალურ და სხვა ღონისძიებათა გატარების შედეგად, მანგლისი, თავისი მაღალი სამკურნალო თვისებებით შესაძლებელია გადაიქცეს მთელი წლის განმავლობაში მოქმედ პირველხარისხოვან სამთო-კლიმატურ კურორტად.

განხილულ ლანდშაფტურ ზონაში, სოფ. ასურეთის ჩრდილო-დასავლეთით, გოგირდოვანი წყლის მნიშვნელოვანი გამოსასვლელია; ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ გოგირდოვანი წყალი დიდი ხნიდანვე იყო გამოყენებული (პრიმიტული წესით) იშიაზითა და რევმატიზმით დაავადებულთა სამკურნალოდ. ამჟამად ამ წყლის ბაზაზე სასოფლო აბანო (არა სამკურნალო) მუშაობს. მინერალური წყლის დებიტი აქ საკმაოა, კაბტაჟის მრწყობით ის კიდევ უფრო გაიზრდება. ამ წყლის დეტალური ქიმიური შესწავლა, მისი სამკურნალო თვალსაზრისით გამოყენებისათვის, ინტერეს მოკლებული არაა.




სურ. 5. მინერალური (გოგირდოვანი) წყლის გამოსასვლელი სოფ. ასურეთთან

IV. წალკა-დმანისის მთის ვაკეთა ზონა, მთის შავ-შიშვებისა და შავმიწისებური ნიადაგებით, ზომიერ ნოტიო ცივზამთრიანი კლიმატით, მთის ველის მცენარეულობით. ლანდშაფტური ზონა აერთიანებს დმანისის, გომარეთის, წალკისა და ბედენის ვაკეებს. ზონის მაღალი ჰიფსომეტრული მდებარეობის



ქვემო ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) რაიონების სქემა



რუკა. I—ქვემო ქართლის ალუვიური ვაკე; I ა—მდ. მტკვრისა და ხრამისპირა ქუჩაიონი; II—მთათაწინეთის ზონა, რაიონებით: II ა—იალღუჯის მაღლობი; II ბ—კოლა-ფარკისის; II გ—ტავან-სამშკალდის (ქვემო ქართლის ქალაქის); II დ—სადახლო-კარბეთის; II ე—ბაბაკისის; III—მთა-ტყეა ზონა; IV—წალკა-დამანის მთის ვაკეთა ზონა; V—სუბალპური ზონა; VI—ალპური ზონა.

(ამ ზონის ზედა საზღვარი დაახლოებით 1700—1800 მ აღწევს) გამო, აქ სოფლის მეურნეობის მხოლოდ განსაზღვრული კულტურების გაშენება შეიძლება—ძირითადად კარტოფილის გავრცელების არეს წარმოადგენს. ამ ზონის სათიბ-საძოვრების სიუხვემ განაპირობა მესაქონლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი განვითარება.

V. სუბალპური მდელოები, შავმიწისებური და მთის მდელოს კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგებით აღნიშნულ ზონას ქვემო ქართლში დიდი ფართობი უჭირავს. იგი წარმოდგენილია თრიალეთის, ჯავახეთის, სამსარის და სომხეთის ქედების ფერდობებზე. ამ ზონის გავრცელების ქვედა საზღვარი გადის დაახლოებით 1800 მ ზღვის დონიდან, ხოლო ზედა — 2400—2500 მ აღწევს. სუბალპური ზონის სამეურნეო მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ იგი მდიდარია სათიბ-საძოვრებით, რის გამოც მესაქონლეობის განვითარებისათვის ძვირფას ბაზას წარმოადგენს.

VI. ალპური ზონა ქვემო ქართლში ძალზე მცირე ფართობს იკავებს, რადგან საერთოდ ქვემო ქართლში ზღვის დონიდან 2400—2500 მეტრის ზემოთ მდებარე ტერიტორია მცირეა. ალპური ლანდშაფტი აქ წყვეტილად, ფრაგმენტების სახითაა გამოხატული, ჯავახეთის, სამსარისა და თრიალეთის ქედზე. აღნიშნული ლანდშაფტური ზონა სამეურნეო მნიშვნელობის თვალსაზრისით სუბალპურის ანალოგიურია. იგი ქვემო ქართლის რაიონების მესაქონლეობისათვის საუკეთესო სასაძოვრო ადგილებს წარმოადგენს.

Д. Б. Уклеба

## ПРИРОДНЫЕ УСЛОВИЯ И РЕСУРСЫ НИЖНЕГО КАРТЛИ (Квемо Картли)

Резюме

Нижний Картли находится в южной части Восточной Грузии. Он расположен между четырьмя крупными физико-географическими (ландшафтными) областями, значительно отличающимися друг от друга по ландшафту. С востока к нему примыкает Внешний Кахети (Гаре Кахети), с севера — Триалетский хребет, с запада — Джавахетское вулканическое нагорье, часть которого принадлежит Нижнему Картли, а с юга — горная область Армении и сухие степи Азербайджана. Такое местоположение Нижнего Картли в значительной степени обусловило разнообразие ее природных условий.

Как и все составные компоненты ландшафта, рельеф Нижнего Картли характеризуется достаточной сложностью, что обусловлено как его геологическим строением, так и древними и современными эрозионно-денудационными и аккумулятивными процессами. На оформлении рельефа высших гипсометрических зон в некоторой степени повлияло и четвертичное оледенение.

Рассматриваемая территория характеризуется разнообразием форм и типов рельефа; здесь представлены равнины, котловины, хорошо выраженные речные террасы; вулканические и глациальные формы рельефа (вулканические конусы, кратеры, цирки, кары, морены, троговые долины и пр.), речные долины, склоны гор, зубчатые и сглаженные гребни водоразделов и пр.

В пределах Нижнего Картли, выделяются следующие морфологические единицы:

I. Район с господством тектонического рельефа—Цалкская котловина, II. Районы с вулканогенно-наносным рельефом: 1. Молотовское (Розенбергское) плато, 2. Беденское плато, 3. Гомаретское плато, 4. Дманисское плато, 5. Нижне-Карталинское плато. III. Районы с комбинированным (тектогенно-вулканогенным рельефом): 1. Самсарский хребет и 2. Джавахетский хребет. IV. Район с вулканогенно-эрозивным рельефом: 1. район Машаверского потока [45]. V. Рельеф предгорий разнохарактерного строения, окаймляющих западную часть Нижне-Карталинской равнины. VI Горно-долинный рельеф Триалетского хребта, VII. Рельеф Нижне-Карталинской межгорной, аккумулятивной, террасированной равнины, построенной на подвергшейся опусканию третичной складчатой структуре [30].

Устройство поверхности Нижнего Картли вполне благоприятно для развития целого ряда отраслей хозяйства. В первую очередь положительным фактором с точки зрения хозяйственного освоения края является широкое распространение равнинного рельефа. На территории Нижнего Картли выделяется несколько гипсометрических зон, различных по своему хозяйственному значению.

1. В первую зону (до 500 метров н. у. м.) входит Нижне-Карталинская равнина, расположенная по обоим сторонам р. Куры и протягивающаяся от Болниси до подножья восточного склона Гаре-Кахетинского плоскогорья, в направлении с запада на восток, а с севера на юг—от южного склона возвышенности Яглуджи до северных склонов Бабакарского хребта.

Нижне-Карталинская равнина занимает 21,2% площади всей рассматриваемой территории; ее равнинный рельеф дает полную возможность широкого применения механизации в сельском хозяйстве; равнина мало расчленена и прорезается густой сетью дорог, соединяющих ее как с другими эконом-географическими районами Грузии, так и с соседними братскими республиками (Арменией и Азербайджаном). Одним из преимуществ этой части Нижнего Картли является то, что она, по своему рельефу, разрешает применение искусственного орошения сельскохозяйственных культур. Все вышеперечисленное способствовало густой заселенности этой зоны.

2. Вторая зона (от 500 до 1000 метров), в основном, представлена предгорьями окрестных хребтов и занимает 23,4% территории всего Нижнего Картли.

Сравнительно небольшой наклон поверхности предгорий и южная экспозиция склонов обеспечивают возможность хозяйственного использования этой территории.

3. В третьей гипсометрической зоне (от 1000 до 1500 метров н. у. м.) объединяются верхние части склонов Триалетского и Сомхитского хребтов, Нижне-Карталинское, Дманисское, Гомаретское, Молотовское плато, а также значительная часть Цалкинской котловины (23% всей территории Нижнего Картли). Рельеф зоны, в основном, за исключением склонов Триалетского и Сомхитского хребтов имеет равнинный характер и поэтому создает благоприятные условия для ее освоения и использования. Однако вследствие ее высокого гипсометрического положения, эта территория благоприятна для распространения лишь некоторых сельскохозяйственных культур.

4. Четвертая зона (от 1500 до 2000 метров) выражена, в основном, в Цалкинском и Дманисском районах, и по своему рельефу дает возможность в процессе обработки земли использовать механизацию лишь в

ограниченной степени. Площадь зоны составляет 21,8% всей территории Нижнего Картли.

5. Последняя зона (выше 2000 м н. у. м.) выражена в крайне западной части Нижнего Картли, гребнями и пригребневой полосой Джавахетского и Самсарского хребтов, а также западной частью Триалетских гор. Сравнительно мягкие очертания рельефа этих массивов, представляющих собой горно-луговые угодья, широко используются населением Нижнего Картли, для летних пастбищ. Площадь зоны составляет 10,6% территории Нижнего Картли.

Особенности геологического строения Нижнего Картли обуславливают ее богатство разнообразными и ценными полезными ископаемыми. Южная часть территории—зона Сомхитского хребта, с давних пор была известна рудными залежами. В первую очередь, надо отметить месторождения полиметаллов и Чатахского железа. Чатахское месторождение расположено к югу от Болниси, в бассейне р. Болнисис-цкали. Железная руда здесь распространена на участках Демур-су, Б. Гюней, Саркиеты, Таш-Кесан, Гулари, Даркилиса, Кашевский лес и др. Добыча и разработка железной руды производилась с давних времен, но как добыча, так и переработка были прекращены лет 30 назад. В настоящее время производится детальное изучение Чатахского месторождения для окончательного разрешения вопроса о промышленно-эксплуатационном значении этого месторождения. По соседству, в Марнеульском районе, имеются также проявления железа, которые пока лишены практического значения.

В нижнем Картли имеются и проявления полиметаллического оруднения.

Известны также, в данное время не имеющие промышленного значения, месторождения: золота (Дамблути, Абулмулки, в ущельях Пиназаури, Машавера, Казрети); марганца (Тетрицкаройский район), азбеста (окрестности Садахло) и др.

Значительным природным богатством Нижней Картли является изобилие строительных материалов. Среди них в первую очередь надо назвать мрамор (в окрестностях Садахло) и туф (в окрестностях Болниси и поблизости от Садахло), разработка которых ведется издавна. Строительные камни вывозятся также за пределы республики. Здесь широко распространены меловые известняки, которые являются прекрасным строительным материалом. Месторождения строительных известняков расположены в окрестностях сс. Тетри Цкаро, Манглиси и Дурнуки, в ущельях Храми и Алгети. Месторождения известняков имеются также в окрестностях Шаумяни, Болниси, Опрети, Гомарети. Особо надо отметить Садахлинское месторождение, отличающееся высоким качеством сырья. Это месторождение снабжает флюсовыми известняками Руставский металлургический завод.

Хорошего качества строительным материалом являются туфогенные песчаники, распространенные в районах Манглиси, Тетри Цкаро, Болниси, Шаумяни, Дманиси и Качагани.

Нижний Картли изобилует базальтами, андезито-базальтами, добыча и разработка которых производится в окрестностях сс. Дурнуки, Марнеули, Цинцкаро, Сандара. В окрестностях Квешви и Ормашени в большом количестве имеются диабазы и порфиры, в ущелье Храми, ниже поселка Молоотово—розовые граниты.

Вышеуказанные строительные материалы, запасы которых практически неисчислимы, широко используются в строительстве Нижнего Картли, в большом количестве отправляются в г. Тбилиси и другие города республики. Пригодные в качестве строительного материала кварциты, белого

и сероватого цвета, имеются в окрестностях Чатахи, Казрети и Болнис-Хачин.

Заслуживает большого внимания прекрасного качества алгетский литографский камень, которым снабжалась полиграфическая промышленность Советского Союза.

В долинах рр. Куры, Алгети, Храми и их притоков распространены балластные материалы—гравий, щебень и песок, широко используемые как в жилищном, так и в дорожном строительстве. Кроме того, на Нижне-Картлийской равнине большое распространение имеют лессовидные глины, используемые местными жителями в качестве сырья для изготовления кирпича и черепицы.

Наличие на исследуемой территории различных ценных строительных материалов естественно выдвигает вопрос о развитии в районе промышленности стройматериалов.

Рассматриваемая территория характеризуется разнообразием климата, что вызвано ее географическим положением, условиями рельефа и теми общими циркуляционными процессами, которые развиваются на территории Закавказья и в частности и в Нижнем Картли.

В Нижнем Картли представлены несколько климатических зон. Здесь можно выделить следующие типы климата:

1. Климат сухой (степей) с умеренно холодной зимой и жарким летом;
2. переходный от степного климата к умеренно влажному;
3. умеренно влажный, умеренно теплый климат с прохладным летом и с двумя максимумами осадков в году;
4. переходный климат от умеренно-влажного к холодной зимой к сухому, с двумя максимумами осадков в году;
5. умеренно-влажный климат с холодной зимой и непродолжительным летом с максимумом осадков в начале лета и минимумом в январе;
6. высокогорный климат без настоящего летнего периода;
7. умеренно влажный климат с продолжительным прохладным летом и с двумя максимумами осадков [9].

Территория Нижнего Картли дренируется р. Курой и ее правыми притоками—Храми и Алгети. Режим рек рассматриваемой территории в достаточной степени многообразен, что вызвано, в основном, сложными условиями рельефа. По годовому распределению стока описываемую область можно подразделить на две зоны: 1. зона с умеренным преобладанием весеннего стока и с зимним минимумом и 2. зона с непостоянным речным стоком [6].

Нижний Картли отличается значительными гидро-энергетическими ресурсами. Вследствие горного рельефа большей части территории, падение и наклон местных рек достаточно велики. Это обстоятельство обуславливает высокие энергетические показатели рек, благодаря чему они имеют важное значение для народного хозяйства. Средняя годовая теоретическая мощность р. Храми равна 279 тыс. квт., р. Алгети—15 тыс. квт. Удельная гидравлическая мощность Храми и Алгети вместе равняется 55 квт на км<sup>2</sup>. Средняя годовая гидравлическая мощность среднего течения р. Куры равна 1510 квт. Удельная гидравлическая мощность—138 квт км<sup>2</sup>, большая часть которой приходится на Нижний Картли.

Так как Нижний Картли в общем беден атмосферными осадками, его реки получают огромное значение для развития сельского хозяйства. Значительная их часть уже используется для искусственного орошения сельскохозяйственных угодий.

Нижний Картли богат источниками, часть которых удовлетворяет потребность населения в питьевой воде. Они играют также большую роль в питании рек. Из озер, кроме искусственно созданного Цалкского, следует назвать озеро Джандар, Орузманское, Баретское, Надарбазевское,

Узунгель, Хадькское и др. Озера, в основном, используются для обеспечения скота питьевой водой. Внутренние воды Нижнего Картли богаты рыбой, имеющей промысловое значение.

В Нижний Картли, в основном, представлены пять почвенных зон; на Нижне-Картлийской равнине распространен комплекс каштановых почв. В предгорьях—серо-коричневые почвы переходной лесостепной полосы и коричневые лесные почвы; на склонах гор—лесные почвы; на горных равнинах развиты горные черноземы и черноземовидные луговые почвы, а в крайне западной части горно-луговые почвы.

На сравнительно небольшой территории Нижнего Картли распространена разнообразная растительность, начиная от сухолюбивых разнотравий и кончая растительностью типичной для субальпийской зоны; на Нижне-Картлийской равнине, в соответствии с климатическими условиями, развиты бородачевые и поlyingно-бородачевые степи, которые с западной стороны, в возвышенной части, окаймлены колюче-кустарниковой степью. Степи рассматриваемой территории представляют собой прекрасные зимние пастбища. В зоне развития колюче-кустарниковой степи часто встречаются дикie яблони и груши, которые могут быть использованы в качестве подвоев для прививки новых сортов. Особый интерес вызывает распространенная в этой же зоне растительность—очень ценная для скотоводства: грузинский эспарцет, обычный эспарцет, люцерна, тимофевка, красный клевер и др. Эти растения полезны и для развития пчеловодства. В степях Нижнего Картли можно встретить также лечебную и эфиромасличную растительность.

В растительном покрове значительное место занимают леса, распространенные здесь, в основном, на склонах Триалетского и Сомхитского хребтов, а также на восточных склонах горных плато Цалки и Дманиси. Леса Нижней Картли имеют водоохранное и почвозащитное значение (отчасти и курортное), а потому их промышленная эксплуатация чрезвычайно ограничена. Общая площадь леса равна 112780 га, что составляет 19,3% всей территории Нижней Картли.

На исследуемой территории широко распространена растительность горных степей, субальпийских и альпийских лугов, которые являются ценной базой для развития скотоводства.

Благодаря многообразию экологических условий в Нижней Картли встречаются животные характерные как для степей, так и для лесов и субальпийской зоны. Промысловое значение имеет только ихтиофауна; рыболовство с давних пор ведется на Куре, Храми, в озере Джандар и в последние годы на Цалкском водохранилище.

Природные ландшафты Нижнего Картли в достаточной степени разнообразны. Здесь можно выделить следующие природные единицы: 1. Район Нижне-Картлийской аллювиальной равнины с сухим климатом, умеренно холодной зимой и жарким летом, с комплексом каштановых почв, с развитием бородачевых и поlyingно-бородачевых степей. В этом районе в свою очередь выделяются прикуринский и прихрамский подрайоны, с пойменными лесами, аллювиальными заболоченными почвами.

2. Зона предгорий, с климатом переходным от субтропического сухого к умеренно-влажному, с господством колюче-кустарниковых степей; подразделяющаяся на: а) Яглуджинский, б) Бабакарский, в) Тафан-Самшвидский (Нижне-Картлийское плато), г) Садахлинско-Казретский (Южный) и д) Кода-Парцхиский (Северный) районы:

3. Зона горно-лесная, с широколиственными лесами (дубово-грабовыми и буковыми), с развитием коричневых и бурых почв;

4. Зона Цалка-Дманисской нагорной равнины, с развитием черноземных и черноземовидных почв, с умеренно-влажным климатом, с холодной зимой, развитием горно-луговой растительности;

5. Субальпийская зона, с черноземовидными дерново-горно-луговыми и дерново-торфяными почвами.

6. Алпийская зона.

В работе дана краткая оценка хозяйственного значения выделенных зон. Кроме того, в 3-ей ландшафтной зоне описан курорт Манглиси.

### ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

- გაბუნია კ. და გამყრელიძე პ., ბორჩალოს რაიონის სამხრეთ ნაწილის გეოლოგიკ-გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები; გეოლოგიური სერია, ტომი I (VI), თბ., 1942.
- გებტმანი გ., ჭავჭავთის რაიონების ბუნებრივი სიმდიდრეები, თბ. 1950.
- გროსკემი ი., ა., სოსნოვსკი ი. და ტროიცი ნ., საქართველოს მცენარეულობა, (გეობოტანიკური რაიონები) თბ., 1928.
- ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941.
- ვლადიმროვი ი. და შაქარიშვილი ი., საქართველოს დარაიონება ძირითადი ჰიდროლოგიური ნიშნების მიხედვით, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტომი III (ნაკვეთი II), თბ., 1948.
- ვლადიმროვი ი., საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტომი III (ნაკვეთი II), თბ., 1948.
- კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბ., 1935.
- კიცილაშვილი თ., საქართველოს მდინარეთა ჰიდროგრაფია, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტომი III (ნაკვეთი II), თბ., 1948.
- კორძაია მ., ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის, შრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტომი III (ნაკვეთი I), თბ., 1948.
- მარუაშვილი ი., წალკის ქაბულის გეომორფოლოგიისათვის, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტომი VI, ქუთაისი, 1946.
- მგალობლიშვილი პ., საქართველოს სამხრეთ-მთიანეთის სუბალპური ტყეები, თეზისები, თბ., 1942.
- ნაფეტცარიძე ე., ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც მისი კლიმატური ფაქტორი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტომი III (ნაკვეთი I), თბ., 1948.
- ნოდია მ., თბილისის კურორტები და საავიაციო ადგილები, თბ., 1948.
- რიშკოვი ი., ჯანდარბა, თბ., 1954.
- საბაშვილი მ., ნიადაგმცოდნეობა, თბ., 1948.
- ჩხიკვიშვილი ვ. და ამბოკაძე ვ., საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ალმოსავლეთ ნაწილის ნიადაგები (დმანისის რაიონი), ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები, ტომი I, 1948.
- ჯავახიშვილი ა., საქართველოს გეოგრაფია, ტომი I, გეომორფოლოგია, ტფილისი, 1926.
- ჯაოშვილი ვ., სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება ქვემო ქართლში, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1956.
- ჯანაშვილი ა., ზოგადგეოგრაფია, თბ., 1946.
- Абих Г. В., Ахалкалакская нагорная оавнина. Оротоафическое и геологическое описание, Перевод Б. Коленико, Зап. КОРГО, кн. 23, 1902.
- Акимуев В. В., Почвенно-географический очерк Агбулахского района, Изв. Тифл. гос. полвт. инст., вып. 3, 1927.
- Владимиров Л. А., Производительное значение рек Грузии, Труды географического общества Грузинской ССР, Тб., 1949. № 1—2.
- Вознесенский А. С., Почвы III и IV отделений Караязской степи, Тифлис, 1930.

24. Габриэлян Г., Следы прежнего оледенения в северо-западной Армении, «Природа» 1951, № 1.
25. Гачечиладзе И. Э., Климатический очерк бассейна р. Кцigia, Храм, Водный кадастр Закавказья, том 1, Тифлис, 1931.
26. Геология СССР, том X, часть I, Закавказье, М.—Л.
27. Гехтман Г. Н., Главнейшие природные богатства Грузинской ССР, Тб., 1946.
28. Гроссгейм А. А., Растительный покров Кавказа, М., 1948.
29. Гроссгейм, А. А., Растительные богатства Кавказа, М., 1952.
30. Джавахишвили А. Н., Геоморфологические районы Грузинской ССР, типы рельефа и районы их распространения, М.—Л., 1947.
31. Джавахишвили А. Н., Схема физико-географических ландшафтов Грузинской ССР, Тб., 1946.
32. Добрынин Б. Ф., Физическая география СССР, Европейская часть и Кавказ, М., 1948.
33. Кавришвили В. И., Физико-географическое описание бассейна р. Кцigia-Храми, водный кадастр Закавказья, том I, бассейн Кцigia-Храм, вып. II, Тифлис, 1931.
34. Кавришвили В. И., Физико-географический очерк окрестностей Манганса, «Закавказский краеведческий сборник», серия А-Естествознание, том I, Тифлис, 1930.
35. Кахадзе И. Р., Грузия и юрское время. Тр. инст. геологии, серия геолог., том III, (VIII), Тб., 1947.
36. Кецохвели Н. Н., Растительный покров Грузинской ССР, Тб., 1947.
37. Клопотовский Б. А., Почвенный очерк Джавахетии. Сб. Джавахетия, Тифлис, 1933.
38. Клопотовский Б. А., Почвы Квемо-Картли, Тб., 1946.
39. Коллектив авторов. Фауна Нижней Картли, Тб., 1946.
40. Кордзахия М. О., и др., Климат Квемо-Картли, Тб., 1946.
41. Кузнецов С. С., Вопросы геоморфологии Закавказья, Геология СССР, том X, часть I, Закавказье, М.—Л., 1941.
42. Кузнецов С. С., Аджаро-Триалетская складчатая система Сб. мат. по геологии и петрографии ССР Грузии, вып. 4, Аджаро-Триалетская складчатая система, М., 1937.
43. Ляйстер А. Ф. и Чурсин Г. Ф., География Закавказья, Тифлис, 1929.
44. Маруашвили Л. И., Палеогеография четвертичных образований Закавказья, материалы по четвертичному периоду, вып. 3, 1954.
45. Маруашвили Л. И., Южно-Грузинское вулканическое нагорье (строение, рельеф, история развития). Тб., 1951.
46. Маруашвили Л. И., Современные «Ледники» мокрых гор (Южная Грузия), «Природа», 1951, № 1.
47. Минеральные ресурсы Грузинской ССР, Тб.,
48. Напетваридзе Е. А., Климат Джавахетии, Тб., 1950.
49. Похомов В. Е., Караязская геолог.-разведочная партия (планшет XXIX 34 и XXIX 35), тр. Грузфильда ГПК-Азнефтеразведка, 1936. № 1.
50. Рейнгард А. Л., Геоморфологическое расчленение Закавказья, Геология СССР, том X, часть I, Закавказье, М.—Л., 1941.
51. Сабашвили М. Н., Почвы Грузии, Тб., 1948.
52. Саникидзе А. О. и Лежава Д., Почвы виноградников «Униона» Люксембургского района, Тифлис, 1934.
53. Симонович С., К геологии Тифлисской губернии. Очерк геолог. явлений в долинах среднего и нижнего течения Храма, Агетти, Машавери, Борчалло, Дебедачя, Материалы для геолог. Кавказа; серия III, кн. 4, 1902.
54. Твацредидзе А. А., Минеральные ресурсы Грузии, Тб., 1946.
55. Цулукидзе Г., К геологии Тифлисской губернии, геолог. исследования в области речных долин Агетти и Храма «Материалы для геолог. Кавказа, серия II, кн. I, 1887.
56. Чиракадзе Г. И., Солнечная радиация и солнечное сияние на территории Грузии, Тб., 1946.
57. Шатский А. Л., Климат виноградно-хлопкового района бассейна р. Машавери, Тифлис, 1934.



### 3. ჯაოზვილი

## სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება ქვემო ქართლში

### ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის წარსულიდან

ქვემო ქართლი ძველი საქართველოს ერთ-ერთი დაწინაურებული პროვინცია იყო. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავისი მდებარეობით ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ფრიად საპასუხისმგებლო პოზიციები ეკავა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ქვემო ქართლში მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა არსებობდა. აქ ფართოდ ყოფილა გავრცელებული მინდვრის კულტურები, ხეხილი, ვენახი, ბამბა, მეაბრაშუმეობა და სხვ., ასევე მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მეცხოველეობა. კერძოდ, მარნეულის ველის მეურნეობას ვახუშტი ასე ახასიათებს: „არს ფრიად ნაყოფიერი ადგილი ესე. ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა და მტილთა უცთური და მრავალი. აბრეშუმი, ბამბა მრავალ. პირუტყვენი აქლემიდან თხამდე ყოველნი, ფრინველნი გარეულ-შინაურნი ყოველნი აურაცხელნი, და ფრინველით სანადირო წარჩინებული ყოველთაგან“ [11, გვ. 45]. სახელოვანი გეოგრაფი იქვე აღნიშნავს, რომ „ველსა შინა არა იყო ნაყოფი უწყლობით“, ე. ი. მორწყვის გარეშე აქ არ მოდიოდა მოსავალი, რის გამო მეფე ვახტანგ VI-ს გაუყვანია მდ. ხრამის წყალი სოფ. არუხლოდან (მაშინდელი ნახიდური) სპეციალურად გაჭრილ რუში და მოურწყავს ველი.

მაგრამ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ჩაყენებული არ იყო მშრომელი ხალხის სამსახურში. ბატონ-ყმობა უარყოფით გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარებაზე. სოფლის ძირითად საწარმოო ძალას, გლეხობას, დაკარგული ჰქონდა სტიმული მეურნეობის ამ დარგის, გაუმჯობესებისა. ეკონომიურად და პოლიტიკურად დაბეჩავებულ, კულტურულად ჩამორჩენილ ყმას არც სურვილი გააჩნდა და არც რეალური საშუალება შეეტანა რაიმე გაუმჯობესება, უძველესი დროიდან მომდინარე, ბატონის კუთვნილ მიწებზე მოწყობილი მეურნეობის პრიმიტიულ სისტემაში.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში ჩატარებული საგლეხო რეფორმის ერთ-ერთ ძირითად გამომწვევ მიზეზს წარმოადგენდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების დაჩქარების აუცილებლობა. მაგრამ საგლეხო რეფორმამ ნაკლებად გაამართლა მასზე დამყარებული იმედები და, კერძოდ, ვერ შეძლო გამოეწვია სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა. რეფორმა იმგვარად ჩატარდა, რომ გლეხობამ ვერ მოახერხა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალებების — მიწის მიღება. ყოფილმა ყმებმა მხოლოდ იურიდიული თავისუფლება მოიპოვეს. მაგრამ იურიდიულ კანონზე არანაკლებ

ძალ ააღმოაჩინა იმ იძულებით ეკონომიურ პირობებს, რომლებიც გლეხებს ისევე მემამულის სასტიკი ექსპლოატაციის საგნად ტოვებდნენ. ამ ეკონომიური პირობების საფუძველს წარმოადგენდა მიწათმფლობელობის ახალი წესი, რომლის თანახმად მიწები ძირითადად კვლავ პრივილეგიური წოდებისა და სახელმწიფოს საკუთრებად რჩებოდა. გლეხებმა ვერ შეინარჩუნეს ის მცირე ნაკვეთებიც კი, რომლებიც რეფორმის ჩატარებამდე მათ მამა-პაპათა მიერ მუშავდებოდა და მათი არსებობის ძირითად წყაროს შეადგენდა. მიწათმფლობელობის რეფორმის შემდგომი სისტემის საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს მაშინდელი ქართლის სინამდვილე.

განსახილველი ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერეგიონის დიდი ნაწილი, კერძოდ, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის და წალკის ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორია რევოლუციის წინა პერიოდში ბორჩალოს მაზრის ფარგლებში შედიოდა (ამავე მაზრის ტერიტორიას წარმოადგენდა აგრეთვე, ამჟამად სომხეთის სსრ ფარგლებში შემავალი ლორე-დებედას ხეობა), ხოლო მცირე ნაწილი დღევანდელი გარდაბნის და თეთრი წყაროს რაიონების ტერიტორია თბილისის მაზრას ეკუთვნოდა.

თავად-აზნაურობას და სხვა პრივილეგიურ წრეებს გასული საუკუნის 80-იან წლებში ბორჩალოს მაზრაში ეკავათ მთელი მიწების 56,5%. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არც ერთ კუთხეში არ იყო პრივილეგიური წოდების ხელში ასეთი დიდი რაოდენობით მიწები. ქვემო ქართლი გამოირჩეოდა აგრეთვე ძალზე მსხვილი მიწათმფლობელობით. ერთ მემამულეზე მოდიოდა საშუალოდ 1303 დეს. მიწა (მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოში კი მხოლოდ 330 დეს.) [26 გვ. 1—5]. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ 15 მსხვილი მემამულის ხელში იყო 178.855 დეს. მიწა, ანუ საშუალოდ ერთ მსხვილ მემამულეზე მოდიოდა 11.924 დესეტინა [21, გვ. 68—74].

მემამულეებთან ერთად მიწის ყველაზე მსხვილ მესაკუთრედ ითვლებოდა თვით სახელმწიფო. ბორჩალოს მაზრაში მემამულეებისა და სახელმწიფოს ხელში იყო მთელი მიწების 86,7%.

მშრომელი მოსახლეობის სარგებლობაში მყოფი მიწების არასაკმარისი რაოდენობა აიძულებდა გლეხობას იჯარით აეღო კერძო მესაკუთრეთა მიწები და ამ გზით მოეყვანათ წლის სარჩო. ამავე დროს, მუდმივად მზარდი მოთხოვნილება სახნავ მიწებზე და ამ უკანასკნელთა განსაზღვრული ოდენობა მიწის საერთო ფონდში ხელს უწყობდა საიჯარო გადასახდელის შეუწყვეტელ ზრდას, რაც სულ უფრო მძიმე და აუტანელი ხდებოდა მოიჯარადრესათვის.

მიწათმოქმედების არსებული სისტემა ქვემო ქართლის სინამდვილეში საგრძნობლად აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ჯერ ერთი, მსხვილი მემამულე, როგორც წესი, ქალაქად ცხოვრობდა და ფაქტიურად მოწყვეტილი იყო სოფლის მეურნეობას. მეკვიდრეობით ან მეფის მთავრობისაგან საჩუქრად მიღებული მიწები ყოველთვის არ წარმოადგენდნენ მისი შემოსავლის მთავარ წყაროს, რის გამოც ნაკლებად იყო დაინტერესებული მეურნეობის აღნიშნული დარგის გაუმჯობესებით. მეორეც, იჯარის მოკლე ვადით გაცემის გაბატონებული წესი გლეხს არ უქმნიდა გარანტიას, რომ მიწის ნაკვეთს იგი მომავალ წელსაც შეინარჩუნებდა. ცხადია ეს გარემოებაც არ უწყობდა ხელს სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვას, მისი ინტენსიფიკაციის ზრდას. ამასთანავე, რაც მთავარია, სოფლის წვრილი მშარობელი ეკონომიურად იმდენად დაბეჩავებული იყო, რომ გაუმჯობესებული იარაღების შექმნა

მისთვის მხოლოდ ოცნების საგანი შეიძლება ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობა კვლავ რუტინულ ტექნიკასა და მიწის დამუშავების პრიმიტიულ წესებზე იყო დამყარებული, რის შედეგადაც ზედმეტი წევნით დაბალი იყო მოსავლიანობა და, მაშასადამე, თვით მწარმოებლის შემოსავალიც.

ამრიგად, გლეხობის ძირითადი მასის ქონებრივი მდგომარეობა შორს არ წასულა ბატონყმური პერიოდის ეკონომიური ჩაგვრისაგან. გადატაკებული და უმიწაწყლო გლეხი უკეთეს შემთხვევაში დაქირავებული მუშის მდგომარეობაში ექცეოდა და სოფლის ან ქალაქის პროლეტარიატის რიგებს ავსებდა.

სოფლად შეჭრილმა კაპიტალისტურმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო გ ლ ე ხ ო ბ ის ფ ე ნ ე ბ ა დ დ ა შ ლ ა ს : ერთი მხრივ, შექლებული გლეხების—კულაკების—გამოყოფას და, მეორე მხრივ, გლეხობის დიდი ნაწილის პროლეტარიზაციას. ამ გზით წარმოიშვა სოფლად თავისუფალი მუშახელი, რომლის ნაწილმა ქალაქს მიაშურა, ხოლო ნაწილმა ადგილზევე შექმნა იაფი მუშახელის სარეზერვო არმია. თავის მხრივ ეს გარემოება ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის შემდგომ წინსვლას. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ იაფი მუშახელის არსებობა აფერხებს მანქანების დანერგვას სოფლის მეურნეობაში, რადგან მემამულის მეურნეობა უზრუნველყოფილი იყო თითქმის მუქთა სამუშაო ძალით და იგი დინტერესებული არ იყო ახალი ტექნიკის გამოყენებით. [1, გვ. 254].

მემამულე-თავადისა და ადგილობრივი კულაკის გვერდით, გლეხობას ახალი მყვლეფელი მოვევლინა ვაჭარ-მეევანშისა და მსხვილი მოიჯარადრის სახით. სოფლის ნაწარმის შემსყიდველ ვაჭარ-მეევანშეს ხელში ყავდა ჩაგდებული გლეხების დიდი ნაწილი [28, გვ. 242—243]. კაბალურ მდგომარეობაში მოხვედრილი გლეხის ბალ-ვენახი და მიწის საუკეთესო ნაკვეთები არც თუ ისე იშვიათად ქალაქელი ან ადგილობრივი ჩარჩის საკუთრებაში გადადიოდა. საგრძნობი რაოდენობით ყიდდა აგრეთვე თავის მიწებს თავად-ზნაუტრობა ახალი კაპიტალისტური კლასის წარმომადგენლებზე, რომლებიც დაქირავებული მუშახელის გამოყენებით მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს აწყობდნენ. ასეთი მეურნეობანი, როგორც წესი, ბალ-ვენახის ან სხვადასხვა ტექნიკური კულტურების პლანტაციების სახით ეწყობოდა. ამ გზით იქმნებოდა ქვემო ქართლში ახალი, ს ა ვ ა კ ტ რ ო მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, თავისი რიგი უპირატესობებით წერტილი, გლეხური მეურნეობის წინაშე. მაგრამ იმდროინდელი სოციალ-ეკონომიური პირობები მკვეთრად ზღუდავდნენ ამ მიმართულებით არსებულ შესაძლებლობებს, რის გამოც ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთები მრავლად იყო შემორჩენილი სოფლად თვით რევოლუციის წინა პერიოდშიც. ყოველივე ეს კი დიდ შემაფერხებელ მიზეზად ევლინებოდა სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

900-იანი წლების დასაწყისში ქვემო ქართლში სახნავ-სათესი მიწები მთელი ტერიტორიის 20%-ს არ აღემატებოდა. ამავე დროს, ეს მიწები არათანაბრად იყო განლაგებული საკვლევი რაიონის მთელ სივრცეზე. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო ვაკის სოფლებში შედარებით მეტი იყო მიწის ფონდში დამუშავებული ფართობების ხვედრი წონა, ვიდრე წალა-დმანისის ზეგანზე, ხოლო მთებისწინა ზონას გარდამავალი ადგილი ეკავა მათ შორის. თუ ზეგნის სოფლები სახნავად ვარგისი მიწების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, სამაგი-

ეროდ საკმაოდ ვრცელი იყო აქ სათიბებისა და, განსაკუთრებით, საზაფხულო საძოვრების ფართობები.

აქედან ცხადია, რომ მარნეულისა და გარდაბნის ველები უფრო მეტი ინდუქციის განვითარებისათვის იყო ხელსაყრელი (მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ირწყვებოდა ამ დროისათვის), ხოლო წალკა-დმანისის ზეგნის ბუნებრივი რესურსები კარგ პირობებს ქმნიდნენ მეცხოველეობის დანერგვისათვის. ამავე დროს მთისწინა ზონა თავისი ჰავით და ნიადაგებით შეეფერებოდა ვენახებისა და ხეხილის გაშენებას. უნდა შევნიშნოთ, რომ რევოლუციამდელი ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია სწორედ აღნიშნული ბუნებრივი პირობების შესაბამისად ვითარდებოდა.

მარნეულის ველი იმთავითვე განთქმული იყო კარგი მოსავლიანობით და საქართველოში მარცვლეულის წარმოების ერთ-ერთ ძირითად რაიონს შეადგენდა. საკმაოდ დიდი რაოდენობით იძლეოდა ეს მხარე სასაქონლო პურს.

ამავე დროს, წალკა-დმანისის ზეგანზე ცოტა იყო ისეთი გლეხი, რომელსაც საკუთარი წარმოების პური ჰყოფნიდა. საკმაოდ დაბალი და არამყარი იყო ხორბლის მოსავალი მთების წინა ზონაშიც.

ქვემო ქართლის რევოლუციამდელი პერიოდის მემინდვრობაში მთავარი ადგილი ეკავა ხორბლისა და ქერის მოყვანას, დანარჩენ კულტურებს კი არ ქონიათ რამდენადმე ფართო გავრცელება და სასაქონლო ხასიათი. მემინდვრობაში არ იყო დანერგილი თესლბრუნვა და გამეფებული იყო მონოკულტურა. ეს გარემოება, ისე როგორც სოფლის მეურნეობის სუსტი ტექნიკური შეიარაღება, ქვეყნის ეკონომიკის საერთო ჩამორჩენილობით აიხსნებოდა და მაშინდელი სოფლის მეურნეობის დეგრადაციის ერთ-ერთი ნიშანი იყო.

რეფორმისშემდგომ პერიოდში მეცხოველეობის განვითარებამ წალკა-დმანისის ზეგანზე სავაჭრო ხასიათი მიიღო, რაც პირველ რიგში გამოიხატა უფრო მეტად სარძეო მეურნეობის განვითარებაში და პროდუქციის ქარხნული წესით ადგილზე გადამამუშავებაში. მათ შორის, ვინც მეცხოველეობის ასეთი განვითარების სარფიანობით ისარგებლა, ერთ-ერთი პირველი იყო უცხოეთიდან ჩამოსული კოლონისტი კუჩენბახი. მან ჯერ კიდევ 1863 წელს შეიძინა დმანისის მიდამოებში მიწის დიდი ფართობები, მოაწყო სარძეო მეურნეობა, ჩამოიყვანა შვეიცარიელი სპეციალისტები და დაიწყო ევროპული ყველის ქარხნული წესით დამზადება [33, 34].

უნდა აღინიშნოს, რომ მეფის მთავრობის ოფიციალური განცხადებით ვერმანელი კოლონისტების საქართველოში ჩასახლების მიზანი იყო ადგილობრივ მოსახლეობაში მიწათმოქმედების უფრო მაღალი კულტურის დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა უღიღეს მატერიალურ დახმარებას უწყვედა ჩამოსახლებულთ და რიგ შეღავათებს ანიჭებდა მათ, კოლონისტებმა გამოცდილების გაზიარების ნაცვლად, ადგილობრივი მოსახლეობა ექსპლუატაციის საგნად გაიხადეს. თუ რამდენად დაცილებული იყო მთავრობის ოფიციალური ვერსია სინამდვილეს, ეს ჩანს კუჩენბახის მეურნეობის მაგალითზე. აი რას წერდა 1881 წელს „ივერიის“ ფურცლებზე ერთ-ერთი დამკვირვებელი. რომელსაც ქვემო ქართლში უმგზავრია: „იმის შესახებ არ ვგასარგებლებენ რაც იმათზე იხარჯება ..... ჩინეთის კედლით შემოუზღუდავს მას (კუჩენბახს—გ. ჯ.) თავისი ფერმა და ვინც ნაკურტში მოისურვებს შეხედვას, მაშინვე კირით ამოუღესავენ. თავის ცოდნა, რომ ჩვენ გადმოგვცენ, მაშინ ჩვენებურები მათ მოცილეთ გაუხდენ-



ბიან და მათ მიერ ხელოვნურად მალა აწეულ ფასებს ძირს დასწევენ... ხოლო სადაც შეიძლება აქაურმა რამე ისწავლოს, იქ თავიანთ ქვეყნელებს ამუშავებენ, ჩვენებურები კი მწყემსი და მწველავებია..... და ისიც სულ მცირე ფასად. კუჩენებახის მშვენიერი ბოსლების გვერდით ათიოდე თათარი სახლობს და ისინი—სრულ ქეშმარიტებას ვამბობ — შეჰხარაინ იმის საქონლის ბედს“ [35].

მოტანილი სიტყვები რომ სინამდვილესთან ახლოსაა, ამას შემდეგი ფაქტიც მოწმობს: ჩამოყვანილ შვეიცარიელ ოსტატებს კუჩენებახი ხელშეკრულებას უდებდა, რათა ისინი ფერმიდან წასვლის შემდეგ ამიერ-კავკასიაში არ დარჩენილიყვნენ. ამ გზით ცდილობდა ეს კაპიტალისტი თავიდან აეცილებინა კონკურენცია და შეენარჩუნებია მალაი ფასები თავისი ქარხნის პროდუქციაზე. გერმანელი მრეწველი, მიუხედავად იმისა, რომ მას დიდ თანხებს აძლევდნენ ხელისუფლების ორგანოები, ხელს კი არ უწყობდა, არამედ აფერხებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების გაუმჯობესებას.

მიუხედავად რიგი დამაბრკოლებელი მიზეზებისა, პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში კაპიტალიზმი ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაში საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა. მისი ყველაზე უფრო მკაფიო გამოსახულება იყო გლეხობის სულ უფრო მზარდი ქონებრივი დიფერენციაციაცია, სავაჭრო მიწათმოქმედების გაჩენა და სამეურნეო სპეციალიზაცია.

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა პირველმა მსოფლიო ომმა. განსაკუთრებით დაზარალდა მეურნეობის ეს დარგი მენშევიკების უხადრუკი ბატონობის წლებში. მკვეთრად შემცირდა დამუშავებული მიწის ფართობები, ჩაკედა წინა წლებში დასახული სამეურნეო სპეციალიზაცია და მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ცალკე დარგების საქონლიანობა. გლეხობის დიდი ნაწილის მანამდე არსებული სიღატაკე ბევრად უფრო გაძლიერდა; თავი იჩინა შიმშილმა და მასთან დაკავშირებულმა სხვადასხვა სენის გავრცელებამ. ყოველივე ამან მთლიანად მოშალა სოფლის სამეურნეო ცხოვრება და მოსახლეობა უკიდურეს სიღუჭირეში მიიყვანა.

### სოფლის მეურნეობის ზოგადი დაზარალება

სასოფლო-სამეურნეო წარმოება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია; მას უდიდესი როლი ეკუთვნის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობაში. კვების პროდუქტების სიუხვის შექმნა და მრეწველობის მთელი რიგი დარგების ნედლეულით უზრუნველყოფა უშუალოდაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მის ინტენსიფიკაციაზე და პროდუქტიულობაზე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს დამსახურებას შეადგენს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ძირეული გარდაქმნა, მისი გადარჩენა თანამედროვე, სოციალისტურ საფუძველზე. სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ფართო ქსელის შექმნამ სახე უცვალა ჩვენ სოფლის მეურნეობას; მან თავი დაადწია საუკუნეების მანძილზე არსებულ ჩამორჩენას და პრიმიტიულ ტექნიკაზე დამყარებულ, წვრილგლეხურ მეურნეობიდან გადაიქცა უმაღლესი ტექნიკით აღჭურვილ, მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად.

ეს ძირფესვიანი გარდაქმნა ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობასაც შეეხო უშუალოდ და მას სწრაფი აღმავლობის უდიდესი შესაძლებლობანი შეუქმნა.

ხუთწლეულების მანძილზე განხორციელებული სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად, ამჟამად ქვემო ქართლში, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ძირითად სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მსხვილი კოლექტიური მეურნეობა წარმოადგენს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე მოდის დამუშავებული მიწის ფართობებისა და პირუტყვის სულალობის უდიდესი ნაწილი; ამავე დროს მეურნეობის ეს კატეგორიები იძლევიან სასაქონლო პროდუქციის ძირითად მასას.

ქვემო ქართლს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. უკავია რა საქართველოს ტერიტორიის 7,8%, ამავე დროს ამ ეკონომ-გეოგრაფიულ ქვერეიონში მდებარეობს რესპუბლიკის სახნავი მიწების 13,3%, სათიბების 21,9%, საძოვრების 12,4%.

1953 წლის პირველი ნოემბრისათვის ქვემო ქართლის მიწის ფონდი შემდეგნაირად იყო განაწილებული, აღმინისტრაციული რაიონებისა და სავარგულების მიხედვით (მიწათსარგებლობის ყველა კატეგორიები აღებულია ერთად)<sup>1</sup>, (იხ. გვ. 137).

სასოფლო-სამეურნეო მიწების მთელი ფართობი ქვემო ქართლში შეადგენს 376 579 ჰექტარს, რაც რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მიწების 12,5%-ს ეთანაბრება. თვით ქვემო ქართლის მიწის ფონდში სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწების ფართობი შეადგენს 66,3%-ს, მაშინ როდესაც მთლიანად რესპუბლიკაში ამ მიწების ხვედრითი წონა არ აღემატება 41,6%-ს. აქედან ვხედავთ, რომ შედარებით სიდიდეებში ქვემო ქართლი გაცილებით უკეთაა უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწებით, ვიდრე მთლიანად საქართველო. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ ერთმანეთს შევადარებთ ქვემო ქართლისა და მთლიანად რესპუბლიკის ცალკე სავარგულების ხვედრით ოდენობას მიწების მთელ ფონდში. კერძოდ, სახნავი მიწებით ქვემო ქართლი 1,7-ჯერ უკეთაა უზრუნველყოფილი, ვიდრე მთელი რესპუბლიკა; სათიბებით 2,7-ჯერ; საძოვარ-საბალახოებით 1,6-ჯერ. ამ საერთო მდგომარეობიდან გამოწვევის შეადგენს მხოლოდ მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები. ამ ფართობების ხვედრი ოდენობა ქვემო ქართლის მიწის ფონდში 3,8-ჯერ ჩამორჩება რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელს. მიუხედავად ამისა ქვემო ქართლი 1,6-ჯერ უკეთაა უზრუნველყოფილი ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო მიწებით, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკა.

ასეთი სხვაობა გაპირობებულია ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობების რიგი თავისებურებებით. ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარის მნიშვნელოვანი ნაწილი მთა-გორიანია, აქ ნაკლებადაა ციკაბო კალთების მქონე კლდოვანი მთავრები, რის გამო უვარგისი მიწების რაოდენობა შედარებით მცირეა. მეორეც, ჯავახეთის, სამხარის და თრიალეთის ქედების დამრეცი კალთები ძირითადად საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენენ, ხოლო იაღლუჯას მაღლობები და გარე კახეთის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთი ფერდობები საზამთრო საძოვრებს მიეკუთვნებიან. რაც შეეხება ლოქის ქედის ჩრდილო კალთებს და წალკა-დმანისის ზეგნის აღმოსავლეთ მაღალ ფერდობებს, ისინი უმთავრესად ტყითაა დაფარული, თუმცა ტყეების ხვედრი ფართობი ქვემო ქართლში

<sup>1</sup> ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური მასალის დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გეოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა მ. ი. შარაშიძემ.

ქვემო კართლის მიწის ფონდის სტრუქტურა 1953 წლის 1 ნოემბრისათვის (აქტუარულად)

მიწის ფონდის შედგენილობა		გარდაბნის რაიონი	მარნეულის რაიონი	ბოლნისის რაიონი	თეთრი წყა- რის რაიონი	დმანისის რაიონი	წალკის რაიონი	სულ ქვემო კართ- ლი	სულ რესპუბლიკა
ს.ხნავი	{ აბს. % } 12 455 22,8	40 513 41,5	21 315 28,8	35 774 30,8	19 897 16,3	28 709 27,8	158 663 27,9	1 192 501 16,4	
სათიბი	{ აბს. % } 480 0,9	<b>1513</b> <b>7,5</b>	2 057 2,8	6 132 5,3	17 891 14,6	12 859 12,4	40 932 7,2	186 610 2,6	
საძოვრები	{ აბს. % } 29 131 53,9	<b>27599</b> <b>28,2</b>	5 114 6,9	15 820 13,6	49 514 40,5	44 738 43,2	172 116 30,3	1 392 370 19,2	
მრავალწლიანი ნარგავები	{ აბს. % } 787 1,4	<b>1088</b> <b>1,1</b>	1 708 2,4	929 0,8	293 0,2	63 0,1	4 868 0,9	244 679 3,4	
ტყე და ბუჩქნარი	{ აბს. % } 2 808 5,1	15 534 15,8	39 732 53,7	50 946 43,8	22 154 18,1	3 508 3,4	134 682 23,7	2 782 400 38,4	
შენობების, გზების, წყლების ქვეშ	{ აბს. % } 5 707 10,4	6 796 6,9	2 179 2,9	3 420 2,9	2 059 1,7	6 246 6,0	26 407 4,6	251 737 3,5	
დანარჩენი გამოუყენებელი	{ აბს. % } 3 014 5,5	4 910 5,0	1 865 2,5	3 206 2,8	10 500 8,6	7 272 7,1	30 767 5,4	1 196 338 16,5	
სულ ტერიტორია	{ აბს. % } 54 582 100,0	97 953 100,0	73 970 100,0	116 227 100,0	122 308 100,0	103 395 100,0	568 435 100,0	7 246 635 100,0	

საქონლის მფლობელების განვითარება და განლაგება ქვემო კართლში

1,6-ჯერ ჩამორჩება რესპუბლიკის ტყეების საშუალო ხვედრით ფართობს. სასოფლო-სამეურნეო მიწების ხვედრი ოდენობა ქვემო ქართლში სწორედ ტყეებისა და უფარგის მიწების სიმცირის შედეგადაა გადიდებული. ამასთანავე ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გარდაბნისა და მარნეულის ველები, აგრეთვე წალკა-დმანისის ზეგნის დიდი ნაწილი, ძირითადად, ნოყიერი ნიადაგებით დაფარულ ვაკეს წარმოადგენს, ჩვენთვის ნათელი გახდება ქვემო ქართლში სოფლის მეურნეობისათვის გამოსაყენებელი მიწების მაღალი ხვედრი ოდენობა.

ნათქვამთან ერთად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ეს კუთხე უძველესი დროიდან ერთ-ერთი მკიდროდ დასახლებული მხარე იყო და დამუშავების თვალსაზრისით საკმაოდ ათვისებული, რის შედეგადაც ტყეები აქ ადრევე გაიჩეხა და განთავისუფლებული ფართობები გამოყენებულ იქნა საძოვრებად, ან სოფლის მეურნეობის კულტურების გასაშენებლად.

აღსანიშნავია, რომ შიდა-გეოგრაფიული სხვაობის შედეგად ქვემო ქართლის ყველა ნაწილში ერთნაირი ხვედრითი ოდენობით არაა წარმოდგენილი ესა თუ ის სავარგული. რელიეფი, ნიადაგ-მცენარეული საფარი და კლიმატური პირობები განაპირობებენ სავარგულების შეფარდებას ცალკე ქვერაიონებში. იმის გამო, რომ ბუნების ეს კომპონენტები მკვეთრად იცვლებიან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, იმავე მიმართულებით იცვლება აგრეთვე მიწის ფონდის სტრუქტურაც.

როგორც მიწის ფონდის, ისე სხვა დამახასიათებელი მაჩვენებლების შიდა-გეოგრაფიული სხვაობის განხილვის დროს ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მშგავსი ბუნებრივი პირობების მიხედვით ქვემო ქართლის ადმინისტრაციული რაიონების განსაზღვრული დაჯგუფება. ყველაზე უფრო გამართლებული იქნება, კერძოდ, ქვემო ქართლში შემდეგი მიკრორაიონების გამოყოფა: გარდაბნისა და მარნეულის ადმინისტრაციული რაიონები ძირითადად ქვემო ქართლის ვაკეს, იალლუჯას მალღობებს, ბაბაკარის ქედის ჩრდილო კალთებსა და გარე კახეთის ზეგანის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებს მოიცავენ და თავისი ბუნებრივი პირობებით საკმაოდ უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ ორ ადმინისტრაციულ რაიონს ჩვენ ქვემოთ „გარდაბან-მარნეულის“, ანუ „ვაკის“ სახელწოდებით მოვიხსენიებთ. ბოლნისისა და თეთრიწყაროს ადმ. რაიონების ტერიტორია უმთავრესად მთების წინა ზონას და ტყის ზოლს უკავია. მათ აღსანიშნავად ჩვენ ვიხმართ „ბოლნის-თეთრი წყაროს“ ან „წინამთებს“. დმანისის და წალკის ადმინისტრაციული რაიონების ფარგლებში შედის მთლიანად წალკა-დმანისის ზეგანი და მისკენ დაბრუნებული მთის კალთები. უფრო მოხერხებულად მიგვაჩნია შემდგომში ამ რაიონების მოხსენიება „წალკა-დმანისის“ ან „ზეგანის“ სახელწოდებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მიკრორაიონების გამოყოფა არ ნიშნავს ძირითადი ლანდშაფტური ზონების (ვაკე, წინამთები — ტყის ზოლი, ზეგანი) საზღვრების ზუსტ დამთხვევას ერთ ჯგუფად აღებული ადმინისტრაციული რაიონების საზღვრებთან. მაგრამ ასეთი ნაწილობრივი გადახრები საერთო სურათს ვერ ცვლის და ამიტომ მიკრორაიონების გამოყოფის დროს ჩვენ მათ მხედველობაში არ ვიღებთ, კვამყოფილებით რა ამ შენიშვნით.

სახნავი მიწების ხვედრი ოდენობა მიწის ფონდში თანდათან ეცემა ქვემო ქართლის ვაკიდან წალკა-დმანისის ზეგნისაკენ. გარდაბნისა და მარნეულის ადმინისტრაციული რაიონების მაჩვენებლებს თუ გავაერთიანებთ, აქ სახნავის რაოდენობა 34,8%-ს შეადგენს, ბოლნის-თეთრი წყაროში ეს მაჩვენებელი 30%-მდე







დადის, ხოლო წალკა-დმანისში იგი უკვე 21,6%-ს არ აღემატება. შებრუნებულ მოვლენას აქვს ადგილი სათიბების მიმართ: გარდაბან-მარნეულის მიწის ფონდ-

სახავე მიწების ხევილი აღენიშნება ქვემო ქართლის ადმინისტრაციული რაიონების


მიწის ფონდში. 1953 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის.



ში სათიბები მხოლოდ 1,3%-ს შეადგენს, ბოლნის-თეთრ წყაროში—4,3%-ს, წალკა-დმანისში კი 13,7%-ს.


საკმაოდ დიდია გარდაბან-მარნეულში საძოვრების ფართობები (37,3%), რომელთა უდიდესი ნაწილი საზამთრო საძოვრებს წარმოადგენს, უმცირესი კი

საყვების საუკრულებს ხვედრი ოდენობა ქვემო ქართლის ადმინისტრაციული რაიონების მიწის ფონდში 1953 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის



ნახ. 2

პროცენტით ნიშნები:



სოფლისპირას. რაც შეეხება ბოლნის-თეთრ წყაროს, აქ მხოლოდ სოფლისპირა საძოვრები არსებობს და ისიც მინიმალური რაოდენობით (11,0%). ეს გარემო-

ება გამოწვეულია იმით, რომ სწორედ ამ ქვერაიონში შედის ქვემო ქართლის ტყეების ძირითადი მასივი და მათ უკავიათ მიწის ფართობების 47,7%, რის შედეგადაც მაქსიმალურად შემცირებულია საძოვრად გამოყენებული მიწების ოდენობა. საძოვრების ხვედრი ოდენობა ყველაზე მეტია წალკა-დმანისის ზეგანზე 42,1%.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის პირობებში ქვემო ქართლში სწრაფად იზრდებოდა ნათესი ფართობები. 1950 წელს ნათესების მთელი ფართობი აქ შეადგენდა 108 627 ჰექტარს, ნაცვლად 1923 წლის 39 600 ჰექტარისა, ანუ 27 წლის მანძილზე გაიზარდა 2,7-ჯერ. თუ ერთი წვრილი გლეხური მეურნეობა საშუალოდ 1,54 ჰექტარზე მეტს არ თესავდა, ამჟამად ერთი კოლმეურნეობა საშუალოდ თესავს 784 ჰექტარს.

ცხრილი 2


ნათესი ფართობების დინამიკა ქვემო ქართლში 1940—1954 წლებში

რაიონები	1940 წ.		1950 წელი		1953 წელი		1954 წელი	
	ჰექტარ.	ჰექტარ.	%-ში 1940 წ. მიმართ	ჰექტარ.	%-ში 1940 წ. მიმართ.	ჰექტარ.	%-ში 1940 წ. მიმართ.	
გარდაბნის . . . . .	9 777	8 483	86,8	11 374	116,3	10 642	108,8	
მარნეულის . . . . .	25 064	24 186	96,5	35 300	140,8	31 889	127,2	
ბოლნისის . . . . .	14 326	14 417	100,6	18 916	132,0	16 884	117,9	
თეთრი წყაროს . . . . .	24 064	26 347	109,5	31 606	131,3	29 039	120,7	
დმანისის . . . . .	11 629	15 957	137,2	17 899	153,9	14 280	122,8	
წალკის . . . . .	15 394	19 237	124,9	23 560	153,0	19 054	123,8	
სულ ქვემო ქართლში . . . . .	100 254	108 627	108,3	138 655	138,3	121 788	121,5	
სულ რესპუბლიკაში	895 138	911 805	101,8	1 030 788	115,2	—	—	

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1940—1953 წლებში ქვემო ქართლში გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებოდა ნათესი ფართობები, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში. ეს გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ ქვემო ქართლში საკმაოდ მაღალია საძოვარ-საბალახოების ხვედრი ოდენობა და ნათესები, უმთავრესად ამ სავარგულებს ხარჯზე იზრდებოდა. მემინდერეობისათვის ხელსაყრელი ჰავისა და ნიადაგების არსებობის შემთხვევაში ასეთი ზრდა დადებითად უნდა იქნას შეფასებული, რადგან იგი მოასწავებს მეურნეობის უფრო ინტენსიურ ფორმაზე გადასვლას. მაგრამ 1950—1953 წლების მანძილზე სწორედ ბუნების აღნიშნული ფაქტორების უგულვებელყოფას ჰქონდა ადგილი, რის შედეგადაც ზოგჯერ იხვნებოდა საკმაოდ უვარგისი ფართობები. ეს ნაკლი ამჟამად გამოსწორებულია და 1954 წლიდან ქვემო ქართლში ნათესები საგრძნობლად შეიკვეცა, თუმცა 1940 წელთან შედარებით მათ მაინც უკავიათ 21,5%-ით მეტი ფართობი. ასეთი ზრდა უკვე ნორმალურია და იგი მომავალშიც გაგრძელდება, უმთავრესად ქვემო ქართლის ვაკეზე ახალი სარწყვი ფართობების ათვისების გზით.

სოციალისტური გარდაქმნის შედეგად არსებითად შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა.

1923 წელს ნათესების 96,5% მოდიოდა მარცვლეულ კულტურებზე, ხოლო კარტოფილს, ბოსტნეულ-ბალჩიულს, ტექნიკურ და სხვა კულტურებს ეკავათ მთელი ნათესების 3,5%. 1923—1950 წლებში მარცვლეული კულტურების ფართობების უდიდეს აბსოლუტურ ზრდასთან ერთად, გაცილებით სწრაფად იზრდებოდა უფრო ძვირფასი კულტურების ნათესი ფართობები. კერძოდ, ტექნიკური კულტურების ხვედრი წონა ნათესებში 1950 წლისათვის გაიზარდა 4,6%-მდე, კარტოფილის—8,3%-მდე, ბოსტნეულ-ბალჩიულის — 2,7%-მდე, სხვა კულტურების—7,8%-მდე, ხოლო მარცვლეული კულტურების ნათესებში შესაბამისად შემცირდა 76,7%-მდე. ასევე გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლებიც.



ნახ. 3. ნათესების სტრუქტურა ქვემო ქართლში 1954 წელს (%/100-ით)

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის გატარება. ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების შესაბამისად სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების სწორ განლაგებას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ შეუძლებელია ამ საკითხის დადებითად გადაჭრა წვრილგლეხური მეურნეობის ვითარებაში. წვრილი მეურნეობა შერყევია და მას არ გააჩნია აუცილებელი რეზერვები. ამიტომ იგი იძულებულია გააშენოს ყველა და ყოველგვარი კულტურა, რათა ზოგი კულტურის დაზარალების შემთხვევაში, შეძლოს ზარალის ანაზღაურება სხვა კულტურებით. მხოლოდ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნის პირობებში გატარდა ქვემო ქართლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია [2, გვ. 354].

ქვემო ქართლის მდებარეობამ ისეთი მსხვილი სამრეწველო ცენტრების მეზობლად, როგორც თბილისი და რუსთავია და ამ მხარის ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებამ თავისი გავლენა მოახდინა აქ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების, კულტურების განლაგებასა და განვითარებაზე. ამის შესაბამისად, მარცვლეული მეურნეობის განვითარებასთან ერთად, სწრაფად იზრდებოდა გარდაბან-მარნეულის ველზე ბოსტნეული და ტექნიკური კულტურების ფართობები, ხოლო წალკა-დმანისის ზეგანზე—კარტოფილის ნათესები. ქვემო ქართლში პირუტყვის საკვები ბაზის არსებობამ შესაძლებელი გახადა აქ მეცხოველეობის განვითარება. მეურნეობის ამ დარგმა ვაკეზე უმთავრესად სახორცე-სამატყლე, ხოლო ზეგანზე სახორცე-სარძეო



მიმართულება მიიღო; შეიქმნა სარძეო მეცხოველეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები. 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის ქვემო ქართლში იყო მსხვილფეხა პირუტყვი 114,7 ათასი სული, ცხვარი და თხა—403,1 ათასი, ცხენი—15,5 ათასი, ღორი—36,6 ათასი. პირუტყვის ცალკე სახეობათა რაოდენობის მიხედვით ქვემო ქართლის ხვედრი წონა რესპუბლიკის მეცხოველეობაში იმავე თარიღისათვის შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი—7,8%; ცხვარი და თხა — 14%; ღორი—6,0%; ცხენი—13,8%.

ბუნებრივი პირობების რაციონალური გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო შრომის მწარმოებლურობის განუხრელი აღმავლობისა და თვით სოფლის მისახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ინტერესები გვიკარნახებენ სწორად შეუთანხმოთ სპეციალიზაციას, ე. ი. ძირითადი სასაქონლო დარგის გამოყოფას, ცალკე დარგებისა და კულტურების განლაგება, შეექმნათ ყველა პირობა შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის. ამის შესაბამისად ქვემო ქართლის თითოეულ კოლმეურნეობას საერთო სახალხო-სამეურნეო გეგმების საფუძველზე შექმნილი აქვს მ რ ა ვ ა ლ დ ა რ გ ი ა ნ ი მეურნეობა; თვით დარგთა შორის შეთანაწყობა შეესაბამება ზოგად სამეურნეო ინტერესებს და ადგილობრივ აგროკლიმატურ პირობებს.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს მ ა ნ ქ ა ნ ა - ტ რ ა ქ თ ო რ თ ა ს ა დ გ უ რ ე ბ მ ა. მათი სახით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საკოლმეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შექმნა ქვემო ქართლში საკოლმეურნეო მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა. პირველი მტს-ი (მარნეულის) ჯერ კიდევ 1929 წელს შეიქმნა. შემდეგ თანდათან იზრდებოდა მათი რიცხვი და ტექნიკით აღჭურვა.

ამჟამად აქ 15 მანქანა-ტრაქტორთა სადგური არსებობს, რომელთა განკარგულებაში 1953 წელს იყო 1084 ტრაქტორი (15 ძალიანზე გადაყვანით), 250 კომბაინი, 55 სატვირთო ავტომანქანა და მისაბმელი მანქანა-იარაღების დიდი რიცხვი; ძირითადი ფონდების საერთო ღირებულება იმავე წლის ბოლოს უდრიდა 40 285 ათას მანეთს. ყველა მტს-ის სპეციალისტების მექანიზატორების და სხვა მომსახურე პერსონალის საერთო რიცხვი შეადგენდა 2289 კაცს.

თუ ქვემო ქართლის მტს-ბის 1953 წლის მუშაობის შედეგებს შევადარებთ რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შესაფერის მაჩვენებლებს, შემდეგი სურათი გვექნება: ერთი ტრაქტორის საშუალო გამოიმუშავება რბილ ხვნაზე გადაყვანით ქართლში უდრიდა 300 ჰა-ს, რესპუბლიკაში—313 ჰა-ს, ერთი მტს-ის მიერ შესრულებული მთელი სამუშაოები ქვემო ქართლში—21719 ჰენაზე გადაყვანით ქართლში უდრიდა 300 ჰა-ს, რესპუბლიკაში—313 ჰა-ს, ბში არსებული ტრაქტორების 14,8% და შესრულებული ყველა სახის სამუშაოების (რბილ ხვნაზე გადაყვანით) 14,2%. როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლის მტს-ბის ძირითადი მაჩვენებლები საკმაოდ უახლოვდება რესპუბლიკის მტს-ბის საშუალო მონაცემებს.

სოფლის მეურნეობის აღჭურვა მოწინავე ტექნიკით მეტია ქვემო ქართლის ვაკეზე და თანდათან მცირდება ზეგნისაკენ. გარდაბან-მარნეულის ზონაში ერთი 15 ძალიანი ტრაქტორი მოდის სახნავე მიწების 124 ჰექტარზე, ბოლნისეთურ წყაროში 156 ჰექტარზე და წალკა-დმანისში—165 ჰექტარზე, საშუალოდ ქვემო ქართლში—146 ჰექტარზე. ერთ კომბაინზე გარდაბან-მარნეულში მო-

დის 348 ჰექტარი მარცვლეულის ნათესი; ბოლნის-თეთრ წყაროში—628 ჰექტარი და წალკა-დმანისში—467 ჰექტარი, საშუალოდ ქვემო ქართლში—459 ჰექტარი.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან ამჟამად ყველაზე მეტადაა მექანიზებული ხვნა, აგრეთვე თავთავიანი კულტურების თესვა და მოსავლის აღება. ჭერჭერობით სუსტადაა გამოყენებული მანქანები ისეთ შრომატევად სამუშაოებში, როგორიცაა კარტოფილის და ტექნიკური კულტურების თესვა-რგვა; სიმინდის, კარტოფილის და სხვა სათიხნი კულტურების კულტივაცია, აგრეთვე მათი მოსავლის აღება, სათიბების გათიბვა და თივის შეგროვება.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მექანიზაციის დონე უკანასკნელი წლების მანძილზე. 1950 წლიდან 1953 წლამდე ყველა სახის ხვნი (გახაფხულის და შემოდგომის ხვნა, ანეული და მზრალად ხვნა) მექანიზაცია ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში გაიზარდა 57,3%-დან 88%-მდე. ხვნისა და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია უფრო მეტადაა დანერგილი მარნეულის და გარდაბნის რაიონებში. ტრაქტორით დამუშავებისათვის ვარგისი მიწების ოდენობა მაქსიმალურია ქვემო ქართლის ვაკეზე და თანდათან კლებულობს ზეგნისაკენ. მარნეულ-გარდაბნის კოლმეურნეობებში ხვნა მექანიზებულია 97,7%-ით, ბოლნის-თეთრ წყაროში—87,2%-ით, წალკა-დმანისში—80%-ით.

თავთავიანი კულტურების თესვა ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში მექანიზებულია 60,2%-ით. აქაც მექანიზაციის დონე ეცემა ვაკიდან ზეგნისაკენ. გარდაბან-მარნეულში იგი შეადგენს 89,5%-ს, ბოლნის-თეთრ წყაროში—59,1%-ს და წალკა-დმანისში მხოლოდ 39,1%-ს. უკანასკნელ წლებში მტს-ბიფართოდ იყენებენ ხორბლის თესვის პროგრესულ წესს—ჭვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვას. გაცილებით ნაკლებია მანქანების გამოყენება სიმინდის თესვაში; ტექნიკური კულტურებიდან მზესუმზირა ითესება მეტწილად მანქანებით, ხოლო თამბაქო ჭერჭერობით ძირითადად ხელით ირგვება. ასევე სუსტადაა დანერგილი მექანიზაცია კარტოფილის და ბოსტნეულის თესვა-რგვაში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთი შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციას, როგორიცაა თიხნა-კულტივაცია. სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა მალამოსავლიანი კულტურების ნათესების დამუშავების მექანიზაცია გაპირობებულია თესვის კვადრატულ და კვადრატულ-ბუდობრივი პროგრესული წესის დანერგვით. ამ წესით ქვემო ქართლში მხოლოდ 1954 წელს დაითესა პირველად ათასობით ჰექტარი სიმინდი და კარტოფილი, ჩატარდა აგრეთვე ზოგიერთი ბოსტნეულის მწკრივში თესვა მანქანებით, რამაც მუშახელის საგრძნობი ეკონომია გამოიწვია ე. წ. „პიკის“ პერიოდში, ე. ი. მაშინ, როდესაც ყველაზე მეტი დაძაბულობა მუშახელის გამოყენებაში (მაისი-ივლისი).

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება მექანიზაციაში. 1953 წელს ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების მთელი ნათესების 65,5%-ზე მოსავალი კომბაინებში აღეს და 2,6%-ზე სხვა მანქანებით. გარდაბან-მარნეულში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების მექანიზაცია შეადგენს 95,9%-ს, ბოლნის-თეთრ წყაროში—61,1%-ს და წალკა-დმანისში—46%-ს.

ერთ-ერთ საბასუხისმგებლო ამოცანას, რომელიც სოფლის მეურნეობის მექანიზატორების წინაშე დგას, წარმოადგენს ძირითადი სასურსათო ტექნიკური და საკვები კულტურების მოყვანაში კომპლექსური მექანიზაცია-

ის დანერგვა. მიწის დამუშავებიდან მოსავლის აღება-გადამუშავებამდე ყველა შრომით პროცესებში მაქსიმალურად უნდა შეიცვალოს ხელით მუშაობა მანქანური შრომით. ეს აუცილებელია როგორც თვით სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისათვის, ისე სულ უფრო მზარდი მრეწველობისათვის მუშახელის მიწოდების თვალსაზრისითაც. ამ მიმართულებით დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ათვისება მეექვსე ხუთწლედში. კერძოდ, ფართოდ დაინერგება სათოხნი ტრაქტორები, მრავალფეროვანი საკიდი და ნახევრად-საკიდი სასოფლო-სამეურნეო მანქანები მართვის გიდრავლიური სისტემით. რაც უზრუნველყოფს სათოხნი კულტურებისა და ბალ-ვენახების დამუშავების მაქსიმალურ მექანიზაციას [8].

ქვემო ქართლის ვაკეზე სარწყავი მეურნეობა ძველთაგანვე იყო გავრცელებული. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, არხების მშენებლობა საქართველოს ამ ნაწილში ენერგიულად წარმოებდა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. მეფე ვახტანგ VI-ის განკარგულებით გაუყვანიათ, გარდა ნახიდურის არხისა, მეორე არხი, რომელიც რუსთავეში იღებდა სათავეს მტკვრის მარცხენა ნაპირზე და გარდაბნის ველს აწოდებდა წყალს [11, გვ. 45—46, 51]. როგორც ჩანს, ეს არხი შემდგომში უკვე მოიშალა და გასული საუკუნის 60-ან წლებში ხელახლა იქნა გაყვანილი გარდაბნის არხი, რომელიც დღესაც არსებობს. მისი პროექტი ინგლისელ ინჟინერ გაბბას მიერ იყო შედგენილი და მშენებლობაც 1864—1867 წლებში მისივე ხელმძღვანელობით განხორციელდა. მარნეულის ველზე ჩვენ დრომდე მოაღწია მრავალმა პრიმიტიულმა არხმა. მათი ნაწილი ამჟამადაც არსებობს, ხოლო ნაწილი კი შეიცვალა კაპიტალური ნაგებობებით.

ცხრილი 3  
ძირითადი ცნობები ქვემო ქართლში მოქმედი სარწყავი სისტემების შესახებ

ადმ. რაიონები	სარწყავი არხი	მაგისტრ. არხი სიგრძე	რა ფართობს რწყავს	მათ შორის			
				მარცხენა უბლი კულტურები	ბოსტნები	ფენხა და ბაღი	ტემწიკური კულტურები
გარდაბნის	გარდაბნის . . . . .	16,3	12 504 <sup>1</sup>	9 261	1 384	1 361	350
	სამგორის . . . . .	—	2 732	—	—	—	—
მარნეულის	ალთალოს . . . . .	17,8	8 420	6 24	127	20	—
	ხრამის . . . . .	28	3 486	2 092	83	13	178
	სულთარხი . . . . .	22,9	3 336	2 239	72	23	69
	ხანის . . . . .	39,8	1 544	395	54	181	5
	4 წვ. არხი ხრამიდან . . . . .	37,4	2 725	722	69	56	50
	6 წვ. არხი ალგეთიდან . . . . .	54,9	9 198 <sup>2</sup>	4 573	302	517	877
	12 წვ. არხი დებედადან . . . . .	205,6	2 850	970	130	108	30
ბოლნისის	8 წვ. საკოლმ. არხი . . . . .	48,5	1 188	374	75	371	—
	იმირასანის . . . . .	15,2	3 730	1 321	113	647	—
	10 წვ. არხი . . . . .	99,8	939	288	23	169	—
7 წვ. საკოლმ. არხი . . . . .	33,3	—	—	—	—	—	—
სულ ქვემო ქართლში	54 არხი	619,5	53 497	29 259	2 588	3 682	2 025

<sup>1</sup> გარდა ამ ფართობისა, გარდაბნის არხი ახერხაიჯანის ტერიტორიაზე რწყავს 4.822 ჰექტარს.

<sup>2</sup> დებედიდან გაყვანილი ლამბალის არხი რწყავს 450 ჰექტარ მიწას სომხეთის ტერიტორიაზე.

ქვემო ქართლში მდებარეობს საქართველოს სარწყავი მიწების დაახლოებით 17%. ამ ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონში ირწყვის მთელი სახნავ-სათესი მიწების და მრავალწლიანი ნარგავების 32,7%; ანალოგიური მაჩვენებელი მთელი რესპუბლიკისთვის 21,5%-ს შეადგენს. სარწყავი სისტემები აქ ძირითადად იკვებებიან ხრამის, მტკერისა და დებედას წყლით; ამ მდინარეებიდან იღებენ სათავეს ყველაზე უფრო მსხვილი არხები. მნიშვნელოვან ფართობებს რწყავენ აგრეთვე იორი (სამგორის ქვემო მაგისტრალური არხი), მაშვერა, ალგეთი, ბოლნისის წყალი და შულავრის წყალი.

ერთ-ერთ უმსხვილეს და სრულყოფილ სარწყავ სისტემას წარმოადგენს გ ა რ დ ა ბ ნ ი ს ა რ ხ ი, რომელმაც ძირითადი რეკონსტრუქცია განიცადა საბჭოთა წლებში. მისი სათავე მდებარეობს ქ. რუსთავის ხილთან. აქედან არხი სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართება და უერთდება ჯანდარის ტბას. არხის კალაპოტი არ არის მოპირკეთებული; უკანასკნელ რეკონსტრუქციამდე იგი ატარებდა სეკუნდში 10 კუბ. მ წყალს, ხოლო ამჟამად შეუძლია გაატაროს 15 კუბ. მ სეკ. მაგისტრალური არხიდან, ყოველი ერთი კმ-ის შემდეგ გაყვანილია განმანაწილებლები, რომელთა საერთო რიცხვი საქართველოს ტერიტორიაზე შეადგენს 22-ს (აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა 5 ასეთი განმანაწილებელი).

გარდაბნის რაიონში მიწების საგრძნობ ნაწილს რწყავს ს ა მ გ ო რ ი ს ქ ე ე მ ო მ ა გ ი ს ტ რ ა ლ უ რ ი ა რ ხ ი, რომელიც, გადაჭრის რა დიუკერით ლოჭინის ხევს, გარე კახეთის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებს გასდევს და აგრეთვე ჯანდარის ტბას უერთდება. ამ არხმა გარდაბნის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 1954 წელს უკვე მორწყა 2700-ზე მეტი ჰექტარი მიწა, ხოლო უახლოეს წლებში ეს ფართობი ბევრად გაიზრდება.

მარნეულის ველზე ყველაზე მსხვილი არხი ხრამის მარცხენა ნაპირიდან სოფ. არუხლოსთან იწყება; შემდეგ, სოფ. მარნეულის მახლობლად, აკვედუკით გადადის მდინარე ალგეთზე და იაღლუჯას სამხრეთ კალთების ძირს გაჰყვება აღმოსავლეთისაკენ. იგი წარმოადგენს ნახევრად საინჟინრო ნაგებობას, სეკუნდში 6 მ<sup>3</sup> წყლის გამტარუნარიანობით.

დანარჩენი არხებიდან ნახევრადსაინჟინრო ნაგებობებია: მარნეულის რაიონში—ლამბალოს არხი (იკვებება დებედადან.), ბოლნისის რაიონში—იმირასანის, არუხლოს და ზედა არხი (სამივე წყალს იღებს მაშვერაიდან). დანარჩენი 47 არხი პრიმიტიულია, თუმცა ზოგიერთი მათგანი 2-3 ათას ჰექტარ მიწას რწყავს. მათგან 15 წვრილი არხი ემსახურება თითო კოლმეურნეობას, დანარჩენი კი საკოლმეურნეობათაშორისო სარწყავ სისტემებს ქმნიან.

1954 წელს ქვემო ქართლში თანამედროვე საინჟინრო და ნახევრად საინჟინრო სისტემებით ირწყვებოდა 27 174 ჰა, ანუ მთელი სარწყავი ფართობის 50,8%. დანარჩენ ფართობს კი რწყავდნენ პრიმიტიული არხებით.

ქვემოთ მოგვაქვს ცნობები თითოეული მდინარის მიერ ქვემო ქართლში მორწყული ფართობების შესახებ 1954 წელს.

	ჰექტრობით	პროცენტობით
ხრამი . . . . .	16 778	31,4
მტკვარი . . . . .	13 387	25,0
დებედა . . . . .	9 396	17,6
მაშვერა . . . . .	3 793	7,1
იორი . . . . .	2 732	5,1



ალგეთი . . . . .	2 725	5,0
ბოლნისის წყალი . . . . .	1 996	3,7
შულავრის წყალი . . . . .	1 902	3,6
დანარჩენი წვრილი მდინარეები და წყაროები . . . . .	788	1,5
<b>სულ . . . . .</b>	<b>53 497</b>	<b>100,0</b>

სამი მდინარე—მტკვარი, ხრამი და დებედა აწოდებს წყალს მთელი სარწყავი მიწების 74,0%-ს, დანარჩენი მდინარეები კი რწყავენ ერთ მეოთხედზე ცოტა მეტს. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში თავთავიანი კულტურები ირწყვის 2—4-ჯერ, ბოსტნეული და ტექნიკური 4—8-ჯერ და სათოხნი კულტურები 3—4-ჯერ. საგანაფხულო-საზაფხულო რწყვა იწყება დაახლოებით 1—ლ აპრილს და გრძელდება სექტემბრის პირველ რიცხვებამდე. სამემოდგომო რწყვა წარმოებს ოქტომბერსა და ნოემბერში.

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული სარწყავი სისტემების გაფართოება-რეკონსტრუქციასთან. ჯერ-ერთი, აუცილებელია არსებული პრიმიტიული არხების შეცვლა თანამედროვე საინჟინერო ხელოვნების მიხედვით ნაგები სარწყავი სისტემებით, რათა მთლიანად იქნეს უზრუნველყოფილი ამჟამად არსებული სარწყავი ფართობები წყლით. საქმე იმაშია, რომ არსებული სარწყავი ფართობების დიდი ნაწილი წყლით უზრუნველყოფილია მხოლოდ შემოდგომა-გაზაფხულის პერიოდში. ზაფხულში წყლის ნაკლებობის გამო, ამ ფართობებზე არ შეიძლება გაშენდეს ინტენსიური ტექნიკური და სხვა კულტურები, აგრეთვე მრავალწლიანი ნარგავები. ამრიგად, მიწათმოქმედების შემდგომი ინტენსიფიკაცია ქვემო ქართლში მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია სარწყავი სისტემების გაუმჯობესებით. მეორეც, მყარი მოსავლის მიღებისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით საჭიროა მორწყულ იქნეს ახალი ფართობები წინამთებსა და ზეგანზე, რაც საშუალებას მოგვცემდა გაცილებით მეტი ოდენობით გვეწარმოებინა აქ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ მეექვსე ხუთწლედში 40 ათასი ჰექტარით სარწყავი ფართობების გადიდებას საქართველოში [8] მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდება ამ მიმართულებით ქვემო ქართლშიც, რაც დიდად შეუწყობს ხელს აქ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

**მარცვლეულის მეურნეობა**

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მარცვლეულის მოყვანას უკავია.

მეურნეობის ეს დარგი სწრაფად ვითარდებოდა ქვემო ქართლში როგორც ომამდელი ხუთწლედების მანძილზე, ისე ომისშემდგომ პერიოდში, რის შედეგადაც მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკაში პურის წარმოების გაზრდის საქმეში და ხელი შეუწყო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში სოფლის მეურნეობის დანარჩენი დარგების აღმავლობას.

1923 წელს მარცვლეულის ნათესების საერთო ფართობი ქვემო ქართლში შეადგენდა 38 210 ჰექტარს, 1940 წ. — 77 426 ჰას, 1953 წ.—114 707 ჰას, ხოლო 1954 წ. 94.358 ჰას. მიუხედავად იმისა, რომ 1954 წელს წინა წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა მარცვლეულის ნათესი ფართობები, ამ წლის

მაჩვენებელი მაინც სჭარბობს თითქმის 2,5-ჯერ 1923 წლის მონაცემს და ბევრად აღემატება 1940 წლის დონეს. ამასთან ერთად მარცვლეულის ნათესები საკვლევ რაიონში უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მთელ რესპუბლიკაში, რის შედეგადაც ქვემო ქართლის ამ სახის ნათესების ხვედრი ოდენობა საქართველოს ანალოგიურ ნათესებში ოცდაათი წლის მანძილზე გაიზარდა 8,2%-დან 13,1%-მდე. დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ მარცვლეულის ნათესების ზრდას არ მოჰყოლია უფრო ძვირფასი ტექნიკური კულტურების, აგრეთვე ბოსტნეულ-ბაღიჩეულის და კარტოფილის ნათესების ხვედრი ოდენობის შემცირება მთელ ნათესებში. პირიქით, მარცვლეულის ნათესებზე უფრო სწრაფად იზრდებოდა აღნიშნული კულტურების და ნათესი ბალახების ფართობები, რის შედეგადაც ამ კულტურების ხვედრი ოდენობა ნათესებში გაიზარდა 1923—1954 წლებში 3,5%-დან 22,6%-მდე. ეს ფაქტი ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის გაუმჯობესების ერთ-ერთი სერიოზული მაჩვენებელია და მის მზარდ ინტენსიფიკაციას გამოხატავს.

ქვემო ქართლის მარცვლეულის მეურნეობის ძირითადი ნაწილი საკულმურნეო სექტორს ეკუთვნის. 1953 წელს საკვლევ რაიონში კოლმეურნეობებს ეთესათ მარცვლეული 107 221 ჰა ანუ მარცვლეულის მთელი ნათესების 93,5%, საბჭოთა მეურნეობებს—1.158 ჰა (1,0%), კოლმეურნეებს საკარმიდამო ნაკვეთებზე — 5989 ჰა (5,2%), მუშა-მოსამსახურეებს—339 ჰა (0,3%).

მარცვლეული კულტურებიდან აქ გავრცელებულია ძირითადად ხორბალი, ქერი და სიმინდი; ხორბალი და ქერი ითესება როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის. დანარჩენი თავთავიანი კულტურებიდან ითესება ასლი და


ცხრილი 4

მარცვლეულის ნათესი ფართობები ქვემო ქართლში 1953 წელს (ჰექტობით)

ადმინისტრაციული რაიონები	სულ მარცვლეულის ნათესები	მ ა თ შ ო რ ი ს						დანარჩენი მარცვლეული და პარკოსანი
		შემოდგომის ხორბალი	გაზაფხულის ხორბალი	შემოდგომის ქერი	გაზაფხულის ქერი	სიმინდი		
გარდაბნის	აბს.	8 275	6 752	18	164	136	1 155	50
	%/0	100	81,6	0,2	2,0	1,6	13,9	0,7
მარნეულის	აბს.	30 709	24 927	—	620	—	4 997	165
	%/0	100	81,2	—	2,0	—	16,3	0,5
ბოლნისის	აბს.	17 088	13 434	—	204	69	2 840	541
	%/0	100	78,6	—	1,2	0,4	16,6	3,2
თეთრი წყაროს	აბს.	26 895	21 174	643	452	808	3 368	450
	%/0	100	78,7	2,4	1,7	3,0	12,5	1,7
დმანისის	აბს.	13 122	7 981	291	194	1 651	1 507	1 498
	%/0	100	60,8	2,2	1,5	12,6	11,5	11,4
წალკის	აბს.	18 618	2 255	11 883	—	3 492	—	1 088
	%/0	100	12,1	63,8	—	18,2	—	5,9
სულ ქვემო ქართლში	აბს.	114 707	76 523	12 835	1 634	6 056	13 867	3 792
	%/0	100	66,7	11,2	1,4	5,3	12,1	3,3
სულ რესპუბლიკაში	აბს.	875 369	413 115	39 263	5 185	44 740	348 823	24 243
	%/0	100	47,2	4,5	0,6	5,1	39,8	2,8
ქვემო ქართლი პროცენტობით რესპუბლიკის მიმართ		13,1	18,5	32,7	31,5	13,5	4,0	15,6

უმნიშვნელო რაოდენობით შერია და ღომი. შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი პარკოსანი კულტურები, რომელთაგან მხოლოდ ლობიოს უკავია რამდენადმე შესამჩნევი ადგილი. ძირითადი მარცვლეული კულტურების განლაგება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით 1953 წელს შემდეგ სურათს იძლევა:

პირველ ყოვლისა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის მარცვლეულის მეურნეობის უინაგანი სტრუქტურა საკმაოდ განსხვავდება რესპუბლიკის მარცვლეულის ნათესების შედგენილობისაგან. ხორბალს (შემოდგომის+გაზაფხულის) ქვემო ქართლის მარცვლეულის ნათესებში უჭირავს 77,9%, ხოლო რესპუბლიკაში—51,7%, სიმინდის ნათესებში კი, პირიქით, შებრუნებული თანაფარდობაა—ქვემო ქართლში რამდენჯერმე ნაკლებია ამ კულტურის ხვედრი მოცულობა, ვიდრე მთლიანად საქართველოში. ამავე დროს საგრძნობლად უახლოვდება ერთმანეთს რესპუბლიკაში ქერის (შემოდგომის+გაზაფხულის) და დანარჩენი მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ნათესების ხვედრი ოდენობა საკვლევი რაიონის ანალოგიურ მაჩვენებელს. აქედან ჩანს, რომ ქვემო ქარ-




ნახ. 4. მარცვლეული კულტურების ნათესების სტრუქტურა 1953 წ. ქვემო ქართლში (%/პო-ით)

თლის მარცვლეულ მეურნეობაში მთავარია ხორბლის მოყვანა, მაშინ, როდესაც მთლიანად საქართველოში ხორბალთან ერთად სიმინდსაც ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. 1953 წელს ქვემო ქართლზე მოდიოდა რესპუბლიკის ხორბლის მთელი ნათესების 19,7%, ქერის ნათესების—15,3% და სიმინდის—39%. ამრიგად, ამ რაიონს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ხორბლის და ქერის წარმოებაში, ხოლო სიმინდის მოყვანა აქ შედარებით სუსტადაა განვითარებული.

წამყვან მარცვლეულ კულტურას ქვემო ქართლში შეემატა ღომის ხორბალი წარმოდგენს; მასზე მოდიოდა 1953 წელს მარცვლეულის ნათესი ფართობების ორი მესამედი (66,7%). ამ ძვირფასი მარცვლეული კულტურის მალალი ღირსების გამო და მისი გავრცელებისათვის ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილში კარგი ეკოლოგიური პირობების არსებობის შედეგად იგი მტკიცედაა აქ დამკვიდრებული და მხარის ერთ-ერთ სპეციალიზებულ კულტურას წარმოადგენს. თუ 1950—1954 წლებში ქვემო ქართლის მარცვლეულის საერთო ნათესების ხვედრი წონა მთელი რესპუბლიკის ანალოგიურ ნათესებში 10-13%-ის ფარგლებში რხევადობდა, საკვლევ რაიონზე მოდიოდა რესპუბლიკაში დათესილი შემოდგომის ხორბლის 17-18%, ანუ ერთ მეექვსედზე მეტი.

ყველაზე დიდი ფართობები შემოდგომის ხორბალს ქვემო ქართლის ვაკეზე უჭირავს, სადაც იგი სარწყავი მიწებზე მოჰყავთ. მარნეულის ველის უდიდესი ნა-

შემოდგომის ხორბლის ნათესების განლაგება  
ქვემო ქართლში 1953 წელს




ნახ. 5

წილი დაფარულია შემოდგომის ხორბლის ნათესებით; ეს ნათესები დაახლოე-  
 ბით თანაბრადაა განლაგებული ველის ყველა ნაწილში. მისთვის აქ იმდენად  
 ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები არსებობს, რომ ამ ველზე სხვა თავთა-

ვიანი კულტურები თითქმის არ ითვისებდა. განსაკუთრებით გადიდდა შემოდგომის ხორბლის ფართობები მარნეულის და გარდაბნის რაიონებში უკანასკნელ წლებში. თუ 1940—1950 წლებში მისი ნათესები მარცვლეულ კულტურებში აქ 55—65%-ს არ აღემატებოდა, 1953—1954 წლებში ეს მაჩვენებელი 80—82%-მდე გაიზარდა. რამდენადმე ნაკლები ხედრითი ფართობები უკავია შემოდგომის ხორბალს ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონებში. წალკა-დმანისის ზეგანის ყველაზე მაღალ ნაწილში—წალკის ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე—1954 წლიდან სრულიად შეწყდა შემოდგომის ხორბლის თესვა, რადგან აქაური მკაცრი ჰაერის პირობებში ამ კულტურის ნათესები ხშირად იღუპებოდა ყინვების შედეგად. რაც შეეხება უფრო დაბალი ჰიფსომეტრული მდებარეობის მქონე ზეგნის სამხრეთ ნაწილს, აქ ჰავა უფრო ზომიერია და შემოდგომის ხორბალი იშვიათად ზიანდება ზამთარში. ამის გამო დმანისის ადმინისტრაციული რაიონის უდიდესი ნაწილისათვის შემოდგომის ხორბალი ძირითად მარცვლეულ კულტურას წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ბუნებრივი პირობების შესაბამისად, შემოდგომის ხორბლის ნათესი ფართობები თანდათან მცირდება ქვემო ქართლის ვაკიდან წალკა-დმანისის ზეგნისაკენ და ზეგნის მაღალ ნაწილში სავსებითაც კი წყდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მიმართულებით ეცემა ამ კულტურის მოსავლიანობაც. ამავე დროს, მორწყვის წყალობით ვაკეზე მოსავალი მყარია, დანარჩენ ტერიტორიაზე კი, გვალვისა და ნაწილობრივ ყინვების ზეგავლენით, ზოგჯერ საშუალოზე ბევრად ნაკლებ მოსავალს იღებენ.

ცხადია, მოსავლიანობის გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხორბლის შესაფერი ჯიშების შერჩევას, ნათესებში სასუქების შეტანას და, საერთოდ, მაღალი აგროტექნიკის დანერგვას. მაღალი მოსავლიანობით და რიგი



სურ. 1. ხორბლის ნათესები მდ. მაშავერას ზეობაში (ბოლნისის რაიონი)

დადებითი მხარეებით გამოირჩევა შემოდგომის ხორბლის ახალი ჯიში „ნოვო-უკრაინკა“, რომელიც უკანასკნელ წლებში საკმაოდ სწრაფად ვრცელდება ქვემო ქართლში. განსაკუთრებით ვაკესა და მთისწინეთში.

ამჟამად ქვემო ქართლში ყველაზე უფრო გავრცელებულ შემოდგომის ხორბლის ჯიშს შეადგენს ადგილობრივი დოლის პური, რომელიც კარგადაა შეგუე-

ბული როგორც ვაკის, ისე ზეგნის ბუნებრივ პირობებს; გარდაბნის რაიონში ძირითადად ე. წ. ველის დოლის პური ითესება, ხოლო დმანისში—მთის დოლის პური. დანარჩენ რაიონებში თესენ აგრეთვე „ფერიგენიუმ—9704/2“, შავფხას და ნაწილობრივ თავთუხს. პურის მაღალმოსავლიანი ჯიშების შერჩევისა და დანერგვის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მარნეულის რაიონის სოფ. ქუთოლარში არსებული თესლთა გამოცდის სადგური. მოსავლიანობის გაზრდის მიზნით გავრცელებულია ნათესებში მინერალური სასუქების შეტანა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ღონისძიება ჯერ-ჯერობით სუსტადაა გატარებული და ნათესების საგრძნობი ნაწილი სასუქებით არ ნოყიერდება.

შემოდგომის ხორბლისაგან განსხვავებით გაზაფხულის ხორბალი უფრო მოკლე სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ასწრებს მოსვლას და ამიტომ იგი გავრცელებულია ისეთ ზონებში, სადაც საკმაოდ მკაცრი ჰავა და გრძელი ზამთარი იცის.

ამის გამო გაზაფხულის ხორბალი ითესება ძირითადად წალკის ზეგანზე, უმნიშვნელო რაოდენობით—წინამთებში და სრულებით არ ითესება მარნეულ-გარდაბნის ველზე. წალკის ადმინისტრაციული რაიონის კოლმეურნეობებისათვის ხორბლის ამ სახეს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც შემოდგომის ხორბალს გარდაბნისა და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობებისათვის. თუ 1954 წელს მთელ ქვემო ქართლში გაზაფხულის ხორბლის ჰეკტარის ფართობები მარცვლეულის ნათესებში 11%-ს არ აღემატებოდა, წალკის რაიონში ეს მაჩვენებელი 65%-ს შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლი გაზაფხულის ხორბლის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი რაიონია საქართველოში. ამ მხარეზე მოდიოდა 1953 წელს რესპუბლიკაში არსებული გაზაფხულის ხორბლის ნათესების თითქმის ერთი მესამედი—32,7%.

პურის ძირითად მწარმოებელს ქვემო ქართლში კოლმეურნეობები შეადგენენ. მათზე მოდიოდა 1953 წელს ხორბლის ნათესების 97,2%, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ეთესა 2,1%, საბჭოთა მეურნეობის ფართობებზე—0,6%, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა ნაკვეთებზე—0,1%. ხორბლის ნათესები კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ყველაზე მეტადაა გავრცელებული თეთრი წყაროს რაიონში, რადგან აქ ურწყავ მიწებზე სათონი კულტურები ხშირად ზიანდება გვალვის გამო ივლის-აგვისტოს თვეებში, ხორბალი კი ასწრებს მოსვლას.

მსგავსად, შემოდგომის ხორბლისა, შემოდგომის ქერიც უფრო ზომიერი ჰავის პირობებშია გავრცელებული. ამიტომ მისი ნათესები მეტია მარნეულ-გარდაბანში, უფრო ნაკლები—თეთრი წყაროს, ბოლნისის და დმანისის რაიონებში და სრულებით არაა წალკაში. ქერს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თესენ, როგორც ძირითად საფურაჟე კულტურას. გარდა იმისა, რომ იგი პირუტყვისათვის საუკეთესო კონცენტრულ საკვებად ითვლება, მას ახასიათებს სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ კარგი გამძლეობა და მაღალი მოსავლიანობა. ყოველივე ამის გამო ეს კულტურა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული 1940—1950 წლებში ქვემო ქართლის ვაკეზე, მაგრამ უკანასკნელ წლებში საფურაჟე კულტურებს აღარ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება და ამის შედეგად 1953 წელს გარდაბან-მარნეულში შემოდგომის ქერი მარცვლეულის ნათესების 2%-ს არ აღემატებოდა, ხოლო მთლიანად ქვემო ქართლში კიდევ უფრო ნაკლები იყო (1,4%). 1954 წლიდან უკვე დაისახა გარდატეხა და შემოდგომის ქერის ნათესები კვლავ ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს. 1953 წელს შე-

შოდგომის ქერის ნათესები ქვემო ქართლში შეადგენდა რესპუბლიკაში ამ კულტურის ნათესების 31,5%-ს. აქედან ჩანს, რომ ეს კულტურა საკმაოდ სუსტადაა გავრცელებული არა მარტო ქვემო ქართლში, არამედ მთლიანად საქართველოშიც.

უფრო ფართო გავრცელება აქვს ქვემო ქართლში გაზაფხულის ქერს, რომლის ნათესები თითქმის არ გვხვდება მარნეულ-გარდაბნის ვაკეზე, მაგრამ სწრაფად იზრდება ზეგნის მიმართულებით, აღწევს რა წალკის რაიონის კოლმეურნეობებში მარცვლეულის ნათესების 20—30%-ს: აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში გაზაფხულის ქერი მარცვლეულის ნათესებში იგივე პროპორციითაა გავრცელებული, როგორც საშუალოდ მთელ საქართველოში. წალკადმანისის ზეგანი თავისი აგროკლიმატური მონაცემებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის გაზაფხულის ქერის მოყვანისათვის, რის შედეგადაც ეს კულტურა აქ საკმაოდ კარგ მოსავლს იძლევა.

ქერის მოყვანაში წამყვანი ადგილი კოლმეურნეობებს უკავიათ. ამ კულტურის ნათესების 90% 1953 წელს საკოლმეურნეო მიწებზე იყო განლაგებული; კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ეთესა—7,9%, საბჭოთა მეურნეობებში—1,7%, მუშა-მოსამსახურეთა ნაკვეთებზე კი—0,4%.

მნიშვნელოვან მარცვლეულ კულტურას ქვემო ქართლში შეადგენს სიმინდი. იგი სითბოს მოყვარული მცენარეა და საკმაოდ ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი აქვს, ამიტომ წალკის ზეგანზე სიმინდი ყოველთვის ვერ ასწრებდა მოსვლას და აქ იგი უკანასკნელ დრომდე არ ითესებოდა. დმანისის ადმინისტრაციული რაიონის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილშია ამ კულტურის შედარებით მოზრდილი ფართობები, რაიონის დანარჩენ ტერიტორიაზე კი თითქმის არ გვხვდება. სამაგიეროდ რაც უფრო დაბლა ვეშვებით ზეგნიდან ვაკისაკენ, მით უფრო ხშირია სიმინდის ნათესები და თვით მარნეულის ველზე მისი როგორც აბსოლუტური, ისე ხვედრითი ფართობები მაქსიმუმს აღწევს. თუ გავთვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სიმინდი ფართობის ერთეულზე დიდი რაოდენობით იძლევა მარცვალს და ეს უკანასკნელი წარმოადგენს როგორც სასურსათო პროდუქტს, ისე ძვირფას კონცენტრიულ საკვებს, ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში ყოველმხრივ გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ამ კულტურის ნათესების გაფართოება. ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზს სიმინდის ნათესების ზრდაში წარმოადგენს მისი უფრო დიდი შრომატევადობა, ვიდრე თავთავიანი კულტურებისა. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიმინდის მოყვანაში მექანიზაციის მაქსიმალურ დანერგვას.

1954 წელს დიდად გაფართოვდა ქვემო ქართლში სიმინდის მოყვანის მექანიზაცია. გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებმა სიმინდის ფართობების დიდი ნაწილი (50—60%) ამ წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით დაათესეს და მნიშვნელოვან ფართობებზე ორმხრივი კულტივაცია ჩატარეს, რის შედეგადაც მუშახელის საგრძნობი ეკონომია გასწიეს.

გარდაბნის და მარნეულის რაიონებში სიმინდი ძირითადად სარწყავ მიწებზე ითესება, ხოლო ბოლნისის რაიონში—ნაწილობრივ. თეთრი წყაროს და დმანისის რაიონებში კი ამ კულტურას ურწყავი ფართობები უკავია. ამის გამო თეთრი წყაროს რაიონში სიმინდის დაბალ მოსავლს იღებენ, რადგან გვალვა მარცვლეული ნათესებთან ყველაზე მეტად აზიანებს სათოხნ კულტურებს. სიმინდის დაბალი მოსავლიანობის ძირითადი მიზეზი მთელ რივ კოლმეურნეობებში ნათესების ცუდი მოვლა-პატრონობაა.



აღსანიშნავია, რომ დადგენილი აგროტექნიკური პირობების დაცვის თხევებაში სიმინდი ქართლში მაღალ მოსავალს იძლევა. 1953 წელს მარნე-ულის რაიონის შულაერის მტს-ის მომსახურების ზონაში სიმინდის ნათესების კარგად დამუშავების შედეგად ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავალმა 38 ცენტნერს მიაღწია. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ კოლმე-ურნეობებს.

სიმინდის ყველაზე უფრო გავრცელებულ ჯიშებს ქვემო ქართლში წარმო-ადგენს ადგილობრივი „კაჟოვანა“—თეთრი და ყვითელი, „მინეზოტა-ექსტრა-13“, კარგ მოსავალს იძლევა აგრეთვე „ჩრდილოეთის დაკოტა“ და რიგი სხვა-ჯიშები.

სიმინდის მოყვანაში, ისე როგორც ხორბლისა და ქერის წარმოებაში, წამ-ყვანი ადგილი საკოლმეურნეო სექტორს უკავია, თუმცა ამ მარცვლეულის ნა-თესებში გაცილებით მეტია კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების ხვედრი-ოდენობა, ვიდრე თავთავიანი კულტურების ფართობებში. 1953 წელს სიმინდის მთელი ნათესების 76,9% მოდიოდა საკოლმეურნეო სექტორზე, 21,3%—კოლმე-ურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, 0,2%—საბჭოთა მეურნეობებზე და 1,6%—მუშა-მოსამსახურეებზე. აღსანიშნავია, რომ სიმინდს საკარმიდამო ნაკვეთებზე კოლმეურნეები თესენ უმთავრესად მარნეულს, ბოლნისის და გარდაბნის რაი-ონებში, სადაც ამ ნათესებისათვის იყენებენ სარწყავ ფართობებს.



სურ. 2 სიმინდის ნათესები ბოლნისის რაიონის სოფ. რატევის კოლმეურ-ნების საკარმიდამო ნაკვეთებზე

მარცვლეულის მოსავლის გადიდებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმა-ვლობის ამოცანები რომ წარმატებით გადაიჭრას, აუცილებელია უფრო ფარ-თოდ გავრცელდეს ქვემო ქართლში სიმინდის კულტურა. საჭიროა გაიზარდოს მისი ნათესი ფართობები საკვლევი რაიონის ყველა ნაწილში და მათ შორის წალკა-დმანისის ზეგანზეც. გამოყენებული უნდა იქნეს გარდაბნისა და მარნე-ულის რაიონებში სიმინდის ნაწვერალზე თესვის შესაძლებლობა. აუცილებე-ლია დაინერგოს სიმინდის როგორც მარცვლად მოყვანა, ისე მისი დაბაზებული (რძისებ-ცვილისებრ) მდგომარეობაში მიღება და დაკონსერვება.





გარდა ზემოაღნიშნული ძირითადი მარცვლეული კულტურებისა, ქვემო ქართლში გავრცელებულია აგრეთვე შემდეგი მარცვლეული-პარკოსანი კულტურები: ასლი (საბურღლულ თავთავიანი მცენარეა), ლობიო, შვრია, ლომი და მუხუღო. ყველა ამ კულტურის ნათესი ფართობი 1953 წელს შეადგენდა 3792 ჰას, ანუ მარცვლეული ნათესების 3,3%-ს. აღსანიშნავია, რომ ლობიო სუფთა ნათესების გარდა, ითესება აგრეთვე შერეული სახით, სიმინდთან ერთად. იგი ქვემო ქართლის ვაკესა და წინამთების ზონაშია უმთავრესად გავრცელებული და ნაწილობრივ დმანისის რაიონში, წალკაში კი მკაცრი კლიმატის გამო ლობიო არ ითესება. სამაგიეროდ ზეგანზე ფართოდაა გავრცელებული ასლი, რომელიც სხვა თავთავიან კულტურებთან შედარებით უკეთაა შეგუებული აქაურ ჰავას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ მეექვსე ხუთწლედში მარცვლეულის წარმოების ზრდას საქართველოში 30%-ით. ამ ამოცანის გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვემო ქართლის მარცვლეულის მეურნეობამ.

ნიდაგის ნაყოფიერებისა და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენს მემინდვროებაში თესვის დანერგვა. 1954 წლის მანძილზე ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში მიმდინარეობდა მიწათმოწყობის სამუშაოები იმ მიზნით, რომ ფართოდ დაინერგოს ამ კოლმეურნეობებში თესლბრუნვა. მემინდვროებაში თესლბრუნვის გატარება, სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი და თავთავიანი კულტურების ვიწრო მწკრივად და ჭვარედინად თესვა, მორწყვის რაციონალური მეთოდის დანერგვა, მინერალური და ორგანული სასუქების ფართოდ გამოყენება და ძირითად მინდვრის სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაცია ექვი არ არის უდიდეს ბიძგს მისცემს ქვემო ქართლის მარცვლეულის მეურნეობას და მას განვითარების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას შეუქმნის.

### ტექნიკური კულტურები

სახალხო მოხმარების საგნებისა და კვების პროდუქტების სიუხვის შექმნაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის ტექნიკური კულტურების ფართოდ დანერგვას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწრაფმზარდი მსუბუქი და კვების მრეწველობა აუცილებელი ნედლეულით.

როგორც რევოლუციამდელ პერიოდში, ისე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რიგი წლების მანძილზე, ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ბამბის მოყვანას. მაგრამ ჩვენი მრეწველობისათვის საჭირო გრძელბოჭკოიანი ბამბისათვის აქ არ არსებობს ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები და უკანასკნელ წლებში ბამბის კულტურას ქვემო ქართლში აღარ მისდევენ.

ტექნიკური კულტურებიდან ამჟამად საკვლევ რაიონში გავრცელებულია თამბაქო, მხესუმზირა და ეთერზეთოვანი მცენარეები; 1940 წ. 4873 ჰექტარიდან ტექნიკური კულტურების საერთო ნათესები ქვემო ქართლში 1950 წლისათვის 4968 ჰექტარამდე გაიზარდა, მაგრამ შემდგომი სამი წლის მანძილზე ეს ფართობი მკვეთრად შემცირდა და 1953 წელს შეადგენდა მხოლოდ 2063 ჰექტარს. ცხრილი 5 გვიჩვენებს ამ ფართობის განაწილებას ცალკე კულტურებსა და ამინისტრაციულ რაიონებს შორის.

ტექნიკური კულტურების საერთო ფართობის 95,1% უკავია მხესუმზირასა და თამბაქოს. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის მასშტაბითაც ეს ორი კულტურა

ტექნიკური კულტურების ფართობები ქვემო ქართლში 1953 წელს (ჰექტრებით)

ადმინისტრაციული რაიონები	ტექნიკური კულტურების მთელი ფართობი	მ ა თ შ ო რ ი ს			
		მხესუმ-ზირა	თამბაქო	ეთერზეთოვანი კულტურები	დანარჩენი ტექნიკური კულტურები
გარდაბნის	აბს. 57 %/0/0 100	—	20	—	37
მარნეულის	აბს. 948 %/0/0 100	19	900	25	649
თეთრი წყაროს	აბს. 1 016 %/0/0 100	2,0	94,9	2,6	4
წალკის	აბს. 42 %/0/0 100	—	—	—	0,5
სულ ქვემო ქართლში	აბს. 2 063 %/0/0 100	1 035	927	25	76
სულ საქართველოში	აბს. 43 077 %/0/0 100	24 591	11 093	1 371	6 022
ქვემო ქართლი პროცენტობით საქართველოს მიმართ . . . . .	4,8	4,2	8,4	0,5	1,2

რაა წამყვანი აღნიშნული სახის ნათესებში (82,9%). თუ ამჟამად ქვემო ქართლის ტექნიკური კულტურების ნათესების ხვედრი ოდენობა საქართველოს ანალოგიურ ნათესებში არ აღემატება 4,8%-ს, 1940 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 9,4%-ს და 1950 წელს—11,6%-ს. ამრიგად 1951—53 წლებში საქართველოს ტექნიკური კულტურების წარმოებაში ქვემო ქართლის ხვედრი წონა შემცირდა 2,4-ჯერ, რაც შედეგი იყო ამ რაიონში პურის ნათესების გაფართოებისა უფრო ძვირფასი ტექნიკური კულტურების ხარჯზე. 1954 წლიდან მდგომარეობა გამოსწორდა და დაიწყო პირიქითი პროცესი: მარცვლეულის ფართობების ნაწილობრივ შემცირების ხარჯზე ტექნიკური კულტურების კვლავ გაფართოება. ამასთანავე ერთად, გაიზარდა უფრო ძვირფასი კულტურების, თამბაქოს და ეთერზეთოვანი მცენარეების ხვედრი წონა. 1954 წელს ქვემო ქართლში დაითესა უკვე 1603 ჰა თამბაქო და 135,4 ჰა ეთერზეთოვნები (მათ შორის რეჰანი—107 ჰა, ყაზანლიყის ვარდი — 24,4 ჰა და გერანი — 4 ჰა). მთლიანად კი ქვემო ქართლში ტექნიკური კულტურების ფართობები შეადგენდა 1954 წელს 2879,5 ჰას, ანუ ამ რაიონის მთელი ნათესი ფართობების 2,4%-ს, ნაცვლად 1953 წლის 1,5%-ისა. უახლოესი წლებში კიდევ უფრო გაიზარდება საკვლევ რაიონში ტექნიკური კულტურების მოყვანა.

ყურადღებას იქცევს ტექნიკური კულტურების ზედმიწევნით ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი გეოგრაფიული განლაგება ქვემო ქართლში. ექვსი ადმინისტრაციული რაიონიდან სამრეწველო დანიშნულების პლანტაციები მდებარეობს მხოლოდ მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონებში. გარდაბნისა და წალკის რაიონებში ამ კულტურების უმნიშვნელო ნათესები განკუთვნილია მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისათვის; ბოლნისის და დმანისის რაიონებში კი 1953—1954 წლებში სრულიად არ ითესებოდა ტექნიკური კულტურები.

თ ა მ ბ ა ქ ო ს სამრეწველო დანიშნულების პლანტაციები არსებობს მარნეულის ვაკის სარწყავ მიწებზე. ეს პლანტაციები მთლიანად საკომერტურნო მიზნდერებზეა განლაგებული, თითქმის თანაბრად ველის ყველა ნაწილში. თამბა-



ქო ძალზე შრომატევადი კულტურაა; მისი მოყვანა ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივია მექანიზებული. ეს კულტურა სავეგეტაციო პერიოდში რამდენჯერმე საჭიროებს კულტივაციას და მარნეულის ველის პირობებში 5-6 მორწყვას მოითხოვს. 1954 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უკვე დაიწყეს თამბაქოს ჩითილის მწკრივად სარგავი მანქანების გამოყენება, რაც მუშახელის საგარძნობ ეკონომიას იძლევა.



სურ. 3. თამბაქოს პლანტაცია და საშრობი ფარდული მარნეულის ველზე

ნოყიერი ნიადაგები, პლანტაციების კარგად დამუშავება, ნათესების დროული მორწყვა და მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენება ხელს უწყობს მარნეულში თამბაქოს მაღალი მოსავლის მიღებას. 1953 წელს რაიონის კოლმეურნეობებში ერთ ჰექტარ ფართობზე საშუალო მოსავალი შეადგენდა 20,1 ცენტნერს, ხოლო ცალკეულმა კოლმეურნეობებმა უფრო მაღალ მოსავალსაც მიაღწიეს.

ყაზანლიყის ვარდი, რეჰანი და გერანი მოჰყავთ მხოლოდ მარნეულის ველის სამხრეთ ნაწილში, მდინარე დებედას ორივე ნაპირის გასწვრივ მდებარე კოლმეურნეობათა სარწყავ მიწებზე. ყაზანლიყის ვარდის პლანტაციების საერთო ფართობი ამჟამად მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებში 25 ჰას არ აღემატება; აქედან 1953 წელს მოსავალს იძლეოდა მხოლოდ 16 ჰა. 1954 წელს აქ თითოეულ ჰექტარზე გევით გათვალისწინებული 1000 კგ ნაცვლად, 1340 კგ ვარდის ფურცელი მიიღეს.

ძვირფასი ეროვნული კულტურა გერანი მოჰყავთ 1954 წლიდან; ჯერჯერობით მას უკავია უმნიშვნელო ფართობი (4 ჰა), მაგრამ მომავალში იგი შესამჩნევად აღივსება დაიქვრის ეთერზეთოვანი კულტურებში. ამჟამად ყველაზე უფრო გავრცელებულია რეჰანი (БАЗИЛИК), რომლის გაშენებაც განაახლეს კოლმეურნეობებმა 1954 წლიდან და პირველ წელსვე დათესეს 107 ჰა.

ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანა დიდ შრომასა და მაღალ აგროტექნიკას მოითხოვს. ისე როგორც თამბაქოს მეურნეობაში, ამ კულტურების პლანტაციებზეც ჯერჯერობით ხელით შრომა სჭარბობს, მანქანებით მხოლოდ ნიადაგის წინასწარ დამუშავება წარმოებს.

ვარდის, გერანის და რეჰანის მოსავალი მთლიანად ბარდება შულავრის ეთეროვანი ზეთების საექსტრაქციო ქარხანას, რომელიც ნედლეულის გადამუშავების შედეგად მიღებულ ძვირფას პროდუქციას აწოდებს საპარაფიუმერია მრეწველობას.

ქვემო ქართლში გავრცელებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტექნიკურ კულტურას მ ზ ე ს უ მ ზ ი რ ა წარმოადგენს. იგი ძველ დროში აქ არ მოჰყავდათ და მხოლოდ საბჭოთა წლებში დაიკავა შესამჩნევად აღივსება ფართობებში.

მზესუმზირას სამრეწველო დანიშნულების ნათესები მხოლოდ თეთრი წყაროს ადმინისტრაციული რაიონის კოლმეურნეობებს აქვთ, დანარჩენ რაიონებში კი ეს კულტურა სასრულიად უმნიშვნელო რაოდენობითაა გავრცელებული და ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება.

თუ თამბაქო და ეთერზეთოვანი კულტურები მარნეულის რაიონში მთლიანად სარწყავ მიწებზეა განლაგებული, მზესუმზირა თეთრი წყაროს რაიონში ურწყავ ფართობებზე ითესება. აღსანიშნავია, რომ ზაფხულის გვალვები ცუდ გავლენას ახდენს ნათესებზე და მზესუმზირას საშუალო მოსავალი რაიონში მაღალი არ არის. 1953 წელს თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ 1 ჰექტარზე მზესუმზირას მოსავალი შეადგენდა 4,2 ცენტნერს; ამის გამო საჭიროა შესწავლილ იქნეს საკითხი, თუ რამდენად რენტაბელურია ქვემო ქართლის ურწყავ მიწებზე მზესუმზირას მოყვანა.

ქვემო ქართლში გავრცელებულ დანარჩენ ტექნიკურ კულტურებიდან შეიძლება აღინიშნოს სოია და საზეთე სელი<sup>1</sup>. თითოეული მათგანის ნათესები არ აღემატება 30—40 ჰას და განკუთვნილია ადგილობრივი მოხმარებისათვის. საზეთე სელი ითესება მხოლოდ წალკის რაიონში, სოია კი უფრო თეთრი წყაროს რაიონშია გავრცელებული.

### კარტოფილის და ბოსტნეულ-ბალჩეულის მშუკნივობა

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კარტოფილის და ბოსტნეულ-ბალჩეულს მეურნეობას. მებოსტნეობა, სარძეო მეცხოველეობასთან ერთად, საგარეუბნო მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დიდად დაწინაურდა კარტოფილის და ბოსტნეულ-ბალჩეულის წარმოებაში მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის ამოცანა სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას უყენებს სოფლის მეურნეობის ამ დარგს. უკანასკნელ წლებში კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოება აღარ შეესაბამებოდა სოციალისტური სოფლის

<sup>1</sup> საზეთე სელის გავრცელებას წალკაში აღნიშნავს ჯერ კიდევ ვახუშტი თავის წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იხ. 1941 წლის გამოცემა, გვ. 42.

მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპებს. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმმა სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდ ნაკლად მიიჩნია სერიოზული ჩამორჩენა კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, რაც ხელს უშლის ამ პროდუქტებით ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგებას. პლენუმმა დასახა ამოცანა, რომ უახლოესი ორი-სამი წლის მანძილზე ავიყვანოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება ისეთ ოდენობამდე, რაც სავსებით დააკმაყოფილებს არა მარტო ქალაქების, სამრეწველო ცენტრების და გადაამუშავებითი მრეწველობის მოთხოვნილებას, არამედ მეცხოველეობის საჭიროებასაც კარტოფილზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქვემო ქართლი ბოსტნეულ-ბალჩიელის და, განსაკუთრებით, კარტოფილის წარმოების ერთ-ერთ ძირითად რაიონად გადაიქცა საქართველოში. 1953 წლის ცნობებით საკვლევი რაიონზე მოდიოდა რესპუბლიკის კარტოფილის ნათესების 34%, ბოსტნეულის—14,2% და ბალჩიელის—24%. აღნიშნული კულტურების გავრცელებას ქვემო ქართლში ხელს უწყობს შემდეგი ძირითადი პირობები:

1. ხელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორები; კერძოდ, ვაკეში ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდის არსებობა და ცხელი ზაფხული, რაც სასარგებლოა ისეთი სითბომომყვარული მცენარეებისათვის, როგორცაა პამიდორი, კიტრი, ხახვი და სხვ. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ბოსტნეულ-ბალჩიელისათვის აქ არსებული ჰუმუსის დიდი ოდენობით შემცველ ალუვიალურ ნიადაგებს და ვაკეში ნათესების სარწყავი წყლით უზრუნველყოფას. ზეგანის გრილი ჰავა და შავმიწა ნიადაგები კი ხელს უწყობენ კარტოფილის და კომბოსტოს მოყვანას.

2. სახნავი მიწების შედარებით მაღალი ხვედრი წონა და მარცვლეული კულტურების ფართო გავრცელება უზრუნველყოფს მოსახლეობას ადგილობრივი პურით და საშუალებას აძლევს გამოჰყოს სათანადო ფართობები უფრო შემოსავლიანი სასაქონლო კულტურების გასაშენებლად. ამვე დროს, ეენახების და ტექნიკური კულტურების შედარებით სუსტი გავრცელება შესაძლებელს ხდის შრომითი რესურსები გამოყენებულ იქნეს მაღალი შრომატევადობის მქონე ბოსტნეულ-ბალჩიელის და კარტოფილის მეურნეობაში.

3. ქვემო ქართლის მებოსტნეობა-მებალჩიეობა და კარტოფილის მეურნეობა უზრუნველყოფილია პროდუქციის გასაღების ისეთი დიდი ბაზრით, როგორც თბილისი და რუსთავია. ორივე ეს ქალაქი ახლოს მდებარეობს ბოსტნეულ-ბალჩიელის წარმოების ცენტრებთან და დაკავშირებულია მათთან მოხერხებული სატრანსპორტო და საავტომობილო ტრანსპორტით, რაც შესაძლებელს ხდის მალეფუადი ბოსტნეული და სხვა პროდუქცია რაც შეიძლება ნაკლებ ხარჯითა და მცირე დანაკარგებით იქნეს მიტანილი მომხმარებელამდე.

ყოველივე ამან, ცხადია, უდიდესი შესაძლებლობანი შეუქმნა საკვლევი რაიონში მეურნეობის აღნიშნული დარგების განვითარებას არა მარტო თანამედროვე პირობებში, არამედ მომავლისათვისაც. შეიძლება დამბეჯითებით ითქვას, რომ სარძეო-სახორცე მიმართულების მეცხოველეობასთან ერთად, ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაში ყველაზე დიდი პერსპექტივა კარტოფილის და ბოსტნეულ-ბალჩიელის წარმოებას აქვს.

კარტოფილის, ბოსტნეულის და ბალჩიელის განლაგება ქვემო ქართლის სხვადასხვა ნაწილში, ისე როგორც დანარჩენი კულტურული მცენარეულობის გავრცელება, მკვეთრად გამოსახულ არათანაბარ ხასიათს ატარებს.

## ცხრილი 6

კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბალჩულის ფართობები ქვემო ქართლში 1953 წელს  
(ჰექტარობით)

რაიონები	კარტოფილი		ბოსტნეული		ბალჩული	
	ს უ ლ	მთ შორის კოლმეურნე- ბებში	სულ	მთ შო- რის კოლ- მეურნეო- ბებში	სულ	მთ შო- რის კოლ- მეურნეო- ბებში
გარდაბნის . . . . .	42	35	849	717	215	185
მარნეულის . . . . .	336	208	550	438	241	217
ბოლნისის . . . . .	399	208	226	185	182	179
თეთრი წყაროს . . . . .	1580	1235	245	212	52	52
დმანისის . . . . .	2468	2071	84	58	—	—
წალკის . . . . .	2693	2343	242	222	—	—
სულ ქვემო ქართლში	7518	6100	2196	1832	690	634
სულ საქართველოში .	21749	17815	15396	10449	2877	2520
პროცენტობით ქვემო ქართლი საქართვე- ლოს მიმართ	34,6	34,2	14,2	17,4	24,0	25,2

ცხრილიდან თვლნათლივ ჩანს, რომ კარტოფილის ნათესები უმნიშვნელოა გარდაბნის ველზე და მაქსიმალურია წალკის ზეგანზე.

კარტოფილი გრილი ჰავის მოყვარული კულტურაა [24, გვ. 13—14], ამიტომ მისი ისეთი ჯიშები, რომელთა სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა 100-120 დღეს აღემატება, ქვემო ქართლის ვაკეზე არ ითვისება. მცირე ფართობები აქ უჭირავს საადრეო ჯიშებს; მისი მოსავლის აღება უკვე მაის-ივნისში, ე. ი. დიდი სიციხეების დაწყებამდე წარმოებს (ეს ის კარტოფილია, რომელიც თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე ახალი მოსავლის მახარობლად გამოჩნდება ხოლმე, ხშირად მაისშიაც კი).


საკვლევ რაიონში კარტოფილის გავრცელების არათანაბრობის ასახსნელად დიდად საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლში ამ კულტურის გასაშენებლად ყველაზე ხელსაყრელი ჰავა და ნიადაგები სწორედ წალკა-დმანისის ზეგანზე არსებობს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ წალკის და დმანისის რაიონების კოლმეურნეობებში თითქმის არ არის გავრცელებული სხვა შრომატევადი კულტურები და შრომითი რესურსები თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული კარტოფილის მოყვანაზე.

ამ ხელსაყრელი პირობების გამო წალკა-დმანისის ზეგანზე კარტოფილი წამყვან კულტურად და კოლმეურნეთა შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გადაიქცა. წალკის რაიონს კარტოფილის წარმოებით პირველი ადგილი უჭირავს რესპუბლიკაში, ხოლო მეორე ადგილზე დმანისის რაიონი დგას. უახლოეს წლებში ამ კულტურის ნათესები ზეგანზე კიდევ უფრო გაფართოვდება; მხოლოდ წალკის ადმინისტრაციულ რაიონში 1954—1956 წლებში კარტოფილის ფართობების ყოველწლიური ნამატი დაახლოებით 1000 ჰექტარს შეადგენს. უკვე 1954 წელს, ნათესების საერთო შემცირებისა და კარტოფილის ფართობების მკვეთრად გადიდების შედეგად, ამ კულტურის ხვედრი ფართობები აღნიშნული რაიონის ნათესებში შეადგენდა 20,9%-ს, ნაცვლად წინა წლის 11,4%-ისა.

კარტოფილის საადრეო ჯიში გარდაბან-მარნეულის ვაკეზე ადრე გაზაფხულზე ითვისება და მაის-ივნისში უკვე წარმოებს მოსავლის აღება. ზეგანზე კი

თესვას აპრილ-მაისში აწარმოებენ, ხოლო მოსავალს სექტემბერ-ოქტომბერში იღებენ. ხშირად წალკაში კარტოფილის თესვა მაშინ მიმდინარეობს, როდესაც გარდაბანში უკვე ამ კულტურის მოსავალს იწევენ. ქვემო ქართლში კარტოფილის ნათესები ზოგჯერ გვალვისაგან ზარალდება. სწორედ ამ ძირითადი მიზე-

ქარქოფილის ნათესების განლაგება ქვემო ქართლში 1953 წელს.



ნახ. 6

ზის გამო არ ხერხდება წალკა-დმანისის ზეგანზე მყარი მოსავლის მიღება. 1949 წელს წალკის რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთ ჰექტარზე 147,9 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს, მაგრამ გვალვიან 1952 წელს საშუალო მოსავალმა 14 ცენტნერსაც კი ვერ გადააჭარბა; 1940—1953 წლებში მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 50—55 ცენტნერს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ცალკეული კოლმეურნეობები, რომლებსაც სარწყავი ფართობები აქვთ, საკმაოდ მაღალ და მყარ მოსავალს ღებულობენ, რაც პირდაპირ მიგვიითებებს ქვემო ქართლში კარტოფილის ნათესების მორწყვის აუცილებლობაზე.


ქვემო ქართლში კარტოფილის წარმოების შემდგომი აღმავლობა უშუალოდა დაკავშირებული აგრეთვე მეურნეობის ამ დარგის მექანიზაციასთან. ამისთვის კი საჭიროა გატარდეს კარტოფილის რგვის კვადრატულ--ბუდობრივი წესი, რაც ჭრადგვრობით არასაკმარისადაა დანერგილი.

კარტოფილის წარმოების გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგებში სასუქების სისტემატურ შეტანას და აგროტექნიკური წესების დაცვას.

1953 წელს კარტოფილის ნათესების 81,1% ქვემო ქართლში მოდიოდა კოლმეურნეობებზე, ხოლო 18,9% კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწებზე, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებზე. აღსანიშნავია, რომ კარტოფილს, როგორც მაღალმოსავლიან და შემოსავლიან კულტურას, საკმაოდ დიდი რაოდენობით თესენ კოლმეურნეები და მუშა-მოსამსახურეები საკარმიდამო ნაკვეთებზე, განსაკუთრებით თეთრი წყაროს, დმანისის და წალკის რაიონებში.

მე ბ ო ს ტ ნ ე ო ბ ა ქვემო ქართლში გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით. ყველაზე მეტად გავრცელებულია ხახვის, ნიორის და კომბოსტოს მოყვანა. მნიშვნელოვანი ფართობები უკავიათ აგრეთვე კიტრის, პამიდორის, სუფურის ჭარხლის, ბადრიჯნის, სტაფილოს წარგავ-ნათესებს.

პირველი ადგილი მებოსტნეობაში უკავია ხ ა ხ ვ ი ს და ნ ი ო რ ი ს მოყვანას. არც ერთი ბოსტნეული კულტურის ფართობით ქვემო ქართლს არა აქვს რესპუბლიკის ანალოგიურ ნათეს-წარგავეებში ისეთი დიდი ხვედრი წონა, როგორც ბოსტნეულს ამ სახით (30,0%). ხახვზე და ნიორზე მოდის საკვლევი რაიონის ბოსტნეულს სავსებით ფართობის თითქმის ერთი მეხამედი. აღსანიშნავია, რომ ამ კულტურათა ფართობები ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში კარტო-



ნახ. 7. ბოსტნეული კულტურების ნათესების სტრუქტურა ქვემო ქართლში (%-ით) 1953 წელს

ფილის ნათესების საწინააღმდეგო მიმართულებითაა გავრცელებული. ხახვის და ნიორის ძირითადი მწარმოებლები ქვემო ქართლში გარდაბნის და მარნეულის რაიონები არიან. ორივე რაიონის კოლმეურნეობებში ითესება ეს ბოს-



ტენული იმდენი, რამდენიც დაახლოებით მთელ დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ის ჩათვლით.

თავის ფართობით მეორე ადგილი კომბოსტოს ნარგავებს უკავიათ: კომბოსტო როგორც საბჭოთა ეკვიპირში, ისე საქართველოშიც ყველაზე მეტად გავრცელებული ბოსტნეულია. ეს კულტურა ნაკლებად მომთხოვნიანია სითბოსადმი და ამიტომ მის განლაგებას ქვემო ქართლში ძირითადად განსაზღვრავს კომბოსტოსთვის ხელსაყრელი ალუვიალური ნიადაგების გავრცელება, რის გამოც იგი უმთავრესად მდინარეთა ნოღების სარწყავ ფართობებზე ირგება. ამ მოთხოვნებს ყველაზე უკეთ აკმაყოფილებს ვაკის და ზეგნის პირობები, ამიტომ კომბოსტოც ქვემო ქართლის ამ ნაწილებშია ძირითადად გავრცელებული. 1953 წელს წალკის კოლმეურნეობებში კომბოსტოს საშუალო მოსავალმა ერთ ჰექტარზე 156 ცენტერი შეადგინა. მაშინ როდესაც გარდაბნის რაიონში იგივე მაჩვენებელი უდრიდა 49,3-ს და მარნეულში—71,7-ს.

თუ წალკა განთქმულია კომბოსტოს მაღალი მოსავლიანობით, გარდაბნის მარნეულის ველი ცნობილია, როგორც საადრეო კომბოსტოს ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელი საქართველოში.

ხახვსა და კომბოსტოსთან შედარებით უფრო ნაკლებადაა გავრცელებული კიტრი და პამიდორი. ქვემო ქართლზე მოდის რესპუბლიკის კოლმეურნეობების კიტრის ნათესების 18,8%, პამიდორის ნათესების კი მხოლოდ 7%. თვით ქვემო ქართლის ბოსტნეულის ნათეს-ნარგავებში კიტრს უკავია მესამე, ხოლო პამიდორს მეოთხე ადგილი. ორივე ეს კულტურა სითბომოყვარულია და ამიტომ, რაც უფრო მივიწევთ წინ ვაკიდან ზეგნისაკენ, მით უფრო ნაკლებად ვხვდებით მათ კოლმეურნეობათა ბოსტნებში. კერძოდ, წალკის ზეგანზე ზაფხულის სითბო საკმარისი არ არის. პამიდორის დამწიფებისათვის.

მნიშვნელოვან ადგილი ქვემო ქართლის მებოსტნეობაში უკავია სუფრის ქარხლისა და სტაფილოს მოყვანას. მათ მიერ დაკავებული ფართობები მართალია არ გამოირჩევა დიდი ხედრითი ოდენობით საკვლევი რაიონის მებოსტნეობაში (პირველზე მოდის 7%, მეორეზე კი—4,4%), მაგრამ აქ თავმოყრილია რესპუბლიკის სუფრის ქარხლის ნათესების 20,3% და სტაფილოს 19,0%. ორივე ეს კულტურა შედარებით ადვილად ეგუება როგორც ცხელ, ისე გრილ ჰავას და უფრო მეტად კომბოსტოს გავრცელების რაიონებშია განლაგებული.

დანარჩენი ბოსტნეული კულტურებიდან ქვემო ქართლში ითესება ბადრიჯანი, ბოლოკი, ნიახური, ოხრახუში, სალათა, წიწმბატი, წიწკა, ქინძი, ტარხუნა და სხვ. მათგან ყველაზე დიდი ფართობით და მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა ბადრიჯანი, რომელიც ძირითადად გარდაბნის რაიონში მოჰყავთ. ამ რაიონს რესპუბლიკაში პირველი ადგილი უკავია ბადრიჯნის წარმოებაში; იგი დიდ როლს ასრულებს თბილისის მოსახლეობის აღნიშნული პროდუქციით მომარაგებაში.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საკვლევი რაიონის მებოსტნეობაში დიდი ადგილი უკავია საკოლმეურნეო სექტორს. მასზე მოდის ქვემო ქართლის ბოსტნეულის ფართობების 83,4%, მაშინ როდესაც რესპუბლიკის მანუშაბით იგივე მაჩვენებელი შეადგენს 67,8%-ს. მარნეულის და განსაკუთრებით, გარდაბნის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში მებოსტნეობა-მეზღვრეობა მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია და საკმაოდ მაღალ დონეზეც დგას.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ბოსტნეულის საშუალო მოსავალი როგორც გარდაბნის, ისე დანარჩენი რაიონების კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ და-

ბალია და სრულიად არ შეესაბამება სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონეს. 1953 წელს ერთ ჰექტარზე ბოსტნეულის საშუალო მოსავალი კოლმეურნეობებში ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგს უდრიდა (ცენტნერობით): გარდაბანი—48,0; მარნეული—75,8; ბოლნისი—81,0; თეთრი წყარო—83; დმანისი—69,6; წალკა—108.

ბოსტნეულის მეურნეობა მაღალშემოსავლიანი დარგია, მაგრამ ამავე დროს დიდ დაოსტატებასა და ბევრი შრომის დახარჯვას მოითხოვს. კერძოდ, ქვემო ქართლის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნათეს-ნარგავების ხარისხიან და დროულ მორწყვას, ნიადაგებში როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქების საკმაო რაოდენობით შეტანას, ბოსტნების სისტემატურ გამარგვლას და, საერთოდ, მათ მოვლა-პატრონობას. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მეურნეობის ამ დარგში მექანიზაციის დანერგვას. ისე, როგორც სათოხნი კულტურების მოყვანაში, ამ მიმართულებით აქაც კვადრატულ-ბუდობრივმა და კვადრატულმა თესვა-რგვამ უნდა შეასრულოს თვალსაჩინო როლი. ასევე მნიშვნელოვანია საადრეო ბოსტნეულის მოყვანისათვის ჩითილის ნეშომპალა ქოთნებში გამოყვანა და სათბური მეურნეობის შემდგომი გაფართოება.

ბალჩეული კულტურებიდან ქვემო ქართლში მოჰყავთ საზამთრო, ნესვი და გოგრა. სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები ამ კულტურათა ნათესების შეთანწყობის შესახებ, მაგრამ ცნობილია, რომ ყველაზე მეტი ფართობი საზამთროს უკავია. ქვემო ქართლზე მოდის რესპუბლიკის ბალჩეული ნათესების დაახლოებით ერთი მეოთხედი (24%), რაც თავისთავად მაჩვენებელია მეურნეობის ამ დარგის საკვლევ რაიონში ფართოდ გავრცელებისა. ბალჩეული ძირითადად ქვემო ქართლის ვაკეზე ითესება, მცირე რაოდენობით—წინამთების ზონაში და სრულიად არ გვხვდება წალკა-დმანისის ზეგანზე. ბალჩეულის ნათესების უდიდესი ნაწილი კოლმეურნეობათა განზოგადოებულ მიწებზეა განლაგებული (91,9%) და, როგორც წესი, კარგ მოსავალს იძლევა. განსაკუთრებით მაღალ მოსავალს ღებულობენ მარნეულის რაიონის კოლმეურნეობები, სადაც 1953 წელს ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანეს 125,4 ცენტ ბალჩეული.

კარტოფილის და ბოსტნეულის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა ვათვალისწინებელია მეექვსე ხუთწლედში. სკკპ მეოცე ყრილობის დირექტივების თანახმად 1960 წლისათვის, 1955 წელთან შედარებით, კარტოფილის პროდუქცია უნდა გაიზარდოს 85%-ით, ხოლო ბოსტნეულის—118%-ით [8]. ამ ამოცანის შესრულებას დიდად შეუწყობს ხელს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა, და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 იანვრის ერთობლივი დადგენილება, რომელიც, მთელ რიგ მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად, ითვალისწინებს კოლმეურნეობების და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შექმნას, რაც მიღწეულია კარტოფილისა და ბოსტნეულის სახელმწიფო დამზადების და შესყიდვის ფასების 2-3-ჯერ გადიდებით. ცხადია ხსენებული ღონისძიებები ქვემო ქართლში მეკარტოფილეობის და მებოსტნეობა-მებალჩეობის განვითარების მძლავრ სტიმულს ქმნიან [9].

### საკვები კულტურები

საკვები კულტურები ქვემო ქართლში წარმოდგენილია მრავალწლიანი და ერთწლიანი ნათესი ბალახებით, საკვები ძირნაყოფით და ბალჩეულით, აგრეთვე სასილოსე კულტურებით. მრავალწლიანი ბალახებიდან ითესება სამყურა, იონ-

ჯა, კოინდარი, ესპარცეტი და ტიმოთელა; ერთწლიანი ბალახებიდან—ფიგი, სუ-  
დანურა, სორგო და სხვ. საკვები ძირნაყოფებიდან მოჰყავთ უმთავრესად ჭარხა-  
ლი. სასილოსე მწვანე მასის მისაღებად თესენ მზესუმზირას და სიმინდს.

ყველა აღნიშნული კულტურის გავრცელება მიზნად ისახავს, პირველ ყოვე-  
ლისა, მეცხოველეობის საკვები ბაზის გაძლიერებას—თივისა და წვნიანი საკვე-  
ბის მომარაგებას ზამთრისათვის. ამავე დროს, მრავალწლიანი ბალახები დიდ  
როლს ასრულებენ მიწის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში; ისინი ხელს უწყო-  
ბენ ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებას და ამიტომ აუცილებლად მონა-  
წილეობენ მინდვრის თესლბრუნვაში.

მსგავსად ტექნიკური კულტურებისა, საკვლევ რაიონში საკვები კულტუ-  
რებიც მთლიანად განზოგადოებულ სექტორშია განლაგებული. 1953 წელს ამ  
ნათესების 87,4% ეკუთვნოდა კოლმეურნეობებს, ხოლო 12,6%—საბჭოთა მეურ-  
ნეობებს.

ცხრილი 7  
საკვები კულტურების განლაგება ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში 1953 წელს  
(ჰექტრობით)

რაიონი	სულ საკვები კულ- ტურები	მ ა თ უ ო რ ი ს					
		მრავალწლია- ნი ბალახები	ერთწლია- ნი ბალა- ხები	სასილოსე ნათესები	საკვები ძირნაყო- ფი	საკვები ბალრეული	
გარდაბნის	აბს. 1092 % <sup>0</sup> / <sub>0</sub>	710 65,0	66 6,0	157 14,4	149 13,7	10 0,8	
მარნეულის	აბს. 2177 % <sup>0</sup> / <sub>0</sub>	1006 46,2	501 23,0	385 17,7	268 12,3	17 0,8	
ბოლნისის	აბს. 983 % <sup>0</sup> / <sub>0</sub>	404 41,1	—	427 43,4	143 14,5	9 1,0	
თეთრი წყაროს	აბს. 1796 % <sup>0</sup> / <sub>0</sub>	781 43,5	185 10,3	553 30,8	276 15,4	1 —	
დმანისის	აბს. 2123 % <sup>0</sup> / <sub>0</sub>	1377 64,9	223 10,5	293 13,8	230 10,8	— —	
წალკის	აბს. 1859 % <sup>0</sup> / <sub>0</sub>	1127 60,6	268 14,4	192 10,4	272 14,6	— —	
სულ ქვემო ქართლში	აბს. 10030 % <sup>0</sup> / <sub>0</sub>	5405 53,9	1243 12,4	2007 20,0	1338 13,3	37 0,4	

მ რ ა ვ ა ლ წ ლ ი ა ნ ი ბ ა ლ ა ხ ე ბ ი უ რ წ ყ ა ვ და გვაღვიან მიწებზე დაბალ  
მოსავალს იძლევიან, ამიტომ ბოლნის-თეთრ წყაროს რაიონში ისინი ნაკლებად  
არიან გავრცელებული და უკავიათ მთელი ნათესების მხოლოდ 2,3%. ქვემო  
ქართლის ვაკეზე სამყურა, იონჯა, კოინდარი და ესპარცეტი ძირითადად სარწყავ  
მიწებზე ითესება, რის გამო აქ მათ მეტი ფართობი უკავიათ (3,7%), ვიდრე წი-  
ნამთებში. ყველაზე მეტად მრავალწლიანი ბალახები გავრცელებულია წალკა-  
დმანისის ზეგანზე (6,0%). გარდაბან-მარნეულის ველზე ერთ ჰექტარ მრავალ-  
წლიანი ბალახების ნათესზე კოლმეურნეობები საშუალოდ 30—35 ცენტნერ თი-  
ვას იღებენ, ზეგანზე კი—10-15 ცენტნერს. ძალზედ დაბალია ეს მაჩვენებელი  
ბოლნის-თეთრწყაროში (არ აღემატება 5—10 ცენტნერს).

ს ა ს ი ლ ო ს ე ნ ა თ ე ს ე ბ ი ყველაზე მეტი გვხვდება ბოლნის-თეთრ წყა-  
როში—სწორედ იქ, სადაც სუსტადაა გავრცელებული მრავალწლიანი ბალახე-  
ბი; აქა თავემოყრილი ამ ნათესების თითქმის ნახევარი. ეს გარემოება, ფიქ-  
რობთ, იმით აიხსნება, რომ ურწყავ მიწებზე სასილოსედ დათესილი მზესუმზი-

რა და სიმინდი ფართობის ერთეულზე გაცილებით ნაკლებ მწვანე მასას იძლევა, ვიდრე ვაკეში ან ზეგანზე. ამიტომ, სილოსის განსაზღვრული ოდენობის დამზადებისათვის საჭირო მწვანე მასა რომ მიიღონ, აქაურ კოლმეურნეობებს მეტი ფართობის დათვსა უხდებათ მეზობელ რაიონებთან შედარებით.

ერთწლიანი ბალახების განლაგება ძირითადად ემთხვევა მრავალწლიანი ბალახების გავრცელების არეალს, იმ განსხვავებით რომ ამ სახის ნათესები არ აქვთ ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებს. ერთწლიანი ბალახების ფართობის ერთეულზე გარდაბნის და წალკის რაიონებში გაცილებით მეტ თივას ღებულობენ, ვიდრე მრავალწლიანი ბალახების ნათესებიდან, დანარჩენ რაიონებში კი ეს ორი სახის ბალახი თითქმის თანაბარი ოდენობით იძლევა თივას.

საკვები ძირნაყოფას ნათესები დაახლოებით თანაბრად განლაგებული ქვემო ქართლის ყველა ნაწილში, მაგრამ მკვეთრად ეცემა მისი მოსავლიანობა ვაკიდან ზეგნისაკენ. 1953 წელს მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღეს 247 ცნტ საკვები ძირნაყოფა, მაშინ როდესაც წალკის რაიონში ერთ ჰექტარზე მოიწიეს მხოლოდ 30 ცნტ. დანარჩენ რაიონებში კი ძირნაყოფას მოსავლიანობა ამ ორ უკიდურეს ზღვარს შორის მერყეობდა.

საკვები ბალახეულის ნათესები ძირითადად მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე, უმნიშვნელო რაოდენობით—წინამთებში და სრულიად არ გვხვდება ზეგანზე. მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებში 1953 წელს საკვები საზამთროს და გოგრის მოსავალმა ერთ ჰექტარზე შეადგინა 145 ცნტ, გარდაბანში—46 ცნტ, და ბოლნისში—40 ცნტ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, სასილოსე სიმინდის და მზესუმზირას საკვები ძირნაყოფას და ბალახეულის ნათესების გაფართოება და მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება [3]. ეს საპასუხისმგებლო ამოცანა ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის წინაშეცდგას, მაგრამ, ამავე დროს, პარტიისა და მთავრობის შემდგომი მითითებანი გვაგვალევენ გონივრულად გამოვიყენოთ მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა და არ დაუშვათ მრავალწლიანი ბალახების ნათესების გაფართოება იქ, სადაც ეს ბალახები თივის მცირე მოსავალს იძლევიან [4]. მართლაც, არ შეიძლება უპირატესობა მიეცეს ნათეს ბალახებს ბოლნის-თეთრი წყაროს რაიონში, სადაც ერთ ჰექტარ ამ კულტურათა ნათესზე საშუალოდ 7,5 ცენტნერზე მეტ თივას ვერ იღებენ. საესვებით მიზანშეწონილია ნათესი ბალახების ნაცვლად, აქ საფურაჟე მარცვლეული დავთესოთ და ამ გზით გავამაგროთ მეცხოველეობის საკვები ბაზა.

### მევენახეობა-მებაღეობა

მევენახეობა-მებაღეობა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვემო ქართლის ეკონომიკაში და როგ ადგილებში სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს შეადგენს.

მართალია, საკვლევ რაიონში ვენახების ფართობი 1937 წლიდან 1953 წლამდე გაიზარდა 10,1%-ით, მაგრამ მას მაინც არ მიუღწევია 1940 წლის დონისათვის და ჩამორჩება ამ უკანასკნელს 13,3%-ით. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში ვენახები ქვემო ქართლში გაცილებით მეტად დაზარალდა, ვიდრე მთლიანად საქართველოში, რამაც გამოიწვია 1947

ცხრილი 8  
ვენახების და ხეხილის ბაღების ფართობების დინამიკა ქვემო ქართლში 1937—1953 წლებში  
(ჰექტარობით)<sup>1</sup>

რაიონები	ვენახი				ხეხილი			
	1937 წ.	1940 წ.	1947 წ.	1953 წ.	1937 წ.	1940 წ.	1947 წ.	1953 წ.
გარდაბნის . . . . .	106	260	218	262	384	712	602	659
მარნეულის . . . . .	453	548	511	608	119	243	617	879
ბოლნისის . . . . .	1548	1802	1292	1439	352	519	517	767
თეტიყვაროს . . . . .	245	361	230	236	352	935	927	1435
დმანისის . . . . .	—	18	23	47	65	93	236	617
წალკის . . . . .	—	—	—	—	22	88	125	181
<b>სულ ქვემო ქართლში . . . . .</b>	<b>2352</b>	<b>2989</b>	<b>2274</b>	<b>2592</b>	<b>1294</b>	<b>2590</b>	<b>3024</b>	<b>4538</b>
<b>სულ რესპუბლიკაში . . . . .</b>	<b>41405</b>	<b>54748</b>	<b>48142</b>	<b>52149</b>	<b>57313</b>	<b>69271</b>	<b>82491</b>	<b>89409</b>
ქვემო ქართლი პროცენტობით რესპუბლიკის მიმართ . . . . .	5,7	5,4	4,7	5,0	2,3	3,7	3,7	5,1

წლისათვის ამ რაიონის ხეღარი წონის შემცირება რესპუბლიკის ვენახების ფართობებში 4,7%-მდე, ნაცვლად 1940 წლის 5,4%-ისა. ვენახების ფართობის ზრდა 1947-დან 1953 წლამდე ქვემო ქართლში შეადგენს 14%-ს, მთლიანად საქართველოში კი—8,3%-ს, ე. ი. აღდგენითი სამუშაოები უფრო სწრაფად მიმდინარეობდა საკვლევ რაიონში, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა წინა წლებში გამოწვეული დანაკლისის მთლიანად შესავსებად.

სხვაგვარად მიმდინარეობდა უკანასკნელი 16 წლის მანძილზე მეხილეობის განვითარება ქვემო ქართლში. ამ ხნის განმავლობაში ხეხილის ბაღების ფართობი აქ გაიზარდა 3,5-ჯერ. აღსანიშნავია, რომ ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპი გეგმონდა რესპუბლიკის მასშტაბითაც, მაგრამ ქვემო ქართლში ბაღების ფართობი ორჯერ და კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე, მთლიანად საქართველოში. მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის ხეღარი წონა საქართველოს ხეხილის ფართობებში 1937 წლის 2,3%-დან 1953 წლისათვის გაიზარდა 5,1%-მდე, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი მევენახეობაში კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა 5,7%-დან 5%-მდე.

თუ ერთმანეთს შევადარებთ, 1953 წლის მონაცემებით, ქვემო ქართლის და მთლიანად რესპუბლიკის დამუშავებულ მიწებში ხეხილისა და ვენახის ხეღარ წონას, შემდეგი სურათი გვეჩვენება: ქვემო ქართლში ვენახებს უკავიათ დამუშავებული მიწების 1,8%, ხეხილის ბაღებს კი—3,1%; მაშინ როდესაც რესპუბლიკაში ანალოგიური მაჩვენებლები უდრის 3,9%-ს და 6,8%-ს. მიუხედავად იმისა, რომ მევენახეობა-მებაღეობა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაში, აღნიშნული რაიონი საქართველოს პირობებ-

<sup>1</sup> ცნობები ხეხილის ბაღებზე 1937 და 1940 წლებში ამოკრეფილია აღ. ბუჩუკურის ნაშრომიდან—„Плодощество по Эконом-географическим районам ГССР“, საქ. გეოგრაფ. ინსტ. ფონდი 394; ვენახის ფართობები 1937 წლისათვის მოტანილია პროფ. ს. ჩოლოყაშვილის და ი. რეხვიაშვილის ნაშრომში—იხ. საქართველოს სსრ სსს. სამ. ინსტიტუტის შრომები, სერია № 1, თბილისი, 1940, ცხრილი 1; 1940 წლის ცნობები მევენახეობაზე ამოღებულია პროფ. ნ. იაშვილის შრომიდან—„მევენახეობის გაადგილება საქართველოს სსრ-ში“, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტომი II, თბილისი 1947, გვ. 103—141; 1947 წლის ცნობები აღებულია გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალებიდან (ფონდი 513).

ში მიიწვევს არ შეიძლება ჩაითვალოს მევენახეობის ან მეხილეობის რაიონად და სოფლის მოსახლეობის საქმიანობის ეს სახე არ წარმოადგენს აქ მეურნეობის სპეციალიზებულ დარგს. ამავე დასკვნამდე მიყვავართ შემდეგ ფაქტს: მაშინ, როდესაც რესპუბლიკის დამუშავებული მიწების საერთო ფართობში 1953 წელს ქვემო ქართლის ხეივანი წონა შეადგენდა 11,1%-ს, ხეხილის ბაღების ხეივანი წონა არ აღემატებოდა 5,1%-ს და ვენახების—5%-ს საქართველოს შესაფერის კულტურათა პლანტაციებში.

ასეთი აზრით დასკვნა საკვლევ რაიონში მევენახეობა-მებაღეობის გავრცელების შესახებ. და ეს დასკვნა სწორია იმდენად, რამდენადაც იგი ეხება ქვემო ქართლს, როგორც ერთ მთლიან ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონს. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბუნებრივი პირობებით ქვემო ქართლი არ არის ერთგვაროვანი და, უმთავრესად ამის გამო, მევენახეობა-მებაღეობაც თანაბრად არაა განლაგებული მის ყველა ნაწილში.

ვენახები გაშენებულია ძირითადად წინამთებების ზონაში და გარდაბან-მარნეულის ველზე. უმნიშვნელო რაოდენობით (სულ 46,7 ჰა) იგი გააშენეს, უკანასკნელ წლებში, დმანისის ადმ. რაიონის შემდეგი სოფლების კოლმეურნეობებში და, ნაწილობრივ, კოლმეურნეობა: განთიადი, მამავერა, ბოსლები, პატარა დმანისი, ვარდისუბანი. ეს სოფლები რაიონული ცენტრის აღმოსავლეთით მდებარეობენ. ზღვის დონიდან 800—1000 მეტრის სიმაღლეზე და მევენახეობისათვის, რა თქმა უნდა, მინცდამინც ხელსაყრელი პირობებით არ ხასიათდებიან. აქ ვაზის კულტურის გაშენება რამდენადმე საცდელ ხასიათს ატარებს და ჯერჯერობით ნაადრევი იქნება რაიმე დასკვნების გამოტანა. ზეგნის ძირითად ნაწილზე კი ვენახები სრულებით არ გვხვდება.

ვენახების გავრცელების მთავარ რაიონს ქვემო ქართლში მთების წინა ზონა შეადგენს. ბოლნის-თეთრ წყაროში მდებარეობს 1675,4 ჰა ვენახი ანუ მთელი ქვემო ქართლის ვენახების თითქმის ორი მესამედი (64,6%); გარდაბან-მარნეულზე მოდის ერთი მესამედი — 869,8 ჰა (33,6%) და დმანისის ადმ. რაიონზე— 46,7 ჰა (1,8%).

ადმინისტრაციულ რაიონებს შორის ვენახები ყველაზე მეტია ბოლნისის რაიონში, სადაც მდებარეობს ქვემო ქართლის ვენახების საერთო ფართობის ნახევარზე მეტი—55,5%. დანარჩენი რაიონებიდან საკმაოდ მოზრდილი ფართობებით გამოირჩევა მარნეულის რაიონი; შედარებით მცირეა ვენახები გარდაბანისა და თეთრი წყაროს რაიონებში. ბოლნისის რაიონის დამუშავებული მიწის ფართობიდან 1953 წელს ვენახებს ეკავათ 6,8%, რაც ბევრად აღემატება რესპუბლიკის საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელს (რესპუბლიკაში იყო 3,9%). ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ბოლნისის რაიონი საქართველოს მევენახეობაში ერთ-ერთი წამყვანი რაიონია. იგივე მაჩვენებელი დანარჩენი ადმ. რაიონებისათვის საშუალო რესპუბლიკანურზე გაცილებით ნაკლებია.

ქვემო ქართლში მევენახეობის უმნიშვნელოვანესი ცენტრია დაბა ბოლნისი და მისი მიდამოები, აგრეთვე მეზობლად განლაგებული სოფლები: ფახრალო, ბოლნისი, წითელსოფელი და ქვემო ბოლნისი.

მარნეულის რაიონის ვენახების დიდი ნაწილი განლაგებულია ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ე. ო. იქ, სადაც წინამთებია), მდ. შულავრის წყლის ხეობაში და მის მეზობლად მდებარე ყულარის მიდამოებში, აგრეთვე გაფანტულია ხრამის, ალგეთის და დებედას პირას მდებარე სოფლებში.

თეთრი წყაროს რაიონში ვენახების ძირითადი ფართობი მდებარეობს რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში—კოდა-ვაშლივანისა და ასურეთ-მარაბდის (მდ. ასურეთის პირას) მიდამოებში. ვენახების დიდი ნაწილი აქ ირწყვის, მცირე ნაწილი კი ურწყავ მიწებზეა გაშენებული.

ყურადღებას იპყრობს კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა დიდი ზვედრი წონა ქვემო ქართლის მევენახეობაში. 1953 წლის მონაცემებით საკოლმეურნეო სექტორზე მოდის 1567,1 ჰა, ანუ მთელი ფართობის 60,5%, მაშინ როდესაც მთლიანად ოკუპებული კოლმეურნეობებს ეკუთვნით დაბლარი ვენახების 42%.

ქვემო ქართლში შექმნილია მევენახეობის სამი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, ორი მათგანი მარნეულის რაიონში (ყულარის და გიაურ-არხის) და ერთი-ბოლნისში. გარდა ამისა გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დამხმარე მეურნეობას აქვს 35 ჰექტარი ვენახი<sup>1</sup>.

ყულარის მეურნეობას 1928 წელს ჩაეყარა საფუძველი. ვენახის ფართი აქ 144 ჰას შეადგენს; გარდა ამისა 4,5 ჰა უჭირავს ნამყენი ვაზის სანერგეს. მეურნეობაში გაშენებულია ძირითადად რქაწითელი; პროდუქციის გადამუშავება ხდება ადგილზე; მზადდება დასპირტული პორტვინის ტიპის ღვინო (№18).

გიაურ-არხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც იალლუჯას მლობებს ესაზღვრება სამხრეთიდან, არსებობს 1923 წლიდან. ვენახს უჭირავს 96 ჰა. აქვეა ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირის დიდი სანერგე (82 ჰა). მეურნეობაში გაშენებულია სუფრის ყურძნის ჯიშები.

ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სამმართველო და ღვინის ქარხანა რაიონულ ცენტრში მდებარეობენ, ხოლო ვენახი განლაგებულია დისველზე (სულ 127 ჰა), ზღვის დონიდან 700 მეტრ სიმაღლეზე (ბოლნისიდან რამდენიმე კმ-ზე). მეურნეობა შეიქმნა 1923 წელს ამხანაგობა „უნიონის“ ბაზაზე. მეურნეობის ღვინის ქარხანა ამჟამად სუფრის ღვინოს (№6), პორტვინის, ყურძნის წვეცს და ღვინის სპირტს, რომლისგანაც 5-6 წლის დაძველების შედეგად ადგილზევე აყენებენ მალახარისხოვან კონიაკს.

სულ სახელმწიფო მეურნეობებზე მოდის 415,5 ჰა ვაზის ნარგავი, ანუ საკვლევი რაიონის ვენახების საერთო ფართობის 16%. ანალოგიური მაჩვენებელი რესპუბლიკისათვის უდრის მხოლოდ 5,7%-ს.

ვენახების დანარჩენი ფართობი უმთავრესად ეკუთვნის კოლმეურნეებს (22,2%) და ნაწილობრივ—მუშა-მოსამსახურეებს (1,3%).

ქვემო ქართლში თითქმის მთლიანად დაბლარი ვენახია გაშენებული; მალარის საერთო ფართობი აქ შეადგენს მხოლოდ 12,2 ჰექტარს.

ვაზის ჯიშებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია რქაწითელი, შედარებით მცირე ფართობი უკავია თავვერს. დანარჩენი ჯიშებიდან აღსანიშნავია: ასურეთული შავი, საფერავი, გორული მწვანე, მუსკატი, ცოლიკოური, ალიგოტე. გიაურ-არხის საბჭოთა მეურნეობას გაშენებული აქვს ძირითადად სუფრის ყურძნის ჯიშები: თავრიზული, სუფრის მუსკატი, შავითა და სხვ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის რიგ მიკრორაიონებში ყურძნის სარეკორდო მოსავალი მოჰყავთ. ყულარის საბჭოთა მეურნეობამ 1953 წელს მთელ ფართობზე საშუალოდ მიიღო 135 ცენტ/ჰა ყურძენი, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე მოსავლიანობამ 195 ცენტ/ჰას მიაღწია. ყურძნის ასეთი მა-

<sup>1</sup> 1955 წლიდან აღნიშნული მეურნეობა გადაკეთდა მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობად.

ლილი მოსავლიანობა ჯერჯერობით რესპუბლიკის არც ერთ კუთხეში არ გვექონია. ყურძნის მოსავლიანობა ყველაზე მაღალია მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებში—63,2 ცნტ/ჰა; მეორე ადგილი უჭირავს ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებს—45,7 ცნტ/ჰა. აღსანიშნავია, რომ ბორჩალოს მაზრაში 900-იანი წლების დასაწყისში ყურძნის საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარ მსხმოიარე ვენახზე 20 ცენტნერსაც კი არ აღემატებოდა [36].

ქვემო ქართლის მევენახეობაში კარგი პერსპექტივები აქვს მარნეულის და ბოლნისის რაიონებს. განსაკუთრებით უნდა განვითარდეს ეს დარგი მდინარეების: მაშავერას, ფოლადაურის და შულავრის წყლის ხეობებში, სადაც საუკეთესო აგროკლიმატური პირობები არსებობს ვაზის ნარგავების გასაფართოებლად. ამ მიკრორაიონს როგორც ყურძნის მოსავლიანობით, ისე მისი ხარისხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოში.

როგორც ცხრილი 8 გვიჩვენებს ხეხილის ნარგავების საერთო ფართობი ბევრად აღემატება ვენახების ფართობს. მართალია, ვენახთან შედარებით ხეხილი უფრო თანაბრადაა განლაგებული ქვემო ქართლში, მაგრამ ამ კულტურის ნარგავებიც, მსგავსად ვაზისა, უმთავრესად წინამთების ზონაშია გავრცელებული, რასაც ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები: ბოლნის-თეთრწყაროზე მოდის ხეხილის ბაღების საერთო ფართობის 48,5, გარდაბან-მარნეულზე—33,9% და წალკა-დმანისზე—17,6%.

თუ ვენახები წინამთების სამხრეთ ნაწილშია უმთავრესად განლაგებული, ხეხილი ძირითადად გავრცელებულია მის ჩრდილო ნაწილში—თეთრი წყაროს ადმ. რაიონში. ამ რაიონზე მოდის ქვემო ქართლის ბაღების საერთო ფართობის 31,6%. თვით რაიონის დამუშავებულ მიწების ფართობში ბაღებს უკავიათ 4,3%.

ხეხილის ბაღების აბსოლუტური ფართობით შემდეგი ადგილები თანამიმდევრობით უკავიათ მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის და წალკის რაიონებს.

ვენახებისაგან განსხვავებით, ხეხილის ნარგავების უდიდესი ნაწილი განლაგებულია კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე; კერძოდ კოლმეურნეობებზე მოდის ქვემო ქართლის ბაღების მთელი ფართობის 60,1%; კოლმეურნეობებზე — 35,7%; სახელმწიფო მეურნეობებზე — 3,5% და მუშა-მოსამსახურეებზე—0,6%. ქვემო ქართლში მეხილეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები არ არსებობს. ხეხილის ნარგავები აქვთ მევენახეობის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებს, აგრეთვე რიგი ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობებს. კოლმეურნეთა ხეხილის ნარგავები მეტწილად გაფანტულია ეზოებსა, ვენახებსა და ბოსტნებში.

გარდაბან-მარნეულის ველზე მდებარე ხეხილის ბაღები თითქმის მთლიანად ირწყვის, ხოლო წინამთებში ხეხილი უმთავრესად ურწყავ მიწებზეა გაშენებული, თუმცა მცირე ფართობები ზოგ შემთხვევაში აქაც სარწყავია.

ქვემო ქართლში გავრცელებულია როგორც თესლოვანი, ისე კურკოვანი ხეხილი. თესლოვანიდან დიდი ადგილი უკავია ვაშლს, შედარებით მცირეა მსხალი და კომში. კურკოვანიდან გვხვდება ქლიავი, ატამი, ალუბალი, ბალი, ქერამი და სხვა. მშრალი სუბტროპიკებიდან გვხვდება ლეღვი, ბროწეული და ხურმა.

როგორც თესლოვანი, ისე კურკოვანი ხეხილის მოსავალი ქვემო ქართლში არ არის მაღალი. აგრონომ ალ. ბუჩუკურის გამოთვლით [18, გვ. 104—105] 1947 წელს ამ რაიონში ვაშლის და მსხლის საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 35 ცნტ/ჰას. ხილის მთელი მოსავლის 21,5% მოდიოდა ვაშლზე, 20,1%—ქლიავზე, 16,6—ატამზე, 5,5%—ქერამზე და ა. შ.



მოსახლეობის ხილით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხეხილის ნარგავების კარგ მოვლას, ყველა აგროღონისძიებების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებას და ბაღების მოსავლიანობის მკვეთრ აღმავლობას. მაღალ დონეზე დაყენებული მეხილეობა შეიძლება გადაიქცეს ქვემო ქართლის სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ მეექვსე ხუთწლიის მანძილზე საქართველოს კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში 17 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღების და 12 ათასი ჰექტარი ვენახების გაშენებას [8]. ამ გეგმის შესრულება მნიშვნელოვანწილად შეიძლება უზრუნველვყოთ ქვემო ქართლში ხეხილის ბაღების და ვენახების შემდგომი გადიდებით.

**მეცხოველეობა**

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მემცენარეობას უკავია, მაგრამ ამ მხარის ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებს აგრეთვე მეცხოველეობაც, რომლის ფართოდ გავრცელებისათვის აქ კარგი პირობებია. მათგან უმთავრესია საკმაოდ მძლავრი საკვები ბაზის არსებობა, რომელსაც საფუძვლად უდევს, პირველ ყოვლისა, სათიბების და საძოვარ-საბალახოების ვრცელი ფართობები, აგრეთვე განვითარებული მარცვლეულის მეურნეობა და საკვები კულტურების დანერგვა მემინდვრეობაში.

იმის გამო, რომ ადგილი აქვს საძოვრების არათანაბარ განლაგებას, ამ საფრგულების უფრო რაციონალური გამოყენების და შრომის ტერიტორიული განაწილების გაუმჯობესების მიზნით, მიწათსარგებლობის სოციალისტური სისტემა საშუალებას აძლევს ერთი რაიონის კოლმეურნეობებს ისარგებლონ მეორე რაიონის საძოვრებით. ამის შესაბამისად გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონების კოლმეურნეობებს გამოყოფილი აქვთ საზაფხულო საძოვრები ჭავჭავთის ზეგანზე და, ნაწილობრივ, სომხეთის სსრ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, შედარებით მცირე რაოდენობით გარდაბან-მარნეულის საზამთრო საძოვრებით სარგებლობენ თეთრი წყაროს და დმანისის, ნაწილობრივ კი ბოლნისის და წალკის რაიონების კოლმეურნეობები, რის შედეგადაც საძოვრები შედარებით თანაბრადაა განლაგებული ადმინისტრაციულ რაიონებს შორის.

გარდაბან-მარნეულზე უკვე მოდის მთელი საძოვრების 38,4%, ბოლნის-თეთრი წყაროზე—22,2% და წალკა-დმანისზე—39,4%. მიუხედავად იმისა, რომ საძოვრებით სარგებლობა რამდენადმე გაუმჯობესებულია, მაინც შეიმჩნევა საგრძნობი დისპროპორცია მათ განაწილებაში; ამავე დროს ვაკეში ძირითადად სარგებლობენ საზამთრო საძოვრებით, ხოლო ზეგანზე—საზაფხულოთი.

როგორც სათიბები, ისე საძოვრები ქვემო ქართლში განლაგებულია ურწყავ მიწებზე. გამოწვევის შეადგენს სათიბების ის მცირე ნაწილი, რომელიც გარდაბან-მარნეულის სარწყავ მიწებზე მდებარეობს. საძოვრებს უმეტეს შემთხვევაში მთის კალთები და გორაკ-ბორცვები უჭირავთ, რომელთათვისაც დამახასიათებელია ჰეიანობა და ნიადაგის თხელი საფარი. საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის პერიოდი 4—5 თვეს არ აღემატება (მაისი-სექტემბერი). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ საძოვრებით წლის მხოლოდ იმ პერიოდში შეიძლება სარგებლობა, როცა საზამთრო საძოვრებზე ბალახი სრულიად არ არის...

ამრიგად, ეს ორი სახის საძოვარი ერთმანეთის დამატებას წარმოადგენს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული გარემოს რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით.

ქვემო ქართლის ბუნებრივი სათიბების უდიდესი ნაწილისათვის არ არის დამახასიათებელი ხშირი ბალახი, ამიტომ თივის მოსავალი აქ მინიმალურია. წალკის და დმანისის რაიონებში, სადაც მდებარეობს სათიბების ძირითადი მასივები, კოლმეურნეობები საშუალოდ იღებენ ერთ ჰექტარ სათიბზე 8-10 ცენტნერ თივას. თივის კარგ მოსავალს იღებენ მარნეულის რაიონის კოლმეურნეობები. 1953 წელს ერთ ჰექტარზე აქ აიღეს 53,2 ცენტნერი თივა. გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა იმავე წელს გათიბეს 25 ცენტ/ჰა თივა.

ცხრილი 9

პირუტყვის რაოდენობის დინამიკა ქვემო ქართლში 1923—1953 წლებში<sup>1</sup>

პირუტყვის სახეობანი	პირუტყვის რაოდენობა				ქვ. ქართლის ხვედრი წონა რესპუბლიკის პირუტყვის რაოდენობაში (პროცენტობით).	
	1923 წ.	1940 წ.	1950 წ.	1953 წ.	1923 წ.	1953 წ.
მსხვილფეხა-რქიანი მათ შორის ძროხა და ფურკამეჩი	138902	139108	127021	114729	12,1	7,8
ცხენი	37557	49118	34065	32210	11,8	6,9
ლორი	9537	20799	13128	15560	12,7	13,8
ცხვარი	7928	27035	25469	30657	2,0	6,0
თხა	204218	250273	327167	373522	23,3	16,3
	6917	22936	23365	29564	4,9	5,8

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 30 წლის მანძილზე (1923—1953 წწ.) ქვემო ქართლში შესამჩნევად შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა, მათ შორის ძროხების სულაღობაც, რაც უეჭველია სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ამ მხარის მეცხოველეობის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება შედეგია კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შემცირებისა. 1940 წელთან შედარებით კოლმეურნეთა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი შემცირდა 1953 წლის პირველ ოქტომბრისათვის 60,7%-ით, იმავე პერიოდში კოლმეურნეობების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა 35%-ით, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საერთო დანაკლისის შესავსებად. განსაკუთრებით მკვეთრად მოიკლო კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი ძროხების რიცხვმა. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობებში ძროხების რიცხვი თითქმის გაორკეცდა, მათი საერთო რიცხვი შემცირდა 34,4%-ით. ამ გარემოებამ გამოიწვია ძროხების ხვედრი წონის შემცირება მსხვილფეხა პირუტყვის საერთო ოდენობაში 35,3%-დან 28,1%-მდე. თუ რამდენად არადაამაკმაყოფილებელია მოტანილი მაჩვენებელი,

<sup>1</sup> 1923 წლის ცნობები ამოკრეფილია წყაროდან: „საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა“, ნაწილი I, თბილისი, 1925, გვ. 342—347, 384—389.

ჩანს იქიდან, რომ იმავე 1953 წელს მთელი საბჭოთა კავშირის მსხვილფეხა რქიან პირუტყვში ძროხები შეადგენდნენ 43%-ს<sup>1</sup>.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის შემცირება ქვემო ქართლში, პირველ ყოვლისა, აიხსნება საკვების წარმოებისა და დამზადების ჩამორჩენით. სუსტადაა დაყენებული მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმე, ცოტაა პირუტყვისათვის საჭირო კეთილმოწყობილი სადგომები. კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი მეცხოველეობის არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გამოიწვია აგრეთვე იმან, რომ კოლმეურნეობები არ უწყედნენ დახმარებას არტელის წევრებს საკვებითა და საძოვრებით პირუტყვის უზრუნველყოფაში.

სხვაგვარად ვითარდებოდა 1923—1953 წლებში საკვლევი რაიონის მეცხოველეობის დანარჩენი დარგები. 30 წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა ცხენის, ღორის, ცხვრისა და თხის სულადობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ქვემო ქართლში ცხვრის სულადობის სწრაფი ზრდისა, მეცხვარეობა საკვლევ რაიონში უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე მთლიანად საქართველოში, რის შედეგადაც ქვემო ქართლის ხევდრი წონა რესპუბლიკის მეცხვარეობაში 31 წლის მანძილზე შემცირდა 23,3%-დან 16,2%-მდე.

როგორც ვხედავთ, სამი ათეული წლის მანძილზე ადგილი ქონდა ქვემო ქართლში მეცხოველეობის სტრუქტურის შესამჩნევ შეცვლას: მცირდებოდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენება და იზრდებოდა ცხენის, ღორის და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, ე. ი. შე ს ტ ა მ ე ც ხ ვ ე ლ ე ბ ი ს ს ა რ ძ ე ო - ს ა ხ ო რ ც ე მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა და გ ა ძ ლ ი ე რ და მ ი - ს ი ს ა მ ა ტ ყ ლ ე - ს ა ხ ო რ ც ე მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა. შეიძლება ითქვას, რომ, თუ მეცხვარეობის დაწინაურება ნაბიჯია წინ ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაში, სარძეო მეურნეობის ჩამორჩენა-ორი ნაბიჯია უკან. ეს შეფასება საკვლევი რაიონის მეცხოველეობის განვითარების სტრუქტურულ მხარეს შეეხება, მაგრამ საკითხზე სრული წარმოდგენის მისაღებად მნიშვნელოვანია აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების რაოდენობრივი მაჩვენებელი. ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა პირუტყვის ყველა სახეობანი გადავიყვანოთ პირობით მსხვილფეხა პირუტყვზე, რომ საშუალება მოგვეცეს მივიღოთ ერთგვაროვანი შესადარისი მაჩვენებლები. ასეთი გაანგარიშების შედეგად მივიღებთ პირობითი მსხვილფეხა პირუტყვის შემდეგ სულადობას:


	1923 წელი	1940 წელი	1953 წელი
აბსოლუტური . . . . .	144 847 სული	169 951 სული	174 478 სული
პროცენტობით 1923 წლის მიმართ . . . . .	100 %	117,3 %	120,5 %

ამრიგად, პირუტყვის მთელი სულადობა ქვემო ქართლში საგრძნობლად გაიზარდა 1923—1940 წლებში; ამ მაჩვენებლის მატებას ადგილი ქონდა შემდგომ წლებშიც, მაგრამ ზრდის ტემპი საკმაოდ შენედა.

პირუტყვის ყველა სახეობათა პირობით პირუტყვზე გადაყვანას გვაძლევს აგრეთვე განვსაზღვროთ ქვემო ქართლის მეცხოველეობაში მისი თითოეული დარგის ხ ე ვ დ რ ი წ ო ნ ა. პირობითი პირუტყვის მთელი ოდენობის

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი) პლენუმზე ეს მაჩვენებელი არ იქნა მიჩნეული დამაკმაყოფილებლად, რადგან ომის წინ იგი შეადგენდა 51%-ს (იხ. ამხ. ხრუშჩოვის მოხსენება პლენუმზე, ქართული გამოცემა, გვ. 26).

46%— მოდის მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე; 41,6%— წვრილფეხა რქიან პირუტყვზე; 5,2%— ღორზე; 7,2%— ცხენზე. მეცხოველეობის დარგების ეს შეთანა-



პირობითი ნაშენი:

- მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი
- წვრილფეხა „ „ „ „
- ღორები
- ცხენები

ნახ. 8. ქვემო ქართლის პირუტყვის სტრუქტურა პირობითი მსხვილ-  
ფეხა რქიან პირუტყვზე გადაყვანით 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის  
(%/წით)

წყობა უკვე გვიჩვენებს, რომ წამყვანი ადგილი ქვემო ქართლში უკავია მსხვილ-  
ფეხა რქიანი პირუტყვის მოშენებას, ანუ სახორცე-სარძეო მიმართულების მეც-  
ხოველეობას. ამ დარგს თავისი ხვედრითი წონით ბევრად არ ჩამორჩება  
სამატყლე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობა.

ქვემო ქართლში მეცხოველეობის განვითარების შესახებ ამ საერთო ცნო-  
ბების მოტანის შემდეგ განვიხილოთ მისი ცალკე დარგების ტერიტორიული  
განლაგება.

თავისი გავრცელებით და მწმუნელობით პირველი ადგილი უჭირავს  
მ.ს.ხ.ი.ლ. ფეხა რქიანი პირუტყვის მოშენებას. ცხრილი მე-10  
შოვად წარმოდგენას გვაძლევს მეცხოველეობის ამ დარგის ძირითადი მაჩვენებ-  
ლების შესახებ ქვემო ქართლში.

ცხრილი 10

მსხვილფეხა რქიანი მესაქარნელობის ძირითადი მაჩვენებლები ქვემო ქართლში 1953 წლის  
1-ლ ოქტომბრისათვის

რაიონები	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენ- ობა სულ	მათ შორის ძროხა და ფურ-კამენი <sup>1</sup>	ძროხების პროცენტული წილი	ძროხების რიცხვი 100 ჰა სახეზე და სათიბ საძოვარზე	აქედან კოლმეურნეობებში			
					სულ მსხვილფეხა პირუტყვი	მათ შორის ძროხები	ძროხების პრო- ცენტი ჯოგში	ერთი ძროხის საშ. წლიური წეილად. აბ. ში
გარდაბნის . . . . .	8 114	2 745	33,8	6	4 932	1 332	27,0	434
მარნეულის . . . . .	25 183	7 460	29,6	10	17 137	3 707	21,6	747
ბოლნისის . . . . .	15 306	4 394	28,7	12	10 252	1 927	18,8	627
თუთრი წყაროს . . . . .	19 356	4 958	25,6	7	14 918	2 888	19,4	937
დმანისის . . . . .	22 642	6 525	28,9	9	17 263	4 251	24,6	1 038
წალკის . . . . .	24 128	6 128	25,4	8	17 808	3 059	17,2	719
<b>სულ ქვემო ქართლში</b>	<b>114 729</b>	<b>32 210</b>	<b>28,1</b>	<b>9</b>	<b>82 310</b>	<b>17 164</b>	<b>20,8</b>	<b>810</b>
<b>სულ რესპუბლიკაში</b>	<b>1 463 190</b>	<b>464 671</b>	<b>31,8</b>	<b>13</b>	<b>806 006</b>	<b>175 077</b>	<b>21,7</b>	<b>457</b>

<sup>1</sup> ფურ-კამენტების რაოდენობა ქვემო ქართლში უმნიშვნელოა, ამიტომ ქვემოთ ჩვენ მათ  
წვდომი ძროხების რიცხვში.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა ქვემო ქართლში იზრდება ვაკედან ზეგნისაკენ: გარდაბან-მარნეულზე მოდის ამ პირუტყვის საერთო სულადობის 29,0%, ბოლნის-თეთრ წყაროზე—30,2% და წალკა-დმანისზე—40,8%.

ცნობილია, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მაღალი პროდუქტიულობის მისაღწევად ერთ-ერთი წინაპირობაა ძროხების ხვედრი წონის აყვანა ჯოგში 50%-მდე. როგორც ცხრილი მე-10 გვიჩვენებს ქვემო ქართლში ამ ნორმის  $\frac{2}{3}$ -იც კი არ არის მიღწეული. განსაკუთრებით დაბალია ძროხების ხვედრი წონა საკოლმეურნეო სექტორში (20,8%).

სკკ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმზე აღნიშნა, რომ მოსახლეობის რძითა და რძის პროდუქტებით სრული დაკმაყოფილებასათვის საჭიროა მივიღოთ ყოველ 100 ჰექტარ სახნავ და საძოვარ-სათიბზე 260 ცენტნერი რძე, რისთვისაც აუცილებელია ვიყოლიოთ აღნიშნული სავარგულეზს ყოველ 100 ჰექტარზე 10 ძროხა, საშუალოდ 2500—2600 კგ წველადობით წელიწადში [3]. როგორ უპასუხებს ამ მოთხოვნას ქვემო ქართლის სარძეო მეურნეობა?

აღსანიშნავია, რომ სახნავისა და საძოვარ-სათიბების ყოველ 100 ჰექტარზე საკვლევ რაიონში მოდის 9 ძროხა, ე. ი. პროდუქტიული მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობით ქვემო ქართლი დიდად არ ჩამორჩება ხსენებულ მოთხოვნებს, მაგრამ სერიოზული ნაკლი აქვს ერთ ძროხაზე საშუალო წველადობის შრივ. მართალია, აქ ვაცილებით მაღალია (77,2%-ით) ძროხების საშუალო წლიური წველადობა, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, მაგრამ ეს მაჩვენებელი 3,2-ჯერ ნაკლებია იმ ნორმაზე, რაც საჭიროა 100 ჰექტარ სახნავ და საძოვარ-სათიბზე წელიწადში 260 ცენტნერი რძის მისაღებად.

უფრადლებას იპყრობს ის გარემოება, რომ კოლმეურნეობათა ძროხების საშუალო წველადობა დიდ ფარგლებში რხევადობს თვით ქვემო ქართლის რაიონებს შორის. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია დმანისის რაიონში და ყველაზე მცირეა გარდაბნის რაიონში. საერთოდ, წველადობა იკლებს იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც ეცემა ძროხების აბსოლუტური რიცხვი და მათი ხვედრი წონა ჯოგში, ე. ი. ზეგნიდან ბარისაკენ. ეს გარემოება, ძირითადად, მით აიხსნება, რომ ბუნებრივი საკვები რესურსები მცირდება იმავე მიმართულებით<sup>1</sup>. ამავე დროს მემინდვრობაში სუსტადაა ჯერჯერობით დაყენებული საფურაჟე მარცვლეულის და სხვა საკვები პროდუქტების წარმოება, რის გამოც ძროხის პროდუქტიულობა ბუნებრივი საკვები რესურსების მარაგზეა უმეტესად დამოკიდებული. მაგრამ არსებული სხვაობა არ აიხსნება მარტო ამ მიზეზით. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პროდუქტიული პირუტყვის ჯიშრანობას. საქმე იმაშია, რომ ჯიშოანი ძროხების სულადობა ყველაზე მეტი ზეგანზეა და თანდათან იკლებს მარნეულ-გარდაბნისაკენ.

ჯიშოანი პირუტყვიდან აქ გავრცელებულია ძირითადად შვიციის, სიმენტალის და ველის წითელი ძროხები, უფრო სწორად—მათი დიდი ნაწილი გაუმჯობესებულია ამ ჯიშის მწარმოებლებით. ყველაზე მეტია შვიცი, შედარებით მცი-

<sup>1</sup> სათიბების აგრეთვე სოფლისპირა და სახაფხულო საძოვრების ფართობები მცირდება ამ მიმართულებით, ხოლო სახამთრო საძოვრების ფართობები კი იმატებს ზეგნიდან ვაკისაკენ. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: ჯერ ერთი, სახამთრო საძოვრები ნაკლებად ნაყოფიერია ბალახის მისაყვლიანობით; მეორეც, ეს საძოვრები ძირითადად გამოყენებულია წვრილფეხა პირუტყვისათვის და ამიტომ უმნიშვნელო როლს ასრულებს ძროხების კვების საქმეში.

რეა სიმენტალის და ველის წითელი ჯიშის პირუტყვი. შვიცი და სიმენტალი გავრცელებულია როგორც მაღლობში, ისე ვაკეზე, ველის წითელი კი მხოლოდ ქვემო ქართლის ვაკეზე გვხვდება. ზეგანზე ჯიშისანი ძროხების რაოდენობა შეადგენს 5756 სულს, წინამთებში—2650 და ვაკეში — 1072.

პროდუქტული მეცხოველეობის რაციონალურ დაყენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირუტყვის შენახვის წესი. ამ მხრივაც უპირატესობა ზეგნის კოლმეურნეობების სარძეო მეურნეობას ეკუთვნის. აქ უმეტესად დანერგილია (განსაკუთრებით დმანისის რაიონში) ძროხების შენახვის ბაგურ-ბანაკური წესი, მაშინ როდესაც ბარის კოლმეურნეობათა ძროხების დიდი ნაწილი ან მომთაბარეობს საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე, ხოლო ბაგურ კვებაზე შედარებით ხანმოკლე დროის განმავლობაში იმყოფება.

დაბოლოს, ანგარიშგასაწევია აგრეთვე სარძეო მეურნეობის ტრადიციების არსებობა დმანისის რაიონის მოსახლეობაში (ნაწილობრივ წალკაშიც).

ქვემო ქართლის ადმინისტრაციული რაიონებიდან სახორცე-სარძეო მიმართულების მეცხოველეობა ყველაზე მაღალ დონეზეა დაყენებული დმანისის რაიონში.

დმანისის რაიონში მსხვილფეხა პირუტყვისათვის განკუთვნილი საუკეთესო საძოვრები, აგრეთვე სათიბები განლაგებულია ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთ დაბალ კალთებზე და მდინარეების—მაშავერას, ყარაბულახის და მათი შენაკადების სათავეებში. ამის გამო კოლმეურნეობათა სარძეო ფერმებიც უმეტესად ამ ზონაში მდებარეობს, ხშირად სოფლებიდან 10-30 კმ მოცილებით. გაუმჯობესებული ჯიშის პროდუქტიული პირუტყვი რაიონის კოლმეურნეობებში ძროხების მთელი სულადობის 60-70%-ს შეადგენს, დანარჩენი ნაწილი კი ადგილობრივი ჯიშისაგან შედგება.

ჯავახეთის, სამსარისა და თრიალეთის ქედების ქვემო კალთები, სადაც უფრო მაღალი ბალახი იზრდება, გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის საძოვრებად; ზემო, უფრო მეტად დახრილი კალთები კი, მათთვის დამახასიათებელი მცირე სიმაღლის ბალახით,—წვრილფეხა პირუტყვისათვის განკუთვნილ საძოვრებს წარმოადგენს.

საინტერესო სანახავია ზაფხულში ეს ადგილები. თვალუწვდენ სივრცეზე გადაჭიმულა მთის დანაწევრებული და სუსტად დამრეცი კალთები; არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი არ ჩანს ათეული კილომეტრის მანძილზე. სამაგიეროდ, ყვავილებით მორთული მწვანე ბალახის ხვევრდოვანი სამოსელი გადაკვრია მთელ არემარეს. ყველგან მოჩანს პირუტყვის ჯოგი, საკოლმეურნეო ფერმები, ყველის ქარხნები, აქა-იქ კი ცელმომარჯვებულ მთიბავთა მოგარძო მწყრივები; ბევრ გამრჯე მშრომელს ფუტკარიც მოუყვანია მთის მდელოს ყვავილების ამ საყუაროში. ადამიანი, პირუტყვი თუ მწერი—ყველა ისწრაფვის აქეთ ზაფხულობით, რათა ისარგებლონ მოკლე ხნით გამოცოცხლებული ბუნების მთელი სიმდიდრით.

უკანასკნელ წლებში ქვემო ქართლის ბევრ კოლმეურნეობაში შენდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, პირველ რიგში ძროხების, კეთილმოწყობილი სადგომები. 1953—1954 წლებში ნაწილი ამ სადგომებისა უკვე მწყობარში ჩად-

<sup>1</sup> სათიბების ხედაპირას დახროლობა და ქვიან-კორდინი ნიადაგები, სამწუხაროდ, ძალზედ ზღუდავს ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობას, რის გამოც ბალახი ათეულ ათას ჰექტარზე ჯერჯერობით ხელთ ითიბება.

ბა. თითოეული მათგანი განკუთვნილია დაახლოებით 100 ძროხაზე, აქ დადგმულია უხეში საკვების საჭრელი და დამაორთქლებელი მოწყობილობა, ავტოსარწყულები; მექანიზებულია საკვების მიტანა პირუტყვის სადგომამდე და ნაკელის გამოხილვა. ზოგ ფერმებში შემოდებულია ძროხების მექანიკური წველა, ბევრი მათგანი განათებულია ელექტრონით და სხვ. სადგომებთან ეწყობა სილოსის კოშკები და ორმოები, სხვადასხვა სახის დამხმარე სათავსოები და ა. შ.

საკვლევ რაიონში ორი სპეციალიზებული სარძეო საბჭოთა მეურნეობა არსებობს—დმანისისა და გარდაბნის. გარდა ამისა, მეწველი ძროხების ფერმები აქვს ყულარის ცხენსაშენს, გიაურ-არხის და ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებს. ყველა ამ მეურნეობაში 1953 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ყავდათ 1546 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 600 ძროხა, ანუ მთელი პირუტყვის 38,8%. როგორც ხედავთ, საბჭოთა მეურნეობებში გაცილებით მაღალია ძროხების ზედრი წონა, ვიდრე კოლმეურნეობებში. ბევრად მაღალია აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში ერთი ძროხის საშუალო წლიური წველალობა. ასე, მაგალითად, დმანისის საბჭოთა მეურნეობაში ეს მაჩვენებელი 1953 წელს შეადგენდა 2964 კგ.-ს. ძროხების ყველაზე დაბალი წველალობა იყო ბოლნისის საბჭოთა მეურნეობაში—1280 კგ. მეურნეობებს ყავთ უმეტესად შვიცის, სიმენტალის და ველის წითელი ჯიშის პირუტყვი, ნაწილობრივ კი—ადგილობრივი.

დმანისის (ბაშვიჩეთის) საჯიშე სარძეო მეურნეობის სამმართველო და ცენტრალური ფერმა მდებარეობს იმავე სახელწოდების რაიონული ცენტრიდან 6 კმ მანძილზე. მეურნეობის სათიბ-საძოვრები განლაგებულია ჯავახეთის და ლოქის ქედების იმ დაბალ კალთებზე, რომლებიც ეშვებიან დმანისის ქვაბული-საქენ. საბჭოთა მეურნეობა 1928 წლიდან არსებობს; ამჟამად აქ 300-ზე მეტი ძროხა ყავთ, უმეტესად შვიცის ჯიშის მეთისები. მათ შექმნაში მონაწილეობდა სიმენტალის და ადგილობრივი ჯიშის პირუტყვიც; ამ გზით გამოყვანილ იქნა თრიალეთის ჯიშის პირუტყვი, რომელიც კარგადაა შეგუებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს და მაღალი პროდუქტიულობით ხასიათდება. პირუტყვის შენახვის წესი ძირითადად ბაგურ-ბანაკურია.

გარდაბნის სარძეო საბჭოთა მეურნეობა მდებარეობს რაიონული ცენტრის მეზობლად. იგი შეიქმნა 1952 წელს მანამდე აქ არსებული ცხენსაშენის ბაზაზე. 1954 წლის დასაწყისისთვის ძროხების რიცხვი 160-ს არ აღემატებოდა, საშუალო წლიური წველალობა კი 1953 წელს შეადგენდა 2.169 კგ.-ს. მეურნეობა რძით ამარაგებს ქ. რუსთავის მოსახლეობას.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, განსაკუთრებით ძროხების, საგრძნობი რაოდენობა ქვემო ქართლში მოდის კოლმეურნეობათა წევრებზე. 1953 წელს მათ პირად საკუთრებაში ყავდათ 27.191 სული მსხვილფეხა პირუტყვი, აქედან 12738, ანუ 46,8% იყო ძროხა.

მეორე ადგილი ქვემო ქართლის მეცხოველეობაში წვრილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენებას უკავია. მოვიტანოთ ცნობები ამ დარგის ზოგადი მაჩვენებლების შესახებ 1953 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის (იხ. ცხრილი 11) თუ მსხვილფეხა პირუტყვის სულაობა შედარებით ნელა იზრდება ვაკიდან ზეგნისაკენ, ცხვრისა და თხის საერთო რაოდენობა საკმაოდ სწრაფად მცირდება იმავე მიმართულებით. კიდევ უფრო სწრაფად იკლებს იმავე მიმართულებით წვრილფეხა პირუტყვის ოდენობა ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და საძოვარ-სათიბზე, რაც ნათლად ჩანს მოტანილი ცხრილიდან. შესაღარის მაჩვენებლებს

წერილფება რქიანი პირუტყვის სულადობა ქვემო ქართლში 1953 წლის  
1-ლ ოქტომბრისათვის

რაიონები	წერილფება რქიანი პირუტყვის რაოდება			მოს. 100 ჰა სხ. ნაგზე და საძოვარ-სათიბზე წერილფება პირუტყვი	ცხრისა და თხის მთელი ოდენობიდან მოდის:				
	სულ	მათ შორის			კოლმეურნეობებზე			კოლწევრებზე	
		ცხვარი	თხა		ცხვარი	თხა	ს.მ. ნა-პარსკრთი ცხვ. მ. შ.	ცხვარი	თხა
გარდაბნის	79 073	77 856	1 217	162	73 946	386	2,22	1 884	487
მარნეულის	100 945	94 047	6 898	136	85 688	1 630	1,97	3 694	4 705
ბოლნისის	53 002	48 223	4 779	143	42 138	338	1,80	6 208	4 360
თეთრი წყარ.	66 639	58 245	8 394	99	52 116	943	1,87	4 841	6 961
დმანისის	57 169	52 163	5 006	79	43 243	660	1,90	6 305	4 192
წალკის	46 258	42 988	3 270	61	32 879	551	1,90	7 869	2 033
სულ ქვ. ქართლი	403 086	373 522	29 564	107	330 010	4 508	1,97	30 661	22 738
სულ რესპუბლიკა	2 804 708	2 292 622	512 286	79	1 990 976	216 916	—	210 614	273 151

თუ ავიღებთ (პირობით პირუტყვზე გადაყვანის გზით), გარდაბან-მარნეულის ველზე მეცხვარეობა ბევრად უსწრებს წინ მსხვილფეხა პირუტყვის მეურნეობას, მკვეთრად ჩამორჩება რა ამ უკანასკნელს წალკა-დმანისის ზეგანზე. ამ გარემოების ძირითადი მიზეზი ბუნებრივი რესურსების სხვაობით აიხსნება. მეცხვარეობა ჩვენში ძირითადად მომთაბარე ხასიათს ატარებს. ცხვარი და თხა კარგადაა შეგუებული დიდ მანძილზე გადარეკვას საზამთრო და საზაფხულო საძოვრებს შორის. ამასთან ერთად აღნიშნული წესით შენახვის დროს იძლევა მეურნეობის ეს დარგი ყველაზე მეტ ეკონომიურ ეფექტს. ასეთ პირობებში გასაგებია, რომ მეცხვარეობის განვითარება უშუალოდ განისაზღვრება საძოვრების ფართობებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ის გარემოება, რომ წლის თითქმის ორ მესამედს (ოქტომბრიდან მაისამდე) ცხვარი საზამთრო საძოვრებზე ატარებს და მხოლოდ დანარჩენ დროს—საზაფხულო იალაღებზე. აქედან ცხადია, რომ გარდაბან-მარნეულის ველზე, სადაც მდებარეობს ქვემო ქართლის საზამთრო საძოვრები, კარგი პირობები არსებობს მეცხვარეობის განვითარებისათვის.


გარდაბნისა და მარნეულის რაიონების ცხვარი ზამთარში ადგილობრივ საძოვრებზე იმყოფება, მაისში კი პირუტყვს საზაფხულო საძოვრებზე მიერეკებიან. გარდაბნის რაიონის ცხვარი ზაფხულს სომხეთის სსრ გუჯასიანის რაიონის საძოვრებზე ატარებს, ხოლო მარნეულის, ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონების—ჯავახეთის საძოვრებზე.

ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონების ცხვარი ზამთარში მეტწილად ადგილობრივ საძოვრებზეა გარეკილი და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გადაჰყავთ ბაგურ კვებაზე. დმანისის რაიონის ქვედა ზონაშიც ზამთრობით ცხვარი მეტწილად ადგილობრივ, ე. წ. „ყორულად“ დატოვებულ საძოვრებზე იმყოფე-



ბა<sup>1</sup>. ცუდი ამინდის შემთხვევაში კი პირუტყვი სადგომებში გადაჰყავთ უხეშ საკვებზე.

ცხვრის მთელი რაოდენობის 88,3% თავმოყრილია საკოლმეურნეო ფერმებში, კოლმეურნეების პირად საკუთრებაშია 8,2% და მხოლოდ 3,5% ეკუთვნის მუშა-მოსამსახურეებს და საბჭოთა მეურნეობებს. ამ უკანასკნელთაგან ცხვარი ყავს ყულარის ცხენსაშენს, დმანისის მერძეობის და გიაურ-არხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ თხების დიდი ნაწილი (76,9%) იმყოფება კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში.



სურ. 4. ცხვრის ფარა წალკის რაიონის სახაფხულა საძოვრებზე

ცხვრის ჯიშებიდან საკვლევ რაიონში ყველაზე მეტად გავრცელებულია ნაწილობრივ გაუმჯობესებული ნახევრადუხეშმატყლიანი ადგილობრივი ცხვარი, აგრეთვე უხეში მატყლის მქონე თუშური ცხვარი. ნაშმატყლიანი ჯიშის ცხვარი ფარებში არ აღემატება 1,1%-ს, ნახევრადნაშმატყლიანი შეადგენს 5,5%-ს, ნახევრადუხეშმატყლიანი — 59,7%-ს და უხეშმატყლიანი — 33,7%-ს ზაფხულის თვეებში წარმოებს ცხვრის წველა; მიღებული რძისაგან კარგი ხარისხის თუშური ყველი მზადდება. ამ რიგად, ქვემო ქართლის მეცხეარეობაში მატყლის წარმოება მეორე ადგილზე ინაცვლებს და მეცხოველეობის ეს დარგი აქ უფრო ს ა ხ რ ც ე -ს ა მ ა ტ ყ ლ ე -ს ა რ ძ ე ო მიმართულებას ატარებს (ვიღრე სა-მატყლე-სახორცეს).

მ ე ღ რ ე ო ბ ა ქვემო ქართლში მეცხოველეობის სხვა დარგებთან შედარებით სუსტადაა განვითარებული. მართალია, 1923—1953 წლებში ღორების რიცხვი აქ გაიზარდა 4,6-ჯერ, მაგრამ მათი აბსოლუტური ოდენობა ამჟამად მაინც არ არის დიდი, შეადგენს რა პირობითი მსხვილფეხა პირუტყვის მთელი რაოდენობის 5,2%-ს. ამ დარგის ჩამორჩენილობას ქვემო ქართლში გვიჩვენებს ის

<sup>1</sup> „ყორული“ ნიშნავს ზამთრისათვის მინდვრად ბალახის დატოვებას. ამ მიზნით ზოგ სამძვარს ზაფხულში არ იყენებენ ან გათიბულ მინდორში პირუტყვს აღარ ამოვებენ; სწორედ ასეთ მინდორზე იტყვიან ხოლმე აქაური კოლმეურნეები—„სამძვრები ყორულად დავტოვეთ“ ასეთ სამძვარს ზოგჯერ მებებრი ბუჩქნარიც წარმოადგენს.

ფაქტიც, რომ ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე აქ მოდის 23 ლორი, მაშინ როდესაც მთლიანად რესპუბლიკაში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენს 51-ს.

თუ მსხვილფეხა პირუტყვის და მეცხვარეობის გავრცელება ქვემო ქართლის ცალკე ნაწილებში დამოკიდებულია ძირითადად საზამთრო და საზაფხულო საძოვრების განლაგებაზე, ამ კანონზომიერებას აღარ ემორჩილება მეღორეობა. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად განვითარებულია ბოლნის-თეთრი წყაროს ზონაში. აქ თავმოყრილია ღორების მთელი სულადობის 42,8%, რაც იმით აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, ბოლნის-თეთრ წყაროში ტყე და ბუჩქნარის სიმრავლე (რკო, გარეული ვაშლი, პანტა და სხვ.) ხელს უწყობს მეღორეობის განვითარებას, მეორეც, აქ ნაკლებად ცხოვრობს წარასულში მუსულმანური რელიგიის მიმდევარი მოსახლეობა, რომელიც ტრადიციით მეღორეობას არ მისდევს. სახნავისა და სათიბ-საძოვრების ყოველ 100 ჰექტარზე გაცილებით მეტია ღორების რიცხვი წინამთებში, ვიდრე დანარჩენ ორ ზონაში. ღორების საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი საკვლევ რაიონში მოდის კოლმეურნეობათა წევრებზე, დანარჩენი—კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებზე და მუშა-მოსამსახურეებზე. მეღორეობას, ისიც განსაზღვრული მასშტაბით, მისდევენ მხოლოდ გარდაბნის, ყუღარის (ცხენსაშენი) და გაიურ-არხის საბჭოთა მეურნეობები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში ღორის ხორცის ხვედრი წონა ხორცის საერთო წარმოებაში გაიზარდოს 50%-მდე [8]. ამიტომ მეცხოველეობის ამ დარგის განვითარებას ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი ქვემო ქართლშიც, სადაც სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულება კარგ პირობებს ქმნის მისი უფრო ფართოდ გავრცელებისათვის. კერძოდ, ღორების კებაში გამოყენებულ უნდა იქნეს კარტოფილი, რომლის წარმოებაც სწრაფად იზრდება წალკა-დმანისის ზეგანზე; ასევე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ღორისათვის სიმინდის და ბუნებრივი საკვების გამოყენებას.

ცხენების რაოდენობა ქვემო ქართლში 1923—1953 წლებში გაიზარდა 62,5%-ით და ამ პერიოდის ბოლოს მიიღწია 15560 სულს, რაც რესპუბლიკის ცხენების საერთო რიცხვის 13,7%-ს შეადგენს. აქვე უნდა ითქვას, რომ ცხენების რიცხვი ქვემო ქართლში, ისე როგორც მთელ რესპუბლიკაში, ჯერ კიდევ არ მიუღწევია ოპტიმალს, 1940 წლის დონისათვის.

პირუტყვის სხვა სახეობათაგან განსხვავებით, ცხენი თანაბრადაა გავრცელებული ცალკეულ ქვერაიონებს შორის. მზავსად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვისა, ცხენების უდიდესი ნაწილი კოლმეურნეობათა საკუთრებაში იმყოფება.

ქვემო ქართლში არსებობს მეცხენეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა—ყულარის ცხენსაშენი №73, რომელსაც 1953 წელს ჰყავდა 821 ცხენი. დანარჩენ სახელმწიფო მეურნეობებში იყო სულ 506 ცხენი.

ყულარის ცხენსაშენი აწარმოებს ყაბარდული და სუფთა ჯიშის ცხენების გაშენებას. 1954 წელს ცხენსაშენში ყავდათ 636 ყაბარდული და 103 სუფთა-ჯიშის საჯლომი ცხენი (დანარჩენი იყო მუშა ცხენები). ცხენსაშენი ყოველწლიურად 50—60 ჯიშთან ცხენს ყიდის საქართველოს კოლმეურნეობებზე.

ქვემო ქართლში გავრცელებულია აგრეთვე ვირი. იგი ყავთ როგორც კოლმეურნეობებს, ისე კოლფეხრებსაც. ეს პირუტყვი გამოიყენება უმთავრესად წერილი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტვირთების გადაზიდვებისა და მომთაბარე მეცხოველეობის სატრანსპორტო მომსახურებისათვის.

თითოეულ კოლმეურნეობაში, როგორც წესი, ვირების რიცხვი რამდენიმე სულს არ აღემატება და მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ყავს 10-20 სული.

მეფრინველეობა. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლში მარცვლეულის მოყვანა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დარგს შეადგენს და, მამასადამე, არსებობს ბაზა ფრინველის მოშენებისათვის, საკოლმეურნეო მეფრინველეობა აქ სუსტადაა განვითარებული. 1950 წელს ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა ფერმებში ფრინველის რიცხვი უდრიდა 119711-ს, ხოლო 1953 წელს 142 (247-ს ანუ სამი წლის მანძილზე ფრინველის რიცხვმა მოიმატა 18,8%-ით. საკვლევი რაიონის ცალკე ნაწილებში საკოლმეურნეო მეფრინველეობა განლაგებულია დაახლოებით თანაბრად. ფრინველის შედარებით დიდი რიცხვით გამოიჩინევა მხოლოდ მარნეულის რაიონი, სადაც კოლმეურნეობების ფერმებში იმავე წელს იყო 51356 ფრინველი.

საკოლმეურნეო მეფრინველეობაში მთავარი ადგილი უკავია ქათამს, რომელზედაც მოდის ფრინველის მთელი რაოდენობის 82,8%. გავრცელებულია აგრეთვე ბატის და იხვის მოშენება; ზოგიერთ კოლმეურნეობას ყავს ინდაურიც.

მეფრინველეობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ უკანასკნელი წლების მანძილზე მწყობრში ჩამდგარი საინკუბატორო სადგურები. ასეთი სადგურები არსებობენ მარნეულში, ბოლნისში და თეთრ წყაროში. თითოეული მათგანი ძირითადად მოქმედებსაზა გაზაფხულის თვეებში და წელიწადში გამოჰყავს დაახლოებით 100 ათასი წიწილა. ისინი გარდა აღნიშნული რაიონებისა, ემსახურებიან აგრეთვე მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებსაც—ღებულობენ მათგან კვერცხს და აბარებენ გამოჩეკილ წიწილებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1955 წ.) პლენუმის დადგენილებით თითოეულ კვერცხმდებელ დედალზე წელიწადში კვერცხმდებლობა აყვანილ უნდა იქნეს 110 კვერცხამდე. ამავე დროს მიჩნეულია, რომ მეფრინველეობის რაციონალურად დაყენების შემთხვევაში, ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე წელიწადში მიღებულ უნდა იქნეს სულ ცოტა 74 ათასი კვერცხი. საჭიროა აღინიშნოს, რომ 1953 წელს ქვემო ქართლში ძალზედ დაბალი იყო საშუალო წლიური კვერცხმდებლობა ერთ დედალზე. იმავე წელს ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესებზე მიღებულ იქნა მხოლოდ 1.187 კვერცხი.

მეაბრეშუმეობა. ქვემო ქართლის ვაკესა და წინამთების ზონაში საკმაოდ კარგი პირობები არსებობს მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. ეს დარგი აქ ძველადაც იყო გავრცელებული; ამჟამად იგი წარმოდგენილია საკოლმეურნეო მეაბრეშუმეობის სახით და განვითარებულია გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის და, ნაწილობრივ, თეთრი წყაროს რაიონებში.

1953 წელს სულ ქვემო ქართლში მიღებულ იქნა 1937 კოლოფი თესლიდან 78853 კგ აბრეშუმის პარკი. საშუალო მოსავალი ერთ კოლოფ თესლზე შეადგენდა 40,7 კგ-ს. მიღებული პარკის ორ მესამედზე მეტი (67,7%) მოდის მარნეულის რაიონზე, მეორე ადგილი უკავია გარდაბნის რაიონს (16,4%), მესამე—ბოლნისის რაიონს (14,2%); სრულიად უმნიშვნელოა თეთრი წყაროს რაიონის ხვედრი წონა (1,3%).

მიღებული პარკის გაშრობა წარმოებს აბრეშუმის დამამზადებელ რაიონულ კანტორებთან მოწყობილ-სპეციალურ საშრობებში, რის შემდეგ ნელეულად ვგზავნება თელავის ძაფსაღებ ფაბრიკას.

მეფუტკრეობა ქვემო ქართლში გავრცელებულია როგორც საკოლმე-

ურნეო სექტორში, ისე კოლმეურნეებსა და მუშა-მოსამსახურეებს შორის. სამ-  
წუხაროდ, ჩვენი ცნობები ეხება მხოლოდ საკოლმეურნეო მეფუტკრეობას.  
1950 წელს ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში სულ იყო 6253 ფუტკრის ოჯა-  
ხი; 1953 წლისათვის კი 6634. მეფუტკრეობა შედარებით თანაბრადაა განლა-  
გებული საკვლევი რაიონის ცალკე ნაწილებში, თუმცა რამდენადმე მეტი ფუტ-  
კრის ოჯახი ყავთ წინამთების ზონის კოლმეურნეობებს. 1950 წელს მიღებულ  
იქნა 214,3 ცენტნერი თაფლი, ანუ ფუტკრის ერთ ოჯახზე საშუალოდ 3,4 კგ.  
თაფლის მეტი რაოდენობით მიღების მიზნით მარნეულ-გარდაბნის კოლმეურნე-  
ობებს ზაფხულის თვეებში ზოგჯერ ფუტკარი საზაფხულო საძოვრებზე გადა-  
ჰყავთ.

მ ო ნ ა დ ი რ ე ო ბ ა. მეურნეობის ამ სახეს ქვემო ქართლში არ აქვს დიდი  
ხნის ისტორია. პირველად 1941 წელს საქართველოს მონადირეთა კავშირმა მო-  
აწყო თეთრ წყაროში შ ა ვ ვ ე რ ც ხ ლ ა მ ე ლ ი ე ბ ი ს ფ ე რ მ ა, რომელიც  
ამჟამადაც განაგრძობს თავის არსებობას. ფერმის დანიშნულებაა შავვერცხლა  
მელიების გამრავლება ძვირფასი ბეწვეულის მიღების მიზნით. აქ 150-მდე დე-  
დამელა ყავთ და წელიწადში 400-500 ცალ მალაღბარისხოვან ბეწვეულს ამზა-  
დებენ.

1951 წელს გარდაბნის რაიონში დაარსდა ნ უ ტ რ ი ე ბ ი ს ფ ე რ მ ა, სადაც  
1954 წელს ყავდათ 1000-მდე ნუტრია, მათ შორის 128 დედა-ნუტრია. ნუტრია  
ნახევრად წყლის ცხოველია, ამიტომ ფერმა გარდაბნის მაგისტრალური სარ-  
წყავი არხის ერთ-ერთ განშტოებაზეა მოწყობილი.

**სოფლის მეურნეობის დარგთა შეთანაფხობა საკოლმეურნეო წარმოებაში**

ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით სოფლის მეურნეობის დარგების ტერიტო-  
რიულ განლაგებას ქვემო ქართლში, ახლა კი განვიხილოთ საკოლმეურნეო სექ-  
ტორში დ ა რ გ თ ა შ ე თ ა ნ ა წ ყ ო ბ ა, ანუ დავახასიათოთ ამ სექტორში სასო-  
ფლო-სამეურნეო წარმოება კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ა დ.

ქვემო ქართლის საკოლმეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანი როლი შეას-  
რულა კოლმეურნეობათა გამსხვილებამ, რაც 1950—1951 წლებში განხორცი-  
ელდა. ამ ღონისძიების გატარებამდე საკვლევ რაიონში იყო 213 კოლმეურნეო-  
ბა, დღეისათვის კი მათი რიცხვი 163-ს შეადგენს.

ცხრილი 12

კოლმეურნეობათა ძირითადი მაჩვენებლები 1953 წლის მონაცემებით

რაიონები	კოლმეურნეობათა რიცხვი რაიონში	სასოფლო-სამეურ- ნეო მიწების ფარ- გობით ერთ კოლმე- ურნეობაზე (ჰექტ.)	აქედან სახნავი	კომლთა რიცხვი	კოლმეურნეობებში	კოლმეურნეობის და მათი ბავშვების რიცხვი	აქედან შონისა- შხარისანი კოლმე- ურნეობის რიცხვი	შრომისუზარაონი საშ. რიცხვი ერთ კოლმეურნეობაზე	მიღის ერთ შოი- მის უზარაონ კოლ- მეურნეობაზე საა.-საპ. მი- წები (ჰექტობით)
გარდაბნის	12	3 175	709	2 762	13 755	4 415	368	8,63	
მარნეულის . .	30	2 080	1 178	9 258	42 449	14 526	484	4,29	
ბოლნისის . . .	19	1 856	1 012	6 729	32 135	10 712	564	3,29	
თეთრი წყარ.	51	1 288	654	7 545	30 527	11 903	233	5,52	
დმანისის . . .	27	2 257	670	5 313	27 501	11 031	408	5,52	
წალკის . . . .	24	2 925	973	6 685	31 899	11 325	472	6,20	
სულ ქვემო ქართლში . . .	163	2 041	846	38 292	178 266	63 912	392	5,20	

სასოფლო-სამეურნეო მიწების ოდენობა ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე რბევადობს საკმაოდ დიდ ფარგლებში. ყველაზე მცირე ნორმა აქვთ ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებს (3,29 ჰა) და ყველაზე დიდი—გარდაბნის რაიონისა (8,63 ჰა). აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების სულაღობრივი ნორმა იცვლება საძოვრების ნორმის პარალელურად, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო მიწების სულაღობრივი ნორმა ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში იზრდება უმთავრესად საძოვრების ხარჯზე.

სახნავი მიწების ოდენობა ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე მაქსიმალურია თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებში (2,80 ჰა) და მინიმალური—დმანისის რაიონში (1,64 ჰა). საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება სახნავი მიწების ხვედრი ოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწების მთელ ფონდში. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (223%) გარდაბანში და ყველზე მაღალი მარნეულში (56,6%). იმის გამო, რომ გარდაბნის რაიონში ხვნა-თესვა მხოლოდ ხელოვნური რწყვის შედეგად შეიძლება განხორციელდეს, ჯერჯერობით კი ირწყვის მიწების მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი, აქ სახნავი მიწების ხვედრი ოდენობა მცირეა. მარნეულის ველი კი თითქმის მთლიანად სარწყავი მიწებითაა დაკავებული, რაც ადიდებს სახნავის ხვედრ ოდენობას ამ რაიონში.


ყველაზე უფრო წვრილი კოლმეურნეობებია თეთრი წყაროს რაიონში, რაც გამოწვეულია დასახლებული პუნქტების მეტი გაფანტულობით ქვემო ქართლის ამ ნაწილში. სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ფართობით არ გამოირჩევიან აგრეთვე მარნეულის და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობები, მაგრამ მათზე მოდის საშუალოდ სახნავი მიწების ყველაზე მეტი ოდენობა. ამ კოლმეურნეობებში არის აგრეთვე საშუალოდ შრომისუნარიან კოლმეურნეთა მეტი რიცხვი დანარჩენ რაიონებთან შედარებით. ამ მაჩვენებლებთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მარნეულის და ბოლნისის რაიონებში საკმაოდ ფართოდაა დანერგილი ინტენსიური ტექნიკური და მრავალწლიანი კულტურები (თამბაქო, ვენახი და სხვ.), აქაურ კოლმეურნეობებს უფრო მძლავრი ეკონომიური ბაზა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში გამოუყენებელი შრომითი რეზერვების დიდი მარაგი არსებობს. ეს რეზერვები, მართალია, მთლიანად არ არიან დარჩენილი შრომაში მონაწილეობის გარეშე; ისინი ნაწილობრივ გამოიყენებიან კოლმეურნის პირად საკუთრებაში არსებულ მეურნეობაში, მაგრამ ძირითადი ადგილი არტელის წევრის საქმიანობაში განზოგადოებულ მეურნეობაში შრომით მონაწილეობას უნდა ეკავოს, რადგან მხოლოდ ამ სექტორს შეუძლია მისცეს კოლმეურნეებს მათი შემოსავლის მთავარი ნაწილი. ამიტომ აუცილებელია უფრო აქტიურად ჩაებოს შრომისუნარიანი მოსახლეობა საკოლმეურნეო შრომაში, გაუმჯობესდეს შრომის ორგანიზაცია, მთლიანად განხორციელდეს მატერიალური დაინტერესების მძლავრი სტიმული, რაც საფუძვლად დაედება კოლმეურნეობათა შემდგომ სამეურნეო აღმავლობას და ხელს შეუწყობს როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შეუჩერებელ ზრდას.

განვიხილოთ საკოლმეურნეო წარმოებაში სოფლის მეურნეობის დარგთა შეთანაწყობის საკითხი მთლიანი პროდუქციისა და დახარჯული შრომის ოდენობის მიხედვით.

პირველ ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესოა შრომის დანახარჯები საკოლმეურნეო წარმოების იმ დარგებზე, რომლებიც იძლევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ასეთ დარგებს ქვემო ქართლის საკოლმეურნეო მემცენარეობაში

შეადგენენ: მარცვლკულის მეურნეობა, ტექნიკური კულტურების წარმოება, მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა, საკვებმოპოვება და მევენახეობა-მებაღეობა. პროდუქტულ მეცხოველეობაში გამოიყოფა შემდეგი დარგები: სახორცე-სარძეო მეურნეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მებაღეობა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთელ მასას ქვემო ქართლის საკოლმეურნეო წარმოებაში იძლევიან ეს დარგები, ამიტომ მათზე მოდის შრომითი დანახარჯების ძირითადი ნაწილი. კერძოდ, მემცენარეობისა და მეცხოველეობის ამ პროდუქტულ დარგებზე ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში 1953 წელს გამოიშვავებული შრომადღებების მთელი ოდენობიდან მოდიოდა 78%. შრომადღებების დანარჩენი ნაწილი დახარჯულია მუშაპირუტყვის მოვლაზე, კაპიტალურ მშენებლობაზე, აღმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შენახვაზე, დამხმარე საწარმოებში და სხვა საერთო-საკოლმეურნეო სამუშაოებზე. შრომის ეს დანახარჯები აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროდუქტული დარგების არსებობისათვის, თუმცა თვითონ არ ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ამიტომ, რაც ნაკლებია შრომადღებების აღნიშნული ნაწილი, მით უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში და მით უფრო მეტია შრომითი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობათა გამსხვილების ერთ-ერთ დადებით შედეგს წარმოადგენს საერთო-საკოლმეურნეო ხარჯების შემცირება, რის შედეგადაც გაიზარდა შრომადღებების ხვედრი დანახარჯი უშუალოდ პროდუქტულ დარგებზე. აღმინისტრაციულ და მომსახურე პერსონალზე დაიციხული შრომადღებების ხვედრი ოდენობა ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში 1950 წელს შეადგენდა 4,7%-ს, ხოლო 1953 წელს შემცირდა 4,2-მდე. თუ თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებში აღნიშნული პერსონალის შენახვაზე 1953 წელს იხარჯებოდა მთელი შრომადღებების 5,3%, მარნეულის რაიონში, სადაც უფრო მსხვილი კოლმეურნეობებია, ეს მაჩვენებელი შეადგენდა 3,6%-ს.



ნახ. 9. ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო დარგების მთლიანი პროდუქციის სტრუქტურა 1953 წელს (%-ით)

ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში მემცენარეობის მთლიანი პროდუქცია 3,7-ჯერ მეტია მეცხოველეობის მთლიან პროდუქციაზე (სახელმწიფო შესასყიდ ფასებში), ხოლო შრომის დანახარჯებით მემცენარეობა სჭარბობს მეცხოველეობას 2,6-ჯერ. მეცხოველეობის ხვედრი წონა შრომით დანახარჯებში ყველაზე უფრო მაღალია გარდაბნისა და დმანისის რაიონებში, სადაც ამ დარგზე მოდის მთელი შრომადღებების დაახლოებით ერთი მესამედი; ეს იმით აიხსნება, რომ

გარდაბნის რაიონი ყველაზე მეტადაა დაწინაურებული მეცხოველეობაში, ხოლო ღმანისისა—სახორცე-სარძეო მეცხოველეობაში.

საყოფადღებოა ის ფაქტი, რომ მემცენარეობის ხვედრი წონა უფრო მაღალია მთლიანი პროდუქციის შექმნაში, ვიდრე შრომის დანახარჯების სტრუქტურაში. კერძოდ, თუ მემცენარეობაში იხარჯება შრომადღებების 72,2%, ეს ძირითადი დარგი იძლევა მთლიანი პროდუქციის 78%-ს. შებრუნებული მდგომარეობაა მეცხოველეობაში, სადაც შრომითი დანახარჯების ხვედრი წონა მაღალია პროდუქციის ხვედრ ოდენობასთან შედარებით. ამრიგად დახარჯული შრომის ერთეულზე მეცხოველეობასთან შედარებით მეტ პროდუქციას ვღებულობთ მემცენარეობაში. ჩვენის აზრით ქვემო ქართლის პირობებში ეს გარემოება აიხსნება ორი ძირითადი მიზეზით: ვერ ერთი, მეცხოველეობის არაარაციონალური დაყენებით და მისი დაბალი პროდუქტიულობით; მეორეც, მემცენარეობაში მექანიზაციის დანერგვით, რის შედეგადაც ამ დარგში შედარებით ნაკლები იხარჯება ცოცხალი შრომა და უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება.

საინტერესოა საკოლმეურნეო მემცენარეობის და მეცხოველეობის შინაგანი სტრუქტურის საკითხი. როგორც შრომის დანახარჯებით, აგრეთვე მთლიანი პროდუქციით ქვემო ქართლის მემცენარეობაში დიდი ადგილი უკავია მარცვლეულის წარმოებას. მასზედ მოდის მთლიანი პროდუქციის 46,8% და შრომითი დანახარჯების 32,5%. წამყვანი ადგილი მას უჭირავს არა მარტო მთლიანად ქვემო ქართლში, არამედ ცალკე აღებულ ყველა ადმინისტრაციული რაიონის საკოლმეურნეო წარმოებაშიც. ამავე დროს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მისი ხვედრი წონა გაცილებით მაღალია ქვემო ქართლის ვაკეზე და თანდათან მცირდება ზეგნისაკენ.

ამ წამყვან დარგს, მართალია, ბევრად ჩამორჩება საკვებმომოვება, მაგრამ ქვემო ქართლის საკოლმეურნეო მემცენარეობაში მას მაინც მტკიცედ უჭირავს მეორე ადგილი (მთლიანი პროდუქციის 14.7% და დახარჯული შრომის 15,1%). აქედან ვხედავთ, რომ საკვლევი რაიონში მემცენარეობა მნიშვნელოვანწილად მეცხოველეობისათვის საჭირო პროდუქციას ამზადებს. წინააღმდეგ მარცვლეული მეურნეობისა, საკვებმომოვება ყველა ადმინისტრაციულ რაიონში როდი იხარჩუნებს მეორე ადგილს. ბუნებრივი რესურსების შესაბამისად (სათიბების სიუხვე), მისი ხვედრი წონა მაღალია ზეგნის კოლმეურნეობებში და თანდათან ეცემა აღმოსავლეთის მიმართულებით, ინაცვლებს რა მეორედან მესამე ადგილზე გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის რაიონებში (მთლიანი პროდუქციის ოდენობით).

მესამე ადგილი მემცენარეობაში უკავია მევენახეობა-მებაღეობას (შესაბამისად, 6,5% და 6,2%), მაგრამ მისი ხვედრი წონა ძალზედ დიდ ფარგლებში რხევადობს ცალკე რაიონებს შორის. ბუნებრივია, რომ ეს მაჩვენებელი მაღალია წინამთების ზონაში და ეცემა როგორც ვაკისაკენ, ისე ზეგნისაკენ, განსაკუთრებით უკანასკნელი მიმართულებით.

კარტოფლის მეურნეობა მთლიანი პროდუქციის ოდენობით მეოთხე ადგილზეა, თუმცა შრომითი დანახარჯებით მას მესამე ადგილი უკავია (4,1% და 7,5%); მაგრამ ეს გარემოება მის სუსტ მექანიზაციაზე მიუთითებს. აქაც დიდ ზხედისხეობას ვხედავთ მის გავრცელებაში. როგორც უკვე ვიცით, კარტოფლის წარმოება სწრაფად იკლებს ზეგნიდან ვაკისაკენ. საერთო აქ მხოლოდ ისაა, რომ ყველგან მეკარტოფილეობაში შრომითი დანახარჯების ხვედრი წონა ბევ-

რად უფრო მაღალია, ვიდრე მისი პროდუქციის ხვედრი ოდენობა.

ტექნიკურ კულტურებს (თამბაქო და მზესუმზირა) მხოლოდ მარნეულის და, ნაწილობრივ, თეთრი წყაროს კოლმეურნეობებში უჭირავთ მნიშვნელოვანი ადგილი. კერძოდ, მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებში თამბაქო როგორც შრომითი დანახარჯებით, ისე მთლიანი პროდუქციით მეორე ადგილზე გამოდის.

უკანასკნელ ადგილზე საკოლმეურნეო მემცენარეობაში გამოდის ბოსტნეულ-ბაღიჩეულის წარმოება (2,4% და 5,6%). მას მნიშვნელოვანი ადგილი მხოლოდ ქვემო ქართლის ვაკის და, ნაწილობრივ, წალკის რაიონის კოლმეურნეობებში უჭირავს.

მეცხოველეობაში მთავარ პროდუქტიულ დარგს წარმოადგენს მსხვილფეხარქიანი მესაქონლეობა; მასზე მოდის მთლიანი პროდუქციის 11,1% და შრომითი დანახარჯების 13,2%.

მეორე ადგილი მეცხოველეობაში უკავია მეცხვარეობას (7,3% და 9,9%), რომელიც გამოირჩევა არათანაბარი განლაგებით საკვლევი რაიონის სხვადასხვა ნაწილში.

მელრეობა, რომელსაც მესამე ადგილი უჭირავს, პროდუქციის ხვედრი ოდენობით (2,4% და 1,4%), მეცხოველეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, გამოირჩევა მაღალი შემოსავლიანობით.

ძალზედ მცირეა მეაბრეშუმეობის, მეფრინველეობის და მეფუტკრეობის ხვედრი წონა საკოლმეურნეო წარმოებაში. სამივე ამ დარგზე მოდის მთლიანი პროდუქციის 1,2% და შრომითი დანახარჯების 3,3%.

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში დარგთა შეთანაწყობას, მაგრამ კოლმეურნეობათა სპეციალიზაცია ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე აქ სუსტად ჩანს. ეს გასაგებია, რადგან სპეციალიზაციის ნიშანია რომელიმე სასაქონლო დარგის გამოყოფა, ე. ი. ამ დარგის მიერ პროდუქციის დამზადება გასაყიდად (სახელმწიფო დამზადების, შესყიდვის ან საკოლმეურნეო ვაჭრობის წესით), რის გამოსახულებასაც აღნიშნულ მონაცემებში ჩვენ ვერ ვხედავთ. ამიტომ აუცილებელია მოვიტანოთ საკოლმეურნეო წარმოების საქონლიანობის მაჩვენებლები.

ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში 1953 წელს მთლიანი პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 289 562 ათას მანეთს, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა—119 568 ათას მანეთს,<sup>1</sup> ანუ საკოლმეურნეო საოფლო-სამეურნეო წარმოების საქონლიანობა უდრიდა 41,3%-ს. მთლიანად რესპუბლიკის საკოლმეურნეო სექტორში საქონლიანობა იმავე წელს შეადგენდა 60,8%-ს. ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში უფრო დაბალი საქონლიანობა იმის შედეგია, რომ აქ არ არის გავრცელებული ისეთი მაღალსაქონლიანი და დიდშემოსავლიანი დარგი, როგორცაა ჩაის მეურნეობა; შედარებით სუსტადაა აგრეთვე წარმოდგენილი მევენახეობა, ტექნიკური კულტურები და სხვ. ქვემო ქართლის ხვედრი წონა რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მთლიან პროდუქციაში შეადგენს 10,6%-ს, ხოლო სასაქონლო პროდუქციაში—7,1%-ს.


საქონლიანობა გაცილებით უფრო მაღალია მეცხოველეობაში, ვიდრე მემცენარეობაში. მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის 82,4% ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში სასაქონლო პროდუქციას შეადგენს, მემცენარეობაში —

<sup>1</sup> როგორც მთლიანი, ისე სასაქონლო პროდუქციის ღირებულება გამოთვლილია 1955 წელს მოქმედ სახელმწიფო შესყიდვით ფასებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.



29,7%. თვით მეცხოველეობის შიგნით 100% სასაქონლო პროდუქციას ამზადებს მეპარეშუმეობა და მეღორეობა; მაღალია აგრეთვე ეს მაჩვენებელი მეფრინველეობაში. მეცხოველეობის ძირითადი დარგების—სახორცე-სარძეო და სახორცე-სამატყლე მეურნეობის საქონლიანობა ცალკე რაიონებში რჩებადღეს 70-დან 90%-მდე.

მემცენარეობიდან ყველაზე უფრო მაღალია საქონლიანობა ტექნიკური კულტურების წარმოებაში და ყველაზე დაბალია—საკვებმომოპოვებაში. მაშინ, როდესაც ტექნიკური კულტურების თითქმის მთელი პროდუქცია გადასამუშავებლად გადაეცემა ქრეწველობას, მოპოვებული საკვების ძირითადი მასა მოიხმარება საკომეურნეო მეცხოველეობისათვის. მაღალია აგრეთვე საქონლიანობა მევენახეობა-მებაღეობაში (75,5%) და ბოსტნეულ-ბალჩიულის წარმოებაში (68,1%); მარცკელულის მეურნეობის საქონლიანობა შეადგენს 25,9%-ს; სწორედ ამ დარგის პროდუქციის უდიდესი ნაწილი ურიგდებათ კომეურნეებს შრომადღებზე ნატურალური სახით. ყურადღებას იქცევს კარტოფილის მეურნეობის ძალზედ დაბალი საქონლიანობა—17,2%. ამავე დროს, რაც მეტია კარტოფილის წარმოება კომეურნეობებში, მით ნაკლებია საქონლიანობის პროცენტი. ასეთი არანორმალური მდგომარეობა იმის შედეგია, რომ ზეგნის კომეურნეობებს არ აქვთ კარტოფილის დიდი ოდენობით შენახვისათვის საჭირო საწყობები, რის გამოც მოსავლის ძირითადი ნაწილი ადებისთანავე ურიგდება კომეურნეებს შრომადღებზე. მართალია, ამ კარტოფილის დიდი ნაწილი შემდეგ კვლავ იქცევა სასაქონლო პროდუქციად და იყიდება საკომეურნეო ბაზრებზე, მაგრამ არა კომეურნეობების, არამედ კომეურნეთა მიერ. ასეთი მდგომარეობა იმის შედეგად არის, რომ სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები მოსავლის ადების პერიოდში ძალზე სუსტად აწარმოებენ კარტოფილის შესყიდვას კომეურნეობებში.




შირიბითი ნაწესები:

- მარცხენი მეურნეობა
- ტექნიკური კულტურები
- კარტოფილი და სხვა მარცხენი
- ბოსტნეული-ბალჩიული
- მრავალწლიანი ნარგავები
- სახორცე-სარძეო მეცხოველეობა
- სახორცე-სამატყლე " "
- მეღორეობა
- მეფრინველეობა, მებაღეობა და მევენახეობა

ნახ. 10. ქვემო ქართლის კომეურნეობათა სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა 1953 წ. (%/100-ით)

სასაქონლო პროდუქციის 56,2% მოდის მემცენარეობაზე და 43,8%— მეცხოველეობაზე. ამ ორი ძირითადი დარგის ხვედრი ოდენობა სასაქონლო პროდუქციაში საკმაოდ დაუახლოვდა ერთმანეთს. მართალია, მთლიანი პროდუქციის შექმნაში ბევრად წინ იდგა მემცენარეობა (მოვიგონოთ, რომ მემცენარეობაზე მოდიოდა მთლიანი პროდუქციის 78% და მეცხოველეობაზე—22%), მაგრამ მეცხოველეობაში სამაგიეროდ ბევრად მაღალია საქონლიანობა, ვიდრე მემცენარეობაში (შესაბამისად, 82,4% და 29,7%), ამიტომ ამ ორი მაჩვენებლის სინთეზის შედეგად ხვედრი ოდენობა თითოეული ძირითადი დარგისა სასაქონლო

კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო მთლიანი პროდუქციის ოდენობა და ცალკე  
დარგების სვედრითი წონა მასში ქვემო ქართლის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით  
(% %-ით) (1953 წელს)



პროდუქციის მთლიან მასში წილი პროდუქტებში დიდი როლი აქვს რაციონებელი ერთეობა-  
აბიგან.

მთელი სასაქონლო პროდუქციის 29,4%-ს იძლევა მარცვლეული მეურნეობა; 20,5%-ს—სახორცე-სარძეო მეურნეობა; 14,7%-ს—სახორცე-სამატყლე მესაქონლეობა; 11,9%-ს—მევენახეობა-მებაღეობა (ძირითადად მევენახეობა); დანარჩენი დარგები განლაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით: ტექნიკური კულტურები (7,8%), მეღორეობა (5,8%), ბოსტნეულ-ბალჩეული (4,0%), მეკარტოფილეობა და მეაბრეშუმეობა (თითოეული—1,7%), საკვებმომპოვება, მეფრინველეობა და მეფლუტარეობა. ასეთია ქვემო ქართლის საკომეურნეო სასაქონლო პროდუქციის მთლიანი სტრუქტურა. თუ ავიღებთ ქვემო ქართლს, როგორც ერთ ეკონომიურ გეოგრაფიულ ქვერეიონს, აქაური კოლმეურნეობები სპეციალიზირებულია უმთავრესად მარცვლეული, რძის, ხორცის და მატყლის წარმოებაზე. ამ პროდუქტებზე მოდის მთელი სასაქონლო პროდუქციის ღირებულების (სახელმწიფო შესასყიდ ფასებში) 70,4%. აღნიშნულ პროდუქციას ამზადებს მეურნეობის ძირითადი დარგები. მნიშვნელოვანია აგრეთვე მევენახეობის, ტექნიკური კულტურების და მებოსტნეობა-მებაღეობის პროდუქცია (23,7%), რომლებიც დამატებითი დარგების როლს ასრულებენ აქვე უნდა მივაკუთვნოთ კარტოფილის მოყვანა, რომელზედაც, მართალია, სასაქონლო პროდუქციის მცირე ნაწილი (1,7%) მოდის მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს პროდუქტი საბოლოოდ მაინც დიდი ოდენობით იყიდება ქალაქის მოსახლეობაზე. საქმარისია ითქვას, რომ თბილისის საკომეურნეო ბაზარზე კარტოფილი მეტწილად ქვემო ქართლიდან შემოდის. დამხმარე დარგებს წარმოადგენენ მებაღე-შუშეობა და მეფლუტარეობა.

ცხრილი 13

მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის ოდენობა 100 ჰექტარ სავარგულზე, ერთ კოლმეურნეობაზე და ერთ შრომისუნარიან კოლფეერზე. (მანეთობით)

რაიონები	მოდის საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე		100 ჰა სასოფ. სამეურნეო სავარგულზე		ადმინისტრ. რაიონის ხვედრი წონა (პროცენტობით)	
	მთლიანი პროდუქცია	სასაქონლო პროდუქცია	მთლიანი პროდუქცია	სასაქონლო პროდუქცია	მთლიანი პროდუქცია	სასაქონლო პროდუქცია
გარდაბნის . . . . .	2 008 400	986 800	63 242	31 073	8,3	9,9
მარნეულის . . . . .	2 993 100	1 454 257	143 853	69 893	31,0	36,5
ბოლნისის . . . . .	2 273 500	1 099 695	122 477	59 242	14,9	17,5
თეთრი წყაროს . . . . .	975 800	342 465	75 747	26 584	17,2	14,6
დმანისის . . . . .	1 452 900	445 767	64 374	19 750	13,5	10,1
წალკის . . . . .	1 811 600	570 983	61 945	19 523	15,1	11,4
სულ ქვემო ქართლში . . . . .	1 776 500	739 684	87 054	35 917	100	100
სულ რესპუბლიკაში . . . . .	1 322 678	806 177	86 772	53 842	—	—

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მთლიანი პროდუქციის ღირებულება 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე თითქმის ერთი და იგივე ოდენობით მოდის საშუალოდ ქვემო ქართლის და საქართველოს კოლმეურნეობებში. ამავე დროს, ბევრად მაღალია პროდუქციის მოცულობა მარნეულის და ბოლნისის რაიონებში, რაც გაპირობებულია, ჯერ ერთი, სავარგულების უფრო

კარგი შედეგნილობით ამ რაიონებში (სახნავის დიდი ხვედრი წონა) და, მეორეც, იმ გარემოებით, რომ აქ დანერგილია ინტენსიური კულტურები და მაღალა მოსავლიანობა. მარნეულისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებს მძლავრი მეურნეობა აქვთ, რაც ნათლად ჩანს იქიდან, რომ ამ კოლმეურნეობებზე მოდის საშუალოდ ყველაზე მეტი ოდენობა მთლიანი და სასაქონლო პროდუქციისა.


მაშინ, როდესაც მთლიანი პროდუქციის ოდენობით 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა მაჩვენებლები საკმაოდ უახლოვდება ანალოგიურ საშუალო რესპუბლიკურ მონაცემებს, მათი უმრავლესობა ჩამორჩება საქონლიანობის ხვედრი ოდენობით. მხოლოდ მარნეულის და ბოლნისის რაიონებში დგას ეს მაჩვენებელი საშუალო-რესპუბლიკურ მონაცემებზე მაღლა. ასეთი სხვაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კოლმეურნეთა ნაკლები შრომითი დატვირთვა ქვემო ქართლში. ეს გარემოება კი იმაზე მიგვიჩივებს, რომ საკვლევ რაიონში დიდი შესაძლებლობები არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისა, რასაც თან უნდა მოჰყვეს საკოლმეურნეო წარმოების საქონლიანობის ზრდა.

თავისი ხვედრი მოცულობით ქვემო ქართლის საკოლმეურნეო წარმოებაში პირველ ადგილზე დგას მარნეულის რაიონი; იგი იძლევა საკვლევ რაიონის მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის დაახლოებით მესამედს. მეორე და მესამე ადგილს ინაწილებენ ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონები. თუ პირველი მათგანი გამოირჩევა მეტი საქონლიანობით, მეორე უფრო მაღლა დგას მთლიანი პროდუქციის მოცულობით. შემდეგი ადგილები თანამიმდევრობით უჭირავთ წალკის, დმანისის და ვარდახის რაიონებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მარნეულის რაიონს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა ძირითადი მაჩვენებლებით წამყვანი ადგილი უკავია ქვემო ქართლში. აქაური წაბლა ნიადაგები უხვად ირწყვის ხრამისა და მისი შენაკადების წყლით და ცნობილია თავისი მაღალი ნაყოფიერებით. ადგილობრივი მოსახლეობა კარგად იყენებს მშვენიერ აგროკლიმატურ პირობებს და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დიდსა და მყარ მოსავალს იღებს ყოველწლიურად, რაც საფუძვლად უდევს ამ რაიონის კოლმეურნეობათა სამეურნეო ცხოვრებას და მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობას.

კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფულადი შემოსავალი.

რაც უფრო მაღალია სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგის საქონლიანობა, ცხადია, მით უფრო მეტია ფულადი შემოსავალი ამ დარგიდან. ამიტომ, ბუნებრივია, რომ დიდად მეცხოველეობის ხვედრი წონა შემოსავლის ამ სახეობაში (37,5%). გემინდვრობის და მდელოსნობის (მარცვლეული, ტექნიკური და საკვები კულტურები, აგრეთვე კარტოფილი) უდიდეს ნაწილს, მართალია, არ ახასიათებს მაღალი საქონლიანობა, მაგრამ დიდად მისი სასაქონლო პროდუქციის აბსოლუტური ოდენობა; ამიტომ მას მეორე ადგილი უკავია მეცხოველეობის შემდეგ ფულადი შემოსავლის მოცულობით (26,5%). შემოსული ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის აგრეთვე მევენახეობა-მებაღეობაზე (17,1%) და მებოსტნეობა-მებაღეობაზე (9,2%). საყურადღებოა, რომ ამ ორი უკანასკნელი დარგის ხვედრი წონა გაცილებით უფრო მაღალია ფულადი შემოსავლის სტრუქტურაში, ვიდრე სასაქონლო პროდუქციის მთელ ოდენობაში; ორი პირველი დარგის მიმართ კი საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი.

სასაქონლო პროდუქციის იდენობა და ღირებულება ხვედრითი წილით ქვემო ქართლის კლდეუბნებებში  
1953 წ. (% % - ით)



სურ. 12

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1955 წ.) პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობათა განსაზღვრისას ვიხელმძღვანელოთ მათთვის გამოყოფილი მიწის რაოდენობით და ხარისხით; მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მეცხოველეობის ზრდა პირდაპირ დამოკიდებულია მიწის რაოდენობასა და მის სწორ გამოყენებაზე [5]. ცხრილი 14 გვიჩვენებს, თუ როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ქვემო ქართლში.

ცხრილი 14

მეცხოველეობის პროდუქტთა სავარგულების განსაზღვრულ ფართზე ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში 1953 წელს

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ყოველ 100 ჰა სახნავზე, სათიბზე და საძოვარზე მოდის (ცენტნერობით)			ყოველ 100 ჰა მარცვლეულის ნათესებზე მოდის კვერცხი (ცალობით)
	ხორცი (გარდა ღორის ხორცისა)	რ ძ ე	მატყლი	
გარდაბნის	17,5	28,9	3,52	2 229
მარნეულის	25,5	51,7	2,45	1 556
ბოლნისის	23,4	42,5	2,19	789
თეთრი წყაროს	17,2	45,6	1,49	1 095
დმანისის	18,1	77,6	1,26	849
წალკის	18,6	30,7	0,85	923

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში ხსენებულ პლენუმზე აღნიშნავდა, რომ მთელი მოსახლეობის კვების უზრუნველყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებით, საჭიროა საბჭოთა კავშირში საშუალოდ 100 ჰექტარ სახნავზე, მდელოებსა და საძოვრებზე ვაწარმოოთ 27 ცენტნერი ხორცი, 260 ცენტნერი რძე და ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეული კულტურის ნათესზე—სულ ცოტა 74 ათასი კვერცხი [5].

მოტანილი ციფრები გვიჩვენებენ, რომ ქვემო ქართლის კოლმეურნეობები ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩებიან აღნიშნულ ნორმებს. თუ ხორცის წარმოებაში ზოგიერთი რაიონისათვის ეს ჩამორჩენა არც ისე მკვეთრია, სამაგიეროდ რძისა და კვერცხის წარმოებაში ყველა რაიონს დაბალი მაჩვენებლები აქვთ. რძის წარმოებაში რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა დმანისის რაიონის კოლმეურნეობებში, მაგრამ ისინიც დიდად არიან დაცილებული აღნიშნული ნორმიდან.

იმასთან დაკავშირებით, რომ მეცხვარეობის გავრცელება სწრაფად იკლებს ვაკიდან ზეგნისაკენ, მკვეთრად მცირდება აგრეთვე მატყლის ოდენობა ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე.

საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობა ხელს უწყობს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ადიდებს კოლმეურნეთა შემოსავალს განუზოგადოებელი მეურნეობიდან. არტელის წევრებს შრომადღეებზე უნაწილეობათ როგორც ფული, ისე ნატურალური პროდუქტთა.

ფულისა და ძირითადი სასურსათო პროდუქტის—მარცვლეულის ყველაზე დიდი ოდენობა ერთ შრომადღეზე მოდის მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებში, მეორე ადგილი კი ბოლნისის რაიონს უჭირავს. ამ ორ რაიონში ეკონომიურად მძლავრი კოლმეურნეობების არსებობა თავის გამოვლინებას პოულობს აგრეთვე შრომადღეების ფულად და ნატურალურ ანაზღაურებაში; ეს განსაკუთრებით ჩანს მარნეულის რაიონის მაგალითზე, სადაც ბევრად უფრო



მძლავრი კოლმეურნეობები არსებობენ, ვიდრე დანარჩენ რაიონებში. ზეგნის კოლმეურნეობებში მცირეა შრომადღის ფულადი ანაზღაურება, მაგრამ საკმაოდ დიდი რაოდენობით ნაწილდება მარცვლეული და კარტოფილი. გარდა ამისა რიგი კოლმეურნეობები ანაწილებენ შრომადღებზე საკვებს (თივა, ჩალა, ბზე) ღვინოს, თაფლს, მზესუმზირას და სხვა პროდუქტებს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვან რაოდენობას კოლმეურნეები ღებულობენ აგრეთვე თავისი საკარმიდამო მეურნეობიდან. თითოეულ ოჯახს პირად საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი 0,5—0,75 ჰექტარი, ყავს შინაური პირუტყვი (ძროხა, ღორი, თხა, ცხვარი და სხვ.), ფრინველი, ფუტკარი. კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე სჭარბობს ინტენსიური კულტურები; ვაკესა და წინამთებში უმეტესად—ხეხილი, ვენახი, ბოსტნეული და სიმინდი, ხოლო ზეგანზე—კარტოფილი, კომბოსტო და სხვ.

### სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონები ქვემო ქართლში

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების და კულტურების განვითარებასა და განლაგებაში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონების შექმნაში მთავარი როლი შეასრულა მისმა მდებარეობამ თბილისის და რუსთავის მეზობლად და ამ მხარის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვანებამ. აღნიშნული ქალაქები დიდ მოთხოვნებს უყენებენ მათ მახლობლად მდებარე სასოფლო-სამეურნეო რაიონებს მეცხოველეობის ახალ პროდუქტებზე, კარტოფილსა და ბოსტნეულ-ბალჩიულზე, ყურძენსა და ხილზე, აგრეთვე მრეწველობის რიგი დარგებისათვის საჭირო ნედლეულზე, რაც ხელს უწყობს ამ პროდუქციის მწარმოებელი დარგების განვითარებას ქვემო ქართლში. ბუნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტები—რელიეფი, ჰავა, ნიადაგები და მცენარეული საფარი ქვემო ქართლის შედარებით მცირე ტერიტორიაზე მკვეთრად იცვლებიან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და მთელ რიგ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ლანდშაფტურ ზონებს ქმნიან. შესაბამისად იცვლება სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განლაგება და ურთიერთ შეთანაწყობა, რის შედეგადაც წარმოიქმნებიან ერთმანეთისაგან განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონები, მათთვის დამახასიათებელი რიგი ნიშნებით.

საკვლევ რაიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამი ზონა გამოიყოფა: 1) ქვემო ქართლის ვაკე ანუ გარდაბან-მარნეული, 2) წინამთები და ტყის ზონი ანუ ბოლნის-თეთრი წყარო და 3) მთა-ველის ზონა ანუ წალკა-ღმანისის ზეგანი. განვიხილოთ თითოეული ზონის სოფლის მეურნეობის ძირითადი ნიშნები.

#### 1. ქვემო ქართლის ვაკე ანუ გარდაბან-მარნეულის ზონა

ამ ზონის სასოფლო-სამეურნეო სახეს განსაზღვრავს მარცვლეული და ბოსტნეულ-ბალჩიულის წარმოება, აგრეთვე სახორცე-სამატყლე მიმართულების მეცხოველეობა.

ქვემო ქართლის ვაკე გამოირჩევა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამის გამო აქ უფრო მძლავრი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა შექმნილი, ვიდრე დანარჩენ ორ ზონაში. გარდაბან-მარნეულზე მოდის ქვემო ქართლის საკოლმეურნეო წარმოების მთლიანი პროდუქციის დაახლოებით ორი მეხუთედი. ზონაში მდებარე არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების აბსოლუტური დონე, არამედ შრომის განსაზღვრულ დანახარჯზე მიღებული მთლიანი პროდუქციის ოდენობაც. 1953 წელს ერთ შრო-

მისუნარიან კოლმეურნეზე მოდიოდა 46,2%-ით მეტი პროდუქცია, ვიდრე ბოლნის-თეთრ წყაროში და 62,5%-ით მეტი, ვიდრე წალკა-დმანისში.

კოლმეურნეობათა მთლიანი პროდუქციის ოთხ მეხუთედს შეადგენს მემცენარეობის პროდუქცია, ერთ მეხუთედს კი მეცხოველეობისა. მემცენარეობაში წამყვანია მარცვლეული მურნეობა, რომელზედაც მოდის ნათესების 83,5%. ძირითადი მარცვლეული კულტურა შემოდგომის ხორბალი; მას უკავია მარცვლეულის ნათესების 81,3%, სიმინდს უჭირავს 15,7%, ქერს—2%.

მარცვლეულის წარმოება გაცილებით ნაკლებ საზოგადოებრივ შრომას მოითხოვს გარდაბან-მარნეულში, ვიდრე ქვემო ქართლის დანარჩენ ტერიტორიაზე. ასეთი დიდი სხვაობა იმის შედეგია, რომ, ჯერ ერთი, ვაკეზე უფრო ნოყიერი ნიადაგებია; მეორე, აქ მარცვლეული მთლიანად სარწყავ მიწებზე ითესება; მესამე, ვაკეზე ბევრად მაღალია მექანიზაციის დონე, ვიდრე წინამთებსა და ზეგანზე. ყოველივე ამის შედეგად ზონაში მაღალი და მყარი მოსავალი იცის, პროდუქციის ერთეულზე კი მცირდება ცოცხალი შრომის დანახარჯი.

ერთ-ერთი ძირითადი დარგია ბოსტნეულ-ბაღიკეულის წარმოება. ამ დარგის განვითარებით გარდაბნის და მარნეულის რაიონებს წამყვანი ადგილი უჭირავთ რესპუბლიკაში. ზონაში მდებარეობს ქვემო ქართლის ბოსტნეულ-ბაღიკეულის ნათესების 64,3%, ხოლო თვით ზონის ნათესების საერთო ფართობი მათი ხვედრი წონა შეადგენს 4%-ს, მაშინ, როდესაც მთლიანად ქვემო ქართლში ეს მონაცემი არ აღემატება 2,1%-ს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის ვაკეზე მოჰყავთ საადრეო ბოსტნეული და კარტოფილი, თუმცა აქ მეკარტოფილეობა არ წარმოადგენს განვითარებულ დარგს.

მეცხოველეობიდან უფრო მეტად განვითარებულია სახორცე-სამატყლე მიმართულებების მესაქონლეობა, ანუ მომთაბარე მეცხვარეობა, რომლის ბაზას წარმოადგენს ბუნებრივი საკვების სავარგულები. გარდაბან-მარნეულზე მოდის ქვემო ქართლის წვრილფეხა რქიანი პირუტყვის 44,7%. თვით ზონის პირუტყვის საერთო სულადობაში (პირობითი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვზე გადაყვანით) ცხვარი და თხა შეადგენს 52%-ს, მაშინ, როდესაც მთლიანად ქვემო ქართლში ეს მაჩვენებელი უდრის 41,6%-ს. ყოველ 100 ჰა სახანაზე და საძოვარ-სათიბზე აქ მოდის 147 სული წვრილფეხა რქიანი პირუტყვი.

გარდა აღნიშნული მთავარი დარგებისა, ქვემო ქართლის ვაკეზე სოფლის მეურნეობის დამატებითი დარგებია: ტექნიკური კულტურების წარმოება (თამბაქო და ეთერზეთოვანი), მევენახეობა-მებაღეობა და სახორცე-სარძეო მიმართულების მეცხოველეობა. დამხმარე დარგების როლს ასრულებენ: მეაბრეშუქეობა, სახორცე მეცხოველეობა (მეღორეობა), მეკარტოფილეობა, მჭვრინველეობა და მეფუტკრეობა.

იმის გამო, რომ ქვემო ქართლის ვაკე თბილის-რუსთავის საგარეუბნო მეურნეობის ზონაში შედის, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მომავალში აქ შეიქმნას მძლავრი სარძეო მეურნეობა და კიდევ უფრო განვითარდეს მებოსტნეობა-მებაღეობა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია გადიდდეს საფურაჟე მარცვლეულის წარმოება სიმინდის ნათესების მკვეთრად გაფართოების გზით.



## 2. წინამთები და ტყის ზოლი ანუ ბოლნის-თეთრი წყაროს ზონა

წინამთები და ტყის ზოლი წარმოადგენს მარცვლეული მეურნეობის, მევენახეობა-მებაღეობის და სახორცე-სარძეო მეცხოველეობის ზონას.

ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე აქ მეტ პროდუქციას ღებულობენ, ვიდრე წალკა-დმანისის ზეგანზე, მაგრამ ბევრად ნაკლებს გარდაბან-მარნეულთან შედარებით. კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობის ერთეულზე პროდუქციის მოცულობა წინამთებში 18,8%-ით ნაკლებია, ვიდრე ვაკეში და 45,8%-ით მეტია, ვიდრე ზეგანზე.

ნათესების 87% უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, რომელთაგან კვლავ პირველ ადგილზეა შემოდგომის ხორბალი. ვაკისაგან განსხვავებით, აქ უკვე გვხვდება გაზაფხულის ხორბლის და ქერის ნათესები. სიმინდი იგივე პროპორციითაა წარმოდგენილი მარცვლეულის ნათესებში, როგორც ვაკეზე, მაგრამ აქაურ ურწყავ მიწებზე ეს კულტურა ორჯერ ნაკლებ მოსავალს იძლევა, ვიდრე პირველ ზონაში: ხორბლის მოსავლიანობა კი 20-25%-ით ნაკლებია, რაც იმის შედეგია, რომ სიმინდი უფრო მეტად ზარალდება გვალვისაგან, ვიდრე ხორბალი. საკოლმეურნეო წარმოებაში მარცვლეულის მეურნეობა იძლევა მთელი სასაქონლო პროდუქციის 27,2%-ს, გაცილებით უფრო ნაკლებს ვაკის კოლმეურნეობებთან შედარებით.

ერთ-ერთი წამყვანი დარგია მევენახეობა-მებაღეობა. ზონაში მდებარეობს ქვემო ქართლის ვენახების 64,6% და ხეხილის ბაღების 48,5%. მაშინ, როდესაც ვენახებს უმთავრესად უჭირავთ ზონის უფრო დაბალ ადგილებში მდებარე სარწყავი მიწები, ხეხილი გვხვდება როგორც დაბალ, ისე მაღალ ნაწილში, უფრო ხშირად ურწყავ მიწებზე.

მეცხოველეობის ყველაზე უფრო დაწინაურებული დარგია სახორცე-სარძეო მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო მიწების განსაზღვრულ ფართზე აქ მეტია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის აბსოლუტური და ზვედრი ოდენობა ვაკესთან შედარებით, მაგრამ ნაკლებია, ვიდრე ზეგანზე. პირობით ერთეულებზე გადაყვანით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვზე მოდის მთელი პირუტყვის 45%. ერთი ძროხის საშუალო წლიური წვევალდობა ზონის კოლმეურნეობებში შეადგენს 812 კგ-ს (1953 წ.).

გარდა აღნიშნული მთავარი დარგებისა, ბოლნის-თეთრი წყაროს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეცხვარეობა, მელორეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა და მეკარტოფილეობა, რომლებიც დამატებით დარგებს წარმოადგენენ. დამხმარე მნიშვნელობა აქვს ტექნიკური კულტურების წარმოებას (მზესუმხირა), მეფრინველეობას, მეაბრეშუმეობას და მეფუტკრეობას.

როგორც თავისი ბუნებრივი პირობებით, ისე სოფლის მეურნეობის ზოგადი სახითაც წინამთებს გარდამავალი ადგილი უჭირავს ვაკესა და ზეგანს შორის.

წინამთების სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაცია უშუალოდაა დაკავშირებული აქ სარწყავი სისტემების მშენებლობასთან. კარგი პერსპექტივები აქვს ზონაში მევენახეობა-მებაღეობას, მებოსტნეობას და სარძეო მეურნეობას.

### 3. მთა-ველის ზონა ანუ წალკა-დმანისის ზეგანი

წალკა-დმანისის ზეგნის სოფლის მეურნეობაში მთავარი დარგებია სახორცე-სარძეო მიმართულების მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა და მარცვლეულის მეურნეობა.

ბუნებრივი საკვების სავარგულების ღიდი ფართობები და ზამთრისათვის თივის დამზადების არსებული შესაძლებლობანი ხელსაყრელ პირობებს ქმნის სარძეო მეცხოველეობის განვითარებისათვის. ზეგნის გრილი ჰავა და ნოყიერი ნიადაგები ხელს უწყობენ კარტოფილის ფართოდ გავრცელებას. ამავდროს რიგი სითბომოყვარული კულტურები, მკაცრი ჰავის გამო, ზეგანზე არ ითესება.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დაწინაურებული დარგია სახორცე-სარძეო მიმართულების მეცხოველეობა. წალკა-დმანისზე მოდის ქვემო ქართლის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთელი რაოდენობის 40,8% და ძროხების 39,3%. ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა ზეგნის კოლმეურნეობებში 1953 წელს შეადგენდა 905 კგ-ს, გაცილებით მეტს, ვიდრე დანარჩენი ზონების კოლმეურნეობებში. ყოველ 100 ჰექტარ სახნავსა და სასითბ-საძოვარზე კოლმეურნეობები აქლებულობენ 53,5 ცენტ ძროხის რძეს, მაშინ, როდესაც წინამთებში ეს მაჩვენებელი არ აღემატება 38,4 ცენტს და ვაკეში—30,3 ცენტს. სახორცე-სარძეო მეცხოველეობა იძლევა კოლმეურნეობათა სასაქონლო პროდუქციის 48,5%. ზეგანის პირუტყვის მთელ სულადობაში მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე მოდის 56,2%. მეურნეობის ეს დარგი ბევრად უფრო წინ დგას ზონის სამხრეთ ნაწილში. ზეგანზე სარძეო მეურნეობის უზინრატესობას გვიჩვენებს ის ფაქტიც, რომ დმანისის რაიონში ბევრად უფრო ნაკლები საზოგადოებრივი შრომა იხარჯება რძის განსაზღვრული ოდენობის წარმოებაზე, ვიდრე ქვემო ქართლის დანარჩენ ადმ. რაიონებში.

წალკა-დმანისის ზეგანს პირველი ადგილი უკავია რესპუბლიკის მეკარტოფილეობაში. 1953 წელს ქვემო ქართლის კარტოფილის ნათესების 68,6% განლაგებული იყო ზეგანზე. წალკა-დმანისის კოლმეურნეობებში 1953 წელს 100 ცენტ კარტოფილის მოყვანაზე დაიხარჯა 14,8%-ით ნაკლები შრომა, ვიდრე ვაკის კოლმეურნეობებში და 46,4%-ით ნაკლები წინამთების კოლმეურნეობებთან შედარებით. აქედან ჩანს, თუ რამდენად ხელსაყრელია კარტოფილის მოყვანა ზეგანზე, ვიდრე დანარჩენ ზონებში. იმავე წელს ზეგანზე მოდიოდა ქვემო ქართლის კოლმეურნეობებში მიღებული კარტოფილის მთელი მოსავლის 75,3%. საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე აქ შეადგენდა 75,7 ცენტს, მაშინ, როდესაც წინამთებში ანალოგიური მაჩვენებელი უდრიდა 38,6 ცენტს და ვაკეზე—65,2 ცენტს.

ზეგანი მარცვლეულის მეურნეობის განვითარებით შესამჩნევად ჩამორჩება წინამთებსა და, განსაკუთრებით, ვაკეს, მაგრამ წარმოების ეს სახე მაინც ინარჩუნებს ზონის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი ძირითადი დარგის მნიშვნელობას. დმანისის ადმ. რაიონში მთავარი მარცვლეული კულტურა შემოდგომის ხორბალია, წალკის რაიონში კი გაზაფხულის ხორბალი.

სოფლის მეურნეობის დამატებითი დარგია მეცხვარეობა. დამხმარე დარგებს წარმოადგენენ მებოსტნეობა (წალკის რაიონში მოჰყავთ კომბოსტო), მეღორეობა და მეფრინველეობა.

წალკა-დმანისის ბუნებრივი რესურსები ყველაზე უფრო ხელსაყრელია სარძეო მეურნეობისა და მეკარტოფილეობის განვითარებისათვის, ამიტომ აღ-



ნაშნული დარგების განვითარებას უნდა მიექცეს მომავალში მთავარი ყურადღება. აუცილებელია საკვები ბაზის შემდგომი გაძლიერება, პირველ რიგში სიმინდისა და ქერის წარმოების გადიდების გზით.

В. Ш. ДЖАОШВИЛИ

## РАЗВИТИЕ И РАЗМЕЩЕНИЕ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА НИЖНЕГО КАРТЛИ (Квемо Картли))

### Резюме

В труде рассматривается развитие и размещение сельского хозяйства в следующих административных районах Грузинской ССР: Гардабанском, Марнеульском, Болнисском, Тетрицкаройском, Дманисском и Цалкском, территория которых в прошлом входила в состав Нижнего Картли, одной из исторических провинций Грузии.

По данным Вахушти Багратиони сельскохозяйственное освоение территории Нижнего Картли сделало значительные успехи еще в эпоху феодализма.

Большие изменения в экономической жизни края произошли после присоединения Грузии к России, в особенности, в пореформенный период. Утвердившиеся капиталистические отношения вызвали имущественное расслоение крестьянства и образование торгового земледелия. Наметились специализация отдельных частей Нижнего Картли в области производства определенных продуктов сельского хозяйства, предназначенных для продажи. Но существовавшие, социально-экономические отношения сильно тормозили интенсификацию сельского хозяйства, пережитки натурального хозяйства и крепостных отношений сохранились вплоть до самого предреволюционного периода.

В годы Советской власти произошла социалистическая реконструкция сельского хозяйства Нижнего Картли. Вместо прежних мелких и раздробленных крестьянских хозяйств создались крупные коллективные хозяйства. В 1953 году 163 колхоза Нижнего Картли обслуживали 15 МТС, в распоряжении которых было 1084 трактора (в переводе на 15 сильный), 250 комбайнов и большое количество прицепных сельскохозяйственных орудий. Из основных видов сельскохозяйственных работ наиболее механизирована пахота, а также сев и уборка урожая колосовых культур. Слабо используются пока-что машины при посеве картофеля и технических культур, обработке посевов пропашных культур и уборке их урожая. В 1953 году степень механизации всех видов пахоты составляла по Нижнего Картли 88%.

Большое значение в сельском хозяйстве исследуемого подрайона имеет искусственное орошение. Оно применяется, в основном, на равнине Нижнего Картли, где разведение сельскохозяйственных культур почти невозможно без полива. Вся поливная площадь составляет свыше 53 тысяч га, или около 17%-ов поливных земель республики.

В сельском хозяйстве развито как растениеводство, так и животноводство. Пахотные земли составляют 27,9% всей территории, что намного выше удельного веса пахотных земель во всем земельном фонде республики.

Сенокосы пастбища занимают 37,5%-ов, а многолетние насаждения—0,9%. Удельный вес сельскохозяйственных земель Нижнего Картли в 1,6 раз выше, чем в среднем по республике.

С 1923 по 1950 год посевная площадь выросла в 2,7 раза и достигла к концу этого периода 108,6 тыс. гектаров. В 1923 96,5% всей посевной площади приходилось на зерновые культуры, а 3,5% — на картофель, овоще-бахчевые, технические и кормовые культуры. К 1950 году структура посевных площадей сильно изменилась. В частности, площадь технических культур уже составляла 4,6% всех посевов; посевы картофеля—8,3%, овоще-бахчевых—2,7%, кормовых культур—7,8%. В то же время посевы зерновых снизились соответственно до 76,6%-ов. Несмотря на такое снижение удельного веса зернового хозяйства, и в настоящее время оно является ведущей отраслью сельскохозяйственного производства Нижнего Картли.

В 1953 году посевы зерновых культур занимали 114,7 тыс. га, что составляло 13,1% всей площади зерновых в республике. Распространенными зерновыми культурами являются озимая и яровая пшеница, ячмень и кукуруза. Основной культурой является озимая пшеница, занимающая две трети площади зерновых. Урожайность указанных культур наиболее высока и устойчива на поливных землях равнины и постепенно падает в направлении к горно-степной зоне.

Из технических культур в Нижнего Картли распространены табак, эфирносы и подсолнух.

Видное место в растениеводстве Нижнего Картли занимает производство картофеля и овощей. В 1954 году под картофелем было занято 10,5 тыс. га и под овоще-бахчевыми культурами до 3-х тыс. га. Картофель, главным образом, распространен в горно-степной зоне; его посевы постепенно уменьшаются в направлении равнины. Овоще-бахчевые культуры больше всего распространены на поливных землях равнины.

Посевы кормовых культур в 1953 году составляли 10 тыс. га. Более половины этой площади было занято многолетними травами, а остальная часть—однолетними травами, силосными культурами и кормовыми корнеплодами.

Значительное развитие в отдельных частях Нижнего Картли получили виноградарство и садоводство. В 1953 году площадь виноградников составляла 2,6 тыс. га, а фруктовых садов—4,5 тыс. га. Многолетние насаждения больше всего встречаются в зоне предгорий, а также в равнинной части.

Большой удельный вес естественных кормовых угодий в земельном фонде Нижнего Картли способствует развитию животноводства. Наличие как летних, так и зимних пастбищ, а также больших площадей сенокосов, обусловило отгонный характер овцеводства и пастбищно-стойловое содержание крупного рогатого скота. В связи с этим наиболее развилось животноводство мясо-молочного и мясо-шерстного направления.

Структура животноводства на первое октября 1953 года в переводе на условный скот, представлялось следующим образом: крупный рогатый скот составлял 46% всего поголовья, мелкий рогатый скот—41,6%, лошади и свиньи—12,4%. Мясо-шерстное направление в животноводстве больше развито на равнине Нижнего Картли и постепенно ослабевает к горно-степной зоне. Мясо-молочное скотоводство наиболее слабо представлено в Гардабанском районе и усиливается в направлении к горно-степной зоне, достигая наибольшего развития в Дманисском районе. На каждые 100 га пашни, сенокосов и пастбищ приходится 9 коров, со среднегодовой удойностью на одну колхозную фуражную корову 810 кг молока (1953 г.).

Основная часть сельскохозяйственного производства Нижнего Каргли сосредоточена в колхозах. 78%-ов стоимости (по государственным закупочным ценам) всей сельскохозяйственной продукции колхозов приходится на растениеводство, а 22%—на животноводство.

Благодаря более высокой товарности, животноводство дает 43,8% всей колхозной товарной продукции, хотя его доля в валовой продукции на много меньше; на растениеводство соответственно падает 56,2% товарной продукции. Характерно, что доля этой отрасли наиболее высока в колхозах Марнеульского района и постепенно уменьшается в сторону горно-степной зоны; в том же направлении увеличивается доля животноводства.

Наибольший объем валовой и товарной продукции на единицу лошади сельскохозяйственных земель получают колхозы Марнеульского и Болнисского районов, что является показателем большей интенсивности сельскохозяйственного производства в колхозах указанных районов.

На растениеводство падает 52,8% всех денежных доходов, а на животноводство—37,5%.

В заключительной части труда, в соответствии с природными условиями и на основе анализа структуры сельского хозяйства, выделены три зоны сельскохозяйственного производства Нижнего Каргли, с установлением в каждой из них основных отраслей сочетаний их с дополнительными и подсобными отраслями.

Первая зона равнина Нижнего Каргли, охватывающая территорию Гардабанского и Марнеульского районов — является зоной зернового хозяйства, овощеводства и мясо-шерстного скотоводства.

В связи с тем, что равнина Нижнего Каргли входит в зону пригородного хозяйства Тбилиси и Рустави, а также с учетом природных ресурсов, целесообразно в будущем здесь создать мощное молочное хозяйство и еще больше развить овощеводство и бахчеводство.

Вторая зона—предгорья и горные склоны (сюда же входит в основном лесной пояс)—охватывает территорию Болнисского и Тетрицкаройского районов и является зоной зернового хозяйства, виноградарства-садоводства и мясо-молочного скотоводства.

Для дальнейшего развития сельского хозяйства рассматриваемой зоны большое значение имеет расширение поливных площадей. Наиболее перспективными отраслями зоны являются виноградарство-садоводство, овощеводство и мясо-молочное скотоводство.

Третья зона включает в себя территорию Цалкского и Дманисского районов, представляющую нагорную степь, и обращенные к ней склоны Джавахетского, Самсарского, Триалетского и Локского хребтов. Главными отраслями сельского хозяйства этой зоны являются мясо-молочное скотоводство, картофелеводство и зерновое хозяйство.

Для сельского хозяйства горно-степной зоны наиболее перспективным является мясо-молочное скотоводство (с усилением молочного направления) и картофелеводство.

## ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ლენინი ვ., კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტომი III, გამოცემა მე-4.
2. სტალინი ი., სკპ (ბ) ცკ-ის პოლიტიკური ანგარიში პარტიის მე-16 ყრილობას; თხზულებანი, ტომი 12.
3. ხრუშჩოვი ნ. ს., სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. მოხსენება სკპ ცკ-ის პლენუმზე 1953 წლის 3 სექტემბერს, თბილისი, 1953.
4. ხრუშჩოვი ნ. ს., ჩვენს ქვეყანაში მარცხელულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყაბირი და ნასევი მიწების ათვისების შესახებ, მოხსენება სკპ ცკ-ის პლენუმზე 1954 წლის 23 თებერვალს, თბილისი, 1954.
5. ხრუშჩოვი ნ. ს., მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ, მოხსენება სკპ ცკ-ის პლენუმზე 1955 წლის 25 იანვარს, თბილისი, 1955.
6. ხრუშჩოვი ნ. ს., საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას. ვაზეთი „კომუნისტი“, 1956, №38—40.
7. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, ვაზეთი „კომუნისტი“, 1956, № 47.
8. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ვაზეთი „კომუნისტი“, 1956, №48, 49.
9. კარტაგელისა და ბოსტნეულის წარმოების და დამზადების გადიდების შესახებ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 იანვრის დადგენილება. ვაზეთი „კომუნისტი“, 1956, №29.
10. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ი. დ. ჯანაშია ს.,—საქართველოს ისტორია, თბილისი, 1943.
11. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
12. იაშვილი ნ. მევენახეობის გაადვილება საქართველოს სსრ-ში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტომი II, თბილისი, 1947.
13. კარბელაძე ი. ლ., მეხილეობის მნიშვნელობა საქართველოში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტომი I, თბილისი, 1946.
14. რცხილაძე ი. საქართველოს სსრ მევენახეობა და მეღვინეობა, თბილისი, 1954.
15. საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნაწილი I, თბილისი, 1925.
16. ჩოლოყაშვილი ს., და რცხილაძე ი., მევენახეობა საქართველოში, საქართველოს სსრ სას. სამ ინსტიტუტის შრომები, სერია I, თბილისი, 1940, ტხრილი I.
17. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები, ფონდი 513 და სხვ.
18. Бучукири А., Плодоводство по эконом-географическим районам Грузинской ССР в фондах Института Географии АН Грузинской ССР, фонд 394.
19. Жуковский П. М., Культурные растения и их сородичи, Москва, 1950.
20. Ерицов А. Д., Экономический быт государственных крестьян Борчалинского уезда, в сборнике—Материалы по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского Края, том VII, Тифлис, 1887.
21. «Кавказский Календарь», 1891, Землевание и землеладельцы в Тифлисской Губернии.
22. «Кавказское сельское хозяйство», 1897, № 158.
23. «Кавказское хозяйство», 1910, № 22.
24. Картофель под редакцией акад. И. В. Якушкина, Москва, 1952.
25. Кохозное овощеводство—под редакцией, проф. Б. И. Эдельштейна, Москва, 1949.
26. Кондратенко Г. И., Свод статистических данных о земледелии в Тифлисской и Кутаисской губерниях, Тифлис, 1893.
27. Кормопроизводство, под редакцией И. В. Якушкина, Москва, 1952.
28. Мачабели С. В., Экономический быт государственных крестьян Тифлисского уезда, МИЭБГКЗК, том V, Тифлис, 1887.
29. Сабашвили М. Н., Почвы Грузии, Тбилиси, 1948.

30. Саушкин Ю. Г., Географические очерки, Географгиз, 1947.
31. «Сборник статистических сведений по Закавказскому краю», часть I, Тифлис, 1902, таблицы XII и XXIV.
32. «Сельскохозяйственный обзор по Закавказью», 1911, Тифлис, 1912, таблицы об урожайности.
33. «სსოფლო ვახეთი», 1872, № 10
34. «Кавказ» 1872, № 60, В. 3.
35. «ივერია», 1881, № 12, გვ. 112—126
36. «საქართველოს კალენდარი», 1905, გვ. 263.



3. ძაბვა

მკვმო ქართლის მრეწველობის განვითარება და განლაგება

1. მრეწველობის ზოგადი დახასიათება

ქვემო ქართლი ძველთაგანვე ცნობილი იყო რიგი შინამრეწველური დარგებით. ლითონი, სამშენებლო მასალები, საფეიქრო ნაწარმი, კვების პროდუქტები და სხვა მზადდებოდა შინამრეწველურ საწარმოებსა და სახელოსნოებში. იმ დროისათვის ეს ნაწარმი საკმაოდ მაღალი ხარისხიანობით ხასიათდებოდა. ქვემო ქართლის მდიდარი ისტორიული ძეგლები და არქეოლოგიური მასალები უდავოდ ლაპარაკობს შორეულ წარსულში ამ რაიონის მოსახლეობის კულტურულ და სამეურნეო განვითარების მაღალ დონეზე. რუსთავი, დმანისი, სამშვილდე და სხვ. ძველი ქალაქები, გარეშე მტრების შემოსევის შედეგად დაინგრა და განადგურდა. ისინი დღეს ნასოფლარ-ნაქალაქებს წარმოადგენენ.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილი [8, 9] საქართველოს ლითონის მოპოვებისა და დამუშავების უძველეს კერად თვლის. ამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს ის, რომ ქართულ ენაში, გარდა კალისა, არ არის ლითონის არცერთი სახელწოდება, რომელიც ნასესხები იყოს სხვა ენებიდან. თქრო, ვერცხლი, თითბერი, სპილენძი, ტყვია, რკინა ძირეული ქართული სიტყვებია. რკინის მადნის მოპოვებითა და გამოდნობით საქართველოს მნიშვნელოვან რაიონს ქვემო ქართლი წარმოადგენდა. კერძოდ კი ბოლნისის რაიონის ჩათახის მადამოები, უკანასკნელის ფარგლებში 30-მდე ცალკეული უბნებია, სადაც რკინის მადნები გვხვდება. ამ რაიონში მრავალ ადგილას ნაპოვნია რკინის წილები, აგრეთვე ძველი პრიმიტიული მადანსადნობი ღუმელები, რაც იმის შესახებ მიუთითებს, რომ ადრე ჩათახის საბადოს ბაზაზე რკინის მადნის მოპოვება და ლითონის გამოდნობა ხდებოდა, ვახუშტის ცნობით, X საუკუნის პირველ ნახევარში სარკინეთის მადამოებში წარმოებდა რკინის მადნის მოპოვება და გადამუშავება. მაგრამ საქართველოს მოწინავე მეტალურგიული წარმოება გარეშე მტერთა განუწყვეტელი შემოსევების შედეგად გააბრტახდა; ლითონის გამოდნობა თანდათან შემცირდა და ბოლოს მთლიანად შეწყდა.

საქართველოში მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩანასახ მდგომარეობაში იყო. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა ლითონდამმუშავებელი მრეწველობა, ხოლო შავი ლითონების წარმოება (მეტალურგია) მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა საქართველოში სრულებით არ არსებობდა.

მეფის რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, შეწყდა საქართველოს ტერიტორიაზე გარეშე მტრების თარეში, მაგრამ მეფის მთავრობის ეკონომიკურ-



რი პოლიტიკა აშკარად აფერხებდა საქართველოში მრეწველობის დანერგვას და განვითარებას.

მენშევიკების ბატონობის წლებში საქართველოს ისედაც დაქვეითებული მრეწველობა კიდევ უფრო განადგურდა და დაეცა.

1921 წლიდან დაიწყო ზრუნვა მრეწველობის განვითარებისათვის. სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მიმემ მრეწველობის განვითარებას. ასეთნაირად ხასიათდებოდა საქართველოსა და მისი ერთ-ერთი ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონის — ქვემო ქართლის სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორია.


ამჟამად ქვემო ქართლში შექმნილია მრეწველობის რიგი ახალი დარგები, რომლებიც ძირითადად ეყრდნობიან რაიონში არსებულ ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის ბაზას. ხუთწლეულების მანძილზე აგებულ იქნა გარდაბნის, მარნეულის, ვიაურარხის, სადახლოს, შაუმიანის, ყაჩაგანის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, მანგლისის, თონეთის, ახალსოფლის, ივანოვკის, ბედენის, დმანისის, ირვანჩაის, ყარაბულახის, წალკის, მოლოტოვის, ბეშთაშენის, წინწყაროს, კუმჩის და რეხის ყველ-კარაქის ქარხნები. ძირფესვიანად გარდაიქმნა და გაფართოვდა ყულარისა და ბოლნისის ღვინის ქარხნების მუშაობა. გაიზარდა აგრეთვე კვების მრეწველობის ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოები (პურის საცხობი და სხვ.). რესპუბლიკაში არსებული და აგრეთვე სხვა რესპუბლიკებიდან შემოზიდული ნედლეულის ბაზაზე, 1944 წელს დაიწყო და 1950 წელს დამთავრდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა; სრულიად ახლად შეიქმნა ელექტროენერგეტიკული მრეწველობა, ქვემო ქართლში აშენდა „ხრამკისი“ — ყველაზე მძლავრი ჰიდროელსადგურის საქართველოში და რუსთავის თბოელსადგური. ამას გარდა, აშენდა ათამდე საკოლმეურნეო ჰიდროელსადგური, დაიწყო სამშენებლო მასალების (ბოლნისის ტუფის, მარნეულის ბაზალტისა და სადახლოს მარმარილოს) წარმოება; გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონებში აშენდა ავურ-კრამიტის, ხეცის სახერხი ქარხნები და სხვ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლი რუსთავის ჩათვლით წარმოადგენს მძლავრ სამრეწველო რაიონს საქართველოში. 1953 წელს ქვემო ქართლის მრეწველობა იძლეოდა რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულების 5,3%-ს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულების 1/4-ზე მეტი ქ. რუსთავზე მოდის. რუსთავის გამოკლებით კი ქვემო ქართლი სასოფლო-სამეურნეო ქვერაიონს წარმოადგენს.

ქვემო ქართლის (რუსთავის ჩათვლელად) სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგების ხვედრითი წონა ქვერაიონის მთელი მრეწველობის მიმართ ასეთ სურათს იძლევა: პირველ ადგილს იკავებს კვების მრეწველობა, რომელიც იძლევა ქვერაიონის მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულების 72,4%-ს, მეორე ადგილზეა ელექტროენერგეტიკული — 17,3% შემდეგ თანმიმდევრობით მიყვება მსუბუქი (6,1%), სატყეო და ხის გადამამუშავებელი (2,4%), სამშენებლო მასალათა (1,5%) და პოლიგრაფიული (0,3%) მრეწველობა.

ქვემო ქართლის დღევანდელ სახელმწიფო მრეწველობაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი დარგები: ელექტროენერგეტიკული, მეტალურგია, სამშენებლო მასალათა, სატყეო და ხის გადამამუშავებელი, მსუბუქი, კვების და პოლიგრაფიული.

1954 წლისათვის ქვემო ქართლში იყო სულ 65 სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, 10,8 ათასი მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსით. ამ საწარმოებმა 1953 წელს გამოუშვეს სულ 622 658,1 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია (გასაცემ ფასებში). აქედან მართო მეტალურგიულმა მრეწველობამ 485 300 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც ქვემო ქართლის საერთო სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 77,9%-ს შეადგენს. შემდეგ აღსანიშნავია კვების მრეწველობა, რომლის წილად მოდის რაიონის საერთო სამრეწველო პროდუქციის 12,9%. მერე თანმიმდევრობით მიჰყვება ელექტროენერგეტიკული (7,3%), მსუბუქი (1,1%), სატყეო და ხის გადამამუშავებელი (0,4%), სამშენებლო მასალათა (0,3%) და ბოლოს პოლიგრაფიული (0,1%). დაახლოებით ამ თანმიმდევრობას ემთხვევა აგრეთვე ძირითად დარგების მიხედვით მომუშავე მუშა ხელის ოდენობაც.



დიაგრამა 1


ქვემო ქართლის სახელმწიფო მრეწველობის ძირითადი საშუალებების ღირებულება (ელექტროენერგეტიკული მრეწველობის გამოკლებით)<sup>1</sup> 1954 წლის პირველი იანვრისათვის, შეადგენდა სულ 146,8 მილიონ მანეთს. ამ თანხიდან 98,5% რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაზე მოდის, შემდეგ თანმიმდევრობით მიჰყვება 1,4% კვების მრეწველობაზე, 0,04% მსუბუქ მრეწველობაზე და ა. შ.

1953 წელს, ქვემო ქართლის სახელმწიფო მრეწველობის კაპიტალდაბანდება შეადგენდა სულ 377791,9 ათას მანეთს, აქედან ყველაზე მეტი (99,2%) შავ მეტალურგიაზე მოდის.

როგორც დავინახეთ, ქვემო ქართლის სახელმწიფო მრეწველობაში ძირითადი წამყვანი დარგია შავი მეტალურგია, რომელსაც ძალზე დიდი ხვედრითი წილი აქვს როგორც საერთო პროდუქციის ოდენობით (77,9%), ისე ძირითად საშუალებათა ღირებულებითა (98,5%) და კაპიტალდაბანდებით (99,2%). მეტალურგიის შემდეგ აღსანიშნავია კვების მრეწველობა, აქ წამყვანია ყველკარაქისა და ღვინის წარმოება, მერე კი ელექტროენერგეტიკული მრეწველობა; უპირატესად „ხრამქისისა“ და რუსთავის თბოელექტროსადგურები. რაც შეეხება მრეწველობის დანარჩენ დარგებს სამშენებლო მასალათა წარმოება, სატყეო და მსუბუქი მრეწველობის დარგები მათი ხვედრითი წილი რაიონის მთელ სამრეწველო პროდუქციაში ძალზე უმნიშვნელოა (განსაკუთრებით ის ითქმის სამშენებლო მასალათა წარმოებაზე), მაშინ როდესაც ქვერეაიონში დიდძალი მაღალხარისხიანი ნედლეული (მარმარილო, ტუფი, ბაზალტი, გრანიტი, თიხები და სხვ.) მოიპოვება.

<sup>1</sup> ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ძირითადი დარგების საშუალებების ღირებულებაზე ხუსტი ცნობები არ მოგვემოყვება. ვ. კ.

ქვემო ქართლის ადმინისტრაციული რაიონების მრეწველობის ზვედრითი წონა სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციაში შემდეგ სურათს იძლევა: ქვერაიონის სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულების (622658,1 ათასი მანეთი) 86,9%-ს ქ. რუსთავი იძლევა, 4,0%-ს — წალკის რაიონი, შემდეგ თანმიმდევრობით მიყვება ბოლნისის — (3,6%), მარნეულის — (3,2%), დმანისის — (1,1%), თეთრი წყაროს — (1,0%) და ბოლოს გარდაბნის რაიონი 0,2%.



დიაგრამა 2

ქვემო ქართლის სახელმწიფო მრეწველობის თითოეულ საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა 166,5 მუშა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გამოკლებით კი საშუალოდ — 25 მუშა.

ქვემო ქართლში, გარდა სახელმწიფო მრეწველობისა, აღსანიშნავია აგრეთვე კოოპერაციული მრეწველობა, მაგრამ ქვემო ქართლის რაიონებში, საქართველოს სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებთან შედარებით კოოპერაციული მრეწველობა სუსტადაა განვითარებული.

1954 წლისათვის კოოპერაციულ მრეწველობაში ჩაბმული იყო სულ 243 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი. 1953 წელს გამოშვებულ იქნა 3414,6 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია, რაც ქვემო ქართლის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 0,5% შეადგენს.

ქვერაიონში წარმოდგენილია კლომეურნეობათა მრავალი დამხმარე საწარმოები, მაგრამ ისინი თითქმის მთლიანად კუსტარულადაა მოწყობილი, 1954 წლისათვის აქ იყო სულ 698 საკოლმეურნეო დამხმარე საწარმო, რომლებმაც 1953 წელს გადაამუშავეს 117,4 ათასი ცენტნერი ფქვილი, 503 ცენტნერი მცენარეული ზეთი, 879,0 ათასი ცალი აგური, 1.727,0 ათასი ცალი კრამიტი, 4770 კუბ. მეტრი დახერხილი ხის მასალა და კოლმეურნეობას მისცეს 3.765,4 ათასი მანეთის ფულადი შემოსავალი.

როგორც დავინახეთ, ქვემო ქართლის მრეწველობაში წამყვანი როლი სახელმწიფო მრეწველობას უკავია, იგი რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 98,8% იძლევა.

განვიხილოთ სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგები:

## 2. ელექტროენერგეტიკული მრეწველობა

ქვემო ქართლში არსებულ მდინარეებს: მტკვარს, ხრამს, ალგეთს, მაშავერას და სხვ. თავიანთი პატარა შენაკადებით, უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ირიგაციისა და ელექტროფიკაციის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქვემო ქართლის ჰიდროენერგია სრულებით არ იყო გამოყენებული, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ხუთწლეულებში დაიწყო მდინარეთა ენერჯის მაქსიმალური გამოყენება.

საქართველოს რესპუბლიკასა და, კერძოდ, ქვემო ქართლში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარება, მოსახლეობის კულტურულ-საყოფადუცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, დიდ მოთხოვნილებას აყენებდა ენერჯის ადგილობრივ წყაროებზე. ამიტომ ხუთწლეულების პერიოდში ფართოდ გაიშალა ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა. 1947 წლის დეკემბერში დამთავრდა საქართველოში ყველაზე მძლავრი ელსადგურის — „ხრამჭესის“ მშენებლობა, 1950 წელს — რუსთავის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ელექტროენერჯით მთლიანად აკმაყოფილებს ქარხნის ყველა საამქროს. გარდა რესპუბლიკური მნიშვნელობის მძლავრი ელსადგურებისა, ქვემო ქართლში აგებულია ცხრა საკოლმეურნეო ჰიდროელსადგური.

1954 წელს ქვემო ქართლში მუშაობდა სულ ათი ჰიდროელსადგური და ერთი თბოსადგური. ამ ელსადგურების საერთო სიმძლავრე 161965 კვტ შეადგენს, ისინი წელიწადში საშუალოდ იძლევიან 489,6 მილიონ კილოვატსაათ ენერჯიას. აღნიშნულ ელსადგურებში მუშაობს ორასამდე მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი. საკოლმეურნეო ელსადგურთა საერთო სიმძლავრე 4965 კილოვატია. მათ წელიწადში საშუალოდ შეუძლიათ მოგვცენ 8,6 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია.

ქვემო ქართლში არსებული ელსადგურებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ხრამის ჰიდროელსადგური, რომელიც სირთულითა და ტექნიკური თვალსაზრისით მეტად საინტერესო ნაგებობაა. იგი საქართველოში ყველაზე მძლავრი მარეგულიარებელი ელსადგურია. ხრამჭესის ელსადგური აგებულია მდ. ხრამის ღრმა და ვიწრო ხეობაში (წალკის რაიონი), სადაც მოწყობილია დიდი წყალსაცავი. წყალსაცავიდან ელსადგურამდე გაყვანილია გვირაბი, რომლის საშუალებითაც წყალი მიედინება ელსადგურში. იგი ყველაზე მაღალი წნევის ელსადგურია საქართველოში. როგორც ცნობილია, ხრამის მარეგულიარებელი ჰიდროელსადგური მუშაობს სეზონურად (შემოდგომასა და ზამთრის პერიოდში) ე. ი. მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა ჰიდროელსადგურები (ზაპესი, რიონჰესი, ჩითახეჰესი და სხვ.) მთელი დატვირთვით ვერ მუშაობენ (მდინარეების წყალმცირობის გამო). იგი ჩართულია საქელექტრო სისტემაში ელექტროგადამცემი მაგისტრალის საშუალებით, რომლის სიგრძე 70 კმ-ია. ელსადგურის ძირითადი მართვა ავტომატიზებულია.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ნორმალური, შეუფერხებელი მუშაობისათვის, ელექტროენერჯის გარდა, დიდი რაოდენობითაა საჭირო ორთქლი და შეკუმშული ჰაერი. ამისათვის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დამთავრებთან ერთად, აშენდა ქარხნის საკუთარი თბოელექტროსადგურიც, რომელიც ელექტროენერჯითა და ორთქლით მთლიანად აკმაყოფილებს ქარხნის ყველა საამქროს. რუსთავის თბოელექტროსადგური მუშაობს ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირზე.


ქვემო ქართლის ადგილობრივ საკოლმეურნეო ელსადგურიდან აღსანიშნავია „დმანისჰესი“ (დმანისის რაიონი), რომელიც აშენდა სოფ. პანტიანთან 1932—37 წწ. მდ. მაშავერაზე (სიმძლავრე 1300 კვტ.). იგი მომსახურეობას უწევს დმანისის რაიონის 32 სოფელსა და ბოლნისის რაიონის ორ სოფელს. ელ-

სადგურის ბაზაზე მუშაობს მარცვლეულის საღებო და დამხარისხებელი მანქანები; გამოყენებულია, აგრეთვე წველისა და პარსვის მექანიზირებისათვის. წალკის რაიონში ადგილობრივი საკოლმეურნეო ელსადგურებიდან აღსანიშნავია „დაშაშვესი“, რომელიც 1944—45 წლებში აშენდა, 1800 კილოვატის სიმძლავრით. იგი ემსახურებოდა ხრამქვის მშენებლობას. ხრამქვის მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი ემსახურება სოფ. წალკას, დაშაშას, დაბა მოლოტოვსა და წალკის რაიონის ორ მტს.

წალკის რაიონში არის აგრეთვე სოფ. ავრანლოსა და ოზნის საკოლმეურნეო ჰიდროელსადგურები, თითოეული 125 კვტ. სიმძლავრით, რომლებიც ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის ბინების, საკოლმეურნეო ფერმების განათებას და წისქვილებს.

ბოლნისის რაიონში ორი საკოლმეურნეო ელსადგურია — „ბოლნისპესი“ და „ჩათახპესი“. პირველის მშენებლობა 1951 წელს დამთავრდა. იგი აგებულია მდ. მაშავერიდან გადმოყვანილ სარწყავ არხზე და 520 კვტ. სიმძლავრე აქვს. მომსახურებას უწევს: დაბა ბოლნისს, მის წარმოება დაწესებულებებსა და ფერმას, სოფლებს: წითელსოფელს, რატევანს, ქვეშს, კიანეთს, აბდალოს. „ჩათახპესი“ (სიმძლავრე 125 კვტ.) კი ელექტრო ენერჯით უზრუნველყოფს სოფლებს: ჩათახსა და სამწვერისა, ჩათახის ხე-ტყის სახერხ ქარხანას და სხვ.

თეთრი წყაროს რაიონში აღსანიშნავია თეთრი წყაროს ჰიდრო-ელექტროსადგური, რომელიც 1946 წელს აშენდა, მისი სიმძლავრე 360 კვტ. უდრის და შეუძლია წელიწადში საშუალოდ გამოიმუშაოს 1 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია. იგი მომსახურებას უწევს დაბა თეთრ წყაროს, სოფლებს: აბელიანს, ვარხუნოს, კონსტანტინოვკას, მიხაილოვკასა და რაიონის მტს.



პირობითი ნიშნები:

- ქრუსთავი
- წალკის რაიონი
- გარდაბნის „ „
- ბოლნისის „ „
- თეთრი წყაროს რაიონი
- ღმანისის რაიონი

დიაგრამა 3

გარდაბნის რაიონში ერთი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელსადგურია, რომელიც ემსახურება გარდაბანს, რაიონის წარმოება დაწესებულებებს, სოფლებს: ერთობას, მიხაილოვკას, ვასილევკას, ქვემო კაპანახჩისა და სამანქანოსატრაქტორო სადგურს.

ქვემო ქართლში, გარდა დასახელებული ელსადგურისა, აღსანიშნავია მშენებლობაში მყოფი „ხრამქს № 2“ — ჰიდროელსადგური, რომლის მშენებლობა მეექვსე ხუთწლეულში უნდა დამთავრდეს.

მომავალში განზრახულია ფარავნის ტბიდან გვირაბის საშუალებით წყლის გამოშვება ხრამქს № 1 ახლანდელ წყალსაცავში, გზად ახალი, საკმაოდ მძლავრი, ჰიდროელსადგურის აგება სოფ. ნარდევანთან (წალკის წყალსაცავის მახლობლად). „ნარდევანქვის“ მიერ გადამუშავებული წყალი შეუერთდება წალ-



კის წყალსაცავს, რის გამო ხრამქვის № 1 და № 2-ის სიმძლავრე გაორკეცდება. ამის შემდეგ განზრახულია ხრამის კასკადის განხორციელება და ხრამქვს მესამის, წყნარი აბანოს, სამშვილდისა და არუხლის ჰიდროელსადგურების მშენებლობა. ამ პრობლემის განხორციელების შემდეგ, ყველა ეს სადგურები წიწიწადში 2,1 მილიარდ კილოვატსაათ ენერჯიას მოგვეცემს.

### 3. მეტალურგია

საქართველოში შავი მეტალურგიის შექმნის საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე დაისვა, მაგრამ ის მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, როცა ნედლეულის და სათბობის ბუდობები შესწავლილ იქნა და შესაძლებელი გახდა მათი მარჯვის საბოლოოდ დადგენა. 1933 წელს ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა, 1934 წელს — ავქალის თუჯის და ფოლადის სამსხმელო ქარხანა — „ცენტროლიტი“.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მანქანათმშენებლობის განვითარებამ და ლითონის მოხმარების სწრაფმა ზრდამ, სათბობისა და ნედლეულის მდიდარი წყაროების არსებობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მზარდმა მოთხოვნილებამ, სათანადო მატერიალური და ტექნიკური პირობების შექმნამ და საჭირო კადრების აღზრდამ, მოამზადა აუცილებელი პირობა საქართველოში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის. საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, 1944 წელს დაიწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა და 1950 წელს 27 აპრილს პირველი ქართული ფოლადი მისცა სამშობლოს. იგი მუშაობს ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირზე, დაშქესანის (აზერბაიჯანის სსრ) რკინის მადნის, ჭიათურის მარგანეცის, ზესტაფონის ფეროშენადნობის, მარნეულის რაიონის სადაზლოს კირქვების, ქარელის რაიონის სოფ. აბანოს დოლომიტის, ახალციხის რაიონის სოფ. ქისათიბის დიატომიტის, ზესტაფონის რაიონის სოფ. შრომის ცეცხლგამძლე თიხების, საჩხერისა და შუქრუთის საყალიბე სილის ბაზაზე. მიუხედავად მეტალურგიული ქარხნისათვის საჭირო ნედლეულის ასეთნაირი განლაგებისა და მზა პროდუქციის მომხმარებელ ობიექტთა ტერიტორიულად დაქსაქსულობისა, რუსთავს მოხერხებულად შეუძლია მიიღოს მეტალურგიული ქარხნისათვის ყოველგვარი ნედლეული და მოხერხებულადვე მიაწოდოს ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მზა პროდუქცია.

მსხვილი მეტალურგიული წარმოების შექმნასთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენში მეტალურგ ინჟინერთა, ტექნიკოსთა და კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებას. სწორედ ამიტომ, ქარხნის მშენებლობასთან ერთად, დაიწყო კადრების მომზადებაც. 1944 წელს საქართველოდან რამდენიმე ათასი ახალგაზრდა მივიღინებულ იქნა საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის ძირითად ცენტრებში — დონბასში, მაგნიტოგორსკისა და დნებრის-პირეთის მეტალურგიულ ქარხნებში. ახალგაზრდებმა საფუძვლიანად აითვისეს სხვადასხვა პროფესია და ამჟამად ისინი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში წარმატებით მუშაობენ. ამის გარდა, ქ. თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტიც ამზადებს კადრებს მეტალურგიისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილია ლითონისა და სამთო საქმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში მეტალურგიის დანერგვა-განვითარებას.

დღეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა თავისი მრავალრიცხოვანი საამქროებითა და კარიერებით წარმოადგენს კომბინატს სრული მეტალურგიული ციკლით. სხვა მეტალურგიულ ქარხნებისაგან ის გამოირჩევა თანამედროვე მძლავრი მილსაგლინავი აგრეგატებისა და სხვა საგლინავი საამქროების უნივერსალური დანადგარებით.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა შედგება რიგი საამქროებისაგან, მათ შორის აღსანიშნავია საკოქსე, საბრძმედე, მარტენი, ზლიუმინგი, მილნამზადის, მილსაგლინავი და სხვა. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას აქვს აგრეთვე (როგორც დამხმარე) მძლავრი თბოელექტროსადგური, აირგენერატორის საამქრო, საკომპრესორო და ქანგბადის მისაღები სადგურები, ცეცხლგამძლე აგურის საამქრო, წილის გადამმუშავებელი საამქრო, საკუთარი შინაგანი რკინიგზა და სხვ. ქარხნის ამუშავების დღიდან სისტემატურად იზრდებოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროდუქცია და მისი ხარისხი. ასე, მაგალითად, 1950 წელთან შედარებით 1954 წლისათვის ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია გაიზარდა 7,6-ჯერ, მათ შორის ფოლადის—7,0-ჯერ, ზღუმის—27,9-ჯერ და ა. შ.


რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გრანდიოზულობაზე ლაპარაკობს ისიც, რომ მის გვერდით აშენდა ახალი სოციალისტური ქალაქი — რუსთავი, რომელიც განლაგებულია მეტალურგიული ქარხნის სამხრეთ-დასავლეთით, მტკვრის ორივე სანაპიროზე. რუსთავი (50,0 ათასი მცხოვრებით) საქართველოს ერთ-ერთი ლამაზი და კეთილმოწყობილი ქალაქია, თავისი მშვენიერი პარკით, კინოთეატრებით, საზაფხულო ესტრადებით, კლუბით, ფიზკულტურული მოედნებით, სტადიონით, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებით, საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლით, მეტალურგიული ტექნიკუმით, ბიბლიოთეკებით, საშუალო სკოლებით და სხვ. მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით, ქალაქში არის აგრეთვე რიგი სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულებები: პოლიკლინიკა, სხვადასხვა სამკურნალო ნადგურები, აფთიაქები, საავადმყოფო და სხვ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გვერდით, ძირითადად მეტალურგიული ქარხნის ნარჩენების ბაზაზე, 1955 წელს ამუშავდა ქიმიური ქარხანა, რომელიც დაამზადებს სოფლის მეურნეობისათვის ძვირფას აზოტოვან სასუქებს ქალაქის მრეწველობინატის მიერ მოწყობილია რკინის საწოლებისა და ფეხსაცმელის საქაოდ დიდი საწარმოები, ქალაქში აშენდა აგრეთვე ხორცისა და პურკომბინატები და სხვ.

#### 4. საფინანსო მასალათა წარმოება

ქვემო ქართლი მდიდარია ბუნებრივი სამშენებლო ნედლეულით (მარმარილო, ტუფი, ბაზალტი, თიხნარები, კირქვები და სხვ.). პირველ რიგში აღსანიშნავია საუკეთესო ხარისხის სადახლოს მარმარილო (მარნეულის რაიონში), რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს გარედაც იგზავნება. ქვემო ქართლში დიდი რაოდენობით მოიპოვება სხვადასხვა ფერის ტუფი (ბოლნისისა და მარნეულის რაიონში). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლნისის ტუფი, რომელიც წარმოადგენს ძვირფას საშენ საკედლე და მოსაპირკეთებელ მასალას. იგი ყინვაგამძლეა, კარგად ილურსმება, შედარებით მსუბუქია და ადვილად მუშავდება. კარგი ხარისხის სამშენებლო ტუფია აგრეთვე ხატის სოფლის და სადახლოს მდამოებში[7].

ქვემო ქართლში ძლიერ გავრცელებული კირქვები (მდ. ხრამზე, ალგეთზე, თეთრი წყაროს, მანგლისის, დურნუქის, შაუმიანის, სადახლოს, ბოლნისისა და ვომარეთის მიდამოებში) კარგ სამშენებლო მასალას წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სადახლოს კირქვის საბადო, რომელიც კირქვით (მდნობით) რუსთავეის მეტალურგიულ ქარხანას ამარაგებს. მდ. მდ. ხრამისა და ალგეთის ხეობაში გავრცელებულია ტუფოგენური ქვიშაქვები. ქვიშაქვები არის აგრეთვე მანგლისის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, შაუმიანის, დმანისისა და ყაჩაღანის მიდამოებში. ეს ქვიშაქვები საშენ მასალად გამოიყენება. სამშენებლოდ გამოიყენება აგრეთვე ბაზალტები და ანდეზიტო-ბაზალტები, რომელთა დამუშავებამოპოვება მიმდინარეობს სოფ. სოფ. დურნუქის, მარნულის, წინწყაროსა და სანდარის მიდამოებში [7].



სურ. 2. სადახლოს კირქვის მოპოვება

მდ. ხრამის გაყოლებით, მოპოვება რუხი და ვარდისფერი გრანიტები, რომელიც ძვირფას სამშენებლო ქვას წარმოადგენს. ჩათახის მიდამოებში, მდ. ფოლაღურისა და ლოქის წყლის აუზში, კაზრეთისა და ქვემო ბოლნისის მიდამოებში გავრცელებულია კვარციტები, იგი იხმარება შენობების მოსაპირკეთებლად, ამავე დროს ვარგისია საღეს და წისქვილის ქვებად.

მდ. მდ. მტკვრის, ალგეთის, ხრამისა და მისი შემდინარეების ხეობებში გავრცელებულია ხრეში, ლორდი და სილა, რომელიც ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში. გარდა ამისა, ქვემო ქართლის ვაკეზე გავრცელებულია კერამიკული თიხები.

ზემოაღნიშნული ძვირფასი სამშენებლო ნედლეული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სუსტად იყო გამოყენებული და იგი პრიმიტიული წესით მოწყობილ აგურ-კრამიტის, კირის საწარმოებსა და საშენი ქვის კარიერებში მუშავდებოდა. ქვემო ქართლის ბუნებრივი სამშენებლო ნედლეულის ყოველმხრივი შესწავლა და ფართო გამოყენება, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

ერთი მხრივ, ქვემო ქართლში უხვი სამშენებლო ნედლეულის არსებობამ და, მეორე მხრივ, ამ კუთხისა და მთლიანად რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მშენებლობის განვითარებამ, პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურმა



მზრუნველობამ ხელი შეუწყო სამშენებლო მასალათა მრეწველობის აღმავლობას. ქვემო ქართლში შეიქმნა აგურ-კრამიტის, კირის, მარმარილოს, ტუფის, ბაზალტებისა და სხვა საშენი მასალების რიგი საწარმოები, რომლებიც ძირითადად ნედლეულ ბაზებთანაა განლაგებული.

გაშლილ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობასთან დაკავშირებით, სისტემატურად იზრდებოდა საშენ მასალათა მრეწველობის პროდუქცია. მიუხედავად ამისა, ქვემო ქართლის დღევანდელი სამშენებლო მასალათა მრეწველობის პროდუქცია ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მშენებლობის გაშლილ მოთხოვნილებებს. სამშენებლო მასალათა მრეწველობა შედარებით უკეთაა განვითარებული მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში. მარნეულის რაიონში მოწყობილია მარმარილოს, გრანიტის, ტუფის, ბაზალტის, კირქვისა და აგურ-კრამიტის საწარმოები, რომლებმაც 1953 წელს დაამზადეს: მარმარილო — 1000 მ<sup>3</sup>,



სურ. 3. სამშენებლო ალიზის დამზადება ს. შულავერში

გრანიტი — 6000 მ<sup>3</sup>, ბაზალტი — 4000 მ<sup>3</sup>, კირქვა 151654 ტონა, კრამიტი — 775000 ცალი, აგური 528000 ცალი და სხვ. სადახლოს კირქვის მოპოვება და გადამუშავება მექანიზებული წესით წარმოებს, დანარჩენი მასალების დამუშავება კი ნახევრადმექანიზებულ საწარმოებში ხდება.


როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, სამშენებლო მასალათა წარმოება შედარებით კარგადაა განვითარებული ბოლნისის რაიონში. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება მაღალხარისხოვანი ტუფი, ბაზალტი, კირქვები, თიხები და სხვ. მათ ბაზაზე მოწყობილია შესაფერი საწარმოები, რომლებმაც 1953 წელს დაამზადეს: ტუფი — 10000 მ<sup>3</sup>, ბაზალტი—6000 მ<sup>3</sup>, კირი 707 ტონა, კრამიტი—327000 ცალი, აგური — 47000 ცალი. ტუფისა და ბაზალტის დამუშავება ნახევრადმექანიზებულია, ხოლო აგურ-კრამიტისა და კირის დამზადება პრიმიტიული წესით ხდება.

ბოლნისისა და მარნეულის რაიონებიდან ძვირფასი საშენი ფერადი ტუფი, მარმარილო, ბაზალტი და კირქვა იგზავნება არა მარტო საქართველოს რაიონებში, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარედაც.

გარდაბნის რაიონში, ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მოწყობილია აგურ-კრამიტის, გაჯისა და კირის საწარმოები, რომლებმაც 1953 წელს დაამზადეს: აგური — 300000 ცალი, კრამიტი — 150000 ცალი.

თეთრი წყაროს რაიონში სამშენებლო მასალათა მრეწველობიდან აღსანიშნავია საშენი ქვის (ბაზალტი) წარმოება. უნდა აღინიშნოს, რომ აქ საშენი ქვები, კირქვები, კერამიკული თიხები, და სხვა მრავალ ადგილას მოიპოვება, მაგრამ მისი დამუშავება ჯერჯერობით სუსტად მიმდინარეობს. მომავალში გათვალისწინებულია საშენი ქვის წარმოების მოწყობა სოფ. სოფ. დურნუქში, ირაგასა და დაბა მანგლისში. რაც შეეხება დმანისისა და წალკის რაიონებს, აქ სახელმწიფო მრეწველობის არც ერთი სამშენებლო მასალათა საწარმო არ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კოლმეურნეობების მიერ მოწყობილ ზოგიერთ პრიმიტიულ საწარმოებს, სადაც წარმოებს საშენი ქვის, კირისა და აგურ-კრამიტის დამზადება.

რუსთავეში მიმდინარეობს მშენებლობა ცემენტის ქარხნისა, რომელიც იმუშავებს ქვანახშირის შლაკისა და ბრძმელებიდან მიღებული წილის ბაზაზე და ჩვენს რესპუბლიკას მიაწოდებს ძვირფას საშენებლო მასალას.



ძირითადი ნიშნავა:

	გარდაბნის რაიონი
	მარნეულის „ „
	მთლიანის „ „
	თეთრიწყაროს „ „

დიაგრამა 4

ქვემო ქართლის სამშენებლო მასალათა მრეწველობა ძირითადად სახელმწიფო სამშენებლო მასალათა საწარმოებისა და კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოების სახითაა წარმოდგენილი. ცალკეული სექტორების (სახელმწიფო, საკოლმეურნეო) ხვედრითი წონა ქვემო ქართლის სამშენებლო მასალათა მრეწველობის საერთო პროდუქტიაში 1953 წ. ასეთ სურათს იძლეოდა: (იხ. ცხრილი შემდეგ გვერდზე).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთი საშენი მასალის (აგურ-კრამიტის და კირის) წარმოება შედარებით სუსტადაა განვითარებული. ასე, მაგალითად, ქვემო ქართლში კირის მხოლოდ რამდენიმე საკოლმეურნეო საწარმო ამზადებს, პრიმიტიული წესით, მაშინ, როდესაც კირქვები ქვემო ქართლის თითქმის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში მრავალ ადგილას მოიპოვება. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლში ფართოდაა გავრცელებული კერამიკული თიხები, აქ 1954 წლისათვის იყო ადგილობრივი მრეწველობის მხოლოდ აგურის სამი და კრამიტის ორი ქარხანა, წლიურად ერთი მილიონი ცალი აგურ-კრამიტის წარმოებით, და აგურის 23 და კრამიტის 57 საკოლმეურნეო პრიმიტიული საწარმო, დაახლოებით ორი მილიონი ცალი აგურ-კრამიტის სიმძლავრით.

არც სამშენებლო ქვების (მარმარილო, ტუფი, ბაზალტი და სხვ.) წარმოებაა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. სამშენებლო ქვების წარმოების დღევანდელი დონე არ უპასუხებს ამ მასალაზე არსებულ მოთხოვნილებას.

საქართველოში სამეურნეო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაკებობათა მშენებლობის სწრაფი ზრდა დიდ მოთხოვნილებებს აყენებს ადგი-

სექტორების დასახელება	ავტორი		გრანტი		კონტრაქტის მფლობელი		მარშრუტი		ტექტი		ბაზაქტი		გრანტი	
	ათას კაღ- ბით	პროცენტო- ბით	ათას კაღ- ბით	პროცენტო- ბით	ტონბით	პროცენტო- ბით	კვბ. მეტრ- ბით	პროცენტო- ბით	კვბ. მეტრ. ბით	პროცენტო- ბით	კვბ. მეტრ. ბით	პროცენტო- ბით	კვბ. მეტრ. ბით	პროცენტო- ბით
საბელწიფო მრეწვე- ლობის საწარმოები	750	68,1	300	17,4	150000	97,4	1000	100	10000	100	9520	100	6000	100
კომპიუტერული და ხმარე საწარმოები	350	31,9	1727	83,6	3958	2,6	-	-	-	-	-	-	-	-
<b>სულ</b>	<b>1100</b>	<b>100</b>	<b>2027</b>	<b>100</b>	<b>153958</b>	<b>100</b>	<b>1000</b>	<b>100</b>	<b>10000</b>	<b>100</b>	<b>9520</b>	<b>100</b>	<b>6000</b>	<b>100</b>

ლობრივ სამშენებლო მასალებზე, ხოლო მათი წარმოება კი საგრძნობლად ჩამორჩება მშენებლობის ტემპს. ამიტომ ჩვენმა სამშენებლო მასალათა მრეწველობამ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, ერთი მხრივ, ავურ-კრამიტის ახალი ქარხნებისა და სამშენებლო ქვის ახალი კარიერების მოწყობისა, მეორე მხრივ, არსებული საშენ მასალათა საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საშენ მასალათა წარმოებაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვას.

იმის გამო, რომ ქვემო ქართლის რაიონებში სახელმწიფო და კოლბერაციული ორგანიზაციების მიერ ავურ-კრამიტის წარმოება ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, რაიონის კოლმეურნეობებს უნდა მიეცეთ რჩევა, გააძლიერონ საკოლმეურნეო საშენ მასალათა დამხმარე საწარმოების მშენებლობა და საშენ მასალათა პროდუქციის გამოშვება. მუშაობა უნდა გაძლიერდეს სამშენებლო მასალათა მრეწველობის ნედლეულის ბაზის გაფართოებისა და საფუძვლიანად შესწავლისათვის.

ახალი ქარხნების მშენებლობა, ან არსებულ საწარმოთა გაფართოება მხოლოდ ნედლეულის მარაგის, მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და გამოყენების ეკონომიური ეფექტურობის ღრმად შესწავლის შემდეგ უნდა მოხდეს.

ქვემო ქართლის სამშენებლო მასალათა მრეწველობის ერთ-ერთ უახლოეს ამოცანას წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. ამ ამოცანის გადაჭრა მხოლოდ დადგენილი ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცე დაცვის გზით შეიძლება. აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება რამდენადმე უზრუნველყოფს საშენი მასალების მრეწველობის წინსვლას და წარმოების ამ მნიშვნელოვანი დარგის შემდგომ განვითარებას, საშენი მასალების სიუხვესა და სამეურნეო, საბინაო-კომუნალური მშენებლობის გაფართოებას.

## 5. ხატყვი და ხის გადამამუშავებელი მრეწველობა

ქვემო ქართლი შედარებით ღარიბია ტყის მასივებით (განსაკუთრებით საექსპლოატაციო ტყეებით); ტყეებს აქ მთელი ტერიტორიის 19,3% უკავია. ქვემო ქართლის ტყეებს ნიადაგთდაცვითი, წყალშენახვითი და საკურორტო მნიშვნელობა აქვს, რის გამოც აქ საექსპლოატაციოდ გამოსადეგი ტყე ცოტაა, ამიტომ რაიონის ხე-ტყის სახერხი და ხის გადამამუშავებელი საწარმოები ნაწილობრივ ადგილობრივზე, უმთავრესად კი შემოზიდულ ნედლეულზე მუშაობენ. (1953 წელს ქვემო ქართლში ადგილობრივი რესურსებით დამზადდა 15035 მ<sup>3</sup> საქმიანი მერქანი და 47701 მ<sup>3</sup> მეშა).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქვემო ქართლში აშენდა ხე-ტყის მრეწველობის ახალი საწარმოები (ხე-ტყის სახერხი, ავეჯის ფაბრიკები და სხვ.). მიუხედავად ამისა, მრეწველობის ეს დარგი სუსტადაა განვითარებული და პატარა-პატარა საწარმოებითაა წარმოდგენილი. ამას ისიც ადასტურებს, რომ რაიონში 1954 წლისათვის იყო სულ ხე-ტყის მრეწველობის 7 საწარმო, რომლებმაც სულ გამოუშვეს 2685,4 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც ქვემო ქართლის მთელი სამრეწველო პროდუქციის 0,4%-ს შეადგენდა.

ქვემო ქართლის სატყეო მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია მარნეულის ხე-ტყის დამამზადებელი და სახერხი ქარხანა, რომელიც დაარსდა 1946 წელს. მის მთავარ მიზანს შეადგენს მოამარაგოს მარნეულისა და მისი მეზობელი რაიონების (ბოლნისი, თეთრი წყარო, წალკა და სხვ.) კოლმეურნეობები სა-

ქირო ხე-ტყის მასალით. ეს საწარმო ნედლეულს ძირითადად იღებს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთიდან. მაგალითად, 1953 წელს ამ საწარმომ რუსეთიდან შემოიტანა 4314 მ<sup>3</sup> ხე-ტყე. ქარხანაში მუშაობს 17 მუშა-მოსამსახურე და ტექნიკოსი. 1953 წელს ქარხანამ გამოუშვა 1544,8 ათასი მანეთის მზა პროდუქცია.

ქვემო ქართლის ხე-ტყის მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმოა დაბა ბოლნისის ავეჯის ფაბრიკა, რომელიც 1939 წელს აშენდა. ფაბრიკასთან არის აგრეთვე სახერხი საამქრო, რომელმაც 1953 წელს ფაბრიკის საჭიროებისათვის დახერხა 196 მ<sup>3</sup> მასალა და კერძო დაკვეთით 155 მ<sup>3</sup>. ფაბრიკამ, რომელშიც 21 მუშა-მოსამსახურე და ტექნიკოსი მუშაობს, გამოუშვა 427,5 ათასი მანეთის პროდუქცია, მათ შორის 260,1 ათასი მანეთის ავეჯი. 1950 წელს დაიწყო და 1955 წელს პირველი იანვრისათვის დამთავრდა ბოლნისის ავეჯის მეორე ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს 2 მილიონი მანეთის საკანცელარიო და ფართო მოხმარების ავეჯს, ამ პროდუქციას მიაწვდის ბოლნისისა და მისი მეზობელი რაიონების წარმოება-დაწესებულებებსა და მოსახლეობას.

აღსანიშნავია აგრეთვე თეთრი წყაროს ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ავეჯის საამქროთი. იგი მუშაობს ნაწილობრივ ადგილობრივ და ნაწილობრივ შემოზიდული ხე-ტყის ნედლეულზე. გარდა ამისა, ეს ქარხანა იღებს აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებისა და კერძო პირების დაკვეთებს. ქარხანამ, რომელშიც 12 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი მუშაობს, 1953 წელს გამოუშვა 125 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. ავეჯის საამქრო, რომელშიც 6 მუშა მუშაობს, წელიწადში 60 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციას იძლევა.

თეთრი წყაროს რაიმრეწველომინატის მიერ ვანზრახულია, ახლო მომავალში, დაბა მანგლისში, აშენდეს ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელსაც ექნება აგრეთვე ავეჯის საამქრო.

ქვემო ქართლის სატყეო მრეწველობის საწარმოებიდან საყურადღებოა აგრეთვე დმანისის რაიმრეწველომინატის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ავეჯის საამქროთი, რომელიც 1948 წელს დაარსდა. ამ საწარმომ 1953 წელს გამოუშვა 1820 ათასი მანეთის პროდუქცია.


აღსანიშნავია აგრეთვე წალკის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელშიც 3 მუშა მუშაობს და რომელმაც 1953 წელს 16 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლში სატყეო მრეწველობა ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მრეწველობის ამ დარგის განვითარებას.

სატყეო მრეწველობის პროდუქტებზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილება დიდია. ამიტომ უმჯობესია რაიონში შემოზიდულ იქნეს ხე-ტყის მასალა და მის ბაზაზე მოეწყოს ხე-ტყის სახერხი და ავეჯის ფაბრიკები, იმ მოცულობით, რაც სავსებით დააკმაყოფილებს რაიონის წარმოება-დაწესებულებებსა და მოსახლეობას საჭირო ავეჯითა და საშენი მასალით.

1953 წელს, ქვემო ქართლის სატყეო მრეწველობაში მუშაობდა 64 მუშა-მოსამსახურე და ტექნიკოსი, რომლებმაც იმავე წელს გამოუშვეს 2685,4 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ქვემო ქართლში სატყეო მრეწველობის განვითარებით პირველ ადგილს იკავებს მარნეულის რაიონი, რომლის წილად მო-

დის ქვემო ქართლის მთელი სატყეო მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 67,0%, მეორეზეა ბოლნისის რაიონი — 18,8%, შემდეგ თეთრი წყაროს 6,8%, ღმანისისა 6,7% და წალკის 0,7%.



დიაგრამა 5

## 6. მსუბუქი მამრეწველობა

ქვემო ქართლის დღევანდელი მსუბუქი მრეწველობა, ძირითადად სამკერვალო და ფეხსაცმელების სახელოსნოების სახითაა წარმოდგენილი. ამ საწარმოების პროდუქციის მნიშვნელობა აქვს რაიონის ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფისათვის.

მძიმე ინდუსტრიის განუწყვეტელი ზრდის ბაზაზე ვითარდება მსუბუქი, კვების მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები, მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე ვითარდება ჩვენი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ომის შემდგომი წლების მანძილზე, ომამდელთან შედარებით, ქვემო ქართლის მსუბუქ მრეწველობაში მიღწეული და მნიშვნელოვნად გადამეტებულია ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის გამოშვება, მაგრამ ეს მიღწევები ჯერ კიდევ საკმარისი არაა.

ქვემო ქართლში მსუბუქი მრეწველობის პატარა კუსტარული საწარმოებია წარმოდგენილი. მრეწველობის ამ დარგის ზვედრითი წონა ქვემო ქართლის მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 1,1%-ს შეადგენს.

ქვემო ქართლის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია: გარდაბნის რაიმრეწველომბინატის ფეხსაცმელებისა და ტანსაცმელის სამკერვალო სახელოსნო, აგრეთვე სამხატვრო და სამღებრო საამქროები. აღნიშნულ საწარმოებში 1955 წელს მუშაობდა 56 მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი.


სამკერვალო სახელოსნომ 1953 წელს გამოუშვა 43,2 ათასი მანეთის მზა პროდუქცია. გარდა ამისა, გარდაბნის რაიმრეწველომბინატმა 1953 წელს გამოუშვა 1149 ათასი მანეთის სხვადასხვა ასორტიმენტის მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია.

ქ. რუსთავში არსებობს რკინის საწოლებისა და ფეხსაცმელების სახელოსნოები. აღნიშნულ ორ საწარმოში 1954 წელს მუშაობდა 158 მუშა-მოსამსახურე და ტექნიკოსი. რკინის საწოლების საწარმომ, რომელსაც აქვს საზეინკლო, და სანაიკლე საამქროები, 1953 წელს გამოუშვა რკინის 503 საწოლი. ახლო მომავალში გათვალისწინებულია აღნიშნული საწარმოს გაფართოება.

რუსთავის მსუბუქი მრეწველობის მეორე მნიშვნელოვანი საწარმოა ფეხსაცმელების სახელოსნო, რომელსაც აქვს აგრეთვე ტყავის დამამზადებელი საამქრო. 1954 წელს აქ 56 კაცი მუშაობდა. 1953 წელს საწარმომ გამოუშვა 350 კვ. დეციმეტრი ტყავი და 4237 წყვილი ფეხსაცმელი. რუსთავის ქალაქმრეწველო-კომბინატის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა 1953 წელს გამოუშვეს 3606,9 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

ბოლნისის რაიონში მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია რაიმრეწველო-კომბინატის ფეხსაცმელებისა და ტანსაცმელის სამკერვალო სახელოსნოები. ამ უკანასკნელში წარმოებს როგორც მზა ტანსაცმელის მასიურად კერვა, ისე ინდივიდუალური დაკვეთების მიღებაც. 1953 წელს ამ საწარმომ რაიონის მსუბუქ მრეწველობას მისცა ფულადი შემოსავალი 131,5 ათასი მანეთის რაოდენობით.

ფეხსაცმელების საამქროში წარმოებს როგორც ახალი ფეხსაცმელის შეკერვა, აგრეთვე შეკეთება. ასე, მაგალითად, 1953 წელს ამ საწარმომ გამოუშვა 28 ათასი მანეთის შეკერილი ფეხსაცმელი და შეკეთა 19,3 ათასი მანეთის ღირებულების ფეხსაცმელი.



დიაგრამა 6

თეთრი წყაროს რაიონში აღსანიშნავია რაიმრეწველო-კომბინატის ტანსაცმელის სამკერვალო სახელოსნოები, აღნიშნული სახელოსნოებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დაბა თეთრი წყაროს ფეხსაცმელების სახელოსნო (32 მუშა-მოსამსახურით), რომელმაც 1954 წელს 165 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვა. ახლო მომავალში განსაზღვრულია ამ სახელოსნოს გაფართოება და უკეთ მოწყობა. სამკერვალო სახელოსნომ, რომელიც აწარმოებს როგორც მზა ტანსაცმელის მასიურად კერვას, ისე ინდივიდუალური დაკვეთების შესრულებას, 1954 წელს 60 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვა. ფეხსაცმელის და ტანსაცმელის სამკერვალო სახელოსნოები არის დმანისის რაიონშიც. ეს საწარმოები დაარსებულია 1948 წლიდან. ფეხსაცმელების სახელოსნომ 1953 წელს გამოუშვა 600 წყვილი ფეხსაცმელი, 74 ათასი მანეთის ღირებულებით, სამკერვალო სახელოსნომ კი 80 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ქვემო ქართლის რაიონებში მსუბუქი მრეწველობა (ქ. რუსთავის გამოკლებით) სუსტადაა განვითარებული და იგი ვერ დგას თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე. რაც შეეხება წალკის რაიონს, რომელიც ყველაზე უფრო დამორბეულია ჩვენი რესპუბლიკის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს (განსაკუთრებით ქალაქ თბილისს) და ამავე დროს სადაც დიდია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილება მსუბუქი მრეწველო-

ბის პროდუქტებზე, ამ მიმართულებით თითქმის არაფერია გაკეთებული. წალკის რაიონის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მოწყობასა და გაფართოებაზე.

ქვემო ქართლის მსუბუქ მრეწველობაში 1953 წელს მუშაობდა სულ 274 მუშა-მოსამსახურე, რომლებმაც ამავე წელს 6669,8 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვეს. მათ შორის ქ. რუსთავმა გამოუშვა ქვერაიონის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 77,2%, გარდაბანმა 15,3%, დმანისის რაიონმა 2,3%, თეთრ წყარომ 3,4% და ბოლნისის რაიონმა 1,8%. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია შულავერის ქეჩის ქარხანა, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1955 წლიდან და რომელიც ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა ქვემო ქართლში.

### 7. კვების მრეწველობა

ქვემო ქართლის მრეწველობაში მეტალურგიის შემდეგ, თავისი მრავალფეროვნებითა და პროდუქციის ღირებულებით მნიშვნელოვანია კვების მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ისე, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, ქვემო ქართლშიაც უმოკლეს ვადაში აღდგენილი, გარდაქმნილი და გაფართოებულ იქნა კვების ყველა ძველი სამრეწველო საწარმო. გაიშალა ახალი საწარმოების მშენებლობაც.

სუთწლეულების პერიოდში ქვემო ქართლი მოწინავე სასოფლო სამეურნეო რაიონად გადაიქცა; იგი დიდი რაოდენობით აძლევს სასოფლო სამეურნეო ნედლეულს (მარცვლეული, ყურძენი, პირუტყვი, ხილ-ბოსტნეული) რაიონის კვების მრეწველობას, რამაც მნიშვნელოვნად განავითარა მრეწველობის ეს დარგი. კვების მრეწველობა რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის 12,9%-ს იძლევა. მოუხედავად ამისა, კვების მრეწველობის განვითარება ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება მის ბუნებრივ შესაძლებლობას, ამავე დროს, სასურსათო საქონლის წარმოების მოცულობა და ზრდის ტემპი ამჟამად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის გაზრდილ მოთხოვნილებას. ქვემო ქართლის კვების მრეწველობა ჯერ კიდევ პატარა მოცულობის საწარმოებითაა წარმოდგენილი და სუსტად არის აღჭურვილი თანამედროვე მანქანა-დანადგარებით.

ქვემო ქართლის დღევანდელ კვების მრეწველობაში მნიშვნელოვანია პურისა და საკონდიტრო წარმოება, მეღვინეობა, ერბო-ყველ-კარაქის წარმოება და სხვ.

ქვემო ქართლის კვების მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის ღირებულებით წამყვან დარგს პურის ცხობა წარმოადგენს. იგი რაიონის კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 47,9%-ს იძლევა. ქვემო ქართლის ქალაქებში, დაბებში, რაიონებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში მოწყობილია პურის საცხობი 13 საწარმო. მათ შორის ერთი რუსთავის პურკომბინატი. რაიონის აღნიშნული პურის საცხობებში 1953 წელს მუშაობდა 204 მუშა-მოსამსახურე და ამავე წელს გადაამუშავეს 17848 ტონა პურის ფქვილი და მომზადებულს მისცეს 26864 ტონა გამომცხვარი პური (38678 ათასი მანეთის ღირებულების). პურის საცხობებიდან აღსანიშნავია ქ. რუსთავის პურკომბინატი, რომელიც ქვემო ქართლის კვების მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საწარმოს წარმოადგენს. იგი აღჭურვილია თანამედრო-



ვე ახალი მანქანა-დანადგარებით. 1953 წელს ქარხანამ, რომელშიც 109 მუშა-მოსამსახურე მუშაობდა, გადაამუშავა 12258 ტონა ფქვილი და გამოაცხო 17864 ტონა პური, ღირებული 22219 ათას მანეთად, რაც ქვემო ქართლის პურის წარმოების პროდუქციის ღირებულების 57,4%-ს შეადგენს, ხოლო რაიონის კვების მთელი მრეწველობის პროდუქციის 27,5%-ს შეადგენს.

პურის საცხობები მოწყობილია თეთრი წყაროს რაიონშიც—დაბა თეთრი წყაროსა და დაბა მანგლისში. პურის ამ ქარხნებში მუშაობდა 32 მუშა-მოსამსახურე, 1953 წელს გადაამუშავეს 1851 ტონა ფქვილი და მომხმარებელს მიაწოდეს 3115 ტონა პური, ღირებული 5515 ათას მანეთად (ქვემო ქართლის პურის წარმოების პროდუქციის ღირებულების 14,2%).

მარნეულის რაიონში მოწყობილია პურის საცხობი ექვსი საწარმო (მარნეულის, შულავერის, შაუმიანის, სადახლოს, ვიკორაბის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, ყულარის მეცხენეობისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში). რომლებშიც 1953 წელს მუშაობდა 29 მუშა-მოსამსახურე, გადაამუშავეს 1416 ტონა ფქვილი და გამოაცხვეს 2204 ტონა პური, ღირებული 3804 ათას მანეთად (ქვემო ქართლის პურის წარმოების პროდუქციის ღირებულების 9,8%).

პურის საცხობები არის აგრეთვე გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის და წალკის რაიონებში. ბოლნისის რაიონი ქვემო ქართლის პურის პროდუქციის ღირებულების 7,6%-ს იძლევა, წალკის 6,3-ს, ხოლო დმანისის 4,5%-ს.


ქვემო ქართლში კვების მრეწველობის მეორე მნიშვნელოვანი დარგია მეღვინეობა, რომელმაც 1953 წელს გამოუშვა რაიონის კვების მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 35,3%, ამავე დროს მეღვინეობაში მუშაობის კვების მრეწველობაში მომუშავე მუშების 13,9%. ქვემო ქართლის ღვინის ქარხნებმა 1953 წელს გადაამუშავეს 5802 ტონა ყურძენი და დაამზადეს 267800 დ/ლიტრი სუფრის ღვინო, 242966 დ/ლიტრი პორტვეინი 10800 დ/ლიტრი ყურძნის წვენი 5699 დ/ლიტრი მშრალი სპირტი და 2600 დ/ლიტრი კონიაკის სპირტი.

ღვინის ქარხნიდან აღსანიშნავია სამტრედიის ბოლნისის ღვინის ქარხანა, მარნეულის რაიონის ყულარის ღვინის ქარხანა და თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის კოლმეურნეობის ღვინის ქარხანა. ამ ქარხნიდან ყველაზე დიდაა ბოლნისის ქარხანა. 1911—1936 წლამდე ეს ქარხანა ეკუთვნოდა ბოლნისის მევენახე მეღვინეობის ამხანაგობას („უნიონი“), ხოლო შემდეგ სამტრედიის გადაეცა. ბოლნისის ღვინის ქარხანა მუშაობს საკუთარი მეურნეობის ყურძნის ნედლეულზე და იგი ამუშავებს რაიონის კოლმეურნეობების და კოლმეურნეების ყურძენს. 1953 წელს ღვინის ქარხანამ გადაამუშავა 2951 ტონა ყურძენი და დაამზადა სუფრის ღვინო—107800 დ/ლიტრი, პორტვეინი 143600 დ/ლიტრი, ყურძნის წვენი 10800 დ/ლიტრი, მშრალი სპირტი—5000 დ/ლიტრი და კონიაკის სპირტი 2600 დ/ლიტრი, სულ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 17 მილიონ მანეთს უდრის, რაც ქვემო ქართლის მეღვინეობის პროდუქციის ღირებულების 58,6% შეადგენს (ქვემო ქართლის კვების მრეწველობის პროდუქციის მთელი ღირებულების 21,1%). ქარხანაში მუშაობს 91 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი. ამჟამად ქარხანასთან მიმდინარეობს კონიაკის სპირტის გამოხდა და ეს ქარხანა კონიაკის სპირტით ამარაგებს ავჭალის კონიაკის ქარხანას.

მარნეულის რაიონში აღსანიშნავია ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ღვინის ქარხანა, რომელიც მუშაობს საკუთარი მეურნეობის ნედლეულზე მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მიერ დამ-

ზადებულ ყურძენზე. 1953 წელს ქარხანამ გადაამუშავა 2351 ტონა ყურძენი და გამოუშვა შემავრებული (პორტვინი) ღვინო—99366 დ/ლიტრი, და 699 დ/ლიტრი ღვინის სპირტი, 12 მილიონ მანეთად ღირებული, რაც ქვემო ქართლის მეღვინეობის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 41,4%-ს შეადგენს.

გარდა ამისა საყურადღებოა აგრეთვე თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ასურეთის კოლმეურნეობის ღვინის ქარხანა, რომელიც 1931 წელს აშენდა. ქარხანა კარგადაა მოწყობილი; იგი შეიარაღებულია თანამედროვე მანქანა დანადგარებით. ქარხანას შეუძლია გადაამუშაოს მილიონი ლიტრი ღვინო წელიწადში, იგი ძირითადად ემსახურება ასურეთის კოლმეურნეობას, ამავე დროს ქარხანაში მუშავდება სამტრედიის მიერ თეთრი წყაროს რაიონში დამზადებული ყურძენი.



სურ. 4. ასურეთის კოლმეურნეობის ღვინის ქარხანა

მეღვინეობის შემდეგ სასაქონლო პროდუქციის ღირებულებით აღსანიშნავია ერბო-ყველ-კარაქის წარმოება. რადგან ქვემო ქართლი მესაქონლეობის მნიშვნელოვანი რაიონია და ძველადვე მესაქონლეობა იქ მეურნეობის წამყვანი დარგი იყო, ამიტომ ყველ-კარაქის მრეწველობის ჩასახვა ქვემო ქართლში XIX საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება, ე. ი. იმ პერიოდს, როდესაც იწყება მეფის რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის შემოჭრა და დამკვიდრება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. უკვე 1894 წლიდან სამხრეთ საქართველოს საძოვრები მთლიანად იქნა ათვისებული. მალე მთელი თრიალეთის ქედი ყველ-კარაქის ახალი ქარხნებით დაიფარა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მოკლე პერიოდში, 1894—1911 წლების განმავლობაში ყველ-კარაქის საწარმოთა რიცხვი 23-მდე გაიზარდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შვეიცარული ყველის წარმოებას, ყველის წარმოება უპირატესად გერმანელების ხელში იყო (კუჩერბაზი, ამეტერი, ნიდეკერი და სხვ.), ნაწილობრივ კი ადგი-

ლობრივ მრეწველთა ხელში. დამზადებული შვეიცარული ყველი გამოირჩეოდა თავისი მაღალი ხარისხით. 1896 წელს სრულიად რუსეთის ყველის მრეწველთა მიერ მოწყობილმა გამოფენის საქსპერტო კომისიამ, ჯავახეთის ყველი თავისი ხარისხით (გემო ცხიმიანობა, არომატი) ყველა არსებულ ყველზე უკეთესად სცნო. პირველი მსოფლიო ომის წინა წელს ბორჩალოს მაზრაში 653,2 ტონა შვეიცარული ყველი დამზადდა.

პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში ქარხნების უმეტესობა დაიხურა, სპეციალისტთა კადრები დაიფანტა, შემცირდა პირუტყვის სულადობა. უკვე 1920 წელს ბორჩალოს მაზრაში ყველ-კარაქის პროდუქტთა 96 ტონამდე დაეცა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვემო ქართლი, როგორც მესაქონლეობის მძლავრი რაიონი, პარტიისა და ხელისუფლების მხრუნველობის ერთ-ერთ მთავარ საგნათ იქცა. დაიწყო ძველი საწარმოების აღდგენა-განვითარება, ერთი მხრივ და ახალ, მძლავრ საწარმოთა მშენებლობა, მეორე მხრივ. ხუთწლედების პერიოდში ქვემო ქართლში აშენდა ახალი ტიპის მექანიზებული ყველ-კარაქის ქარხნები, მათ შორის აღსანიშნავია ყარაბულახისა (დმანისის რაიონში), წალკის, კუშჩის და მოლოტოვისი (წალკის რაიონი), ასეთი ქარხნები აშენდა აგრეთვე თეთრი წყაროს, ბოლნისის და მარნეულის რაიონებშიაც.


1953 წლისათვის ქვემო ქართლში ითვლებოდა, ყველ-კარაქის 45 ქარხანა, მათ შორის 11 მექანიზებული, 25 ნახევრად მექანიზებული და 9 მოძრავი ქარხანა. ყველ-კარაქის აღნიშნულ ქარხნებში მუშაობდა 414 მუშა-მოსამსახურე, რაც ქვემო ქართლის კვების მთელი მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა ნახევარს შეადგენდა, აღნიშნულმა საწარმოებმა გადაამუშავეს 10034,2 ტონა რძე და დაამზადეს კარაქი 1403,8 ცენტნერი, ყველი ყველა სახის 7029,3 ცენტნერი, 9.637,1 ათასი მანეთის ღირებულები, რაც რაიონის კვების მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულებების 11,5% შეადგენს.

ქვემო ქართლში შემავალ ადმინისტრაციული რაიონებიდან ყველ-კარაქის მრეწველობით პირველ რიგში აღსანიშნავია დმანისის რაიონი, სადაც მუშაობს ყველის ექვსი ქარხანა, მათ შორის მექანიზებული მსხვილი ქარხნებია მოწყობილი სოფ. სოფ. ყარაბულახში, დმანისში, ირგანიჩაიში და სხვ. ყარაბულახის ქარხანასთან გახსნილია ორწლიანი სპეცკოლა, რომელიც რესპუბლიკის ყველ-კარაქის ქარხნებისათვის კადრებს ამზადებს. დმანისის რაიონის ყველ-კარაქის ქარხნებში მუშაობს 112 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი, რომლებმაც 1953 წ. გადაამუშავეს 3911,2 ტონა რძე და დაამზადეს 748,2 ცენტნერი კარაქი, და 2671,8 ცენტნერი ყველი, 4377 ათასი მანეთის ღირებულების, რაც ქვემო ქართლის ყველ-კარაქის მთელი წარმოების 47,1%-ს შეადგენს.

ქვემო ქართლის ყველ-კარაქის წარმოებით მდიდარია წალკის რაიონი, სადაც მუშაობს ყველ-კარაქის 10 ქარხანა, რომელთაგან აღსანიშნავია დაბა მოლოტოვის, წალკის, ულიანოვკის, კუშჩის, ოლიანკის და სხვა მექანიზებული ქარხნები. 1953 წელს წალკის რაიონის ყველ-კარაქის ქარხნებში მუშაობდა 139 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი, აღნიშნულმა საწარმოებმა გადაამუშავეს 2750,5 ტონა რძე და დაამზადეს კარაქი 248 ცენტნერი, ყველი 2501 ცენტნერი, მათ შორის შვეიცარული 1097 ცენტნერი (სულ გამოშვებული პროდუქტთა 2987,1 ათასი მანეთის ღირებულების, ქვემო ქართლის ყველ-კარაქის წარმოების 32,1%). აღსანიშნავია ის, რომ წალკის, რეხის, მოლოტოვის, კუჩჩის, ხაჩქოის

ქარხნები ამზადებენ ძირითადად შვეიცარულ ყველს, დანარჩენი ქარხნები— თუშურ ყველს. ახლო მომავალში გათვალისწინებულია ხაჩქოის ყველის ქარხნის რეკონსტრუქცია და მაცივრის მშენებლობა წალკაში, ხოლო რეხაში და წინწყაროში რძის დამამზადებელი პუნქტის მშენებლობა.

ყველ-კარაქის წარმოებით აღსანიშნავია მარნეულის რაიონი, სადაც ყველ-კარაქის 9 ქარხანაა, მათ შორის სამი მოძრავი. ყველ-კარაქის აღნიშნულმა საწარმოებმა 1953 წელს გადაამუშავეს 1729 ტონა რძე და დაამზადეს კარაქი 132,7 ცენტნერი, ყველი 984,7 ცენტნერი, 802, 7 ათასი მანეთის ღირებულები, (ქვემო ქართლის ყველ-კარაქის წარმოების 8,7%). ახლო მომავალში განზრახულია შულავერის, სადახლოსა და ყაჩაგანის ყველ-კარაქის მექანიზებული ქარხნების მშენებლობა.



ფურ. 5. ოლიანკის ყველის ახალი ქარხანა (წალკა)

ბოლნისის რაიონში მუშაობს ყველ-კარაქის ხუთი ქარხანა, რომლებმაც 1453 წელს გადაამუშავეს 645,4 ტონა რძე, და დაამზადა კარაქი 116,9 ცენტნერი, ყველი 517,9 ცენტნერი, 579,0 ათასი მანეთის ღირებულები (რაიონის ყველ-კარაქის წარმოების 6,2%).

ყველ-კარაქის წარმოება არის თეთრი წყაროს რაიონშიც, აქ მუშაობს ყველ-კარაქის 12 ქარხანა, რომელმაც 1953 წელს გადაამუშავა 795 ტონა რძე და გამოღუშვა კარაქი 123,5 ცენტნერი, ყველი 314,3 ცენტნერი, 385,0 ათასი მანეთის ღირებულები (ქვემო ქართლის ყველ-კარაქის წარმოების 4,2%). თეთრი წყაროს რაიონი ძირითადად თუშურ ყველსა და კარაქს ამზადებს. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით აწვდის ახალ რძეს ქალაქ თბილისს, ასე, მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონში, 1953 წელს, 1286,5 ტონა რძე დამზადდა, აქედან რაიონის ყველ-კარაქის ქარხნებში დამუშავდა 795 ტონა რძე, ხოლო თბილისის მოსახლეობის საჭიროებისათვის გაიგზავნა 491,5 ტონა ახალი რძე. თბილისში ამავე

წელს გაიზარდა 3,1 ტონა ნაღები. ქ.თბილისს ახალი რძით ძირითადად გარდაბნისა და თეთრი წყაროს რაიონები ამარაგებენ.

რაც შეეხება გარდაბნის რაიონს აქ მუშაობს ყველ-კარაქის სამი ქარხანა, რომელმაც 1953 წელს გადაამუშავა 212,1 ტონა რძე და გამოუშვა კარაქი 33,5 ცენტნერი. ყველი 172,3 ცენტნერი; 154,0 ათასი მანეთის ღირებული. გარდაბნის რაიონი ახალ რძეს ყოველდღიურად აწოდებს თბილისსა და რუსთავს.

ქვემო ქართლის ყველ-კარაქის ქარხნები უფრო დატვირთულია გაზაფხულსა და ზაფხულის პერიოდში, როდესაც წველადობა დიდია. დაახლოებით გაანგარიშებით წლის განმავლობაში წველადობა კვარტალის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: I—კვარტალში 12,7% ,II-კვარტალში—378%, III—კვარტალში—36,9%, IV—კვარტალში—12,6%. ამისდა მიხედვით იცვლება ყველ-კარაქის დამზადებაც.

აღნიშნული რაიონიდან შუა პროდუქცია ძირითადად იგზავნება საქართველოს მსხვილ ქალაქებში, შვეიცარული ყველი მოსკოვსა და ლენინგრადში. როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკა და განსაკუთრებით ქვემო ქართლი, სამხრეთ საქართველოსთან ერთად არის შვეიცარული ყველის ძირითადი მწარმოებელი საბჭოთა კავშირში.

ქვემო ქართლის კვების მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია რუსთავის ზორცკომბინატი, რომელიც 1949 წელს აშენდა. 1953 წელს აღნიშნულ საწარმოში მუშაობდა 42 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი, რომლებმაც გამოუშვეს 2172 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რაც ქვემო ქართლის კვების მთელი მრეწველობის პროდუქციის 2,6%-ს შეადგენს. ეს საწარმო ძირითადად ქ. რუსთავის მოსახლეობას ემსახურება.


ქვემო ქართლის კვების მრეწველობიდან საყურადღებოა ქალაქებში, რაიონ-ცენტრებსა და სასოფლო დასახლებების მსხვილ პუნქტებში მოწყობილი ლიმონათის საწარმოები, რომლებშიც 1953 წელს მუშაობდა სულ 25-მდე მუშა-მოსამსახურე. საწარმოებმა 1953 წ. 588 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვეს, რაც ქვემო ქართლის კვების მრეწველობის პროდუქციის 0,7%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია აგრეთვე საშაქარლამო წარმოება; ქვემო ქართლში სულ საშაქარლამო სამი საწარმოა—რუსთავში, დაბა ბოლნისისა და დმანისში, რომლებმაც 1953 წელს გამოუშვეს 330 ათასი მანეთის ღირებულების საშაქარლამო ნაწარმი.

გარდა აღნიშნულისა,მარნეულის რაიონში არის შულავერის ეთერზეთების ქარხანა. იგი აშენდა 1939 წელს და იმუშავა 1950 წლამდე, მაგრამ, 1950 წელს, საქართველოს საკუთარი პურიტ უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის რაიონში თესვ-ს გვემიდან ამოღებულ იქნა ეთერზეთოვანი კულტურები და ამასთან დაკავშირებით ეს ქარხანაც დაიხურა და იგი გადაეცა სამტრედიას. 1954 წელს, მთავრობის დადგენილებით ამ ქარხანამ ისევ დაიწყო მუშაობა. 1954 წელს ეთერზეთოვანი კულტურები დათესილი აქვთ მარნეულის რაიონის შვიდ კოლმეურნეობას, რომლებიც ნედლეულით ამარაგებენ ქარხანას. უკანასკნელი მიღებულ ეთერზეთის გზავნის მოსკოვის №3 ქარხანაში, ხარკოვისა და ლენინგრადის პარფუმერიულ ქარხნებში. ახლ მომავალში გათვალისწინებულია ამ ქარხნის რეკონსტრუქცია, იმ ვარაუდით, რომ მისი სიმძლვრე ორჯერ გაიზარდოს.




ქვემო ქართლის კვების მრეწველობის საწარმოების ძირითადი საშუალება-თა ღირებულება დაახლოებით 19,7 მილიონ მანეთს უდრის, მათ შორის ღვინისა და ყველ-კარაქის საწარმოებზე მოდის 16,9 მილიონი მანეთი, ე. ი. 85,7%. რაც



დიაგრამა 7

შეეხება დანარჩენი დარგების (გარდა შუღავერის ეთერზეთების ქარხნისა, რუსთავის ხორც და პურკომბინატისა, საწარმოებს ისინი კუსტარულადაა მოწყობილი და მათი ძირითადი საშუალებების ღირებულებაც უმნიშვნელოა.



დიაგრამა 8

ქვემო ქართლში შემავალ ადმინისტრაციულ რაიონებიდან კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულებით პირველ ადგილს იკავებს ქ. რუსთავი, რომლის წილად მოდის რაიონის კვების მრეწველობის მთელი პროდუქციის ღირებულების 30,2%, მეორე ადგილზეა ბოლნისის რაიონი 26,1%, შემდეგ მარნეულის 21,2%, ღვინისის 8,1%, თეთრი წყაროს 7,4, წალკის 6,8 და ბოლოს გარდაბნის რაიონი (0,2%).

### 8. პოლიგრაფიული მრეწველობა

ქვემო ქართლის პოლიგრაფიული მრეწველობა წარმოდგენილია ადმინისტრაციული რაიონების სტამბებით, რომლებიც პირველ რიგში ემსახურებიან რაიონული გაზეთების გამოშვებას, ამავე დროს იგი მომსახურებდას უწყევს რაიონის წარმოება დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს ბლანკების, ანგარიშების, ქვითრების, განცხადებების ბეჭდვით და სხვ.

ქვემო ქართლის პოლიგრაფიულ მრეწველობაში ჩაბმულია 38 მუშა-მოსამსახურე (მათ შორის 26 მუშა), რომლებმაც 1953 წელს 295,9 ათასი მანეთობ პროდუქტია გამოუშვეს. რაიონის პოლიგრაფიული მრეწველობის ძირითადი სა-

შუალეგების ღირებულება 303,5 ათას მანეთს უდრის. ქვემო ქართლის სტამბების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის ბინის სიციწროვე, საბჭოთა ქალაქის ნაკლებობა და, რაც მთავარია, მოძველებული მანქანა-დანადგარებით აღჭურვილობა.

### 9. სარეწაო კოოპერაციული მრეწველობა

მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის საქმეში კოოპერაციულ მრეწველობას თვალსაჩინო როლი აქვს დაკისრებული. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კოოპერაციული მრეწველობის განვითარების საკითხებს. ამ დარგში ხუთწლეულების პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა; საგრძნობლად გაიზარდა კოოპერაციული მრეწველობის საწარმოთა ქსელი, გადიდდა საწარმოების მიერ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების ოდენობა; გაფართოვდა ასორტიმენტი, გაუმჯობესდა მათი ხარისხი. სარეწაო კოოპერაციულმა საწარმოებმა როგორც ომამდე, ისე დიდი სამამულო ომის წლებში საგრძნობი მუშაობა გასწიეს მოსახლეობის ფართო მოხმარების საქონლით დაკმაყოფილებისათვის.

რმის შემდგომ ხუთწლეულში, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მძლავრი განვითარების, საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების მთელი რიგი მსხვილი საწარმოების ამუშავების მიუხედავად, სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის მნიშვნელობა არამცთუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ. მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმაშობა, უაღრესად დიდ მოთხოვნილებას აყენებს ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოების, მათ შორის სარეწაო კოოპერაციული საწარმოების მიმართაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. 1954 წლის 14 დეკემბერს გაიხსნა სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა, რომელზედაც აღინიშნა, რომ—მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილება სარეწაო კოოპერაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ უკანასკნელ ხანებში სარეწაო არტელების სარემონტო-საყოფაცხოვრებო საწარმოთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდდა, მაგრამ მაინც მომსახურება და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი ბევრ შემთხვევაში არ შეესაბამება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. დიდი ნაკლია ის, რომ გეგმები არ სრულდება დაწესებული ასორტიმენტით, სუსტად ინერგება წარმოებაში საქონლის ახალი სახეობანი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საშენი მასალებისა და იმ სამეურნეო დანიშნულების საგნების წარმოებას, რომლებიც საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, სოფლის მოსახლეობისათვის. სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა ღირსების საქმეა ამ პროდუქციის გამოშვების შეკვეთი გადიდება. ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გადიდებას.

აღნიშნული დადგენილება უაღრესად დიდ მოვალეობას აკისრებს ქვემო ქართლის რაიონების ხელმძღვანელობას. მართალია სამამულო ომის დროს და ომის შემდგომ ხუთწლეულში ნაწილობრივ გაფართოვდა ქვემო ქართლის ადგილობრივი კოოპერაციული მრეწველობა, გაიხსნა ახალი საწარმოები, გაუმჯობესდა მათი აღჭურვილობა და სხვ., მაგრამ, იგი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, მცირეა სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა ქვემო ქართლის მთელ მრეწველობაში.

1953 წელს ქვემო ქართლის სარეწაო კოოპერაციულ მრეწველობაში მუშაობდა 243 მუშა-მოსამსახურე, რომლებმაც იმავე წელს 3414,6 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვეს, რაც ქვემო ქართლის მრეწველობის მთელი სასაქონლო პროდუქციის ღირებულების 0,5% -ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს რომ 1954 წლისათვის ქვემო ქართლის უმრავლეს რაიონებში (დმანისის, ბოლნისის, თეთრი წყაროს და წალკის რაიონებში) არ არსებობდა სარეწაო კოოპერაციული საწარმოები. მომავალში აღნიშნული რაიონების ხელმძღვანელობამ და საქართველოს სარეწაო კავშირის გამგეობამ უნდა იზრუნონ ამ რაიონებში სარეწაო კოოპერაციული საწარმოების განვითარებისათვის.

ქვემო ქართლის რაიონთა შორის სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის მუშაობა ყველაზე უკეთაა დაყენებული მარნეულის რაიონში. აქ შედარებით კარგადაა მოწყობილი დაბა შაუმიანის არტელი „პროგრესი“-ს საწარმოები და სანდარის არტელი—„ხე-ტყის მომარაგება“, რომელთა პროდუქცია ფართოდაა ცნობილი მარნეულის რაიონის მოსახლეობისათვის. მარნეულის სარეწაო კოოპერაციული საწარმოები მოსახლეობას ამარაგებს ლურსმნით, შეკერილი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საქმიანი მერქანით, კარადებით, სხვადასხვა სახის მაგიდებით, და სხვ. ახლო მომავალში გათვალისწინებულია ავეჯის საამქროს ძირფესვიანი რეკონსტრუქცია.

#### 10. კოლმეურნობათა დამხმარე საწარმოები

საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებამ და უხვი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების არსებობამ შესაძლებელი გახადა ქვემო ქართლში კოლმეურნობათა დამხმარე საწარმოების მოწყობა. ხუთწლედების პერიოდში აქ მოეწყო კოლმეურნობათა რიგი დამხმარე საწარმოები, რომლებიც საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა (რძე, ხორცი, მარცვლეული, ყურძენი, კარტოფილი და სხვ.) და რაიონში არსებული წიაღისეული სიმდიდრეების (მარმარილო, ტუფი, კირქვა, თიხები და სხვ.) ბაზაზე მუშაობენ.

კოლმეურნობათა დამხმარე საწარმოებიდან აღსანიშნავია აგურ-კრამიტის, კირის, ხე-ტყის სახერხი, ერო-ყველ-კარაქის და მცენარეული ზეთის ქარხნები, წისქვილები, საღურგლო და სამჭედლო სახელოსნოები და სხვ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე აშხ. ნ. ს. ხ რ უ მ ი ო ვ მ ა თავის საანგარიშო მოხსენებაში კოლმეურნობებში მშენებლობის საკითხის განხილვისას აღნიშნა: „რამდენიმე სიტყვა აგურისა და კრამიტის წარმოების შესახებ. ამ საკითხს თვით კოლმეურნოელები უნდა წყვიდნენ, იქ, სადაც მიზანშეწონილია, სადაც კოლმეურნოელებს შეუძლიათ თავი გაართვან, ამ საქმეს, აგურისა და კრამიტის წარმოება შეიძლება უშუალოდ კოლმეურნობაში მოეწყოს. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია შეიქმნას საკოლმეურნეო და საკოლმეურნობათა შორისო ქარხნები“. ეს მითითება განსაკუთრებით ეხება ქვემო ქართლის კოლმეურნოელებს, რადგან ქვემო ქართლში საერთოდ სუსტადაა განვითარებული კოოპერაციული მრეწველობა, ამიტომ კოლმეურნოელების ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს თავიანთი საკუთარი სახსრებით დამხმარე საწარმოების განვითარებისათვის და საკუთარი სამშენებლო მასალებით მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

დადასტურებულია, რომ კოლმეურნოელებს, რომელთაც აქვთ კარგად მოწყობილი სამშენებლო მასალათა საწარმოები, მათ პირუტყვის საუკეთესოდ მოწ-



ყოხილი სადგომები და კოლმეურნეობის საზოგადოებრივი შენობებიც აქვთ. მასწავლებელთა კვებო ქართლის კოლმეურნეობებმა, რომელთაც ადგილზე გააჩნიათ დიდძალი სამშენებლო ნედლეული, ხელი უნდა მოკიდონ საკოლმეურნეო სამშენებლო მასალათა საწარმოების მშენებლობას (აგურ-კრამიტის, საშენი ქვის, კირისა და სხვა სამშენებლო მასალების წარმოებას), რათა საჭირო სამშენებლო მასალებით უზრუნველყონ ამ მხრივ გავრდილი მოთხოვნილება.

ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოებმა 1953 წელს გამოუშვა ტექვილი—117490 ცენტნერი, მცენარეული ზეთი—503 ცენტნერი, აგური—350000 ცალი, კრამიტი 1,727.000 ცალი, კირი—3968 ცენტნერი, დახერხნო ხის მასალა 4770 მ<sup>3</sup>, ალიზი 592500 ცალი და კოლმეურნეობებს მისცეს ფულადი შემოსავალი 3765,4 ათასი მანეთის ოდენობით.

ქვემო ქართლის კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოების ფულადი შემოსავლის 22,7% მარნეულის რაიონზე მოდის, 22,2% წალკის რაიონზე, ხოლო შემდეგ თანამიმდევრობით მოდის ბოლნისის (19,1%), თეთრი წყაროს (19,0%), დმანისის (15,7%) და გარდაბნის (1,3%) რაიონები.

როგორც ქვემო ქართლის მრეწველობის შესწავლით გამოირკვა აქ წარმოდგენილია სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო დამხმარე საწარმოები, 769 დიდი და პატარა სამრეწველო საწარმით მათ შორის სახელმწიფო მრეწველობის 65, სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის 6, ხოლო კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები 696.

1953 წელს რაიონის მთელმა მრეწველობამ (სახელმწიფო, კოოპერაციული, საკოლმეურნეო) 629838,1 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქტითა (გასაცემ ფასებში) გამოუშვა, მათ შორის სახელმწიფო მრეწველობაზე მოდის 98,8%, სარეწაო კოოპერაციულ მრეწველობაზე—0,5%, კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოებზე—0,7%.

### დასაძგნა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად უნდა დამთავრდეს მშენებლობაში მყოფი ხრამპესი №-2-ის მშენებლობა.

შესწავლილი და დაზუსტებულ იქნეს საკითხი ფარაჯისა და სალამოს ტბების წყლის სპეციალური გვირაბის საშუალებით სოფ. ნარდევანთან გამოყვანა და სოფელ ნარდევანში მძლავრი ჰიდროელსადგურის აშენების შესახებ, ხოლო ნარდევანის მხარე გადამუშავებული წყლის წალკის წყალსაცავთან შეერთებისა და ამათ ხრამპეს №-1-ის და ხრამპეს №-2-ის წლიური სიმძლავრის გაორკეცების შესახებ.

საჭიროა მოხდეს ქვემო ქართლში, კერძოდ ბოლნისის რაიონში არსებული ბარიტისა და ფერადი ლითონების მადნების ადგილზე დამუშავების მოწყობა (ბარიტის გამამდიდრებელი ფაბრიკის აშენება და სხვა);

უნდა გაძლიერდეს გეოლოგიური საკვლევამუშაო მუშაობა ჩათახის მიდამოებში რკინის მადნის საექსპლოატაციო მარაგის გამოვლინების მიზნით, რათა უზრუნველყოთ რკინის მადნით რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

რესპუბლიკაში სამეურნეო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის სწრაფი ზრდა დიდ მოთხოვნილებას აყენებს ძირითადი

სახის ადგილობრივ სამშენებლო მასალებზე; ხოლო რაიონის მასალათა წარმოება კი საგრძნობლად ჩამორჩება მშენებლობის ტემპს. ამიტომ ჩვენმა სამშენებლო მრეწველობამ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაადიდოს პროდუქციის გამოშვება. ამ მიზნით საჭიროა, ერთი მხრივ, საშენ მასალათა ახალი საწარმოების მოწყობა და, მეორე მხრივ, საშენ მასალათა არსებული საწარმოების რეკონსტრუქციისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვა.

მართალია, ქვემო ქართლი საერთოდ ღარიბია საექსპლოატაციოდ გამოსადეგი ხე-ტყით, მაგრამ იმის გამო, რომ დიდია წარმოება-დაწესებულებებისა და მოსახლეობის მოთხოვნილება ხე-ტყის მრეწველობის ნაწარმზე (სხვადასხვა სახის ავეჯი, დახერხილი ხის მასალა და სხვ.), ამიტომ უფრო უმჯობესი და რენტაბელურია ავეჯისა და დახერხილი მასალის ნაცვლად შემოზიდულ იქნეს სხვა რაიონიდან ხე-ტყის მორები და ამის ბაზაზე მოეწყოს ხე-ტყის სახერხი და ავეჯის საწარმოები. ამ საქმეში მთავარი როლი უნდა შეასრულოს რაისამრეწველო კომბინატებმა და სარეწაო კოოპერაციამ, რისთვისაც საჭირო იქნება სატყეო მრეწველობის არსებული საწარმოების რეკონსტრუქცია და ახალი საწარმოების აშენება.


რაიონში დღევანდლამდე არსებული მსუბუქი მრეწველობის საწარმოები კუსტარულადაა მოწყობილი. ამავე დროს, დიდია მისი როლი და მნიშვნელობა მოსახლეობის პირველმოთხოვნილების საგნებით დაკმაყოფილებისათვის. ამიტომ რაისამრეწველო კომბინატებმა და სარეწაო კოოპერაციამ ფართოდ უნდა მოაწყონ ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმელის, სატრიკოტაჟო და სხვადასხვა საოჯახო ნივთების დამამზადებელი სახელოსნოები და საწარმოები.

ქვემო ქართლის კვების მრეწველობა, მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით მეტალურგიის შემდეგ უკეთაა განვითარებული, მაგრამ მისი დღევანდელი მდგომარეობა სრულიად ვერ შეესაბამება, ერთი მხრივ, მის ბუნებრივ შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, კვების პროდუქტებზე მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნილებას. ამისათვის საჭიროა, მოხდეს კვების მრეწველობის არსებული ძველი საწარმოების რეკონსტრუქცია, გაიზაროს ქვერაიონის ტერიტორიაზე ყველ-კარაქის, პურის საცხობი საწარმოების და სხვათა მშენებლობა.

ქვემო ქართლის რაიონებში ძალზე სუსტადაა დაყენებული სარეწაო კოოპერაციული მრეწველობა, უმრავლეს ადმინისტრაციულ რაიონებში (დმანისი, წალკა, თეთრი წყარო, ბოლნისი და სხვ.) სრულებით არ არსებობს სარეწაო კოოპერაციული საწარმოები. ამიტომ მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს სარეწაო კოოპერაციული მრეწველობა და ამავე დროს სარეწაო კოოპერაციული საწარმოები უნდა მოეწყოს ქვემო ქართლის იმ ადმინისტრაციულ რაიონებში, სადაც დღემდე ასეთი არ არის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხ რ უ მ ი ო ვ მ ა თავის მოხსენებაში—სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ აღნიშნა, რომ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას სადგომებით პირუტყვის მთელი სულადობა. უნდა გადიდდეს კოლმეურნეობებისათვის საშენი მასალების მიყიდვა ცენტროსიოუზის ხაზით, აგრეთვე ადგილობრივი კოოპერაციული და სახელმწიფო მრეწველობის ხაზით. იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია კოლმეურნეობებს უნდა მიეცეთ რჩევა თავიანთი ძალებითა და სახსრებით დაამზადონ პური, კრამიტი და კირი, აღნიშნული მასალების

### ქვემო ქართლის მრეწველობის განლაგების რუკა



შხრივ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“. ეს მითითება განსაკუთრებით ეხება ქვემო ქართლის კოლმეურნეობებს, რადგან ქვემო ქართლში საერთოდ სუსტადაა განვითარებული კოლპერაციული მრეწველობა, ამიტომ კოლმეურნეობების ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს თავიანთი საკუთარი სახსრებით დამხმარე საწარმოების განვითარებისათვის და საკუთარი სამშენებლო მასალებით მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

В. С. Какабадзе

## РАЗВИТИЕ И РАЗМЕЩЕНИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ НИЖНЕГО КАРТЛИ

Резюме

До последнего периода почти не было трудов экономико-географического характера, которые освещали бы развитие и размещение промышленности в отдельных районах Грузии. Целью исследований Института географии им. Вахушти, ведущихся с 1946 года, является комплексное изучение отдельных частей Грузии, предусматривающее изучение вопросов промышленного производства.

Как усматривается из литературных источников и в результате исследовательской работы, проведенной на месте Нижний Картли издавна был известен рядом отраслей кустарной промышленности, продукция которой имела довольно широкий сбыт.

Богатые археологические материалы по Нижнему Картли несомненно говорят за то, что культурное и хозяйственное развитие населения этих районов, даже в отдаленном прошлом, стояло на высоком уровне, но, однако, частые набеги и вторжения внешних врагов в большинстве случаев целиком уничтожали достижения общественного производства.

После присоединения Грузии к России, набеги внешних врагов прекратились, но экономическая политика царского правительства явно задерживала насаждение и развитие промышленности в Грузии.

За годы господства меньшевиков и без того отсталая промышленность Грузии еще более деградировала.

С установлением советской власти (1921 год) началась новая эпоха в истории развития народного хозяйства Грузии.

В настоящее время в Нижнем Картли создан целый ряд новых отраслей промышленности; некоторые из них развиваются, главным образом, на базе существующих в районе природных ресурсов и сельско-хозяйственного сырья.

В существующей ныне государственной промышленности Нижнего Картли можно выделить следующие основные отрасли: электро-энергетическую, черную металлургию, строительных материалов, лесную, легкую, пищевую и полиграфическую.

В 1954 г. в Нижнем Картли было всего 65 больших и малых предприятий государственной промышленности с наличием 10,8 тыс. чел. рабочих, служащих и инженерно-технического персонала; этими предприятиями в 1953 г. выработано промышленной продукции на 622,7 млн руб.

(в отпускных ценах). Наиболее мощной отраслью является черная металлургия (Закавказский Металлургический з-д им. И. Сталина), которая дает 77,9% всей промышленной продукции района. За ней следует пищевая промышленность, на долю которой приходится 12,9% всей промышленной продукции района. Далее следует электро-энергетическая промышленность (7,3%), легкая (1,1%), лесная и деревообрабатывающая (0,4%), стройматериалов (0,3%) и, наконец, полиграфическая 0,1%.

Стоимость основных средств государственной промышленности Нижнего Картли на 1 января 1954 г. составляла—1,467,8 млн рублей, из них 98,5% приходилось на черную металлургию, 1,4% на пищевую промышленность и 0,04% на легкую промышленность.

По объему производимой государственной промышленностью валовой продукции удельный вес отдельных районов Нижнего Картли дает следующую картину: 86,9% стоимости всей продукции государственной промышленности приходится на г. Рустави, далее последовательно идут Цалкский район (4,0%), Болнисский (%3,6%), Марнеульский (3,2%), Тетрицкаройский (1,0%), Дманисский (1,1%) и Гардабанский (0,2%).

Кроме государственной промышленности здесь следует отметить кооперативную промышленность и подсобные предприятия колхозов; однако вырабатываемая ими продукция очень незначительна и если в общем объеме валовой продукции промышленности Нижнего Картли на государственную промышленность приходится 98,8%, то на кооперативную промышленность приходится лишь 0,5% и на подсобные предприятия колхозов—0,7%.

Для промышленности Нижнего Картли, за исключением металлургии и пищевой промышленности, характерны мелкие предприятия небольшой мощности. Особенно слабо развита в подрайоне местная промышленность и промысловая кооперация; в ряде районов (Цалкском, Дманисском, Болнисском, Тетрицкаройском) предприятия промкооперации вовсе не организованы. В Цалкском районе нет предприятий и местной промышленности. В целях лучшего обслуживания нужд населения в районах Нижнего Картли надо обратить внимание на создание местной и кооперативной промышленности и на ее развитие.

В шестой пятилетке в Нижнего Картли как и во всей нашей стране разворачивается большое промышленное строительство. Будет построена новая мощная гидроэлектростанция—Х р а м ГЭС II, ряд новых производственных объектов по Руставскому промышленному узлу, ряд маслодельно-сыроваренных заводов, мебельная фабрика и другие.

#### ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., კავიტალიზმის განვითარება რუსეთში, თბ., ტომი 3, 1948.
2. ს ტ ა ლ ი ნ ი ი. ბ., სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში, 1952.
3. ხ რ უ შ ი თ ე ნ. ს., მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე, 1953.
4. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები, შეკრებილი ქვემო ქართლის რაიონებში 1954 წელს ჩატარებული ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ.
5. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
6. ვ ო მ ე ლ ა უ რ ი, შავი ლითონების მეტალურგია საქართველოში, თბ., 1953.
7. უ კ ლ ე ბ ა დ., ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობები და რესურსები, ვახუშტი სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, თბ., 1956



8. ჭავჭავაძე ი. ს., და სხვ., სსრ გეოგრაფია, თბ., 1946.
9. ჭავჭავაძე ი. ს., საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი, თბ., 1930.
10. ჭავჭავაძე ი. ს., საქართველო სოციალური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1934.
11. Долгушин А., Молочное хозяйство в Закавказье, («Экономическая жизнь Кавказа», 1, 1921).
12. Дубенский М., Очерки по экономической географии Закавказья, Тифлис. 1924.
13. Шадинов Г., Промышленное значение молочного хозяйства на Кавказе (Доклад на первом Кавказском съезде сельских хозяев в 1911).



შინაარსი—СОДЕРЖАНИЕ

1. გ. გველესიანი. ქვემო ქართლის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება . . . . .	3
Г. Г. Гвелесиани. Общая экономико-географическая характеристика Нижнего Картли . . . . .	68
2. დ. უკლება. ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობები და რესურსები	75
Д. Б. Уклеба. Природные условия и ресурсы Нижнего Картли	123
3. ვ. ჯაოშვილი. სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება ქვემო ქართლში . . . . .	131
В. Ш. Джаошвили. Развитие и размещение сельского хозяйства Нижнего Картли . . . . .	197
4. ვ. კაკაბაძე. ქვემო ქართლის მრეწველობის განვითარება და განლაგება . . . . .	203
В. С. Какабадзе. Развитие и размещение промышленности Нижнего Картли . . . . .	231

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ალ. ჯავახიშვილი  
გამომც. რედაქტორი შ. პაატაშვილი  
ტექნიკური ა. თოდუა  
კორექტორი გ. ჯაყელი

გადაეცა წარმოებას 7.8.1956; ანაწყოების ზომა  $7 \times 12$ ; ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 27.9.1956; ქალაქის ზომა  $70 \times 108^{1/16}$ ;  
ქალ. ფურც. 7,312; საბეჭდი ფურც. 20,04; საავტორო  
ფურცელი 17,83; სააღრ.-საგამომც. ფურცელი 18,26  
შეკვეთა 1318; უე 04571; ტირაჟი 500  
ფასი 15 მან.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა  
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.



შეცდომების გასწორება

ფურცელი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ხვევიდან	ქვევიდან		
11	18		სამხრეთ-დასავლეთისაკენ	სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ
22		20	20000 ბერძენი	2000 ბერძენი
24	1		დონეზე. ლიკვიდირებული	დონეში. ლიკვიდირებულია
43	12		ბაზას	მასას
45		6	4592,0	2592,0
59	6		არსებობს (1953 წ.)	არსებობდა 1953 წ. (იხილეთ ცხრილი და დიაგრამა 10, გვ. 58)
63		3	აღმოსავლეთი	დასავლეთი
69	22		Нижней Картли	Нижнем Картли
69		23	в Нижней Картли	в Нижнем Картли
69		18	под нее	под него
76	1		ეროზიულ-დენდუაციური	ეროზიულ-დენდუაციური
78		12	(2054 მ)	(3054 მ)
80		12	შემცველი	შემცველი
80		6	(როტენბერგი)	(როზენბერგი)
99	ცხრილი		პროცენტებში წლების მიხედვით	პროცენტებში
100		13	5,3 <sup>0</sup> -მდეა	— 5,3 <sup>0</sup> -მდეა
107	14		ასკალაფა	ასკალაფა
107	14		ტბის	ტყის
108		9	კარბიანი	კარბიანი
109	12		წინმატასეული	წინმატასეული
114		3	დილხაში	დილხაში
117	13		2.	9.
124	7		рельефом)	)рельефом:
126	18		и в Нижнем	в нижнем
127	4		В нижний	В нижнем
127		5	подразделяющуюся	подразделяющаяся
143		10	ხენაზე გადაყვანით ქართლში უდრის 300 ჰა-ს, რესპუბლიკაში — 313 ჰას, -	ჰა-ს, რესპუბლიკაში — 22078 ჰა-ს, ქვემო ქართლზე მოდის რესპუბლიკის მტს
149	4		იძლევა:	იძლევა: (იხ. ცხრ. 4)
149		16	39 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	4 <sup>0</sup> / <sub>0</sub>
162		4	1653 წელი	1953 წელი
183	12		(223 <sup>0</sup> / <sub>0</sub> )	(22,3 <sup>0</sup> / <sub>0</sub> )
197		13	по Нижнего	по нижнему
198	2		В 1923	В 1923 г.
198	19		в Нижнего	в нижнем
199	13		лошади	плошади.
199	23		сочетаний	и сочетаний
205		18	146,8	1457,8
209		20	სოფ. შრომის	სოფ. შრომის
216		17	1820 ათასი	18 2 ათასი
223		12	1453	1953
224	10		378 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	37,8 <sup>0</sup> / <sub>0</sub>
232		16	Нижнего	Нижнем

გეოგრაფიის ინსტ. შრომები, ტ. IX.

7. 194/220



ფასი 15 მან.